

მნათობი

7

თბილისი



1955



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 32-ე

№ 7

ივლისი, 1955 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოთარ ჩხეიძე — ბურუსი (რომანი)	3
ოთარ ჭელიძე — ჭიტესა (პოემა)	43
ჯდიშერ უდიანი — თენებოფრის კალთებზე (მოთხრობა)	54
ალექსანდრე ტვარდოვსკი — ბოჩოლას ამბავი (ლექსი), თარგმანი გრიგოლ ცეცხლაძისა	79
დიმიტრი გულია — ტურისტების ბიოკი; გაზაფხულის წვიმა; ზღვასთან (ლექსები), თარგმანი კალე ბობოხიძისა	81
ოთარ ჩიჯავაძე — ეან ვალონის რეისი (მოთხრობა)	83
ა. პ. ჩიხოვი — ტირიფი; ხეადი კატა; მოხელის სიყვდილი; ალბიონის ქალიშვილი, თარგმანი ალექსანდრე ქუთათელისა	101

ქართული და უზღვევის

შალვა აფხაიძე — გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება	110
პროკოფი რატაანი — ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებათა საკითხისათვის (წერილი პირველი)	122
გიორგი ნადირაძე — „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი	131
ნ. ძიძიშვილი — ივანე ბერიტაშვილი	136
მ. ზავერიანი — მხატვრული თარგმანის ზოგიერთი საკითხი	140
შალვა აღმაშენებელი — თურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1954 წლის ნომრების მიმოხილვა	146

წიგნების მიმოხილვა

შალვა ამისულაშვილი — იოსებ ნინუაშვილის ერთობიანი	155
როდიონ ჭორჭია — სათავედასაველო მოთხრობა	156

ახალი წიგნები გარეკანის შესამე გვერდა

6621

მთარ ჩხიძე



ბ უ რ უ ს ი

რომანი

კაცი რომ თავის თავს უხამს,
მტერი არ მოეცილება.

ხალხური.

I

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, სალომემ დაასკვნა, რომ უკვე გადაიარა ქარტეხილმა, დრო იყო გაეღო სახლის კარები, დრო იყო კვლავ გამოჩენილიყო ასპარეზზე მისი მუღღლე, დაასკვნა და ბრძანა, მოემზადებინათ წვეულება თხუთმეტი დეკემბრისათვის.

სალომეს ღირსეული თანამეცხედრე, აპოლონ კორკოტაძე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა: რატომ მაინცდამაინც თხუთმეტი დეკემბრისათვის ან რა საბაბითო?! თუმცა საბაბი არაფერია, რა თქმა უნდა, არაფერია, საჭმე ის არის, ნაადრევი ხომ არაა, ან გაუძლებს თუ არა ჩვენი ბიუჯეტი დიდ წვეულებასო?! ეს კითხვები სალომესათვის არ შეუღებდავს აპოლონს, არც თანხმობა, არც უარი წამოსცდენია, განმარტოვდა ცალკე ოთახში, თავის კაბინეტს რომ უწოდებდა, ჩაეშვა ლურჯ, ღრმა სავარძელში, დიდი, გრძელი თითები თავში შემოირტყა და შეფიქრიანდა: ნაადრევი ხომ არაა, გაუძლებს თუ არა ბიუჯეტი? ჰო, შეფიქრიანდა, რუმცა წინასწარვე იცოდა, ამაოდ იფიქრებდა, ვერც საწინააღმდეგოს, ვერც უკეთესს მოიფიქრებდა, სალომეს ალღოსა და გონიერებას ყოველთვის ენდობოდა, ბრძიდ ენდობოდა, როგორც თვითონვე სიამაყით ამბობდა ხოლმე. ზაგრამ მის ნათქვამს მაინც ჩაუკვირდებოდა, განმარტოებით განსჯიდა, არა იმი ზომ, თითქოს მცირედად რაიმე დააეკვებდა, ეს არავინ იფიქ-

როს, არა! — უნდოდა ჩასწვდომოდა, მთელი არსებით განეცადა მეუღლის გონიერების სიღრმე და აღტაცებულყო, სიამეს, ტკბობას მისცემოდა.

როგორ არ აღტაცებულყო? აქამდე ეგონა, კიდევ კარგახანს უნდა მიჩქმალულიყო, კიდევ დიდხანს უნდა მორიდებოდა ავ თვალსა და ყურს, ხოლო ახლა თითქოს უცებ გაუნათდა აზრი, თითქოს თვალის შუქი მოემატა, სრულიად სხვანაირად წარმოუდგა მდგომარეობა. თურმე აქამდე ისევ პირველი შიშის ქვეშ ყოფილა, ისევ იმ ძრწოლით ყოფილა ატანილი, როდესაც ამხილეს მისი ქომაგი და მფარველი, ამხილეს სწორედ ნათესავ-მეგობართა მფარველობისათვის და მინისტრის თანამდებობიდან მოხსნეს. თან მიაყოლეს აპოლონ კორკოტაძეც, როგორც მისი მეგუნდრუკე, მისი ბრმა თაყვანისმცემელი. ამ შემთხვევაში სცდებოდნენ, აპოლონი არასოდეს არავის თაყვანისმცემელი არა ყოფილა, მაგრამ საბუთები ჰქონდათ, საოცარ მაგალითებს ასახელებდნენ, სარწმუნოს, ნამდვილს, ტყუილად გამოიდებდა თავს, ამაოდ დაიწყებდა გულწრფელ აღიარებას, რომ მხოლოდ პატივს სცემდა „გრიგორი სევასტიანოვიჩს“, უბრალოდ პატივს სცემდა, როგორც მინისტრს, როგორც უფროსს, არ იცოდა, თუ ასეთი იყო, ანა რა იცოდა, თორემ?! ერთი სიტყვით, არ დააცადეს, თორემ აპოლონ კორკოტაძე თვითონვე გააშიშვლებდა გრემას, — შინაურობაში ასე უწოდებდნენ ამ მართლაც დოყლაპიას, დროზე

რომ ვერ აუღო ალღო საფრთხეს, ვერ შეინარჩუნა მინისტრის პორტფელი.

ჰო, არ დააცადეს და არჩია გუგუნიზირებულიყო, თუ გამოჩნდებოდა, თავი მოეკატუნებინა სხვისი დანაშაულისათვის დასჯილს. როცა რადიო და გაზეთები ერთიმეორეზე უფრო მკაცრად, ერთიმეორეზე უფრო მწვავე ნიმუშებდნენ და მაგალითებად ასახელებდნენ „გრიშას“ და სხვათა სახელებს, როცა ყოველ კრებაზე თუ თათბირზე მათ იხსენიებდნენ და ჰგმობდნენ, ცხადია, მაშინ ხმის ამოღება, თუნდაც თავაწიულად გამოჩენა, ნამდვილი რაინდობა იქნებოდა. რაინდობას კი იგი არა ჩემულობს. ვისაც რა უნდა, ისა თქვას; თუნდაც კეს შეადარონ, ფოთლის დაცემის ხმაე რომ აფრთხობს, ხობოკურში რომ შალავს თავსა და ფეხებს, შეადარონ, ხალხს პირს ვინ აუკრავს, უარესის თქმაც შეუძლიათ; რაც არ უნდა თქვან, თქმა მაინც თქმაა, სიტყვა ქარია, პირს ამოსცდება და გაქრება, ხოლო ის, ყველა ქარს თუ აჰყვა, რაო, ენძელაა გაზაფხულზე ამოვიდეს?! არა, ენძელა არ არის! არც ხობოკურია ეგრე დასაძრახისი, ზოგიერთა პამპლაუქას რომ ჰგონია. ამ დალოცვილ ბუნებას საძრახისი არაფერი შეუქმნია, ან საძრახისი რა სათქმელაა. ყველაფრის ნიმუში გაუკეთებია, ბუნების ენა, ბუნების სიტყვა ეს არის, მიხედეთ და მაგალითი გადაიღეთო. ჰოდა, ვინც რა უნდათქვას, აპოლონი ბუნების შეგირდია, ვინ იცის; ზოგს ესეც საძრახისად მიიჩნდეს, აპოლონს ეამაყება, დიახ, ბუნების შეგირდია, უკვე შეუძლია გამოძერეს ხობოკურიდან, — ეს რამდენიმე ხანია რადიო და გაზეთები აღარ ასხენებენ „გრიშას“ არც იმ ორიოდეს, მასთან ერთად რომ ამხილეს. ერთი იმათგანი კიდევაც დააწინაურესო, მაინცდამაინც დიდდად არა, მაგრამ ისეთი დაყირაუების შემდეგ მაინც დაწინაურებად ჩაითვლებაო. ხმა დარჩა, შეიძლება სხვებიც მიიბინავე-მოაბინაოვონ. თუ ასეა, ე. ი. თუ დასჯილები (ზოგს სასტიკი საყვედურიც აუწერეს პირად ბარათში) უნდა მიიბინა-

ნაე-მოაბინაოვონ. აპოლონი რაღად უნდა დარჩეს მშრალზე, მისთვის ხუმ უბრალო მითითებაც არ მიუციათ, არც რადიოს უხსენებია, არც გაზეთს, არც ერთ კრებაზე არ ამხედრებიან, ყველაზე სუფთად გამოიყურება, მშრალზე რად უნდა დარჩეს! ცხადია, არ უნდა დარჩეს! ცხადია, უნდა გამოჩნდეს დროზე, დროც დამდგარა... ახ, რა დიდებული ალღო აქვს სალომეს, მოდი და აღტაცებას ნუ მიუცემი!

ასე გადაწყდა პირველი კითხვა, მთავარი კითხვა. ამის შემდეგ ყველაფერი იოლი იყო, თვით ფულის საკითხიც იოლი იყო. ბოლოსდაბოლოს მარტო სამპროცენტოანი ობლიგაცია ოციათასი მანეთისა ჰქონდა, ყოველ შემთხვევისათვის ავტომატურად უკვე გამეტებული იყო გასაყიდად. ასე რომ, ერთი კი არა, თუნდაც ორი-სამი წვეულება გადაეხადა, შეეძლო ორ წლამდე უზრუნველად ეცხოვრა, თუ, ვთქვათ, ამაოდ ჩაივლიდა ის ორი-სამი წვეულება, ჰო, ეს უკიდურესი მდგომარეობა რომ წარმოედგინა, განა სალომე ასე ალაღბებდა წამოიწყებდა რამეს?! რა თქმა უნდა, არა! საოცარი ალღო აქვს სალომეს, საოცარი...

იმ ოთახს შეიძლებოდა უფრო „თვლემის ოთახი“ დაქმეოდა, ვიდრე „სამუშაო კაბინეტი“, როგორც აპოლონი და თვით სალომე უწოდებდნენ მას. თუმცა სამუშაო ოთახსა ჰგავდა. სანატრელი იყო, ვინც მუშაობა იცოდა: იღვა წაბლის ხის მშვენიერი საწერი მაგიდა. შერჩეული, ძვირფასი მოწყობილობით. შუა ოთახში მრგვალი მაგიდაც იღვა, ყავისფერი, ოქრომკედლიანი საფარველით, ორგვლივ ყავისფერ-ოქრომკედლიანივე ფალითებიანი სკამებით. კედელს გასდებდა დიდი, მთლიანი, სვეტებოანი კარადა, ჰაეოოვანი, ჩუქურთმებიანი თაღებით, ძვირფასყდიანი ოქროს ვარაყიანი წიგნებით. სხვა კედლებზე ჩამოკიდული იყო ასლები რეპინის „ბურღაყებისა“, გაბაშვილის „მთვრალი ზევსურებისა“, ბუგეროს „ამურისა და ფსიქეასი“. იყო ორი პეიზაჟიც, აპოლონის მტკიცებით —



ორიგინალები, ერთი გაბაშვილის, მეორე ციმაკურიძისა. ოღონდ ძნელი იყო ამ შემთხვევაში აპოლონის მტკიცებისა და ფიცის დაჯერება, რადგან, თუ უცოდნელი ჩაუვარდებოდა ხელში, „ბურღა-კებსაც“, „მთვრალ ხევსურებსაც“ და „ამურ და ფსიქეასაც“ ორიგინალებად ასალებდა. ასე იყო თუ ისე, მის ოთახში ეს სურათებიც ეკიდა. თქმა არ უნდა, სურათები დიდად ვერ წააქეზებდა ადამიანს მუშაობისათვის, მეცადინეობისათვის, ოღონდ ხელსაც არ შეუშლიდა, როცა ოთახში იდგა სანატრელი მყუდროება, სინათლე, სისუფთავე და დიდი მშვენიერი კარადიდან გამოკრთოდა აუარებელი წიგნი, ნაირფერი ლიდერინები, ნაირზოლი ვარაყები.

უფრო ღარიბული ყდის მქონე წიგნები დაბლა, უშუშო, დახშულ თაროებზე ეწყო. იქ იყო მთელი ტექნიკური ლიტერატურა, აპოლონის ადრინდელი სახელმძღვანელოები. ის განათლებით ანენიერ-პიდრპოლოგი იყო, ოღონდ დიდი ზანია სამმართველო ორგანოებში მუშაობდა, მაღალი თანამდებობა ეკირა და დიდი ზანია, გამოსთხოვებოდა ტექნიკურ საქმიანობასაც და ტექნიკურ ლიტერატურასაც. არ იფიქროთ, თითქოს სხვა ლიტერატურით მოხიბლულიყოს, არა, წიგნები თავისთვის ეწყო, აპოლონი კიდევ თავისთვის იყო. თუმცა იცოდა რომელიმე წიგნის ამოჩენება, ჩაჯდებოდა ერთსა და იმავე სავარძელში, ერთსა და იმავე ადგილას, ზამთრობითაც, ზაფხულობითაც. ზამთარში იქ მცეტი სითბო იდგა, ორთქლის მილები იქვე იყო, ხოლო ზაფხულში ღია ფანჯრიდან სანაპიროს საამო სიო გადმოდიოდა, ზედ შებღზე ევლებოდა, ეამბორებოდა. ჰო, ჩაჯდებოდა სავარძელში, წიგნს შტხლებზე დაიდებდა, თავზე მიიბრჯენდა გრძელ თითებს და ჩასთვლიდა. და თუ სალომე გულმოსულობის დროს სიტყვას გადაპირავდა წიგნის სიყვარულზე, კითხვის გულმოდგინებაზე, სამასაურს, დაღლილობას მოიმიზეზებდა, მოხსნის შემდეგ — დარდიანობას. განა ეს მცარე

მიზეზი იყო? და სთვლემდა იმ საბარელ მყუდრო ოთახში. **ეროვნული**
სხვაგან, თავისი ოთახის **ქართული**
არ მოერეოდა აპოლონს, გეზი თუ ჰქონდა, შემატებასა და წარმატებას თუ ეხებოდა საქმე, მისი მოსვენება არ შეიძლებოდა, მოქმედებდა, ლელავდა, დაფაცურებდა, ხალხს აოცებდა დაუღლეობით. აკი ამბობდნენ კიდევ, აპოლონს ცეცხლი სცივია ხელბოდიანო, თითოთაც ეგონა, მართლა ცეცხლი სცივია ხელბოდიან, იფერებდა ქათინაურებს, თვითონაც უყვარდა თავის ქება: მე რასაც ძილში გვაკეთებ, სხვა იმას სიფხოზღეშიც ვერ მოახერხებსო. და თუ მართლა ძილშიც შემოქმედი იყო, ძილშიც ცეცხლი სცივია ხელბოდიან, რატომ არ შეეძლო ეთვლიმა თავის „სამუშაო კაბინეტში“, ან რად არ შეიძლებოდა მართლა სამუშაო კაბინეტი რქმეოდა მის ოთახს და მის თვლემას — მუშაობა? ამ შემთხვევაში ნუ აუხიბრდებით აპოლონს ან სალომეს, მით უფრო სალომეს, რომელიც ვინმე ანაზღვეულად მოსულს, საქმისათვის მოსულს ან ტელეფონით მოლაპარაკეს თითქოს შიშით, საიდუმლო ხმით მიუგებდა: „სამუშაო კაბინეტშია, ვერ შევხვდავ, ხელს ვერ შევუშლი, მობრძანდით შემდეგ, ან დარევეთ შემდეგ!“ ეს ხდებოდა იმ დროს, როცა აპოლონს მაღალი თანამდებობა ეკირა. ზოლო მას შემდეგ არცთუ ზმირად რეკავდა მათი ტელეფონი, არცთუ ვინმე მიდიოდა საქმისათვის. სალომეს შეეძლო აღარ შინებოდა თანამეცხედრის კაბინეტში შესვლისა. თანამეცხედრესაც აღარა სჭირდებოდა ყოველთვის გამოფხიზლებულიყო და ეკითხა: „ვინ იყო? რა უნდოდა? უთხარი, მუშაობსო?! კარგად გითქვამს!“ — ჰო, აღარა სჭირდებოდა, შეეძლო მოსვენებით ეთვლიმა, ვიდრე თვით სალომეს დასჭირდებოდა, ხმაურით შეაღებდა კარს და ქალისათვის იშვიათი ბოხი ხმით შესძახებდა: „ეს რა გიქვინა?!“ ან: „რა გითქვამს?!“ ანდა: „ყოჩაღ, კარგად მოქცეულხარ!“ ან კიდევ: „ახლა ასეა საქმეო, აბა, შენ იცო!“ აპოლონიც თავს იქნევდა, მოწონების

დროს სიამით, დაწუნების დროს სინა-
ნულით. ასე შეხმატკბილებული იყო ზა-
თი ცხოვრება ოცდაათ წელზე მეტი
ხანია.

ოტა ხანი ხომ არ არის?

ერთი ადამიანის სიცოცხლეში ოცდაათ
წელს კარგად დიდ, მნიშვნელოვან დროდ
მიიჩნევთ. იმასაც იტყვიან, ოცდაათ წე-
ლიწიადში, თუ კარგად გამოიყენებს ადა-
მიანი, დიდ წარმატებას მიაღწევსო, ჰო,
იტყვიან და აპოლონიც დასძენს, რომ
მართლაც შეიძლება დიდი წარმატება,
ბევრის შემატება, გონიერულად გამოყე-
ნებული ოცდაათი წელიწადი სავსებით
საკმარისიაო. გონიერულად, დიახ, გონი-
ერულადო, რამდენჯერმე იტყვიან რიხი-
ნად, ამაყად, საკუთარი ღირსების ღრმა
განცდით. თუ მოისურვებთ, ან თუ ეპყს
გამოთქვამთ, დაგისაბუთებთ კიდევ. ის
საბუთებს წარმოგიდგენთ და თქვენვე
განსჯევთ. აბა, თუნდაც შეხედეთ მის
ხუთოთახიან ბინას, ძველი ქართული
ხუროთმოძღვრების სტილით აგებული
ახალი შენობის მესამე სართულზე, რო-
მელიც გადამდგარა მტკვრის მშვენიერ
სანაპიროზე, საიდანაც იშლება დიდე-
ბული ხედი... თუმცა ამაზე სიტყვის
გაგრძელება არა ღირს, თბილისში საი-
დან საით არ გაშლილა მშვენიერი
ხედი? მთავარია ბინა, ხუთოთახიანი
ბინა, ძვირფასი ავეჯითა და დგამებით,
თვალისშემპყრობი ფარდაგ-ხალიჩე-
ბით... ჭურჭელს ხომ ნულარ იკითხავთ,
შეუძლია გიჩვენოთ ჩინური ფაიფური,
ამონასველური მინიატურები, ფაიფური
კლასიციკლური სტილისა.

სხვას ნულარაფერს იკითხავთ, განა
საკმარისი საბუთი არ არის, ან არ შე-
გიძლიათ ზოგი თუ ბევრი რამ თქვენვე
წარმოიდგინოთ? ცხადია, შეგიძლიათ!
ოღონდ იცოდეთ, რომ არაფერი ამის
მსგავსი არ გააჩნდა ამ ოცდაათი წლის
წინათ აპოლონ კორკოტაძეს, საშუალო
ტანის, გამხდარ (ახლა წარმოიდგინეთ
ჩასუქებული), დაწვებამოცვენილ (ახლა
წარმოიდგინეთ სახემომარგვალელებული),
შავ-შავ ახალგაზრდას, სამელიორაციო
უბნის ერთ-ერთ დამკვირვებელს, რო-

მელსაც სათვალის ცალი, გადატანილი
რქა ძაფით ჰქონდა გადაბმული (ახლა
წარმოიდგინეთ ოქროს სათვალის).

ასე, თვლემის ქამს ცხადად წარმო-
უდგება ხოლმე განვლილი დრო, ჩამოე-
ფინება ცალკეული სურათები, საამოც,
შემამფოთიც. საამოს შევლიბებს, შეს-
ცინებს, ხელსაც გაიწვდის შესაჩერებ-
ლად; შემამფოთი ძრწოლას მოკვერის,
გამოაფხიზლებს, დარწმუნდება თუ არა,
რომ მხოლოდ მოჩვენებაა, წარსულის
მოლანდებაა, უკვე გადატანილი საფრ-
თხის ანარეკლია გონებაში, დამშვიდ-
დება, კვლავ თვლემას მიეცემა... შეუძ-
ლია სთვლემდეს, ტკბილად სთვლემდეს.
რატომაც არა?! ეს უკანასკნელი საფრ-
თხეც გადატანილია. ახლა მოქმედება
საჭირო, ფიცხელი მოქმედება გადარ-
ჩენილი სახელის აღსადგენად, ახალი
წარმატების მოსაპოვებლად, უკვე
დამდგარა დრო, ეს უკვე გადაწყვეტი-
ლია, საეჭვო არ არის, სადავო არ არის.
ის უკვე მომართულია სამოქმედოდ.
განა მოდუნების ბრალია მისი თვლე-
მა?! არა, ძალის მოკრებაა სამოქმედოდ!
მანამდე სალომე მოაშხადებს განკარ-
გულებებს, მითითებებს. ოხ, ეს სა-
ლომე! რად არ შეუძლია ტკბილად
სთვლემდეს, უმფოთველად სთვლემდეს
მისი თანამეცხედრე?!

დადგა მყუდროება. სრული მღუმე-
რება და გარინდება აპოლონ კორკოტა-
ძის „სამუშაო კაბინეტში“. მხოლოდ
დაჯაფული ბურღაკები მიათრევდნენ
ნავეებს, გულალაღად იციინოდნენ მთვრა-
ლი ხევისურები და ამური მიაფრენდა
ენებთ გათანგულ ფსიქეას, ჩუმად,
უხმაუროდ.

ასე გასტანა ერთხანს. მერე უეცრად
გაიღო შუა კარის ცალი კალთა, ასევე
უეცრად, სწრაფად გაიღო მეორე მხა-
რეც, რადგან ცალი კალთა ვერ გაატა-
რებდა იმ სივანე თეძოებს, იმხელა ჭალს,
რომელიც ყველგან და ყოველთვის ისე
დადიოდა, იტყოდნენ, არემარე თან
მოაქვსო. მართლაც თითქოს ქარბუქი
შეიტანა, ქარიშხალი დააყენა დამყუდ-
როებულ ოთახში. ქარი მიჰქონდა მისი

ლურჯი, ხაოიანი ხალათის გრძელ, გა-
ნიერ კალთებს, მსხვილ მკლავებს, მკერ-
დიდანაც ქარი ამოსდიოდა, — სუნთ-
ქვაზე ითქმის, მის სუნთქვაზე — ქარს
იღებდაო. ქარის ამოღება უნდა გენახათ
დაღლილობის დროს! ჰო, ეს მართლაც
ქარი იყო. ახლა არც დაღლილობა ეტ-
ყობოდა, არც მღელვარება, ოღონდ
ჩვეულებრივ სუნთქვაზე მაინც მეტი
იყო მისი სუნთქვა, შეეფერებოდა გა-
ნიერ თეძოებს, მაღალ მკერდს, მოსულ
მხრებს. მის მიერ შეტანილ ქარს ძალას
მატებდა ორი დიდი ფურცელი, სათი-
თაო ხელში რომ ეჭირა და მიაფრია-
ლებდა. ამ ფრიალმა, შრიალმა და ხმა-
ურმა, მყუდროებაში უეცრად შეჭრილმა
ხმაურმა ძილი დაუფრთხო აპოლონს,
ცოტა არ იყოს, შეაკრთო კიდევ, მაგ-
რამ მალე გამოერკვა, მეუღლის მიწყნა-
რებულმა თვალბმაც მალე მოჰკვარა
სიმშვიდე და საამო ღიმილით, აუღელ-
ვებლად გაიშვირა ხელი ფურცლების
ჩამოსართმევად.

აპოლონმა წინასწარ იცოდა, რა ეწერა
იმ ფურცლებზე: ერთი საჭირო სანო-
ვავის სია იყო, მეორე — მოსაწყვევი
ხალხისა. აპოლონი არც იმის ცოდნას
იყო მოკლებული, რომ ორივე დიდე-
ბულად იქნებოდა შედგენილი, მაგრამ
რაკილა უფროსი ერქვა თავის ოჯახში,
მაინც უნდა დაეხედა, თავისი აზრი
ეთქვა, თაოსნობაში წილი ჩაედო და
ისე შეესრულებინა. ისიც უნდა ითქვას:
აპოლონი კაცის დაწვრილმანებად
სთვლიდა სანოვავის შერჩევაში ჩა-
რევას, კამათს დისახლისთან, — ამდენი
გოჭი რა საჭიროაო, ან — ამდენი ინდა-
ური, ამდენი იემარებს, ან მეტია სა-
ჭიროო და სხვა... არა, აპოლონი ასე-
თებში არ ჩაერეოდა, მხოლოდ გულ-
მოდგინედ დააკვირებოდა რიცხვებს
ყოველი დასახელების გასწვრივ, სწრა-
ფად გაიანგარიშებდა თანხას, ელვის-
უმალ გამოიყვანდა ჯამს და გულში
რალაც ჩასწყდებოდა, რადგან ხელმომ-
ჭირნეობა არა სჩვეოდა სალომეს. ხმა-
მაღლა არათერს ეტყოდა, არამცდა-

არამც! ეს რა კაცის საქმეაო, დაწვრილ-
მანებააო! თუმცა გაეყვილა, გატყუალო
სჯობს, — მაინც ვერაფერს ვაწყობდა,
უმჯობესი არ იყო ღირსება შეენარჩუ-
ნებინა? ხოლო, რაც შეეხება სტუმრე-
ბის სიას, ამაზე უსათუოდ უნდა ეთქვა
თავისი აზრი, სიის ჩათვლიერებამდე
ისიც იკითხა: რა საბაბით, რა უთხრათ,
რისთვის, რის აღსანიშნავად გიწვევ-
თო?

— ეთერის დაბადების დღის აღსა-
ნიშნავად!

— ეთერის?! — რალაც მოწონებითა
და ელტაცებით ამოიძახა აპოლონმა.

— ჰო... აღენიშნოთ, ობოლი გოგო-
ნაა, გულს დააჩნდება...

— ძალიან კარგია... ძალიან კარგია... —
ოდნავი სიცილით, მოწონების სიცილით
განაგრძო აპოლონმა და უცებ ამო-
იყვირა, — ეს რაა, გრიშაც შეგიტანია
სიაში?! თანაც თავში მოგიტყვევია! შენ-
გან მიკვირს! ალბათ ძველია სია გადა-
სწერე...

სალომემ დამცინავად გაიღიმა.

— ჩაჰყე, ჩაიკოთხე! — ბრძანების
ცილობით თქვა სალომემ.

— ახ, — ახლა მოწონებით ამოსცდა
აპოლონს, — საქალაქო კომიტეტის ახა-
ლი მდივანი, ქალაქის საბჭოს ახალი
თავმჯდომარე, ახალი მინისტრი... ჰოდა,
მით უმეტეს, მიკვირს, რას იტყვიან?!

— აპოლონ კორკოტაქემ ერთგუ-
ლება იცისო?! — შთამაგონებლად თქვა
სალომემ, ისე თქვა, თვალთა ისეთი მო-
ძრაობით, ტუჩების ისეთი მოყვანილო-
ბით, რომ აპოლონი უსათუოდ უნდა
მიხვედრალიყო, მაგრამ რატომღაც ვერ
მიხვდა, გონებაზე რაიმე გადაეფარა, თუ
დიღხანს გარეთ გაუსვლელიობით ალღო
წაერთვა, — ერთის ბრალი იყო თუ
მეორისა, მან მხრები ასწურა, კოპები
შეიკრა, უაზროდ გადააქნია თავი და
სალომეს დასჭირდა განემარტა დამცი-
ნავი იერით: — ამათ მაინცდამაინც დიდი
დღე არა აქეთო... თვითონვე იცინაო...
აქედანვე არჩევენ ისეთებს, ვისაც თავი-
დადება და ერთგულება შეუძლია, ვინც
გაჭირვებაში გატანა იცის... გრიშას მო-

წვევა ერთგულისა და გამტანის სახელს მოგანიჭებს, ვალდებულებით არაფერს დაგავალდებულებსო...

კობები გაეშალა აპოლონს, „ახ, რა ჭკვიანი დედაკაცია!“, გაიფიქრა და ნეტარების ტრუანტელმა დაუარა ძარღვებში. მოწონების სიტყვა ხმამაღლა არ უთქვამს, თუმცა ისე შესცინა, სიტყვასა სჯობდა, სიტყვაზე მეტი იყო. მერე ისევ სიას ჩახედა, ისევ გაკვირვება გამოთქვა, ოღონდ ნაკლები გაბედულობით.

— ლევან ქურდოვანიძე?!

— ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია, — მიუგო სალომემ, — ლექციებსაც კითხულობს უნივერსიტეტში... ეთერი მოსწონს!

— აჰა! — მრავალმნიშვნელოვნად ამოიძახა აპოლონმა, მივხვდიო, განმარტება აღარ არის საჭიროო.

სალომემ მაინც განაგრძო:

— მალე ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წიოკობა ატყდება... ლევან ქურდოვანიძე მცირე როლს არ შეასრულებს ამ დროს და... ბრწყინვალე კარიერას გაიკეთებს!

— აჰა! — კიდევ უფრო მრავალმნიშვნელოვნად ამოიძახა აპოლონმა, ახლა კი ნამდვილად ყველაფერს მივხვდიო. ხოლო სალომემ მაინც დაასაბუთა გამოთქმული აზრი:

— ლევან ქურდოვანიძე ქალაქკომის ახალი მდივნის დეიდაშვილია...

— აჰა! — ახლა თვალები გაუფართოვდა აპოლონს, უკვე ნამდვილად მიხვდა, გაიგო, ჩასწვდა სალომეს მთელს გაანგარიშებას და აღარ დაჰფარა აღტაცება, — ახ, ბედს რა ვუთხარი, თორემ შენ დიდი სახელმწიფო მოღვაწის მეუღლეც ხარ დაბადებულ!

— ახ, ბედი, ბედი! — გაიღიმა სალომემ, — ახ, როგორ დამაშორა ჩემს მოწოდებას და შენზე გადამივიდა!

— ო, არა, მე დამაჯარა ბედმა მე! — თქვა აპოლონმა, თითქოს ხუმრობით, ოღონდ იმ წუთს მართლა სჯეროდა, რომ თუ ავი ბედი არა, შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე,

მამ რაღა ჰყავდა ესოდენ შორსმდებელი და ყველაფრისმკოდნე მგელღელს? სარწმუნო საბუთია?! დაე, ზიგონს, სჯეროდა, თუ სჯერა! ყოველ შემთხვევაში, სალომე იოლად არ აწყვებოდა ასეთ აღტაცებას, ხოლო აპოლონსაც მალე გაუვლიდა, დაფაცურდებოდა ყველაფრის, თვით ყველაზე პატარა საქმის ზედმიწევნით ზუსტად შესასრულებლად. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ საკითხავი და დასადასტურებელი აღარაფერი იყო, ყველა გამოდგომის თვალსაზრისით იყო შერჩეული, იმ მცირე განსხვავებით, რომ ზოგი გვიან გამოადგებოდათ, ზოგი უფრო ადრე, თუნდაც იმ დამესვე: ცნობილი მეციოლინე ქალიშვილი, სახელგახტმული პიანისტი და ოპერის ორი წამყვანი მომღერალი — იმ დამესვე გამოადგებოდნენ. რაც შეეხება სხვებს — იმათგან ზოგი კარგ ხმებს გაავრცელებდა აპოლონის შესახებ, ზოგს უშუალოდ ეხებოდა მისი აღდგენა და დაწინაურება. ამას გარდა, ეთერისა და ლევან ქურდოვანიძის ურთიერთობასაც თუ საიმედო პირი აღმოაჩნდებოდა, იგივე ხალხი მიიღებდა მონაწილეობას მათს დაგვირგვინებაში. ეს ნათელი იყო, განმარტება აღარაფერს უნდოდა...

დერეფანში ზარიც ახმაურდა და სალომემ გაეშურა კარის ვასალებად. კართან ეთერი იდგა, სუსხისაგან ლოყებალენწილი, თვალეგაბრწყინებულთა თვალთა ბრწყინვა არცთუ იმდენად სუსხის ბრალი იყო. ამას სალომე მყისვე მიხვდა, მიხვდა თუნდაც იმით, რომ ეთერს შინ შესვლის დროს თვალები, ის გასახარელი თვალეები, გარეთა რჩებოდა. თუმცა იქვე აღარავინ იყო, მაგრამ სალომეს ყურს არ გამოჰპარვია ფეხის ხმა. ვილაც დაბლა ეშვებოდა, ფეხის ხმა მერე სულაც მიწყდა მთავარ შესასვლელთან. „ვინ იყო? ისევ ის!“ — გულში იკითხა სალომემ და ფანჯრებისაკენ გაეშურა: „ჰო, ისევ ის — ტუჩი ჩაიკვნიტა სალომემ, როცა გამელელთა შორის გამოარჩია მაღალ-მაღალი, შავ-ბალტოიანი და შავქუდიანი, თავდაბარი-

ლად მიმავალი კაბუცი, ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი! მცირე ხნის შემდეგ ცივად ჩაიციან. ასე იციან ალამიანები, როცა სხვისი იმედების მწვავე დასასრული წინასწარ იციან. სალომე იმ თავდახრილი კაბუცის ფიჭვებს დასციროდა, იცინოდა და თვალს არ აშორებდა, ვიდრე არ ჩაიკარგა ხალხში. ეთერისათვის არაფერი უგრძნობინებია, არც მერისათვის უთქვამს რამე. ამის შესახებ არ უთქვამს, თორემ წვეულების ამბავი, რა თქმა უნდა, გაუმელავნა: „იცი, მერი, — საზეიმოდ განაცხადა სალომემ, როცა სადილად დასხდნენ, — აპოლონს სურს აღნიშნოს ეთერის დაბადების დღე!“ ამ განცხადებამ მოსალოდნელზე უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია. ეთერმა აღტაცებით შესძახა, წამოხტა, აპოლონთან მიიჭრა და გადაეხვია. მერის ცრემლები აღბზინდა თვალებში.

ცრემლს ვეღარ იოკებდა მერი, ღელავდა, საოცრად ღელავდა. სხვა დროს ასეთ ამბავს მშვიდი სიხარულით შეხედებოდა, მრავალი სიტყვით გამოხატავდა პატივისცემას აპოლონისადმი, უწოდებდა — ძვირფასს, დიდსულოვანს, კეთილზე კეთილს, დიდბუნებოვანს, ეთერსაც აღხსნიდა, რომ არა ჰყავდა აპოლონზე უკეთესი დედის ქმარი, სალომეზე უკეთესი დეიდა, არც სხვა ნათესავეები ჰყავდა უკეთესი.

ჰო, ასე იქნებოდა სხვა დროს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მერის, ცოტა არ იყოს, დაერღვა შინაგანი სიმშვიდე. ან აღრინდელმა აღგზნებამ გაუარა, იმ აღგზნებამ, ორბისიდან რომ დასძრა, გამოიტაცა, მეუღლესთან წაჰკიდა. სხვაანირადაც არ შეიძლებოდა: აღგზნებას დაცხრომა უნდა მოჰყოლოდა, ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებშიც. მით უმეტეს, დაცხრომას დაჩქარებდა ზოგიერთი რამ. მანამდე გაუთვალისწინებელი: ეთქვათ, აპოლონის მოხსნა, შიში უარესის მოლოდინისა. ეს პირველი მწვავე დარტყმა იყო.

მერი ისევე ნახევარ განაცევთზე რჩებოდა, ამასთან, სალომე უკვე უარს

აღარ ამბობდა, მერისაც მიეღო მომწიფე ლეობა ოჯახის ხარჯებში.

ეთერს მაღა უფრო და უფრო უღვივებდებოდა, უფრო ძვირფასს, უფრო ნატიფი მოდელის სამოსის თხოვლობდა და, ხელფასზე რომ აღარაფერი ეთქვათ, დანაზოვი თანხები კატასტროფულად მცირდებოდა.

ლადო სავანელისაგანაც ხმა არ ისმოდა, მიანება თავი, მიივიწყა. მაშ რა — ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა ხლებოდა, პირადად არ უნდა ეთხოვა, დაბრუნდი სოფელშიო?! ამას ნიშნის მოგებისათვის გაიფიქრებდა ხოლმე მერი. ხოლო ნამდვილად ეგონა: ლადოს მოსტეხდა მისი სიჯიუტე, ჩაეიღოდა, მიტევენას სთხოვდა, შეენუჯებოდა, დასთანმდებოდა მოქცეულიყო ნებისამებრ. მაგრამ რის თხოვნა, რა ნუკეა?! არა ჩანდა არც ლადო, არც ბარათი, არც დანაბარები. უკანასკნელი სიტყვა ეთერის პირით შემოუთვალა: „ან ახლავე დაბრუნდი, ან ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებული იქნება!“ და აი, ასარულა, მერის ასე არ ეგონა...

ვერც სკოლაში მოიპოვა გაცენა, იქ უკვე იყვნენ „ადგილობრივი ავტორიტეტები“ და არცთუ იოლი იყო მათი ჩამოყრა კარგა ხნის დაუფლებული სიმალეებიდან. მერი კი მიჩვეული იყო, მისი ხელის აქნევას აპყოლოდა მთელი სკოლა — მეკარიდან მოყოლებული დირექტორამდე. ასე იყო ორბისში, ასე აღარ იყო თბილისში. და ჩვეულება თავისას მოითხოვდა, მაშ რა იქნებოდა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო... აი, რამდენი სანაღვლო გაუჩნდა.

ასეთი განწყობილების დროს აუწყა სალომემ აპოლონის სურვილი, ასე თქვა, აპოლონსა სურსო. და განა სალომეა დას — მერის იმდენი შორისმჭერტელობა არ ექნებოდა, რომ მიხვედრილიყო, გამოჩნდა რაღაც სასიკეთო ნიშნები, აპოლონი უთუოდ ხელახლა იწყებდა აღორძინებას, რაც მას სიკეთის მეტს არაფერს მოუტანდა, თორემ სალომე ასე არ მოიმიზიარებოდა, შიშისა და გლოვის ჩადრს არ მოიხსნიდა, დიდ-

წვეულების გამართვას არ მოიწადინებდა.

და ცრემლი ჩამოსდიოდა მერის.

ეთერს აოცებდა დედის მღელვარება, ეხვეოდა, ამწვიდებდა.

სალომე მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა.

აპოლონს დიდი ქველმოქმედის იერი მოვლებოდა, კმაყოფილებით აღესილიყო.

ასე დაიწყო მისი ხელახალი გამოხედავა ასპარეზზე.

II

მხოლოდ დაიწყო... თვით ასპარეზამდე ჯერ კიდევ გვარიანი მანძილი იყო, საკმაო დრო, ჯაფა, ლელვა პატარ-პატარა შებრძოლებებიც იყო მოსალოდნელი.

ამჯერად, დაწყებისას, პატარ-პატარა შებრძოლებებზე თუ არაფერი ითქმის, პატარ-პატარა ჯაფასა და ლელვაზე მაინც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა, ითქვას, რომ, მართალია, აპოლონს კრინტი არ დაუძრავს სალომესთან, არც არავისთან უჩივლია, მაგრამ მცირე მღელვარება, ყოყმანი, სინანული და ენის კენჭა არ დაშრთია, ვიდრე სამი ათასი მანეთის ობლიგაციას გადაახტრდავებდა. ამის შემდეგ დაიწყო სირბილი გოქსა და ინდაურზე, იხვსა და ქათამზე, სამწვადესა და საყაურმეზე, კვერცხსა და ნიგოზზე, ქონსა და ერბოზე, ფქვილსა და შაქარზე, ვანილსა და მიხაკდარიჩინზე და, ვინ იცის, კიდევ რაზე არა, კიდევ რას არ მოითხოვდა სალომე, როცა იმ დალოცვილ ფერხორციან მკლავებს დაიკაპიწებდა, საგანგებოდ მოწვეულ ორ საუკეთესო მზარეულს თანაშემწედ ამოიყენებდა. მანამდე უნდა მოესწრო აპოლონს, ყველაფერი უნდა მოეგვარებინა, თანდათანობით მოემარაგებინა, თორემ მაშინ, ვამოცილებით იცოდა, ველარ აუცილოდა სალომეს განკარგულებებს, ვერ ასცდებოდა მის მრისხანებას...

ცხადია, ამას საკმაო ჯაფა სჭირდებოდა. მაგრამ საოცარი იყო, დაღლა არ უგრძენია აპოლონს, სხვა დროს, თით-

ქმის ყველაფერს ტელეფონით მოგვარებდა, მაინც იღლებოდა, ყრველშემოთხვევაში, ბუზღუნებდა — დავიღალეთ, ახლა არც დაღლილა, არც სამუნათო სიტყვა უთქვამს. თითქმის კმაყოფილი იყო, ხშირ-ხშირად რომ შედი-გადიოდა, ხალხსა ხედებოდა ზრუნვით მოცული, თითქმის გახალისებულიც. მხოლოდ ღვინომ შეაფიქრია... სალომე არამც დაარამც „სამტრესტის“ ნომრებს არ ჩამოარიგებდა სუფრაზე, არც თბილისური სარდაფების ღვინოს გააკვანებდა, წვეულების წინ უსათუოდ ატენში უნდა მოეხდევინებინა ქვევრი, სწორედ ატენურით იყო განთქმული იმისა სუფრა. რა თქმა უნდა, არც ახლა დიარღვევდა ამ შესანიშნავ ადათს და სწორედ ახლა ეძნელებოდა ატენს წასვლა აპოლონს. მანამდე, თანამდებობის მიხედვით, მსუბუქი მანქანა ჰქონდა, მის განკარგულებაში იყო კიდევ რამდენიმე მანქანა და მძღოლი; მას პატივს სცემდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, სხვადასხვა თანამდებობის პირნი, სურვილის გამო თქმასაც არ აცლოდნენ... ხლა? მანქანა ვინმესგან უნდა ეთხოვა. მას არ უნდოდა ასე მცირე შეწევნით ვინმეს ვალმოხდილად ჩაეთვალა თავი. შეეძლო გასაყიდად გადადებული მანქანის გამოყენება ოღონდ მძღოლი?

აქ ეთერი ჩაერია, გაუიოლა, — აბა ეკრა ჩასაფიქრებელია, მომეციოთ გასაღები, მანქანა სულ მალე მზად იქნება, ოღონდ მეც თან უნდა წამოვიყვანოთო...

მართლაც, არცთუ დიდი ხნის შემდეგ, მანქანა მზად იყო, იგი იდგა კორკოტაძეების ბინის მთავარ შესასვლელთან. მაღალ-მაღალი ჰაბუკი, რომელსაც წითელი ტყავის პალტო ეცვა და ნაცრისფერი ქუდი ეხურა, რაღაცას ამოწმებდა და სინჯავდა ეთერისა და აპოლონის მოლოდინში. მესამე სართულის ფანჯრებიდან კი მას ამოწმებდა სალომეს გამკრიახი, ყოვლისმკურეტი თვალი, აპოლონის თქმისა არ იყოს. „ის არისი?“ და რაილა „მას“ შორიდან იცნობდა, მხოლოდ პალტოთი და ქუდით იცნობდა, ვერა და ვერ დაიდასტურა. მარ-

ტო სიმაღლე საბუთად ვერ იკმარებდა, როგორ იკმარებდა, ვინ იცის, რამდენი მაღალი ჭაბუკი დადის თბილისში? მერე იმის უტრადღება მიიპყრო აპოლონმა: თუ როგორ ჩაქონდათ პატარ-პატარა თულუხები, როგორ აწყობდნენ მანქანის უკან, სატვირთოში და „მასზე“ ეჭვს თავი დაანება. მალე ეთერიც ჩაცქრიდა, დეიდას ხელი დაუქნია, ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა, მანქანაში შეხტა და სიამით თქვა: „წავიდეთ, აკაკი!“ ცხადია, ეს ნათქვამი მესამე საართულამდე ვერ მიადწევდა, სახელს ვერ გაიგონებდა სალომე, თორემ სახელი კი იცოდა „ცისკარაანთ შაქრის ბიჭისა...“

აკაკიმ ნელ-ნელა დასძრა მანქანა და ერთხანს ძალზე ფრთხილად მიჰყავდა. ბოლო დროს იშვიათად, სრულიად შემთხვევით უხდებოდა საუქსთან ჯდომა და ამიტომ ცოტა ხანი მაინც სჭირდებოდა ხელახლა შესჩვეოდა მას, ჩვევა აღედგინა. ეს ჩვეულებრივ, უნებლიეთ, თავისთავად ემართება თითქმის ყველას. ხოლო აკაკისათვის უნებლიე არ იყო. მან, როგორც ფსიქოლოგიის ასპირანტი, კარგად იცოდა ჩვევის თეორიული საფუძვლები და სწორედ თეორიულად ფრთხილობდა, სინჯავდა, აკვირდებოდა, სად, როდის, რა პირობებში აღდგებოდა ჩვევა, რა შემოქმედებას მოახდენდა განწყობა ჩვევის აღდგენაზე. ცხადია, ასეთი თვითდაკვირვების დროს ჩვეულებრივზე მეტხანს გასტანდა სიფრთხილე და საკვირველი არ უნდა იყოს, რომ აპოლონმა გაიფიქრა: „სპეციალისტი არ არის, არა! მოხალისე იქნება... სტუდენტი... ეთერის ამხანაგი... მამ რა იქნება!“ ხოლო ხმამაღლა, ვითომ სიტყვის გასატეხად, იკითხა: „თქვენ ალბათ სტუდენტი ბრძანდებით?“ „არა! ასპირანტი!“ — ეთერმა მიუგო, აკაკის მაგივრად. მოხალისე სტუდენტი და მოხალისე ასპირანტი სულ ერთიაო, გაიფიქრა აპოლონმა, ხმამაღლა კი დაატანა: „კარგია, კარგია!“ და რადგან აკაკის კვლავ ფრთხილად მიჰყავდა მანქანა, ისევ გაიფიქრა: „დიხანაც კარგია, კარგია, რომ ასე ფრთხილობს მოხალისე!“

ქუნამი აუარებელი მანქანა ირეოდა, ჯვარედინისა და მოსახვევის ნიშნებზე არ ილუოდა, მამ რა ექნა გვაყავს, უნდა ეფრთხილა, ფრთხილობდა კიდევ, ოღონდ ვიდრე თბილისს გასცდებოდა, მერე მიეცემოდა სილაღეს, აპყვებოდა ქარს, — თუ ქვენა ქროდა, შეაწყდებოდა, გაკვეთდა, გაიტანდა, — თუ ზენა, არა-და უქაროდაც იჭროლებდა, ხალისსა გრძნობდა, ემაყოფილი იყო, უარისა რომ არ უთხრა ეთერს.

თუმცა არ უნდოდა სამუშაოს დათმობა, ემწელებოდა მიეტოვებინა ახლად დაწყებული თემა: „ბავშვის ცნობიერების განვითარების საკითხისათვის“. მაგალი მასალა დაგროვებინა, თეორიულიც, საკუთარი დაკვირვებანიც სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სკოლისა და კლასის მოსწავლეებზე. უკვე მთელი ემზით, დიდი გატაცებით შესქილებოდა დაგროვილ მასალას, ალაგებდა, აზოგადებდა და ეგონა, არავის აპყვებოდა, ეგონა კი არა, სჯეროდა, ვერ დასძლევდა ვერავითარი ცდუნება, მაგრამ უცებ გაიღო მეცნიერმუშაოთა დარბაზის კარი, ამან სხვების ყურადღებაც მიიქცია. ან ეგებ თვით აკაკი მამინდა დააკვირდა სხვებს, რომელთაც თავი აელთა წიგნებიდან, კონსპექტიბიდან, საკანდიდატო მასალებიდან და ხარბი თვალით, მოწონების თვალით შეჰყურებდნენ მშვენიერ ქალიშვილს, ერთხანს კართან რომ იდგა მორცხვად, მორიდებით, აკვირდებოდა დარბაზში მყოფთ, მერე უცებ სახე გაეხსნა და ფეხაკრეფით გაეშურა ბოლო მაგიდისაკენ, აკაკისაკენ, აკაკის ეგონა, ყველა შეტრიალდა, შებრუნდა, ყველას ზურგზე მოექცა თვალი. ბევრს მართლაც ასე დაემართა...

ბევრის ყურადღებას იპყრობდა ეთერი, ბევრს მოსწონდა, გამორჩევით შეჰყურებდნენ იმ წელს მიღებულ სტუდენტთა შორის... აკაკის როგორ შეეძლო ეთერის გაწბილება, როგორ მოახერხებდა მამინეე არ აეკრობა თავისი გულდა-ნაბადი-წიგნები, დაკვირვებათა ჩანაწერები, კონსპექტები, თითქმის დაბ-

ნულად არ მიეყარა ბიბლიოთეკარისათვის შესანახად და დაბნეული გლიმებული თვალით არ გადაეხედა ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, ამხანაგებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაეზარათ თავი და მოწონებისა თუ სინანულის, მილოცვისა თუ შურის იერი მოვლუბოდათ სახეზე.

აკაკის, ეამაყებოდა, უხაროდა, რომ მისი რწმენით, ეთერი მას გამორჩევით ექცეოდა. საამისო საბაბი ის იყო, რომ ერთი მხრიდან, მახლობელი სოფლებიდან, იყვნენ.

აკაკის სოფელს — ვაშლოვანსა და ეთერის სოფელს — ორბის შორის ერთი მინდორი-ლა იყო მოთავსებული. თვით ეთერი გამოეცნაურა, ეთერმა ისრა ვაშლოვანის სკოლის თვალსაჩინო მოსწავლე — აკაკი ცისკარიშვილი, რამდენიმე ვაშლოვანელ მოსწავლესა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთან ერთად რომ ეწვია ორბისის სკოლას. მაშინ მყნობისა და შეჯვარების გამოკდილება გაუზიარეს ერთმანეთს ვაშლოვანელებმა და ორბისელებმა... აკაკი ეთერთმეტე კლასში იყო, ეთერი — მეხუთეში, აკაკი მონაწილეთა შორის იყო. ეთერი — მსმენელთა შორის. რა თქმა უნდა, აკაკის გაუქირდებოდა მრავალთა შორის გამოერჩია მაშინ პატარა ეთერი. ეთერს არ გაუქირდებოდა ცალ-ცალკე შეემჩნია, ცალ-ცალკე დაემახსოვრებინა ყველა სტუმარი, მით უმეტეს, აკაკი. ასე თვალსაჩინოდ მაღალი, სიტყვითა და აზრით გამორჩეული; ამასთანავე, სტუმრები სატვირთო მანქანით იყვნენ, მანქანას აკაკი მართავდა. იმანაც შემატა ღირსება ორბისელ მოსწავლეთა თვალში... და მერე, როცა სტუმრები ბალ-ვენახებს გააცილეს, გამოცილებლებში ეთერიც ერიო, მანქანის ძარაზე იყო სხვებთან ერთად. გამომშვიდობებისას აკაკიმ ჩამოსვა, გრძელი მკლავები გაიწოდა, ხელში აიყვანა და ჩამოსვა. მყისვე მეორეს მისწვდა, ყური არ ათხოვა პატარა, გრძელნაწნავიან, ლურჯბანტებიან გოგონას მაღლობას.

არ ეხსომება აკაკის?! რა თქმა უნდა

არ ეხსომება ეთერს კი ახსოვს. აკაკისავე ეხსომება ეთერი თუ არა, სხვები მაინც, ორბისის სკოლაში მსმენლებთან მაინც, მახსოვს, ცხადია, მახსოვს, დაუდასტურა აკაკიმ.

ეს იყო პირველ სექტემბერს, ლექციების შემდეგ, როცა დეკანმა აკაკი ცისკარიშვილს სთხოვა, მეგზურობა გაეწია ფსიქოლოგიის სექციის პირველკურსელებსათვის. დაეთვალე რეზინა კაბინეტ-ლაბორატორიები, აესხნა, განემარტა.

ჰო, მაშინ იყო, პირველ დღეს, ეთერს გაეზარდა ნაცნობის აღმოჩენა მრავალ ეცნობთა შორის, ცას ეწია სიხარულით. სახლამდის მიჰყვა ეს სიხარული, აუწყა დედას, დეიდას. „ცისკარანთ შაქრიას ბიჭი მეცნიერობს?!“ — ცხვირი ასწია დეიდა სალომემ. „ვილა არა მეცნიერობს?!“ — გამოეხმაურა მერი. თქვეს კიდევ რამდენიმე გამკილავი სიტყვა, მოახერხეს, გაეფანტათ ეთერის პირველი აღტაცება, მაგრამ მხოლოდ შინ, ისიც იმ დღეს, პირველ დღეს...

ხოლო შემდეგ ძალიანაც რომ ნდომებოდა ეთერს, გზას ვერ აუქცევდა აკაკის, ან ეითომ რად უნდა ნდომებოდა?! — ვინ იცის, რამდენი რამის ახსნა, განმარტება სჭირდებოდა, ვინ უწყის, რამდენ სახელმძღვანელოს ან დამხმარე ლიტერატურას უსახელებდნენ პროფესორები! განა იოლი იყო შოვნა, განა ყოველ წელიწადს გამოდიოდა საჭირო წიგნები! ან განა ყოველთვის იყო საკმარისი პროფესორის ლექცია! ერთი სიტყვით, ეთერს ხშირად სჭირდებოდა აკაკი. სჭირდებოდა განსაკუთრებით პირველ ხანებში, იცოდა, სად უნდა მოეტებნა, ყოველი მცირე გასაკირის დროს მიზნობდა მეცნიერ მუშაკთა დარბაზისაკენ, შეაღებდა დარბაზის კარს და მუდარით, კრძალვით აღსაესე თვალებს მიაპყრობდა მაღალ, განიერ მხრებს... მხრებსაო, უნდა ითქვას, რადგან თავი თითქმის წიგნებში იყო ჩაფლული. ვინმე შეეხმიანებოდა აკაკის, ან თვით ეთერი მივიდოდა, სთხოვდა, მცირეხანს გაპყლოდა გარეთ, და ისიც მისდევდა დაუ-

ზარლად, სიამოვნებით, უსმენდა, უხსნიდა, ჰპირდებოდა. მეორე დღეს მიჰქონდა წიგნები, ეძებდა იქაც, ბიბლიოთეკის კატალოგში. უკვე საკმაო ან შესამჩნევ დროს ჰქარგავდა დერეფანში ლამაზ სტუდენტთან და ნაცნობები იღიმებოდნენ: „ჰო, აკაციც ამოვარდნილა კალაპოტიდანო“...

ეს განსაკუთრებით საამო იყო ეგრეთწოდებული „კალაპოტიდან ამოვარდნილებისათვის“, რომელთა წიგნები და ჩანაწერები გაშლილია ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე მაგიდაზე, გაშლილია თავისთვის, ან ეშმაკები კითხულობენ, — როგორც ხალხი იტყვის მიტოვებულ წიგნებზე, — ისინი მხოლოდ დროდადრო, უამური გამომეტყველებით მოუსხდებიან მაგიდას, აფურცლავენ რამდენიმე გვერდს და მალევე გაობიან დერეფანში, პაპიროსის მოსაწევად, ვილაციასთვის რაღაცის მოსთქმელად; ისინი ყველას იცნობენ, ყველასთან განინაულებულნი არიან. სიტყვის უთქმელად არაიან გაუშვებენ და ტრიალებენ, ტრიალებენ, ტკეპნიან დერეფანს... ჰო, ბიბლიოთეკათა დარბაზებში ყოველთვის არიან ასეთი „კალაპოტიდან ამოვარდნილები“, წიგნებისგან თავმოებზრებულნი, გალიზიანებულინი ზოგნი დროებით, ზოგნი განიადაგებით. და მათ სიზარულს საზღვარი არა აქვს, როცა ვინმე შეემატებათ, როცა კიდე ვინმე ამოვარდება კალაპოტიდან, განსაკუთრებით ყველაზე გულმოდგინე, ყველაზე ჯიუტი, ყველაზე ამტანი მუსიკა. ასეთი იყო აკაცი... და „კალაპოტიდან ამოვარდნილები“ შეიმობდნენ, უკვე თავიანთად თვლიდნენ. ოღონდ ზედმოდნენ — არცთუ საიმედო იყო მათი ზეიმი, აკაცი ისევ მაგიდას უბრუნდებოდა, ისევ გულმოდგინედ, ისევ ჯიუტად მეცადინეობდა, წავიდოდა თუ არა ეთერი, ხოლო ეთერი ყოველთვის მალე მიდიოდა, მიდიოდა, საქმეს მორჩებოდა თუ არა...

ყოფილა შემთხვევა, რომელიმე წიგნს უჩვენებდა დედას, დეიდა სალომეს, კმაყოფილებით დასძენდა: „ვეძებ, ვე-

ძებ, ვერა და ვერ მივაგენი, ისევ აკაცი... ანდა წავიკითხე, რა არ წავიკითხე, ვერა და ვერ ვაგვი, ისევ აკაცი... რა არ იცის, რა კარგად იცის! ყველასა სჯერა, თვალსაჩინო მეცნიერი დადგება! „მეცნიერი! ცისკარაანთ შაქროს... შაქრიას ბიჭი მეცნიერი!“ — თავი ვერ შეუქავებია დეიდა სალომეს, სიძულვილითა თუ დაცინვით უთქვამს: „რა გასაკვირია... განა ცისკარაანთ შაქროს უფროს ვაჟზეც არ ამბობენ...“ — გაუტრჩებია ეთერი. „...წარმატებებს მიღწეიანო... ახალი მეთოდი დანერგაო?! მერე რაო, ინჟინერი ყოფილა, ბოლოსდაბოლოს დურგლებისა და კალატოზების ზედამხედველი ყოფილა... ინჟინრობა ინჟინრობაა, მეცნიერება სხვაა...“ — ასე განუშარტავს დეიდა სალომეს, არცთუ მაინცდამაინც შინაგანი რწმენით, ხოლო გარეგნულად — შთამაგონებლად. მერე ეთერს გაუბედავად გაუძეორებია: „ამბობენ, აკაცი ცისკარიშვილი თვალსაჩინო მეცნიერი იქნებაო...“ „ერთი სიტყვით, ლევან ქურდოვანიძეს შეედრებათ, არა?!“ — რიხიანად, გამომწვევად უთქვამს დეიდა სალომეს. მაგრამ ეთერს, დიდი მორიდების მიუხედავად, თავი ვერ შეუქავებია, უცინია, უცინია, ცრემლი მოსდენია, აბზინებია ის გასაზარელი თვალები, ბოლოს როგორღაც უთქვამს: „ეს როგორი შედარებაა, დეიდა სალომე, განსვენებულ აკადემიკოს ზედგინიძესთან შედარებით რომ გეთქვათ, კიდეც ჰო... ლევან ქურდოვანიძე ვინაა?! აი, ის დონდლო... ლოქოსლოყებიანი...“ აქ დეიდა სალომეს მრისხანედ დაუბრალებია თვალები: „აი, რასა ნიშნავს, როცა გემოვნება არ უვარგა აღამიანს... მისთვის ჰკუას კარგავენ ქალები... დიახ, იცოდე, ჰკუას კარგავენ! ესეც იცოდე, ის ახალ სკოლას შექმნის ფსიქოლოგიაში!“

ეთერს შეპასუხება ველარ გაუბედავს, ეგებ დეიდა სალომეს განაწყენებას მორიდებია, ეგებ გემოვნების დაწუნებას შეუკრთია, დეიდა ხომ ხანდახან გადაჰქარავდა „ორბისულ გემოვნებას“, ხომ

ეწინოდა ეთერს, მართლა არ აღმოჩნებოდა რაიმე ნიშანი ცული გემოვნებისა, ხომ უნდოდა ჰქონოდა მხოლოდ ჯარგი, დახვეწილი, ამაღლებული გემოვნება?! ასე იყო თუ ისე, ეთერი გაჩუმებულია. მერეც იშვიათად ან სულაც აღარ ახსენებდა აკაკის. მით უმეტეს, ვერა ბედავდა შინ შეეწვია, როცა მიაცილებდა აკაკი, — ხანდახან მიაცილებდა, შემთხვევა თუ მოიტანდა, და როგორც ეთერს ეგონა, ეძნელებოდა კიბეებიდან გაბრუნება, არ უნდოდა მალე განშორება.

ეს აქამდე... რაც იყო, იყო... მაგრამ ახლა, ამ საგანგებო შემთხვევის დროს? ახლა როგორღა მოქცეულიყო? როცა ახოლონ კორკოტაძემ მძლოლი მოისაკლისა, ბევრი არ უფიქრია ეთერს, იცოდა, არ დაზარდებოდა აკაკი, არც დაზარებია, სთხოვა თუ არა, დასთანხმდა, დასთანხმდებოდა, მაშ რა იქნებოდა, როცა ეთერს არ დაუშალია, რად უნდოდა მანქანა, საღ მიდიოდნენ, რატომ მიდიოდნენ. და აი, აჰა, მიდიან კიდევ, მანქანა გასცდა თბილისს, გასცდა დიდი ქალაქის განიერ, ოღონდ გაქედლი, მოფუსფუსე, ხმაურიან ქუჩებს, გავიდა სამხედრო გზაზე. მივლენ, მალე, მივლენ, ლეინოს შეიძენენ, დაბრუნდებიან, ატენურს შინ აზიდავენ, მადლობას ეტყვიან აკაკის, ბოდიშს მოუხდიან, ეტყვიან ან სთხოვენ, თავის ადგილასვე დააბინავოს მანქანა, და მერე შეუძლია ეთერს, სთხოვოს ან უბრალოდ უთხრას, რაიმე საქმე არ გამოიჩინოს მისი დაბადების დღეს, ეწვიოს უსათუოდ, — შეუძლია? აქვს ამის უფლება? თავის სახლში რომ იყოს — დედასთან, მამობილთან — მამინ სხვა არის, მამინ თვითონ იცის, მაგრამ ახლა, ის ხომ დედასთან ერთად ხიზანია დედა სალომეს, წვეულებას ხომ დედა სალომე იხდის მის საპატრესაკემოდ, განა ძალუქს დეიდის უამური რამ ჩაიდინოს, ასეთ სადამოს, საზეიმო სადამოს? არა, ო, არა! მაგრამ განა შეუძლია არაფერი უთხრას, გაშორდეს ცივად, გაშორდეს, როგორც დაქირავებულ მძლოსს? არა, ო, არა!

და ეთერმა არ იცოდა, რა ექნა, იჯდა გაბუსხული, გაგულისებულად. იმტერებდა თითებს, იკვირებდა ტუჩებს — რად ავცეტდი, დროზე რად ვერ გაეთვალისწინეო. ამ ფიქრმა დაუკარგა გულისყური, ვერ ამჩნევდა ან ვერ განიცდიდა ზამთრის ჰეიზაქს დიდი შენობების შემდეგ, ქალაქის გარეთ, — დათოვილლ მთებსა და ველებს, ყელამდე თოვლში ჩაფლულ ფოთოლდაყრილ, შემოძარცულ ტყეებს, აჩონჩხილ ტყეებს, როგორც გალაკტიონი იტყოდა, — ვერა, ვერა გრძნობდა, ვერ განიცდიდა, თუმცა მხოლოდ ამისთვის მონიდომა ქალაქიდან გასვლა, უნდოდა. განეცადა ზამთარი, განეცადა ისე, ორბისში რომ განიცდიდა.

ეთერს არც ის გაუგია, თუ როგორ აჩქარდა მანქანა, როგორ მივიდა აკაკი სიფრთხილიდან სითამამემდე... ხოლო ახოლონი ხელ ამ ფიქრში იყო, ვერაფრად ექაშნიკებოდა მხოლისის გათამამება. ეგონა ყოველ შემგებლურ მანქანას დაეჯახებოდა, ყოველ მოსახვევში გადაყრავდებოდა, შიშობდა, სული ელეოდა, ამის ბრალი იყო თუ მართლა ასეთი ქროლვა ჯერ არ ენახა, — რამდენაირი მანქანა ჰქონია, რამდენი მძლოლი ჰყოლია, მაგრამ არა, მაინც არ ახსოვდა ასეთი ქროლვა. უსათუოდ უნდა გაეფრთხილებინა ეს ასპირანტი-მოხალისე... და მცხეთას რომ გასცდნენ, თქვა: „ეს ადგილი შიშით მავსებს... აქ ახლახან საშინელი კატასტროფა მოხდა... მას შემდეგ მანქანით აღარც გამოვიდა... „აკაკიმ ვითომ გაუქარწყლა: „ფათერაკი ერთსა და იმავე ადგილას არა მეორდება... ფათერაკამოვლილი ადგილი ყველაზე უშიშარია“. ეს არცთუ საიმედო აღმოჩნდა ახოლონისათვის: „გამოდის, რომ მთელი გზა უნდა მაშინებდეს!“ აკაკიმ ჩაიციხა: „ასე გამოდის!“ — ჩაიციხა და კიდევ უფრო ააჩქარა მანქანა. „ნელა!“ — მოუთმენლად ამოიძახა ახოლონმა, და კიდევ სწრაფად დაატანა — ნელა, ფრთხილად, კმარა... აკაკი არ შეეყოვნებულა, ახლა ის ახოლონზე ცდას ახდენდა. შიშის განწყობა შეუქმნა

და აყვირდებოდა, როგორ გაეზრდებოდა შიში, სადამდის მივიდოდა ეს დიდნიკაბა, მომწვანო სახის კაცი, რომელსაც სათვალის დიდი შუშების ქვეშ მოუსვენრად უხტოდა ორი წვრილი, ძალიან წვრილი, მომწვანო კენჭი. პირველი შეხედვისთანავე ასეთი შთაბეჭდილება დარჩა აკაის — „საინტერესო ვგზემპლარიაო“, მაშინვე დაასკვნა. და მიქროდა მანქანა. აკაი ითვლიდა წამებს, მცირემცირედ კიდე უმატებდა სისწრაფეს, აყვირდებოდა აპოლონის სიტყვებს, სიტყვებისა თუ გამოთქმის სიმწვავეს... უცებ მოყინულზე ასხლტა ბორბალი, რუსკენ დაქანდა მანქანის ბოლო. გააჩერო, — განწირულივით შეჰყვირა აპოლონმა. „კარგია, კარგია!“ — კმაყოფილებით აღმოხდა აკაისაც, მარჯვედ გაასწორა მანქანა, გადააცილა მოყინულ ადგილს, მშრალზე გავიდა, შეაჩერა.

აპოლონი გადასვენებულიყო, შუბლზე ისვამდა ხელს.

— ორმოც კილომეტრზე მეტი სისწრაფის ნებას არ გაძლევ! — მკაცრად დაიძახა აპოლონმა.

— ძია აპოლონ, მომიტყვეთ, მაგრამ არ შეიძლება უბრძანოთ აკაის! — ცოტა არ იყოს, კრთომითა თქვა ეთერმა.

გაჩუმიდო, ანიშნა აკაიმ.

— ღიახაც რომ შემიძლია ვუბრძანო, — უფრო მკაცრად დასძინა აპოლონმა, სათვალე მოიხსნა, სწმენდდა ათრთოლებული ხელით, — მე შენი სიცოცხლე მამარია, რა უნდა ვუთხრა დედაშენს!

— ფათერაკის გავლამდე არავინ იცის, ვის მოუხდება თქმა, ვის დააკისრებს ბედი მაცნეობას... — ცივად თქვა აკაიმ.

— მაძულე ახლავე ჩამოვიდდე და უკანვე გავყვე რომელიმე შემხვედრ მანქანას! — ეს სიტყვები კიდე უფრო მკაცრად, გულმოსულად თქვა.

— არა, ბატონო ჩემო, ვივლი ორმოცი კილომეტრის სისწრაფით! — დაამშვიდა აკაიმ და დასძრა მანქანა... სპიდომეტრის ქანქარამ დიდი გაჰირვებით მიაღწია ორმოცამდე, შემდეგ მკვეთრად

დაქანდა ოცდაათამდე, აცურდა... ისევ ორმოცამდე, დაეცა ოცდახუთამდე... ოცდახუთიდან ოცდაათამდე და მერე კარგახანს ოცსა და ოცდაათს შორის ქანაობდა. ოცდაათს რაც შეიძლება სწრაფად სხლტებოდა, ოცთან კარგახანს ქანქარებდა. ასე ვივიგლახით მიდიოდა აკაი. შემხვედრი მანქანები ელვასავით ჩაუქროლებდნენ, წამოწეულნი უყვიროდნენ, გზას ითხოვდნენ, აუქცევდნენ და მალე, სულ მალე თვალს მიეფარებოდნენ; გვერდით ჩაქროლებისას გულისხმიერნი მოასწავებდნენ ენიშნებიანთ, ხომ არაფერი გიჰირსო. აკაი უზრუნველად იქნედა ხელს. ისინიც მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმებოდნენ, როცა მშვენიერ ქალიშვილს მოჰკრავდნენ თვალს. მანქანები კიდე არაფერი, ყვავების გუნდებიც თავს გადაუვლიდნენ, დაჰკვივებდნენ და მერე სადღაც დაფინებოდნენ, ჩაამავებდნენ თუ კალთას გამოგლეჯდნენ დათოვლილ მინდორს. და, ექროლათ შემხვედურ თუ წამოწეულ მანქანებს, დაეყვირათ ყვავებს, აკაის მაინც დინჯად, მოთმინებით მიჰყავდა მანქანა, მოთმინებით მიჰყავდა კარგახანს, მერე უეცრად, გაუფრთხილებლად დააწეა გზის სატრიაფულს და მოწყდა მანქანა, გაფრინდა. დიდი რამ ზემოქმედება არ მოუხდენია აქ უეცარ ასწრაფებას, მხოლოდ ეთერმა ამოისუნთქა შვებით, ეტყობოდა, მოსწყენოდა ნელად სვლა, ჩონჩალი. აპოლონს კრინტიც არ დაუძრავს. აკაიმ მოასწრო, თავი მიებრუნებინა, შეეხედა აპოლონისათვის, — არცთუ რაიმე მღელვარების ნიშანკვალი ემჩნეოდა. სათვალის დიღბონ შუშებქვეშ ჩვეულებრივ ახტო-დახტოდა ორი მომწვანო, წვრილო კენჭი. რაღაც ვერ ივარაუდა აკაიმ, ეგონა მანქანის აჩქარებისთანავე შიში კვლავ აღეძროდა აპოლონს და აყვირდებოდა: „გააჩერე! გადმოვი! აღარ შემიძლია!“ — მაგრამ ასე არ მოხდარატომ? და აკაიმ ერთხელ კიდე გაითვალისწინა მთელი ცდა თავიდან ბოლომდე... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ სავარაუდო დასკვნა არ გა-

მოდირდა. ვითომ რატომღო? ეგებ განსაკუთრებულად თავისებური ხასიათისაა? ან ეგებ დაყოვნება გახანგრძლივდა, ნელ-ნელა სვლა მომეზარდა, მომეზარებამ დაფარა ან შეანელა შიშის გრძნობა? „საგულგებელია! უსათუოდ ასე იქნებოდა, განა ეთერმა ღრმად. შევებით არ ამოისუნთქა, აესწრაფა თუ არა მანქანა?!“ — ფიქრობდა აკაკი...

არც აპოლონი ლაპარაკობდა, ეგებ აღარც შეშობდა, ალბათ ძლივ ფიქრებს თუ მისცემოდა.

ეთერსაც შეეძლო ეფიქრა, არაფერ აწუხებდა, არაფერ ურღვევდა ფიქრს, შეეძლო გადაეწყვიტა, როგორ დაეხსნა თავი უხერხული მდგომარეობიდან, რა ეთქვა აკაკისათვის, უკან რომ დაბრუნდებოდნენ... რა ეთქვა?! მაგრამ, ვერა გადაწყვიტა-რა, ისე მიაღწიეს ატენამდე. ლამაზი პეიზაჟებიც გამოჩნა გზადაგზა...

ჰო, მართლა, როცა ვამბობთ, ატენს მიაღწიესო, უფრო გარკვევით უნდა ითქვას, რომელი ატენს? თუმცა სხვათა და სხვათათვის ხედისათვის იქით მთელი ზეობა ატენია, მაგრამ აქაურები ასხვავებენ, თავთავიანთი სახელები და ურქმევით და გულმოდგინედ იცავენ ამ სახელებს: ეს ჯებირიო, ის ვანიანთ უბანიო, ეს დიდა გარდატენი, ის პატარა გარდატენიო, ეს ატენი, ის დიდატენიო, ეს დეგველა, ის ფუხანთ უბანიო...

მათ მიაღწიეს ატენს, მთელ დიდ-მცირე, გარდი-გარდმო სოფლებისა თუ უბნების გულს, რომელსაც საკუთრივ სახელად „ატენა“ შერჩენია. ოღონდ არც ის გადარჩენია განსხვავებულ თუ ზედმეტ სახელს, ჰო, ვერ გადარჩენია, ამ ნახევარი საუკუნის წინათ „ზავოტი“ შეურქმევიათ და დღესაც წამოსტეგება ხოლმე ზოგს ხეობიბოთ, ზოგს საგანგებოდ. თუ იქაურები აუხიბდებიან, „რომელ ატენსაო? რომელ ატენშიო?“ — „რომელში და „ზავოტიში“, ჰადაჰა!“ ეს უკვე გარკვეულია. და მყისვე გასაგები ხდება, რადაა გაშიშვლებული და ჩამოქცეული ატენის მთები, მხოლოდ ბუჩქნარები რად შერჩენილა, რადაა გამეჩ-

ხერბული ტყე, ძალიან ღრმად მთელს ზეობაში, ან რად გაუგანებდა ტენას რომელიც სულ რაღაც ორმოცდაათიოდ წლის წინათ წარმოიდან არც კი დაინახებოდა, ათასწლოვან ხეთა თაღებში ჩამალულიყო და მიექანებოდა დედამტკვრისაკენ. დიახ, ყოველივე ეს „ზავოტი“ ბრალია, „ზავოტის“ ონავობაა. იქ იყო ხე-ტყის ქარხანა გერმანული კონცესიონერის, ვინმე ზეზმანისა, იქამდე მიდიოდა რკინიგზის ლიანდაგი, იქ იტვირთებოდა, იქიდან იხილებოდა მრავალწლოვანი კაკლისხე და მუხა, რცხილა და წიფელი, ნაძვი და ფიჭვი. იხილებოდა, იჩეხებოდა, ნადგურდებოდა ატენის ხეობის დიდებული ტყეები. რა იოლი იყო ის განადგურება, ან რომელი განადგურება ყოფილა ძნელი? რაოდენ გამძლეებულა აღდგენა, ნატყევარზე ტყის აღდგენა? თუმცა შორს წავიყვანს ამდენის გარკვევა. ოღონდ რაკი სიტყვა ჩამოვარდა ატენის ძველ „წარმოებაზე“, ურავო არ იქნება, მეორე „წარმოებაზე“ გავიხსენოთ. ის უფრო აველია, ძველისძველი...

იქ, ტანას პატარა წისკვილთან, რომლის წინაც აყუდებულა მწვანე ან მომწვანო მთა, უხსოვარი დროიდან მიღიოდნენ ჰირისუფლები და უკვეთადნენ საფლავის ქვებს. გზის პირას ყოველთვის ეყარა გამოთლილი ამოტვიფრული ქვები ან ღიდრონი ქვები გამოთლისა და ამოტვიფრის მოლოდინში. ღიდრონი ლოდები ახლაც ყრია, ხოლო გამოთლილ, ამოტვიფრულ ქვას იშვიათად ან სულაც ვერ შეხვდებით. ვერც შემკვეთებს შეხვდებით, შემსრულებლის, ოსტატის ასავალ-დასავალს ხომ ვერა და ვერ გვაგებთ. არა იმიტომ, თითქოს შემკვეთები აღარ მოდიოდნენ ან გამწყვდარიყვნენ ატენური საფლავის ქვის ოსტატები, არა, მხოლოდ ავ თვალს ერაღებოან შემკვეთებიცა და ოსტატებიც. მთიდან ისევ აცურებენ მწვანე თუ მომწვანო ლოდებს, ჰირისუფლები ისევ მიდიან და უჩინარი ატენელი ოსტატები ისევ ტვიფრავენ: „ჰოი, უღმობელი სიკვდილო... რად გამაუბედურებინე

ცოლ-შვილი“, ან: „დედისერთა ვიყავი... ნუგეში ეცათ ჩემს საცოდავ დედას...“, ანდა: „სიკვდილმა არ დამაცადა... ვერ მოვესწარა სატრფოს გულში ჩაკონებას...“, ან კიდევ: „წუთისოფელი არავის გაახარებს... ნურც დადდილობას მოსიურებებ, ნურც ნურავის გაეჭედევი-ნები...“ და ასე, ვინ იცის, რამდენჯერ დარიგებას ან ამაჩუყებელ სტრიქონებს ტვიფრავენ ატენელი ოსტატები, ზოგჯერ ლექსად გამოიყვანენ—ან მოხსენილი თუ მეჯვრისხეველი რომელიმე პოეტის ზეშთაფონებას ამოღარავენ, განუკითხავად, განუსჯელად ამოტვიფრავენ წუთისოფლის სამღურავს, ცხოვრების ცდუნებას, სევდას, კაეშანს, სიკვდილის გამობას ამოტვიფრავენ, შემოქარავავენ, ვარსკვლავებს დაასახავენ თავბოლოებზე, წარწერათა შორისაც უფრო მცირე ვარსკვლავებს ამოიყვანენ და მერე, ვინ იცის, სად არ შეხვდებით ამ წარწერებს, სად არა ნახავთ ატენურ ნაოსტატარს?!

აპოლონის მანქანა ამ ადგილს რომ მიუახლოვდა, ვიდაც გამოვარდა წისქვილიდან, ანიშნა, შეჩერებულაყვენ. მრავი მიუხრდა თუ არა, უფრო ძლიერად მოისმა მთიდან დაქანებული ლოდის გრილი. მალე ის ლოდი გზის პირას დაყრილ ქვებს დაეჯახა და რამდენიმე ერთად გაახიზა ზედ შუა გზაზე.

აკაკიმ აუქცია, შემოუარა ქვებს და ისევ ააჩქარა მანქანა.

აპოლონმა მოასწრო ქედის მოხდა, მადლობის თქმა გამფრთხილებლისათვის. მერე, ცოტა არ იყოს, შიშით დაუმატა: „გადავრჩით! საოცარია... სად არ გადაყრები ხიფათს!“ ამის საპასუხოდ აკაკიმ გულგრილად წაილაპარაკა: „აკი მოგახსენეთ, ფათერაკი ერთსადომავე ადგილას არა მეორედება-მეთქი!“ აპოლონს ხმა არ გაუცია, მხოლოდ ჩაახველა, წყრომით ჩაახველა.

ეთერი არც ამ შემთხვევაში აპყოლია... ხოლო შემდეგ, როცა მათს წინ დიდი მწვანე ჭიშკარი გაიღო და ჰალარა, სახენათელმა დარბაზელმა გლეხმა ორივე ხელი გაშალა, თითქოს მძიმე ლოდი მოშორდათ გულიდან, გაიღიმა, 2. „შნათობი“ № 7.

მწოწონების თვალთ შეხედა მასპინძელს, შუბლი გაუხსნა მიწის ქვიტილში სიტყვამ, სტუმართმოყვარულმა მართათმა გაუფანტა შელონების ფიქრი, ყოველ შემთხვევაში, მცირე ხნით მაინც მიუყუნა, სულ მცირე ხნით, რაც საკმარისი იყო მისი კმაყოფილებისათვის. ასეაო, ზოგჯერ მცირე ქამი, წამიერი და უმნიშვნელო გაახარებს, აღაქებს აღამიანს.

ეთერს ეამა მასპინძლის შეხვედრა, მოიწონა, გაიხარა მისი სახლ-კარით, განსაკუთრებით მარნით, სადაც იღვა კომშისა და ბადაგის სუნი. იქ, კომშისა და ბადაგის გარდა, სუნს გამოსცემდა ბევრი რამ: მწვანეს ჯაგან-ჩხები, მსხლის აკიდოები, ვაშლის გროვები ყუფაზეზე... ეს ერთ მხარეს, მეორე, ცოტა ჩაბნელებულ, მხარეს კი თიხის მცირე ბორცვები ჩაარგებულაყო. დიხაც ბორცვებზე ითქმის, მთებზე რომ დაერქვას, გახვიადება არ იქნებოდა. ნაცნობი, ჩვეულებრივი იყო ყველაფერი, ასეთივე იყო ორბისთუა მარნები, ორბის-შიც ბევრი იყო ესოდენ სანდომიანი, კეთილი აღამიანი, გულსა და სულს რომ არ დაიშურებს სტუმრისათვის, ოლონდ იქ ასეთი თბილი, მღელვარე, განსაკუთრებული გრძნობა თითქოს არ აღძვრია ეთერს, რა თქმა უნდა, ის იყო მახლობელი და ყოველდღიური, მომამზერებელი თუ მობეზრებელი, ახლა შორეულად, სანატრელ მოგონებად გადაქცეულიყო. და იცინოდა, ყველაფერთან ახლოს მიდიოდა, ყველაფერთან ახლოს შეხაროდა ეთერი, შეხაროდა ქვევრის მოხდასაც, ისე შეხაროდა, ისეთის გაოცებით თითქოს პირველად ენახოსო. არც ჰამნიზე უთქვამს უარი, მოხვა ჰამანურის ჯამი და მწოწონება კისკისით გამოშატა.

აპოლონმაც მოიწონა ჰამნიცი, ისე მოიწონა, თხელ, სიფრიფანა ტუჩებს იწუწინდა რამდენიმე ხანს, მაგრამ მაინც მიურბოდა თვალი სხვა ქვევრებისაკენ, მათი მოხდაც უნდოდა, სხვა ჰამნიციც უნდოდა, უკეთესზე უკეთესი მოსურვებოდა. მასპინძელმა მყისვე ალღო აუღო აპოლონის სურვილს, უთქმელად,

12293

თვალის იერშივე შეატყო, ოღონდ არა თუ ასე უთქმელს, გადაკრულად გამოხატულ სურვილს, გადაკრულად ნათქვამსაც არ გამოპასუხებია, სიტყვა ბანზე აუგდო, ორშიმოები, საწყაოები მოიმარჯვა და აკაკის სთხოვა, თქვენი თულუხები მომიტანეო. მაშინ აპოლონმა ველარ მოითმინა და მიუქიბ-მოუქიბავად, მკაფიოდ განაცხადა, სხვა ქვევრების ქაშნიკიც მიჩვენეო.

მასპინძელს ორშიმო ქვევრის პირზე შეაცოცდა, არც არაფერი უთქვამს, არც შერხელა, იყო ასე ცალ მუხლზე დაჩოქილი, თავჩაღუნული... აპოლონი ვერ მიხვდა, რა დაემართა აქამდე ზალისიანად მოფუტფუტე გლეხს, არ შეეძლო გეგო მისი გულისტყვილი, მისი მღელვარება. ეს მღელვარებადაც არ მაინდა აპოლონს. რომ ეთქვათ, არც დაიჯერებდა, ვითომ რა დიდი საქმე იყო, მოეხადა სხვა ქვევრებიც, ენახა ქაშნიკი, ისევე დაეხურა, ვითომ რა მოზღებოდა? ეგებ არაფერი, ან რა უნდა მომზადრიყო, დედამიწა ისევე იბრუნებდა თავისი ღერძის ირგვლივ და მზის გარნემო. ბუნების სხვა მოვლენებიც არ შესლიდნენ თავთავიანთ ალოს, არც რაიმე უცნაურ საზოგადოებრივ მოვლენას დაედებოდა საფუძველი, მოხდებოდა სულ მცირე რამე, უბრალო რამე — შეიბღალებოდა მხოლოდ გლეხის სისათუთე და სიფაქიზე ღვინისადმი. ჰო, უბრალო ამბავია აპოლონისათვის, ისეთი ზალისათვის, ვისი თავიც ყოველთვის დიდი ფქირებით არის აღვსილი, მხოლოდ დიდი მოვლენები ამჩრუნებს, აფორიაქებს, ზოლო გლეხს, რა ვუყოთ, ასეთი პატარა, ასეთი უმნიშვნელო რამე აღლევებს: ღვინოს ულაზათოდ, არასათუთად ვერ მოეჩქევა, სავსე ქვევრზე ბამბის ქულაც არ დაიგდებო, — ასე უთქვამს გლეხს. ვის როგორ მოეპრიანება, ისე ვერ მოხდის, ვერ ჩაწუწავს ქვევრს, წმინდა გულით წმინდა ღვინოს შეგთავაზებს და თუ მეტს მოინდომებ, საოცარია, მეტი რაღა უნდა მოსთხოვო? ადგება ქვევრის თავიდან, ადგება და მარნიდან ისე

გამოგიყვანს, გზაზე ისე დაგაყენებს, ვერაფერს გაიგებ...

აი სწორედ ასეთი გადაწყვეტი წუთი დამდგარიყო. მაგრამ აქ აკაკი ჩაერია, აპოლონს სურვილი შეუშოკლა. მასპინძელი აღარ წამომდგარა ქვევრის თავიდან, დაიწყო ღვინის ამოღება, ფრთხილად, ხელის კანკალით.

უფრო დაწვრილებით ნულარას ვიტყვით, იხედაც სიტყვა გაგვიგრძელდა, რადგან ამ შემთხვევას დიდი რამ მნიშვნელობა არა აქვს მთელი ამბავისათვის. თუ აქამდეც შევჩერდით, იმიტომ, რომ მასპინძლის ალაღად, მიაპიტად ნათქვამი ერთი სიტყვა გულს დაჩნდათ ეთერს და, აკაკის. ეს იყო მაშინ, როცა გლეხმა არწყო ასოცდაათი ლიტრი, — გარიგებისამებრ, — მერე ათლიტრიანი ჩაფი კიდევ აავსო და ცარიელი ჭურჭელი მოითხოვა. მანქანაში აღარ აღმოჩნდა არც ცარიელი, არც ნაკლები ჭურჭელი, მაშინ მასპინძელმა თაროდან გადმოიღო ოცლიტრიანი თულუხი, ჩაფი შიგ ჩაცალა და თქვა:

— აჰა, ეს სასუქად იყოს... ამ ქაშნიკისათვის მიმიჩრთმევია!

ეთერმა გადაიკისკისა.

გლეხმა ისევე აავსო ჩაფი.

— ესეც ამ ყმაწვილისთვის მიმიჩრთმევია, — მიმოიხედა, თვალში აღარაფერი მოხვდა, თუ სხვა ველარაფერი გაიმეტა, — აჰა, ესეც აქ იყოს... ერთად იყოს, ერთნი არა ხართ!

აპოლონს შუბლი გაეხსნა, გულუხვობამ გაუხსნა შუბლი, გაიკვირვა. ეთერი შეკრაო. შეკრაო აკაკიც. თითქოს მოულოდნელი რამ ითქვა, თითქოს მათ შორის არაფერი იყო საამისო, თითქოს არაფერი ეწეოდათ ერთიმეორისაკენ, თითქოს ამაზე არ ფიქირათ ოდნავ მაინც, არასოდეს, არასოდეს... ერთი სიტყვით, ორივე დადუმდა, ორივე წიწილო რაღაც გაურკვეველმა, შინაარსებმა ფქირმა... მხოლოდ აპოლონი მხიარულობდა, ხელების ფშენებით მიხდებდა დიასახლისს, რომელსაც უკვე მოესწრო სუფრის გაშლა, თან იწვევდა ეთერს და აკაკის. მაგრამ არც ერთი არ აპყოლია

მის ხალისს. ერთი საქესთან მოკალათ-
და, ძრავი აქვდა, მეორე უკან მოიბუზა,
თვალეები მიწაბა, ტუჩ-პირი ბეწვში ჩარ-
გო. აპოლონს მეტი რაღა გზა ჰქონდა,
ბედს დამორჩილდა, მანქანისაკენ გაბ-
რუნდა, ჩაჯდა მწყურალი, გაბუსხული...
მამინ დედაცაცა ხონჩით გაიტანა აქ-
ნილი ქათამი და ქაღებში, მამაცაცა ხე-
ლდა და ფიალა მიარბენინა. აპოლონმა
კურტუმი და მთელი ქადა დაითრია,
ფიალა გამოსცალა თუ არა, ბრძანა, შო-
ფერს ღვინო არ დააღვინოთო. ეს გან-
კარგულუბა დიდკაცობიდან მოსდევდა,
წამოსცლა უნებლიეთ, მაგრამ აკაკი იმ
გუნებაზე არ იყო, თავი შეეკავებო-
ნა, თვალეები გადაუბრიალა აპოლონს,
თქმით არაფერი უთქვამს, მხოლოდ ხე-
ლი გაუწოდა მასპინძელს, საესე ფიალა
ჩამოართვა, სულმოუთქმელად დასცა-
ლა, მეორედაც ააესებინა ფიალა, გამოს-
ცალა და უეცრად დასძრა მანქანა, ისე
დასძრა, ისე გააქროლა, ისე სტიქიური,
ისე თავდავიწყებითი იყო ის სრბოლა,
რომ აპოლონი ადგილიდან ვერ იძროდა,
თვალს ვერ ახელდა, არა სჯეროდა, თუ
ცოცხალი გადარჩა, მშვიდობით, უცნებ-
ლად მიადწია თბილისს, მამინაჲ კი,
როცა მის სახლთან შეჩერდა მანქანა.

III

ეთერი ოდნავადაც არ შეუშფოთებია
იმ თავდავიწყებითს სრბოლას თუ გი-
ჟურ ქროლვას. როგორც არ უნდა ექ-
როლა, კიდევ უფრო მეტად ეწეოდა გუ-
ლი, ესწრაფოდა სული, სურდა მალე
მარტო დარჩენილიყო თავის ფიქრებ-
თან და ღრმად ჩაჰკვირებოდა ატენელი
გლუხის ნათქვამს: „ერთად იყოს, ერთნი
არა ხართ?!“ რა იყო ეს?! — ეგებ ბე-
დის მოწოდება, აშკარა ძახილი, წაქეზე-
ბა, რადგან აქამდე ვერ მიუხვდნენ
ერთიმეორეს, ან ვერ გამოთქვეს საკუ-
თარი გრძნობა, ვერ გაიგეს! ნუთუ დიდი
ღრო იყო საჭირო, ანდა მართლა საქმე
ეწეოდა აკაკისაკენ? ჰო, საქმე ეწეოდა,
აქ ახირება არ შეიძლებოდა, ოღონდ
ნუთუ უიმისოდ ვერ მოსძებნიდა წიგნს,
უიმისოდ ვერ გაარკვედა რომელიმე

საკითხს ან პრობლემას, ბოლოსდაბო-
ლოს, ატენს წასვლა მაინც და შეიძლებო-
ბოდა უიმისოდ? ჰმ, განა პასუხი საჭი-
რო იყო? ცხადზე ცხადი იყო ეთერისა-
თვის, რომ ყველაფრის მოგვარება მო-
ხერხდებოდა უიმისოდ, მაგრამ უიმი-
სობა არ უნდოდა. განა არ შეეკრთალა,
როცა აკაკი სხვა ქალიშვილთან დაუნ-
ხავს?

მაგრამ აკაკი? აი, ვისი საქციელი
აღუნებდა ეთერის ფიქრს, უკვეცავდა
საკუთარ თავთან საუბარს, მის საქცი-
ელში ხომ მხოლოდ თავაზიანობა, დახ-
მარებისა და მფარველობის უანგარო
გრძნობა მოჩანდა; მას ხომ არასოდეს
ბუნდოვანი, ეჭვის აღმძვრელი სიტყვა
არ წამოსცდებოდა; მისი სიტყვა ხომ
ყოველთვის სპივივით შექიანი იყო?
თითქოს იმასაც აღელვებდა უიმისობა!
არა! იმას სჯეროდა, რომ ეთერს გაუ-
ქირდებოდა უიმისოდ, პირველ ხა-
ნებში მაინც, ვიდრე მოშინაურდებოდა
უნივერსიტეტში, და მფარველობდა
მზრუნველობდა... სავარაუდო იყო, შვე-
ბას იგრძნობდა ერთ მშვენიერ დღეს,
აღმოჩნდებოდა თუ არა, რომ მზრუნვე-
ლი აღარა სჭირდებოდა ეთერს...

ასეთი იყო ეთერის ფიქრები, წყნარი
ფიქრები ატენელ გლუხთან შეხედრამ-
დე. მერე უცებ აფორიაქდა ის ფიქრე-
ბი, თავდავიწყებითს სრბოლაში შეე-
ჯიბრა მანქანას, მესაქცეს; მარტო დარჩა
და არც მამინ შეუწყვეტია მის ფიქ-
რებს სრბოლა, ქროლვა. ამ დასკვნას
მაინც ვერ გასცილდა. მხოლოდ ესაა,
უკვე აშკარად დაიბეჯითა: არ უნდა
უიმისობა, მას კი ჰგონია, არ შეუძლია
უიმისობა.

ასე დაასკვნა მთელი იმ ღელვის შემ-
დეგ. მამიმ დასკვნა უნდა იყოს ქალი-
შვილისათვის! ვაქებესაც ასე დამარ-
თიათ უნსოვარი დრრიდან მოკიდებუ-
ლი: თანამიგრძნობსო — ჰო თუ არაო?!...
შეიძლება ყოველ წუთს ეკვეთოს საბ-
რალი ეთერს — რატომ ასეო, რატომ
ისე არაო, ეს რა საფიქრებელია, ან ეს
რა სათქმელია, აი ეს უნდა გეთქვა, ასე
უნდა მოქცეულიყავიო... ჰო, ასე, ასე...

და შეიძლება აქვე შეწყდეს მთელი ამბავი; დასაწყისშივე ჩაყვდეს ამბავი. უნდა ენდოთ ეთერს; სხვაგვარად არ შეეძლო, ვერ აყვირდებოდა, გულს გარეთ ვერ გამოიტანდა, ფიქრებში ჩაღრმავდებოდა, გაურკვეველ ფიქრებში, და ეგებ, ვინ იცის, თავისი სურვილის წინააღმდეგ აყვებოდა ხელოვნურად შექმნილ გარემოებას, მოჩვენებითს აუცილებლობას ან მოჩვენებითს მშვენიერებას... მას ხომ თავბრუს ახვევდა გამორჩეული, მშვენიერი...

დღესა ჰგავსო, პირწავარდნილი მგრილო, იცოდა ხოლმე თქმა დეიდა სალომემ. ამ შედარებაში იგი გულისხმობდა მერისებურ სიჯიუტესაც, რასაც დროდადრო გამოიჩენდა ხოლმე ეთერი. და სალომეს ცოტა ჯაფა, ცოტა ოსტატობა როდი სჭირდებოდა ამ სიჯიუტის მოსათრგუნავად.

აი, თუნდაც აკაკის მოწვევის საკითხმა მცირედად როდი შეაყოყმანა სალომე. ეს იყო გვიან საღამოს. სალომე გვიან დაბრუნდა სააღმდელ და შინ, ცოტა არ იყოს, ასაღლეველი მდგომარეობა დახვდა: აპოლონი მისცენებულყო ამოჩემებულ სავარძელზე, თავი შეეხვია შალით, ისე რომ ფიჩებს მთელი სახე დაეფარა. გვერდით პატარა მაგიდა მიედგა ბროლის სურითა და წამლებით: სტრებტოციდი, პირამიდონი, უროსტრეპტინი, სულფიდინი, ასე გასინჯეთ, პენიცილინიც მოემარაგებინა და მისვენებულყო, მიყუჩებულყო, სთვლემდა ჩვეულებისამებრ, ხოლო სალომეს ხმა ჩაესმა თუ არა, კრუსუნი მორთო, წყალს მისწვდა, რომელიდაც აბი გადაყლაპა.

— რა მოხდა?! — შეშფოთებით აკითხა სალომემ.

— არაფერი, არაფერი, გეთაყვა, სრულიად არაფერი, — დაიწყო მეუღლის დამშვიდება აპოლონმა შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, — უკვე კარგადა ვარ, ძალიან კარგად.

ბოლო სიტყვები კიდევ უფრო სუსტად, მინაზებულად ითქვა, რადგან სალომემ ხელი მოხვია, შალის ფო-

ჩები აუწია და მომეტებული შინით ჩააყვირა.

აპოლონმა თვალები მილულა და ისე განაგრძო:

— არაფერი, არაფერი-მეთქი, უკვე არაფერი, გაიარა... ოღონდ რა იყო, ოპ, რა იყო! რითი არ მიმგზავრია, სად არ მიმგზავრია, ვისთან არ მიმგზავრია, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ ასეთი საფრთხის წინაშე... რაშენჯერმე სიკვდილმა ჩამიარა გვერდზე, ღიმილით ჩამიარა: რა დღეს, რა ხვალ, მაინც ჩემი ლუკმა ხარო... ეს იყო პირველი შემთხვევა, აქამდე არ განმიცდია. შევძრწუნდი... ვძრწოდი, ეთერის ბედი მაძრწუნებდა, ეთერი იქ რომ არა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ასე არ განვიცდიდი...

— აპოლონ, — შეაწყვეტინა სალომემ, შენაჯღრია, — ცხადში ლაპარაკობ თუ... გამაგებინე, გასაგებად სთქვი.

— გადავჩნით, — ღრმად ამოისუნთქა აპოლონმა, თვალი გაახილა, — გადავჩნით, ცოცხალი ვართ, უფრო გასაგებად როგორღა ვთქვა! არ მეგონა, თუ გადავჩნებოდი, ისეთი საშინელი სისწრაფით მოაქროლებდა შანქანას...

— ვინ?! — თვალები დააბრიალა სალომემ.

აპოლონმა პირდაპირ არ უპასუხა.

— თუმცა მე ვტყუივარ, — თქვა აპოლონმა, — რატომ ვენდე მოხალისეს, ისიც ასპირანტ მოხალისეს!

— ცისკარაანთ შაქრიას ბიჭს?! — სალომეს აღმუერი მოეკიდა სახეზე, — ასეც ვეჭვობდით... ეთერ! — გასძახა ეთერს. ეთერი შევიდა თუ არა, სალომეს სახეს უკვე გულგრილობის იერი კჳინა, — ვინ იყო თქვენთან ერთად, ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი?

— აკაკი ცისკარიშვილი! — მტკიცედ მიუგო ეთერმა.

— აკაკი ცისკარიშვილი! — დამცინავად გაიმეორა სალომემ, — აკაკი ცისკარიშვილი! ვითომ „ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი“ არ ვყოფოდეს ტიტულად!

— არ ვიცი... — შშრაღად თქვა ეთერმა, — მას იცნობენ როგორც აკაკი ცისკარიშვილს.

— იცნობენ?! — ცივად გაიღიმა სალომემ, — მაინც რომელი აღმოჩენებით იცნობენ! თუმცა ცნობაც არის და ცნობაც, იცნობენ არისტოტელესაც და პინისტრატესაც... ასე არ არის?! საესეებით შესაძლებელია შემდეგად, ოღონდ ცხადი ცხადად რჩება: აპოლონის ძვირად დასჯდომია მისი გაცნობა... — ამას თქმისას შალი შემოხანა მეუღლის და შებლზე გადაუსვა ხელი. აპოლონიც ისე ჩაინაბა, ისე ჩაღნა, თითქოს პირველად მოქცეულიყოს იმ ხელქვეშ, საოცნებო ხელქვეშ. — რაც გინდა, დაარქვე, — განაგრძო სალომემ, — ასპირანტი, თუნდაც აკადემიკოსი დაარქვი, ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი მაინც ველური იქნება... განა წოდებანი და შერქმევანი ცვლიან ადამიანს?! ხარისხები და წოდებანი ჭაღალდზე იწერება, ხელაცა წერს, მელნითა წერს, ადამიანი ხალხში იზრდება, წრეში იზრდება... რა წრიდანაც მოდის, ის იქნება ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი!

— არა მგონია ამდენი წყრომა და კილვა დაემსახურებინოს აკაკის, — თითქმის ჩურჩულით თქვა ეთერმა, — არა, არა მგონია, — აქ ცოტა ხმას აუწია, — სწრაფად ატარა მანქანა; ეს იყო და ეს... რა მოხდა, ნუთუ არ შევეძლო აჩქარებულები, ბოლოსდაბოლოს ჩვენი მძღოლი ხომ არ არის! თავისი საქმე აქვს, იმდენად გულისხმიერია, მოსცდა თავის საქმეს... ნუთუ სულ უნდა მომცდარიყო! რატომ არ უნდა აჩქარებულები, მან ხომ არ იცოდა, რომ სუსტი გული ჰქონია ძია აპოლონს! ან რა წრესა გულისხმობ... მე რაღაც არ გამეგება, ყოველ შემთხვევაში, ველურობას ვერ დასწაობ აკაკის, თუნდაც ცისკარაანთ შაქრიას ბიჭს, ნება თქვენი იყოს, სახელის დამახინჯება ვერ დამადებლეს ადამიანს!

— ეთერ! — ამოიძახა სალომემ, ცოტა არ იყოს, შრისხანედ, ოღონდ მოასწრო გულგრილობის იერით შეეფერა სახე და განაგრძო: — ისე მელაპარაკები, როგორც დედაშენს!

— დედა ყველაზე მახლობელია ჩემთვის... სწორედ ისე გელაპარაკებულა აქ ოდნავ გაიღიმა ეთერმა, — მაინც სალომემაც, ოღონდ სალომეს ღიმილი თავშეკავებული წყრომის ღიმილი იყო.

— აი, ჩემი დაბადების დღეს გაიცნობთ აკაკის... ცისკარაანთ შაქრიას ბიჭს, — უფრო კეთილად, შემარტივებლად გაიღიმა ეთერმა, — ახლოს გაიცნობთ და იტყვი, რომ შესანიშნავი ახალგაზრდაა... ყოველ შემთხვევაში, ცუდაც არ იტყვია!

— რაო! — გულმოსულთა ვეღარ დაფარა სალომემ, თვალები აუფაცხდა, შებლზე წითელ-ყვითელი ზოლი გადაეველო, — უკვე მოიწვიე?! —

— არა! — მიუღო ეთერმა, — მინდოდა მეთხოვა მისი მოწვევის უფლება. მოიწმინდა შებლი, დამშვიდდა თვალები სალომესი.

— უფლება უნდა მეთხოვა ჩემთვის?! — გაიოცა სალომემ, — რატომ ჩემთვის?! შენი დაბადების დღეა, შენთვის კეთდება ყველაფერი, შენი სიამოვნებისათვის, შენი ბედნიერებისათვის... ვის რა ექნება შენი სურვილის საწინააღმდეგო! ჩვენ, მე და აპოლონი, მზადა ვართ, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა საუკეთესო წვეულებისათვის, ხოლო ვის მოიწვევ, ვისთან გაატარებ დროს, შენი საქმეა. თუ მოისურვებ, ჩვენ სულაც არ გამოვჩნდებით... დიახ, დიახ, სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ, თუ მოისურვებ-მეთქი, ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ იცოდე, რაოდენად უანგარონი და თავდადებულნი ვართ შენთვის. დიახ, თუ მოისურვებ-მეთქი, რაააც, რა თქმა უნდა, არ მოისურვებ. ასევე არ მოისურვებ ისეთს არაფერს, რაც უხერხული ან უამური იქნება ჩვენთვის, ჩემთვის და აპოლონისათვის. ასევე ჩვენ ვალდებულნი ვართ, და არ დავეშვებთ, რომ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ჩემი საყვარელი დისწული. ცხადია, ჩვენ, მე და აპოლონი, მოვალენი ვართ გიჩვენოთ უკეთესი, ვიდრე შეიძლებოდა გენახა ორბისში, მოგკეთ უკეთესი

აღზრდა, ვიდრე შეიძლებოდა მიგელო ორბისში, შეგახვედრათ უკეთეს ხალხს, გაცილებით მაღალ წრეს, ვიდრე შეიძლებოდა შეხვედროდი ორბისში და, საერთოდ, იმ მხარეს — თამარაშენისა და ვაშლოვანის ჩათვლით; მოვალენი ვართ ეიზენტუნოთ შენი გემოვნების დახვეწისათვის, ნამდვილად მშვენიერის განცდისა და გამოთქმის უნარისათვის. დიან, მოვალენი ვართ... დროზე უნდა გაგათავისუფლოთ ორბისულ-ვაშლოვნურ-თამარაშენული რომანტიკისაგან. ყველაფერს შენვე მიხვდები, მალე მიხვდები, ახალცა ხედები, ოღონდ დახმარება უსათუოდ გჭირდება, ჩვენ მოვალენი ვართ დაგეხმაროთ; ჩვენ მოვალენი ვართ შეგახვედროთ კარგ ოჯახებს, კარგი ოჯახის შეიღებს, იმ წრეს, რომელიც შეგეფერება შენ, როგორც ჩვენს მახლობელს, ჩვენს შვილს... შეიძლება საამისოდ მომზადებული არ იყოს ცისკარაანთ შაქრიას ბიჭი, თუ აკაცი ცისკარიშვილი, როგორც შენ ამბობ, შესაძლოა აქამდე მას ჯერ კიდევ დიდი დრო და მანძილი აქვს გასაეღელი, ამას ისე ვამბობ, სხვათაშორის ვამბობ; შესაძლოა არც რაიმე გრძნობა გაქვს მისადმი, ჰა, გაქვს?! — აქ, ცოტა არ იყოს, შიშმა და არისხვამაც გაიფელა მის თვალბში, — რა თქმა უნდა, არა გაქვს, არა, არა გაქვს, განა ასე უეცრად შეიძლება გრძნობის გაჩენა, განა ასე იქცევიან კარგი ოჯახის შვილები?! რა თქმა უნდა, არა გაქვს... და მერე რატომ უნდა იყო მასთან ხშირად, რატომ უნდა გხედავდნენ მის გვერდით?! ან იცი, რას ფიქრობს ის შენს შესახებ?! ჩაუკვირდი, კარგად ჩაუკვირდი, ჩემო ეთერ, შეილო ჩემო, ჩემო გოგონა, კარგად ჩაუკვირდი და დიამახსოვრე, თბილისი დიდი ტრადიციების ქალაქია, პატარა შეცდომასაც არ გააბტიებს... აი, რადა ვფრთხილობთ ასე, ასე რად ვუკვირდებით ყოველ წვრილმანს. და ნუ მიწყენ, თუ, ვთქვამთ, მე, — აქ უკვე აბოლონი არაფერ შეაშია, — ამ მექნება სურვილი ცისკარაანთ შაქრიას ბიჭის მოწყვისა... ეს მხოლოდ ჩემი აზრია, თავზე

არავის ვახვევ, უფლება გაქვს, მოიქცე შენი სურვილისამებრ, შენ, საჭმეა ჩვენ, მე და აბოლონი, შენთვისაა ჩილები ვართ! ასე არ არის, აბოლონი?

— უბათუოდ, აუცილებლად!... დაატანა აბოლონი. — ოღონდ ერთში არ გეთანხმები, აბოლონი არაფერ შეაშია, მხოლოდ მე არა მსურსო, რომ ამბობ, ვითომ რადაო, ვითომ რად გამინაპირ? მეც არა მსურს... თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ჩემი სურვილია, ეთერს შეუძლია მოიქცეს თავისი სურვილისამებრ... — თქვა ეს და თან აღტაცებით გაივლო გულში: „ოჰ რა მქვერმეტყველია!“

ხოლო სალომემ ეთერთან საუბარი დამთავრებულად მიიჩნია და ისევ ქმარს მიმართა მზრუნველობით: — ექიმს გამოუძახე? არა?! შენგან არ მივივრის?... როგორ შეიძლება ასეთი დაუდევრობა, ასეთი უყურადღებობა საკუთარი თავისადმი! ახლაც გამოუძახებ!

აბოლონი იუარა:

— არა, არა, საჭირო არ არის, უკვე დავმშვიდდი... თუ მაინცდამაინც არ დაგიშლია, ხვალ გამოვუძახოთ, ამდამ საჭირო არ არის...

მერე უკვე აღარაფერი გაუგონია ეთერს, თუმცა, კარი გაიხურა თუ არა, იქვე შეჩერდა, მუხლი არ ემორჩილებოდა, ფიქრითაც ვერაფერს ფიქრობდა. შემდეგ, საწოლ ოთახში რომ შევიდა, თანდათან უფრო დაეხვეწა ფიქრები: დეიდა სალომე და ძია აბოლონი დიდი სიყვარულის გრძობით, მისი სიამოვნებისათვის მართავენ წვეულებას; დეიდა სალომესა და ძია აბოლონს მაინცდამაინც სასურველად არ მიიჩნიათ აკაციც ესწრებოდეს ამ წვეულებას. ეთერს არ შეუძლია აღიზრდეს, არ შეუძლია გადაეღობოს მათ ნება-სურვილს. აი, ასე დაიხვეწა ეთერის ფიქრი, ასე დაასვენა, ასე უნდა მოქცეულიყო, სხვა რა ფიქრი ან რა საქციელი შეეძლო ბუნებრივ, წრფელ, გამოუცდელ ქალიშვილს დეიდა სალომეს სიტყვის შემდეგ, სიტყვისა, რომელსაც აბოლონი მქვერმეტყველების საუცხოო ნიმუში უწოდა! მხო-

ლოდ შეეძლო შეწუხებულიყო, და წუხდა კიდევ, რად გააღიზიანა ძია აპოლონი აკაკიმ, ესაუბრა გულთბილად, ევლო ფრთხილად, რა დიდი საქმე იყო? ან რად მოინდომა უსათუოდ აკაკის წაყოლა ატენს, განა ძია აპოლონი მძლოლს ვერ გამოძებნიდა? ან რად ეუბნებოდა აკაკის, რისთვის სვირდებოდათ ატენური, რაიმე სხვა საბაბი ან წვეულებაზე, ვთქვათ, სალომეს დღეობაზე, უხერხულო ხომ აღარ იქნებოდა აკაკის მიუწვევლობა? ან კიდევ იმ გლეხს რაღა უნდოდა, რა ჯავრი სჭირდა: „ერთად იყოს... ერთნი არა ხართო!“ — რამ მოაფიქრა, რამ ათქმევინა? ოღონდ ეს უკვე მხოლოდ სინანულად თუ ჩაითვლებოდა, გვიანლაა თითზე კბენანო, ამაზეც იტყვიან.

უკვე სხვა რამე იყო გადასაწყვეტი: როგორ შელეოდა აკაკის იმ საღამოს? როგორ ესნა თავი უხერხულობიდან? რას იტყვის აკაკი, რატომ არ მიწვევს თავის დღეობაზეო? პირველყოელისა; იფიქრა, გაემზავლა ყველაფერი აკაკისათვის, სიტყვასიტყვით გადაეცა დეიდა სალომეს ნათქვამი. კარგი იყო, ასე მოქცეულიყო! მაშინ ისევ ის ეთერი იქნებოდა, ორბისს რომ გამოეთხოვა. მაგრამ უკვე რაღაცა ხდებოდა მასში, განებიდურება და ვალაღება დედის მხრიდან, დეიდა სალომეს დიდაქტიური მოძღვრებანი აძრწუნებდა, იმორჩილებდა, ყოველ შემთხვევაში, ესა თუ ის წინააღმდეგობის გრძნობა, ესა თუ ის ძრწოლა ყოველთვის თუ არა, ხშირად მორჩილებამდე მიდიოდა. აი, დეიდა სალომეს თვარსაზრისით, მაღალი ზნეობისა და მაღალი გემოვნების მიხედვით, რა იქნება ყველაფრის აღიარება აკაკისთან? რას იფიქრებს აკაკი, როგორია ბოლოსდაბოლოს მისი შეხედულებანი გარემოზე, ადამიანებზე, ზნეობაზე, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—ეთერიზე? — ეს კითხვები აღუძრა ეთერს პირველი გადწყვეტილების შემდეგ და, უნდა ითქვას, მშვიდად, გულცივად არ გადაუტანია არც ერთი კითხვა, არც მშვიდად, გულცივად დაუსკვნია, თით-

ქოს უმჯობესი იყო, ერთხანს პირისპირ აღარ შეხვედროდა აკაკის. ხოლო აკაკი იჯდა მეცხვედრულ დაარბაშში ჩვეულ ადგილას, პირველი რიგის ბოლო მაგიდასთან, ჩაჰკირკიტებდა მოსწავლეთა ჩანაწერებს, გულწრფელ, მიამიტ ჩანაწერებს, სურვილებს, იმედებს, ოცნებების აღსარებებს, თუნდაც იმიტომ, რომ აკაკის არ მოუთხოვინა ხელმოწერა, არც ეროვნების, მისაპართის ან სკოლის ნომრის აღნიშვნა, ერთი სიტყვით, არაფრის აღნიშვნა, ასაკისა და სქესის გარდა. და ბავშვებსაც მოურიდებლად, დაუმორცხვებლად ჩაუწერიათ, რა უყვარდათ ან ვინ უყვარდათ. რა სძულდათ ან ვინ სძულდათ, რა დაესახათ მიზნად ან როგორ უნდოდათ ეცხოვრათ და სხვა და სხვა... ჰო, ჩაჰკირკიტებდა ამ ჩანაწერებს აკაკი, კითხულობდა, არჩევდა, ფიქრობდა, როგორი უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ეს თერთმეტი წლის გოგონა, რომელსაც მრგვალი, ლამაზი ასოებით გამოუყვანია: „...მინდა ყველას მოეწონდე... მქონდეს კარავლის ბალტო... გამოწყობილი ვიყო სულ აბრეშუმებში... მქონდეს იმდენი კაბა, რამდენი დღეც არის წელიწადში...“ როგორი უნდა ყოფილიყო შემდეგ, როცა ბერი რამეს შეიყენობს, როცა, აღივსება მაღალი, დიდი მისწრაფებებით და როცა, — ფუი ეშმაკს! — სადღაც ამ მაღალსა და დიადს შორის ერთ კაბაზე შესცდება. რად მოხდება უსათუოდ ასე და არა სხვანაირად? რად გასჩენია ასეთი ფიქრები და არა სხვანაირი? მაგალითად, აი ასეთი, ესეც ხომ თერთმეტი წლის გოგონას ჩანაწერია: „...მინდა კარგად ვისწავლო, სწავლა ყველაფერია... მე ყველა მიყვარს... ყველა კარგია...“ რაღა ესოდენ დიდი განსხვავება ამ ორ გოგონას შორის? ან ამ თექვსმეტი წლის ყმაწვილს რა ეშველება, — „...ამამდე ლექსებს ვწერდი, მინდოდა დიდი პოეტი ყოფილიყავი. ახლა მივხვდი, ლექსების წერა ჩემი საქმე არ არის... რა ვნა, რას მოვეყავი, მინდა რაღაც დიდი გვაქეთო...“ — რა ეშველება? თუმცა რა სა-

ნაღვლებელია, გზას გაიკვლევს, ჰკუთნა ეყოფა, ჰკუთნა ეტყობა. — ხომ მიხვდა, რომ ლექსების წერა მისი საქმე არ არის... და ასე ვინ იცის, რამდენი საგულისხმომ, ფიქრის აღმძვრელი რამ იყო იმ ჩანაწერებში, მაგრამ მაინც ჩვეულებისამებრ, ვერაფერმა გაიტაცა აკაკი, კარის გაღებისთანავე თავს აიღებდა „კალაპოტიდან ამოვარდნილივით“. ბევრი შედიოდა და გამოდიოდა. ის არა ჩანდა. მაინც მოთმინებით ელოდა თხუთმეტ დეკემბრამდე. მოთმინებით ითქმის, რადგან დარბაზში ელოდა, იმის გამოჩენას ელოდა, ხოლო თხუთმეტ დეკემბერს დარბაზშიც ვეღარ მოიკადა, ეესტიმებოდა, დერეფნები შემოარბინა, იტორღილა მთავარ შესასვლელთან. არა, არა ჩანდა მისი ასავალ-დასავალი, ასე ალაზბედად ვერ გადაეყარა; სხვა გზა არ იყო, უნდა მოეკითხა, ვათომ შემთხვევით, უსაბაზოდ, მოხერხებულად, ეთერის მეგობარს შეეჩხა დეკანატების ვიწრო დერეფანში და გაეხუმრა: „მართო ხართ? გასაკვირია! ყოველთვის ერთად გხვდავდით... ისე შეწყობილხართ ეთერთან, მგონია ახლაც გვერდით გადგათ! „ჰა, ჰა, ჰა, დღეს ეთერი არ გამოჩენილა!“ — „ჰა, ჰა, ჰა...“ — და გვერდოგვერდ ჩაიარეს, — ხომ არ შეჩერდებოდა აკაკი, ხომ არ იკითხავდა, რა მოხდა, რატომ არ გამოჩენილა, განა არ იცოდა, თხუთმეტ დეკემბერი იყო!

გამოჩენა არაფერი, შეხვედრა არაფერი, არსებობს შეტყობინების უძველესი საშუალება — ბარათი, უახლესი — ტელეფონი. და შეიძლება ფიქილოლოგიის ლაბორატორიაში, გამოელაპარაკა ლაბორანტებს, ასისტენტებს, — პირდაპირ ზომ არ მოეკითხავდა, — გამოეკითხა ამ მთის, იმ მთის, ისინიც ამ მთას, იმ მთას მიედგ-მოედგნენ, სხვა არა უთქვამთ-რა, — არც დანატოვარი, არც დანაბარები გადაუციათ. მერე შინ გაეშურა აკაკი, მაგრამ არც იქ აღმოჩენილა გასახარელი რამ...

ამა მაშინ უნდა გენახათ, რა ეპევი და წყენა მოერია აკაკის, მაგრამ ეთრჩა კეთილი გული, კეთილმა ფიქრმა გადას-

ძლია: „განა აუცილებელია განსაკუთრებული მიწვევა დაბადების დღეებზე? შიო P“ — როგორც იყო, მთაწიურში აკაკიმ. ადგებიან ახლო ნათესავ-მეგობრები, წითელ-ყვითელი ზონრებით თითო ტორტს ჩამოიკონწილდებენ მიჯაზე, მივლენ, გადაეკონიან, ბედნიერებას უსურვებენ და მერე საუკეთესო ვახშამის მოლოდინში უხრუნველ ან საკვიბოროტო საკითხებზე საუბრობენ, ანდა რაიმე სასარგებლო საქმეს აწყობენ, თუ გავლენიანი პიროვნებებიც შეესწრებათ... ერთი სიტყვით, ამდენი აღარ აინტერესებს აკაკის, მთავარია მისვლა, ისიც ტორტით, შეიძლება სხვა რამითაც, ჰაიჰაი, შეიძლება ეს უკეთესიც იყოს, მაგრამ აკაკის არც საშუალება აქვს, არც მაინცდამაინც თავის გამოჩენა უნდა, წასვლის დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა, იქნებ არც წასულყო ეთერს რომ ეთხოვა, ხოლო უთხოვნილობამ, შეუტყობინებლობამ რაღაც ეპევი აღუძრა, ააფორიაქა. მაგრამ ის არც ახლო ნათესავი იყო, არც ახლო მეგობარი. თუ ეთერი მას ხშირად მიმართავდა, მიმართავდა, როგორც პროფესორის ასისტენტს, და განა სხვები არ მიმართავდნენ? თუ აკაკის ნდობა და სიბოლო აღძვრია მისადმი, განა ეს მას ბევრი რამის უფლებას, ვთქვათ, ახლო მეგობრად თავის მიჩენვის უფლებას აძლევს? ცხადია, არა! ცხადია, მასზეა დამოკიდებული მანძილის დადგენა, რა თქმა უნდა, მასზეა, ამას რა დიდი ღარი და ხაზი უნდა. აკაკი ჯერაც არ ყოფილა მის ოჯახში, რამდენჯერ კარამდე მიჰყოლია, ერთხელაც არ შეუწყვევია... ახლა ტორტი ჩამოიკონწილოს, აილოს თავი და კარი შეუძტვრიოს? განა ეს მართლაც კარის შემტვრევა არ იქნება? იქნება, იქნება, ან ამას რაღა ბევრი ღარი და ხაზი უნდა... ან კიდევ: აპოლონი რა ამბავს მიიტანდა შინ, რას იტყოდა, როგორ აასისიანებდა თავისიანებს!.. ერთი სიტყვით, წასვლა შეუძლებელია, — დაასვენა აკაკიმ. ოღონდ დასვენა რას უშველიდა, სურვილი ეწეოდა, არ ასვეიებდა, თუ

ვერ მივიდოდა, უნდა შეეტყობინებინა მაინც, როგორმე უნდა შეეტყობინებინა ეთერისთვის, რომ ახსოვდა მისი დაბადების დღე, უსურვებდა შესწრებოდა კიდევ მრავალ დაბადების დღეს. დეპეშა რომ გაეგზავნა, აკაცი ვაშლოვანს გაემგზავრა.

IV

ამაო იყო აკაცის ღონისძიება. დეპეშას არ მიუღწევია ეთერამდე. ფოსტალიონს სალომე ეთერად, თუმცა თავდაპირველად ღიმილით შეეგება, ხოლო ამოიკითხა თუ არა ვინ აწერდა ხელს, სახე აერია და ისე ანგარიშშიუცემლად, ისე სწრაფად მიაჯახა კარი, რომ კინალამ ცხვირი მიანაყა ფოსტალიონს... დეპეშა ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ასევე დამართა მეორე დეპეშას, მამობილის — ლადო სავანელის დეპეშას. იმჯერად მერიმ გაუღო კარი ფოსტალიონს. მის სახესაც უამებრობის ელფერი გადაეფინა. ფოსტალიონს ვერ გაეგო, რა ემართებოდათ იმ ქალებს, ასე უკუღმა რად განიცდიდნენ სასიკეთო, სასიხარულო, საბედნიერო დეპეშებს! მესამე დეპეშამ კი ყველაფერი გამოსაწორა: შეიწვიეს ფოსტალიონი, ფილა აფუხეს, დაალოცეს, ჯიბეში ფული ჩაუდეს და ისე გაისტუმრეს. ასე რომ, აპოლონისა და სალომეს ვაჟის, მოსკოვის სამეცნიერო მივლინებაში მყოფი გივი კორკოტაძის დეპეშამ ყველაფერი გამოსაწორა... აპოლონი ტაშს უკრავდა, თითის წვერებზე დგებოდა, სალომე ჯეირანივით მიმოდიოდა, ხოლო მერი, ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა: „მხოლოდ კორკოტაძეებს... მხოლოდ კორკოტაძეებს ვუყვარვართ, მხოლოდ ესენი არიან ჩვენი ერთგულნი, თავდადებულნი...“ და ამ მღელვარე გრძნობით თუ სალომეს წაქეზებით, დეპეშა ლადო ვერცხლის ლანგრით წითელხვერდიან მაგიდაზე სადარბაზო ოთახის შესასვლელთან. მაგიდაზე ცოცხალი ყვავილების თავიგულიც იყო, თანაც უხვად დაპნათოდა კალი, ასე რომ არ შეიძლებოდა თვა-

ლი ასცდენოდა და არ დაენახა ყველა სტუმარს. მართლაც ასე იყო, თავიგული იხრებოდნენ ცხვირები, ვინც კი იქ იყო, დენგვარი, რა მოყვანილობისა და რა ზომისა. ხოლო დეპეშას ატრიალებდა თუ აფრიალებდნენ ხელები, ვინ იცის, რამდენნაირი და რანაირი — ნაზი, უფრო ნაზი, ან მეტისმეტად ნაზი, ფაფუკი, უფრო ფაფუკი ან მეტისმეტად ფაფუკი, — სხვადასხვანაირ ბეჭდუბასხმული, ნაირნაირი მანიკურით; ტლანჭი, უფრო ტლანჭი, ან მეტისმეტად ტლანჭი, კოტიტა, ბანჯგვლიანი და სხვა... ყველას აღწერა, სათითაოდ აღწერა მწელი იქნება. ეს მაშინ, სტუმრებმა მოსვლა რომ დაიწყეს, საღამოს ათი საათის შემდეგ. მაგრამ მანამდე?

სუფრის სამზადისზე, სუფრის სიუხვეზე დაწვრილებით ლაპარაკი საერო არ უნდა იყოს, საკმარისია, რაც ითქვას, — აპოლონმა სამიათასი მანეთის სამპროცენტიანი ობლიგაცია გადაახურდა, — ამას თუ დავემატებთ სხვადასხვა წვრილმან ხარჯებს, რასაც არ ერიდებოდნენ არც თვით აპოლონი, არც სალომე და მერი, ვთქვათ, ხუთას მანეთამდე, ცხადია, სამიათას ხუთასმანეთიანი სუფრა უდავოდ უხვი და მდიდარი სუფრა იქნებოდა. კორკოტაძეების სტუმართა საკმაო საპატო ნაწილი ეკუთვნოდა მუშაკთა იმ კატეგორიას, რომლის სამსახურს „არანორმირებულს“ უწოდებენ. მათ შეეძლოთ სამსახურში მისულებს ეგრეთწოდებულ „დღის მეორე ნახევარში“, ვთქვათ, სამ-ოთხ საათზე, სადილად დროზე დაბრუნებულიყვნენ შინ, კვლავ გაეცლოთ სამსახურში საღამოს ცხრა-ათ საათზე. მათ შეეძლოთ მთელი დამე ქეიფში გაეტარებინათ. ხოლო თუ მეორე ნაწილს, მეორე ნაწილს, ამდენი უნარი არა ჰქონდა, რა ვუყოთ, კორკოტაძეები შეიღვოდნენ მათს მალე წასვლას ან სრულიად მიუხვედლობას, შეიღვოდნენ, მიუტევებდნენ. ამდენად ჰუმანიტარნი როგორ ვერ იქნებოდნენ! ასე რომ, სტუმრების თავმოყრამდე ბევრი რამ სათქმელი არა გვექონია...

სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა ათი საათიდან, უფრო სწორედ, ათ საათზე. ყველაზე ადრე მივიდა ერთი სტუმარი, — სხვებმა თერთმეტი საათის შემდეგ დაიწყეს დენა, — ზუსტად ათ საათზე ზარი დარეკა ლევან ქურდოვანიძემ, თქვენ წარმოიდგინეთ, ზარის ხმამ გაგრძელა კედლის საათის მეათე დარტყმა. იქნება! განა კიდევ უფრო მეტი სიზუსტე?!

სალომემ მრავალმნიშვნელოვნად გადაატრიალა თვალები, დინჯად, ფეხსამოსის თანაზომიერი ქრატუნით ჩაიარა კრძელი დერეფანი, ორიოდ წამით გასცდა მთავარ შესასვლელს, სამზარეულოსაკენ გაეშურა... მყისვე მეორედ მოისმა ზარის ხმა. ახლა აჩქარებული მიუახლოვდა მთავარ შესასვლელს, გაიღო კარი ერთდროულად — შესასვლელისა და გვერდითი ოთახისა, საიდანაც მერი გამოვიდა. უპირველესი, რაც მან მთავარ შესასვლელში გაარჩია, ეს იყო საოცრად მშრალი, ცარიელი, უსიცოცხლო თვალები, ნამდვილად შუშის თვალები, რაც არ შეიძლება გამოეპაროს პედაგოგს, არ შეიძლება დიდხანს გამოცდელად, გამომწვევად არ დააკვირდეს. ასეთი თვალები იშვიათად არ შეპყრებენ მასწავლებლებს მერხებიდან; ასეთი თვალების პატრონა, — გამოცდილმა პედაგოგმა იცის, — ან რალაც გამორჩია, დაეკარგა მთავარი აზრი, ველარ მიხედრილა, რას უხსნიან, რაზე ესაუბრებიან, ანდა საერთოდ არაფერი გაეგება. პირველი არაფერი, პირველის ხსნა იოლად შეიძლება, პედაგოგი გაიმეორებს, უფრო საგულდაგულოდ გაიმეორებს და თვალებიც გამოცოცხლდება, შუშის თვალები ნამდვილ თვალებად გადაიქცევა. მაგრამ მეორეს რა ეშველება? ეს ვერასოდეს ვერ გაიგო მერიმ, ვერც ვერაფერი უშველა, თუმცა ბევრჯერ ეცადა, როცა უფრო ახალგაზრდა იყო, უფრო მშვიდი, უფრო გულმოღვინე იყო, ჰო, ბევრჯერ ეცადა და ბევრჯერვე ძარღვები მოიშალა, ეს იყო და ეს — უცვლელი შედეგი მისი ცდებისა. მერე მხოლოდ აპრწუნებდა

ასეთი თვალები, აპრწუნებდა ყველგან, სადაც არ უნდა შეხვედროდა, ცანცა უნდა ყოფილიყო, თუნდაც ხმით, ცანცა თანაც საქმე არ ექნებოდა არასოდეს. ამიტომ შეერთა, ამიტომ ერთხანს იმ თვალების მეტი არაფერი დაუნახავს, — არც ის, რომ გულზე უშველებელი ტორტი მიეყულებინა, არც ის, რომ ეცვა უძვირფასესი დრაფის პალტო, ესურა ახალთახალი ლურჯი ქუდი, ისე ახალი, ჯერ ჩანაქცებიც არ ჩამტკიცებულყო. ბოლო შემდეგ კარგად გაარჩია უძვირფასესი ყავისფერი კოსტუმი, ვიწრო მხრები, ისე ვიწრო, სამხრებში ბლომად ჩატანებულ ბამბასაც ვერ დაეფარა, განიერი მენჯი, ისე განიერი, მხრებიდან შვეული რომ დაეშვით, კარგა ბლომად ჩათლა დასპირდებოდა ორივე მხარეს; საგრძნობლად მაღალი მკერდი, ზურგიც მაღალი, რაც შემორგავლებულ, ჩარხში გამოყვანილის სახეს აძლევდა; მოყავისფრო სახის კანი და თხელი, ძალიან თხელი მოშავო თმა, მარცხენა საფეთქლიდან გადაკეცილი. ყოველივე გაარჩია მერიმ, ვიდრე სალომე წარუდგენდა... ოღონდ სალომემ საზეიმოდ, თითქოს დიადის მათუწყებელ კილოსე განაცხადა: „ლევან ქურდოვანიძე“ და შემდეგ მისი ღირსების დასამტკიცებლად დაუმატა:

— ბატონ ლევანს ვთხოვე, სხვებს არ დალოდებოდა, ადრე მოსულიყო... ათ საათზე მოვალ, შემპირდა და აი... ჰა. ჰა, ჰა! ასე იქცევიან ბრწყინვალე კავალრები! — ბოლო სიტყვები რუსულად ითქვა, ოღონდ ქართულად გადმოცემით, რადგან სალომე უცხოის მოკერაედა თუ არა თვალს, უსათუოდ რუსულ-ქართულად ამეტყველებოდა, ამ თვისებას მოკლებული არ იყო ბევრი სხვაც, თუნდაც იგივე ლევან ქურდოვანიძე, — საერთოდ უდიდესი ნაწილი სალომეს სტუმრებისა და, თუ ზუსტად დავიცავით მათი მეტყველება, დიალოგები აგვიკრეღდება, ენა დაგვიზიანდება. მხოლოდ, იცოდეთ, განსაკუთრებულად ამაღელვებელი, ან უადრესად მგრძნობიარე წინადადებები სალომეს

ირგვლივ, თუ შინაურები არ არიან, ქართულად არ გამოითქმის... და უნდა განიცადოთ კიდევ უფრო ამაღლებულად. ვიდრე გადმოკაცემთ: „ასე იქცევინა ბრწყინვალე კავალრები!“.

— ოჰ, არა, ეს მეცნიერული ჩვევაა, მეცნიერული პედანტიზმია! — ლაბაბი ჩამოღწევა და ისე განაცხადა ლევანმა.

— პედანტიზმი საუკეთესო გაგებით! — ჩაურთო სალომემ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — მსურაფლ დაატანა ლევანმა, თანაც თავი ცოტა უკან გადახარა, წინ წაიშვირა მოყვანსა და ლაბაბი. — პედანტიზმი საუკეთესო გაგებით, მეცნიერული პედანტიზმი, რომელსაც აუხსნია და კიდევ ახსნის ბუნების ბევრ საიდუმლოებას! — ყველაფერი ესა თქვა ხელის ჩამორთმევის დროს და მერის საშუალება ჰქონდა კიდევ უფრო ახლოს, თითქმის სულიერი მოძრაობის დროს, დაკვირვებოდა ჩოხის მიწის ოდენა თვალს, რომლებიც ლევან არ ირხეოდნენ ვითომც გასანთლული ძაფით მივებათ ამ მთლად თუთიით ჩაედლებინათ ფოსობში.

„ესეც ლევან ქურდოვანიძე!“ გაიფიქრა მერამ და რომელიღაც ძარღვმა გაუხშიანა გულში, ვინ იცის, უბრალოდ არ გაუხშიანა, ვინ იცის, ჩაწყდა, ალბათ ჩაწყდა, რადგან ტყვილი იკრძნო, მარცხენა მხარე ჩამოუვარდა სწორედ ხელის ჩამორთმევის დროს, როცა მისი პატარა ფუნჩულა ხელი ცურავდა მსუქან, თითქმის ლორწოვან ხელბში. მაშინვე ერთი შედარება გაახსენდა ზღაპრებიდან, მაგრამ არ ითქმის. ეს კიდევ უფრო უამრად წარმოგვიდგენს ლევან ქურდოვანიძეს. ისედაც გამკილავე, წუწნია თვალით, მერის თვალით შევეფეთეთ მას, გამოჩნდა თუ არა. „აი, როგორი ყოფილა ლევან ქურდოვანიძე!“ რა მოუთმენლად ელოდა მერი მასთან შეხვედრას, როგორ აქებდა სალომე, რა იმედები ესახებოდა იმედი, ჰო, იმედი რა დასაკარგია, გარეგნობა ხომ ვერ განსაზღვრავს შინაგან ღირსებას, ნიჭიერებას...

ესეც არ იცის, განა უცნაური და მუჟრია გემოვნება? — ზოგს მოსწონს, ზოგს არ მოსწონს ერთი და იგივე რამ და არაეინ იცის, ვინ უფრო მართალია. მერის თუ არ მოეწონა, ისაც უეცრად, პირველ შეხვედრისთანავე სხვებს ხომ მოსწონთ, სალომეს ხომ უთქვამს, ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამს, ქალები მისთვის გონებას კარგავენო. მამ არ შეიძლება უეცარ შთაბეჭდილებების აყოლა, მით უმეტეს, დაეკვება შინაგან ღირსებებზე, ნიჭიერებაზე: „ეს სხვაა, სულ სხვაა! მაგრამ თვალები?!“ — ისევე გაუელვა მერის, განა მართლა გარეგნობაა თვალები.

ამ ფიქრით მიაცილა მერამ ლევანი და სალომე ახოლონის „სამშუო კაბინეტ-მდე“ და შებრუნდა უკან თავის ოთახში, „მერის ოთახში“, — ასე უწოდეს ერთ პატარა ოთახს სამწარეულოს გვერდით თბილისში მერის დასახლების შემდეგ. — დაიბ, შებრუნდა, თავდახარით შევიდა, რადგან იცოდა, ეთერი გამომძიდელ თვალებს მიაპყრობდა, იცოდა, მართლაც ასე იყო, ცოვად, დაკვირვებით შეპყრებდა დედას, რომელიც კარებთანვე დაიხარა, კარის ფარდა შეასწორა, ვითომ რა შესწორება უნდოდა ჩაკეცილ ფარდას? მერე უკებ შეტრიალდა, ზურგიდან მოექცა ეთერს და კულულები დაუწყო, უფრო სწორედ — აუშალა და დაუწყო. რა მოხდებოდა ამის შემდეგ, რას იკითხავდა ეთერი, რას ან როგორ უბასუხებდა მერი? — ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ საამისო დრო აღარ დარჩენილა, სალომე შეგრიალდა თუ შეტრიალდა, სახეანთებული, ბედნიერი, „წავიდეთ, ეთერ, — სიცილით თქვა სალომემ, — ხან ერთ კარებს მიაშტერდება, ხან მეორეს, ვერ მოუხსენია, ვერა და ვერ გაართო ახოლონმა, შენ გეღის...“ — ისე სწრაფად თქვა, ისე სწრაფად გაიტაცა ეთერი, რომ მერის ხელი გაწვილი დარჩა.

ამ შემთხვევაში იქნებ არაფერს ახვიადებდა სალომე. ლევანს თვალი კარებისაკენ ეჭირა, მოუთმენლად ელოდა ეთერის გამოჩენას და დაინახა თუ არა,

იმ წუთს რომ მერა შესწრებოდა, ეგებ უძრავ, უნიცოცხლო თუ ფოსოებს შეედლებულად არ მიეჩნია მისი თვალები. ან თვალების დანახვას ეინ მოასწრებდა, სწრაფი მოძრაობა პფარავდა ასეთ წვრილმან რამეს, როგორც ავალეზია. პო, წამოვარდა უეცრად სავარძლიდან და ისე გაჰკრა გვერდი პატარა, მრგვალ მაგიდას, მეორე მხარეს აპოლონი რომ არა შედარაიყო, ხელი არ შეეშველებინა, აყირავებოდა მაგიდა, აყირავება არაფერი — ძვირფასი ბროლის სურა დაიშხვრეოდა. „არაფერი! არაფერი!“ — სწრაფად და აღელვებით იძახდნენ სალომე და აპოლონი, აქაოდა ლევანი არ შეწუხდეს, გაცნობის წუთები არ მოეშხამოსო. მაგრამ საჭირო არ იყო ეს დამამშვიდებელი, ოღონდ მღელვარე ამოძახილი, ლევანს არაფერი შეუშინებია, ორივე ხელი ჩაეველო ეთერისათვის და შესცინოდა, შესცინოდა რაღაც უცნაურად, ალბათ ბედნიერად...

— დაბრძანდით, — ისევე სალომე შეეხმინა, მრგვალ მაგიდასთან ერთიმეორის მახლობლად მიუდგა სავარძლები ეთერს და ლევანს... ლევანი ისევე ბედნიერად იცინოდა, დაბნეულად ეპასუხებოდა აპოლონს, რომელიც მოწონებით ისხნებდა ვიშინისკის სიტყვას გენერალური ასამბლეის სესიაზე.

ლევანი აღტაცებული იყო... ლევანს კი არა, თვით აპოლონსაც მოსწყვეტა თვალი, ისე მშვენიერი იყო ეთერი იმ საღამოს. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ იმ საღამოს, საერთოდ მომხიბლავი იყო ეთერი, ოღონდ მაშინ უფრო მეტა მშვენება და მომხიბლავობა მიიჭებოდა, თითქოს თავს დასდგომოდა რაღაც იღუმალი შექი და სანაულებრივი მშვენიერებით მოსავდა მის ყოველ მოძრაობას, წამწამთა რხევას, ბაგის გახსნას, ყელის მოღერებას თუ ხელის აწევას. იგი იჯდა როგორც დედოფალი მშვენიერებისა.

სალომე გავიდა. მალე აღტაცებული შემოიჭრა, მიტევაბა ითხოვა და გაიხმო აპოლონი. შთაბეჭდილება ძლიერი იყო, თითქოს რაღაც მოხდა, ეთერი უნებლიეთ შეკრთა, სალომემ ხელის აქნევი-

თა და თვალთა მინახვით გაუქარწყლა...
ისინი მარტო დარჩნენ. **ერკონულში**
პო, მარტო დარჩნენ ეთერს და... **1925-26**
ვანი.

— როგორ ეწყობით ზამთარს? — ასე გატეხა სიტყვა ლევანმა, ამინდით დაიწყო, ამაზე უფრო იოლად მოსაძებნი, ამაზე უფრო საერთო თემა ხომ არ არსებობს, — რა აღრე დაიწყო ზამთარი, რა აღრე ჩამოჰყარა თოვლი... ვერაფრად სასიამოვნოა!

— რატომ?! — გულწრფელად გაიოცა ეთერმა, — ან სიამოვნება რა შეუშია! თოვლი აუცილებლად საჭიროა, საჭიროა ქინახულისათვის!

— როგორ თქვით? — დაატანა ლევანმა, — „ქინახულისთვის“, „ქინახულისთვისო“, არაა?! კარგია — ქინახული, ქინახული... სოფლურია, არქაული. ახლა ასე აღარ ამბობენ, „მოსავალიო“, „მოსავლისთვისო“, ასე იტყვიან, დიახ, მოსავლისთვის მართლაც საჭიროა თოვლი, მაგრამ თბილისში!

— თბილისით ხომ არა თავდება ქვეყნიერება? — ჩაუბრუნა ეთერმა, — ან თოვლი საზღვრებს ხომ ვერ დაიცავს ქალაქებსა და სოფლებს შორის?

— რა თქმა უნდა, ვერა! ჰა, ჰა, ჰა... თოვლი საზღვრებს როგორ დაიცავს?! — გაიციან ლევანმა და დაეფშხალა ტუნების მიდამოები. მერე უეცრად გადაიყარა ნაოქები და იკითხა: — როგორ მოგწონთ „აბესალომე და ეთერის“ ახალი დადგმა?

— მომწონს! — ცოტა დაყოვნებით მიუგო ეთერმა. თანაც ზოგადად უთხრა, მომწონსო. ჩანდა, ფრთხილობდა, თუ არა სიფრთხილე, დაუყოვნებლივ უპასუხებდა, რომ არ შეუძლია განსაკუთრებული რამის თქმა ახალ დადგმაზე, არ შეუძლია შედარებები, რადგან წრევანდლამდე სოფლად ცხოვრობდა, პირველად დადის ოპერაში, პირველად დაესწრო „აბესალომე და ეთერს“, ცხადია, ასე უპასუხებდა ბუნებრივი ეთერი, სიტყვა თავისთავად, ბუნებრივად მოადგენას, მაგრამ მოიკუმა, შეიყრა კრიკა, სიფრთხილემ შეჰკრა. აბა, ნუ გაფრთ-

ხილდებოდა, წინ ედო მაგალითი „ქონახელი სოფლურია... აქ ასე არ იტყვიან“... დიან, აბა ნუ გაფრთხილდებოდა, ვინ იცის, რა შენიშვნები მოჰყვებოდა მის სიტყვა-პასუხს! ვითომ რატომ არ უნდა გაფრთხილებულიყო უცხო ხალხთან, რად არ უნდა დაეცვა მეტი ზომიერება, რად უნდა ყოფილიყო გულწრფელი, თუკი ვნებას მოუტანდა საკუთარ ღირსებას?! ასე შთაგონებდა დეიდა სალომე, არცთუ იშვიათად ენიშნებოდა დეიდას ნათქვამი და, მამ, რა ექნა, არ გაფრთხილებულიყო? აი, ამ ფიქრმა შეაფოცნა ეთერი, ამან ათქმევინა ზოგადად — მომწონსო, არა ტყუოდა, არა ცბიერობდა, მხოლოდ ღირსებას იცავდა.

— მეც ძალიან მომწონს! — ზეისვე დაატანა ლევანმა, — პირდაპირ მოხიბლული ვარ! მხატვრობა ხომ ვადასარგვია! თქვენ როგორ ფიქრობთ?

აქ ეთერს უცებ გაახსენდა ტროლეიბუსში შემთხვევით გაგონილი საუბარი და თითქმის სიტყვისიტყვით გაიმეორა:

— მაგრამ საოპერო სპექტაკლი მხოლოდ რეჟისურა და დეკორაციები ხომ არ არის?! სადღა არის სარაჯიშვილი?!

— ოხ, სარაჯიშვილი! მღელვარედ აღმოთქვა ლევანმა, — სარაჯიშვილი განუმეორებელია!

თქვა ეს ლევანმა და ეთერი გაოცდა, რადგან ესეთივე სიტყვები გაისმა სპასუხოდ ტროლეიბუსში. შეიძლება ეს შემთხვევითი დამთხვევა იყო, ვინ არა ნატრულობს სარაჯიშვილს, ვის არ მიანიხნია განუმეორებლად, მით უმეტეს, ამ ბოლო წლებში, როცა ქრეანტელით უსმენენ ხმა და სმენაწარმოებულ მიმღერლებს. პო, ეს შეიძლება აზრთა დამთხვევა იყო, მაგრამ ნუთუ ყოველთვის აზრთა დამთხვევაა, ანდა ერთნაირ აზრს ერთნაირი წყობით გამოხატავენ, რომ ასე საოცრად ერთნაირია ყველგან გაგონილი საუბარი? არა, აზრთა თანხედენილობა არ უნდა იყოს, დაუფიქრებელი განმეორება უნდა იყოს ერთხელ გაზეპირებული, უკვე მრავალჯერ შემოწმებული ზნეობრივად უხიფათო წინადადებებისა. პო ასე უნდა იყოს,

ასე, ვიდრე ყველა შეიცვლიდეს აზრს ანუ სიტყვა-პასუხს. ასე რომ, ეთერს თავძალდატანება აღარ დასჭირდებოდა, ისე შეუძლო საუბრის გაგრძელება, გაგონილის გამეორება, ბაგეც გახსნა გასამეორებლად, მაგრამ ლევან ქურდოვანიძემ კიდევ გადაინაცვლა, გამოცვალა სასაუბრო თემა:

— რა აზრისა ხართ განწყობის თეორიაზე? თქვენ ხომ ფსიქოლოგი ხართ! თქვენი პოზიციია გექნებათ ამ ახალი თეორიის მიმართ...

და ეთერს, ნამდვილ, ბუნებრივ ეთერს, აქაც მოადგა ენაზე, რომ ის პირველი კურსის სტუდენტია, ჯერ მხოლოდ ზოგად ან დამხმარე საგნებსა სწავლობს, განწყობის თეორიაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ საერთო წარმოდგენა აქვს და, ცხადია, გარკვევით ვერაფერს იტყვის, ვიდრე საკითხს ღრმად არ შეისწავლის. მაგრამ ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდაო, მით უმეტეს. ასეთ კაცთან, რომელიც უფრო გამოცდილსა ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივს მოსაუბრეს. იგი მხოლოდ შეკითხვებს იძლეოდა, ერთი საკითხიდან მეორე, დიდად დამორბეულ საკითხზე გადადიოდა, როგორც უხეირო გამოცდილებმა იცინა. ეთერიც უნებლიეთ ექცეოდა გამოსაკვდილი სტუდენტის მღვდომარეობაში, სტუდენტისა, რომელიც არაფერს დაიშურებს, ოღონდ უფრო მეტად მოგაჩვენოს თავი, ვიდრე არის, უფრო მეტი ნიშანი დაგვიწყოს, ვიდრე ეკუთვნის.

ეთერმა ღირსეული ქალიშვილის მომხიბლაობით განაცხადა:

— განწყობის თეორია განსაკუთრებული მოვლენაა ფსიქოლოგიაში. ეს თეორია თავისებურად აყენებს და წყვეტს მთელ რაგ მნიშვნელოვან პრობლემებს, რასაც უდავოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა არ შეუძლია ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას. — თქვა ეს და თან გაიფიქრა: „განსაკუთრებული... განსაკუთრებით... რას

ვაშობ, რა უაზრობაა, ღმერთო ჩემო, რა დღეში ვარ! საღ არის დეიდა სალომე!“ და სახეზე გადაჰყარა რაღაც მკრთალმა ჩრდილმა, თითქოს განგებ მოვლენილმა მეტი მომხიბლაობისათვის.

ლევანს არ გამოჰპარვია მომხიბლაობის ეს ახალი ელფერი, მეტი სიამოვნებისა თუ მღელვარებისაგან სავარძელზე ცმუკვა და ხელების ფშვინტა დაიწყო, ოღონდ როგორც სწავლული, მეცნიერი ხომ ვერ დასთმობდა თავის „პოზიციას“? განა ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაშიც „პრინციპული“ არ უნდა ყოფილიყო? რაღა თქნა უნდა „პოზიცია“, „პრინციპულად“ თავში უელავდა ეს მეცნიერული ტერმინები და მცირე ხნით იოკებდა სიამოვნებას ან ცდილობდა შეეხამებინა მეცნიერული სიბრძნე და სიამოვნება მომხიბლაობისა თუ, რომ აღტაცებულიყო ეთერი.

— თქვენ მსჯელობთ, როგორც განწყობის თეორიის პრინციპული დამცველი, — თქვა ლევანმა, — თქვენი პოზიცია განწყობის თეორიის მიმდევრის პოზიციაა და, რაღა თქმა უნდა, ყოველი, თუნდაც ოდნავ საწინააღმდეგო, აზრი ალგაშფოთებთ. მაგრამ რაოდენ პატივსაც არ უნდა გცემდეთ, მანაც უნდა მოგახსენოთ...

ხომ იცით, შე ასეთ შემთხვევაში საესებით ვეთანხმები არისტოტელეს: *Amicus Plato, sed magis amica est veritas*. დიახ, უნდა მოგახსენოთ, განწყობის თეორია ვერ ამართლებს თქვენ მიერ გამოთქმულ პრინციპებს.

„და განა რაიმე პრინციპები გამოვთქვი?! — გაიფიქრა ეთერიმა, — ის ხომ მხოლოდ ზერელე სიტყვები იყო!“ აქ შეიძლება დაეჭვებულიყო, იქნებ მართლა რაღაცა ვთქვი, რაღაც გამომივიდა უნებლიეთო, ანდა, რაც უფრო უკეთესი იქნებოდა, იქნებ დაფიქრებულყო, ვინ იჯდა მის წინაშე, ვინ ესაუბრებოდა, დიდი სწავლული, როგორც დეიდა სალომე ამბობდა თუ... მაგრამ საამისოდრო აღარ იყო, კარი ისევ უღეცრად და ფართოდ გაიღო, სალომეს რომ სჩვეოდა. მართლაც, სალომე გამოჩნდა, ეთერ-

მა შვებით ამოისუნთქა, შვებით მივსვენა სავარძელს, მხოლოდ ერთი წამით, იქნებ ერთი წამითაც არა, მისევე გასწორდა, შიშინანი თვალები გადაავლო მზრებს, კაბა ხომ არ დამეშუქუნაო.

— ხომ არ მოიწყინეთ?! — დიდი მზრუნველობით იკითხა სალომემ და ისიც მაგიდას მიუჯდა.

— არა, რა ბრძანებაა! — ფიცხლად დაატანა ლევანმა, — რა მოგვაწყენს... ვკამათობთ!..

— კამათობთ? — შიშნარევი მხიარულებით გააწყვეტინა სალომემ, — შენგან მივირის, ეთერ... სტუმართან კამათი... ახლავე კამათი... ჰა?! სტუმარს გართობა უნდა და არა კამათი!

— ჩვენ მეცნიერულ საკითხებზე ვკამათობთ, ეს გართობაცაა და გონების საზრდოც — ღირსეულად განმარტა ლევანმა.

— ვეშმარტი ბრძანებაა, — დასძინა სალომემ, — ოღონდ ზოგჯერ სხვა შესაქცევარიც უნდა მასცეთ გონებას, უნდა დაინდოთ, უნდა მოასვენოთ ნამდვილი გასართობით. თქვენ ხომ ჩვეულებრივი ახალგაზრდა არა ხართ, რომ ასე მოექცეთ თქვენს ნიჭსა და შესაძლებლობას?! ჰა? რას იტყვი, ბანქოს არ ინებებთ... — და უღეცრად საიდანაც გაჩნდა ბანქო სალომეს ხელში.

— ბანქო? ჰა, ჰა, ჰა... კარგი შესაქცევია! — მოიწონა ლევანმა, ხელიც წასწია ჩამოსართმევად, დასარიგებლად. მიაწოდა სალომემ, ოღონდ ლევანის თითები შეეხო თუ არა ბანქოს, ისევ უკან გაიტაცა, გაიტაცა კეკლუცად, შუახნისა და მსუქანი ქალის კეკლუცობით, სიმკვირივლით.

— ჰა, ჰა, ჰა... — გაიცინა სალომემ, — გინდათ თქვენი თხოვაობა? ჰა?

— მიმიკითხოთ? ჰა, ჰა, ჰა... სიცილი მორთო ლევანმაც, — საინტერესოა, საინტერესოა თქვენი მკითხოება, ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ, არაფერი მწამს!

— რა უნდა გწამდეთ?! — გაიცინა სალომემ, — ღმერთო ჩემო, რა გაფრთხილება მინდა, აბა რა უნდა გწამდეთ?!

მაგრამ ამა, ჩაიფიქრეთ, ჩაიფიქრეთ, გეტყვი, რაც უნდა გწამდეთ!

ლევანმა ტუჩზე მიიღო ატურის ქალი და ისევ სიცილით იცითხა:

— მაინც რა?

— თქვენი ბედი! მე ამოგიცნობთ ბედს!

ესეც სიცილით ითქვა, ისევ იცინოდნენ, ეს მართლაც გართობა იყო, დიდი გონების დასვენებას ჰგავდა, თუ იქ მართლაც მოიპოვებოდა დიდი გონება..

ეთერი მიხვდა, — არც ისე გულუბრყვილო იყო ვერ მიმხვდარიყო, — თამაშობდა, მსახიობობდა დეიდა სალომე, ბოშა-ქალის ხელის სისწრაფით შლიდა ქალაღს. ურევდა, აჯვარედინებდა, აღაპყრობდა, ან ატრიალებდა თვალებს, ღიმი გადაეცლებოდა, ან უეცრად გადაეკრიფებოდა სახიდან, რაღაც ჩააფიქრებდა, მერე ისევ სიხარული გაუსხნიდა შუბლს. ეს იყო მართლაც მსახიობობა. როცა ლევანს მოთმინება დაეღია და ვითომ ხუმრობით, მაგრამ ნამდვილად მწყურალად წამოიძახა: „სათქვით, მალე სატვით, რა არის ჩემს თავს, სული დამელია!“

ეს კიდეც არაფერი, ამ შემთხვევაში ეგებ ზოგი რამ გამოჰპარვოდა ეთერს, რალა ზოგი რამ, გამოეპარებოდა თამაშის მთავარი „ზრი, სიტყვებს რომ არ დაჰკვირვებოდა: „აი, დახედეთ კარტს, — საზეიმოდ ამბობდა დეიდა სალომე მას შემდეგ, რაც ყვავის ცხრიანი რამდენჯერმე წინ წამოუვარდა, ვიღრე, თითქოს შეუძნეველად, ძირს არ დაავლო, — ყველაფერი თქვენს ბედნიერებას, დიდ ნიჭსა და მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას ღაღადებს... მაგრამ ეს თქვენც იცით. აი! ახ, ეს სიყვარულს ნიშნავს... სიყვარულს. რაღაც დაბრკოლება. ჯიუტი იერიშები, სასიყვარულო იერიშები, რა თქმა უნდა. ბედნიერება, ბედნიერება, ბედნიერება ჰა, ჰა, ჰა!“ — ეს ისე აშკარა იყო, ისე აშკარა, ეთერის გონიერება და ალღოც არ იყო საჭირო მისახედრად. მყისვე მიხვდა, მიხვედრა და ცეცხლის წაქიდება ერთი იყო, წაიწია კიდეც, რომ ბანქო წამოეკრიფა, გადაე-

ყარა, ან ეყვირა: მიჭარვია! მაგრამ მაშინვე გაუელვა ფიქრმა, რაზე მსუბუქი აფეთქებას უსათუოდ უზრდელობას დაერქმევა, ელვისუმაღ ხმა გაეარღება და თავი მოეჭრება მთელს ქალაქში, — ასე აფრთხილებდა ხოლმე დეიდა სალომე, — მერე წადი და უყარე კაკალი, წადი და ამტყეც, ეს მდგომარეობაო, ეს გრძნობაო, ესაო, ისაო, ყურს ვინ დაგივლებს, თავს ვინ გამოიღებს...

არა, უსათუოდ სიფრთხილეა საჭირო, სიფრთხილე და თავშეკავება. თანაც, ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ თამაშია, გართობაა. რატომ არ უნდა გაერთოს ეთერიც, რატომ არ უნდა იცინოდეს უზრუნველად, ისევე როგორც სტუმარი იცინის. ოღონდ ლევანი მართლა უზრუნველად არ იცინოდა, გულსხმიერად იცინოდა, მოსწონდა, ეამებოდა, ახარებდა სალომეს ნათქვამი, ტბებოდა და იცინოდა, ქვეაშა უჯდებოდა და იჯვრებდა. ვითომ რა იყო დაუჯვრებელი: სიყვარული? ეს ყველაზე სარწმუნო იყო, ნამდვილად სარწმუნო, არაფერია საკვირველი, ქალაღსზე გადაშლილი მისი გრძნობა, მისი გატაცება — ეს მშვენიერი ქალიშვილი, სექტემბერში რომ მოველინა უნივერსიტეტს და ხან საით, ხან საიდან ქურციკივით გადაუხტებოდა ხოლმე ლევანს... ო, ისე კარგი იყო, ისე მომსიბლავი, ღამის ზომიერება ღამიერგოდა ლევანს, ღამის დერეფნებში გაკიდებოდა იმ ქურციკს, ხელი წაეტანებინა, ჰო, ღამის, ყოველშესთხვევაში, არა ჰგარავდა თავის აღტაცებას, ისე რომ იარა, იარა ამ აღტაცების სიტყვამ, მაღწია სალომემდის, და იჯდა სალომე, როგორც ჯადოქარი, გამალებით ატრიალებდა მსუქან მკლავებს, შლიდა ქალაღს, აღაპყრობდა თვალებს, ღელუნებდა, ღაღადებდა — სიყვარულიო, სიყვარულიო...

V

ისინი გაერთნენ... პირველი სტუმრები ლევან ქურდოვანიძის შემდეგ. ანუ თერთმეტი საათის შემდეგ, ნერიმ მიიღო. პირველად მოვიდა თამარი — უფ-

როსი და მეუღლით, ლეონ ბადრიაშვილით, რომელმაც შემოსვლისთანავე ისეთი უცნაური სურვილი გამოამჟღავნა, რომ დები საგულისგულად ვერ მიესალმნენ ერთმანეთს, სად არის ეთერი, მომგვარეთ, უნდა დაელოცო და წავიდეთ. ამა რაღა მისალმებისა და მოკითხვის სიმშვიდე შერჩებოდა მერის, გაციდა, ისე გაციდა, საყოცნელად გაშვერილი ტუჩები მოსწყვიტა თამარს და სახეგაიდიდებული მიუბრუნდა ლეონს: „წავიდეთ?! რა ბრძანებაა, ჯერ სტუმრები არც მოსულანი!“

— მე ის კაცი ვარ, ვინც არავის ელოდება! — რიზიანად განაცხადა ლეონ ბადრიაშვილმა. ხმის რიზი და მკეჭარება ისევ ძველებურა შერჩენოდა, თუმცა გაეტება ასაკს, დაუდგრომლობას, დატრიალდა ომში დაკარგული შვილისა, ყველაფერი დასტყობოდა, ამჟამად ეტყობოდა, უმოკმედოდ ან მდუმარედ თუ იყო, ხოლო რადგან უმოკმედოდ არასოდეს იყო, წარდილულიყო დაღი ხნოვანებისა, სოცნეა-ჯაფისა, დარდისა, წაჩრდილულიყო, დაფარულიყო, როგორც ახლა, მკეჭარე ხმის ქვეშ ძალოვნებისა და დიდი ზემოქმედების ეშხი რომ მისცემოდა. უთუოდ ამიტომ მერამ სიტყვა ვეღარ შეჰბედა, თამარს შეხედა თხოვნით აღსაცხე თვალებით. მაგრამ თამარმა მხოლოდ ღრმად ამოისუნთქა, უიმედოდ გაიქნია თავი და კრინტის დაუძვრელად გაემართა სალომეს ოთახისაკენ. მაშინ მერამ აპოლონი ჩხმო. მერე რაო, იმანაც ვერ ივარგა ფარ-ხმალად. ლეონმა ყურის აღარ უგდო თხოვნას, განმარტებას, მთელი ხმით დასუქება: — ეთერ, სადა ხარ, ეთერ! — და ეთერაც გამოიჭრა, კისერზე ჩამოეციდა ძია ლეონს. მერამ ახლა ეთერი მოიშველია ლეონის გასაჩერებლად, მაგრამ ამაოდ, ხვალ საქმე მაქვს, თანაც ეს რაღაც ვაზშამ-ღამისთვე-არისტოკრატიობანა არა იწამსო.

აქ სალომემ გამოიღო თავი:

— მადლობა ღმერთს, დროზე მოვიჩით პროლეტკულტურშინისას, უკან ნულარ გვეწვი! — ხუმრობანარევი წყრომით თქვა სალომემ, თან ღია კარი-

დან ბოდში მოხვდა მარტოდ დარჩენილ ლევან ქურდოვანიძეს, პალონიც ანიშნა, შესულიყო მასთან. ასე იყო ყოველთვის, შეუმჩინეველ-მოუწყისრებელი არაფერი რჩებოდა თავის ფრონტზე.

— მე მხოლოდ წინ გეწვიეთ! — დაატანა ლეონ ბადრიაშვილმა, — ქირსაც წაუღია ყოველგვარი „შიჩინა“... მე ხვალ არა მცალია, ღამეს ვერ გავათევ, მორჩა და გაათავდა!

— მოცილილი ვინ არის, — კარებში, მხრების აჩეჩით წაიოძახა აპოლონი.

— ჰო, ვიცით, ვიცით, რა მოუტლელიცა ბრძანდებით, ჩემო ქვისლო! — დაუნდობლად გადაუჭრა ლეონმა.

აპოლონი ფრთხილად მიხურა კარი ლეონ ბადრიაშვილის გამჭირდავი სიტყვების გადასაღობად.

— ჰო, მარტო შენი თავი მიგაჩნია მოუტლელად... თითქოს მთელი ქვეყნის საქმეს შენ აკეთებდე! — მხრების რხევითა და წამწამთა მოხშირებული ხამხამით თქვა სალომემ.

— ნუ ქნას ნურადერმა ძალამ, რომ მე შემრჩეს ქვეყნის საქმე, ისედაც მომრავლდნენ უსაქმურები... ქვეყნის საქმეს ხალხი აკეთებს, ხალხი! — დაიძახა ლეონმა, — ახლა თასი მომეცით, ფილა მომეცით, რაც გინდათ, მომეცით, ჭიჭა თუ ყანწი, მომეცით, დაელოცო ჩემი ეთერი, კარგი, ძალიან კარგი ეთერი! — აქ ხელი მოხვია ეთერს, ფილაც მიართევს და განაგრძობ: — თუმცა ეს დალოცვა კი არა, სურვილი იქნება, ჩემი სურვილი, სურვილი პირველი წრთობის კონუნისტისა, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება ფანატიკურად სწამდა ცხოვრების სრული განახლების შესაძლებლობა, აღამიანის სრული გარდაქმნის შესაძლებლობა, და ფანატიკურად იყო თავდაწირული რევოლუციონისტისთვის. სწამდა და აუხდა, ბევრი რამ აუხდა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ამას საგულდაგულად გასწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორები, ოღონდ ჩემგან ეს დაიხსომე, ჩემო ეთერ, მოულოდნელად აღმოვაჩინე, ჰმ, აღმოვაჩინე... რაღაც უცნაური თვისებები, სიხარბის, მითვისების,

წაგლეჯის, მექთასობობის, მოლაყებო-
ბის, მეტიჩრობის, ცბიერების, მატყუა-
რობის, ჩაგვრის... კიდევ ჩამოვთვალო?
კმარა, კმარა ეს ათასგვარი უქულმართო-
ბა, რაც ხელ-ფეხში გეკვებლანდება, გვა-
ლელეებს, გვაბრაზებს, გვაპარისხანებს,
რაც უნდა გამჭრალიყო... გვეწმინდა, მალე
გაჭრებოდა, მაგრამ არ გაჭრა... არ გამ-
ჭრალა... შენ აცვილდეს მთელი ეს ლე-
ქი, იყავი ხალასი, წმინდა, სპეტაკი, ასე
სუფთა და ალალი, როგორც დღესა ხარ,
გაფურჩქვნის ასაკში, ცხრამეტი წლის
ასაკში — თქვა ეს, ფალა დასცალა,
კიდევ აკოცა ეთერს და კარისაკენ გაე-
მართა. ისევე სთხოვეს დარჩენილიყო,
კვლავ უარი გაიმეორა. კიბეებზე რომ
ჩადიოდა, სალომემ მაშინაც დაადევნა
დარჩენის სურვილი, მაგრამ იქიდანაც
უარი მოისმა, ოღონდ თხოვნაც და უა-
რიც, მით უმეტეს, თხოვნა უკვე მოღუ-
ნებული, მხოლოდ მოვალეობის მოხდის
ელფერისა იყო.

ამის შემდეგ ზარის ხმა აღარ შეწყვე-
ტილა... დებმა დიდი-დიდი ორი წუთი
თუ დაჰყვეს განცალკევებით. ძლივს
მოსაწრეს ერთიმეორის ოჯახის ამბავი
ეკითხათ: თამარმა — ამოღონს თუ აღ-
ადგენენ, გვიცხადან რა ისმის, ეთერის
როგორი წარმატება აქვს, ლადო სავა-
ნელი ახალ რამეს ხომ არ იტყობინე-
ბაო; სალომემ და მერომ — ციციოს
წერილი ხომ არ მიგაღია, გვანცა და
პატარა პეპელო როგორ არიანო, — ეს,
რა თქმა უნდა, სწრაფად, ზედინზედ მია-
ხალეს ერთიმეორეს, კითხვა-პასუხი
ერთმანეთში ირეოდა, ერთიმეორეს ენ-
ლებოდა. თამარმა მოასწრო აგრეთვე
მოეკითხა ზეინაბი, — სალომესა და მე-
რის შუათანა, აგრეთვე სულ უმცროსი
დაც — ირინე, რომლის მიმართ სალომე
გულყვითილად ვერ იყო განწყობილი,
ახლაც ბანზე აადგო მისი ხსენება, მხო-
ლოდ ზეინაბის გამო შეწყუბდა, სინანუ-
ლი გამოთქვა, რატომ არ შევატყობი-
ნეთ, რატომ არ მოვფიქვითო... სულ ეს
იყო, მეტი ვერაფერი მოასწრეს, დაიწყ-
ეს და დაიწყეს დენა სტუმრებმა. რე-
კავდა ზარი, ხმაურობდა კარი. გაისმოდა

ალტაცების ამოძახილები, სიცილი, სო-
ხოცი, მამებელი ან საბუნებოდ გამომწ-
ვევი გადაძახილები... ყველა ადგილზე ადუ-
გუნდა, ყველა ოთახი აივსო ბოხი თუ
წკრიალა ხმით, ძლიერი რხევითა თუ
ნაზი შრიალით, ბარტყუნითა თუ ბაკი-
ბუკით, ერთი სიტყვით, გამოიქვედა,
ამოძრავდა, ახმაურდა ამოღონის ხუთი-
ვე ოთახი დიდი დერეფნითა და ყოველ-
გვარი სათავსოებით.

ვის არ შეხვებოდით იქ, ნაცნობსა
თუ უცნობს, თვალმოკრულსა თუ განა-
გონს... ნაცნობებიდან თუნდაც „გრი-
გორი სებასტიანოვიჩი“, ეთქვათ, ახლა
უკვე „გორგოლს“ ან უბრალოდ „გრი-
შას“ რომ უწოდებდნენ, დიპლომატიუ-
რი თვალსაზრისით სასტუმრო სიის თავ-
ში რომ ჩაწერა სალომენ. პო, იქ იყო
გრიგოლი, ცოტა შებერტყილი, რო-
გორც იტყვიან, ცოტა ზორცდაყრილი,
ცოტა, სულ ცოტა, მხოლოდ ღაბაბზე
ეტყობოდა, თითქმის ცარიელი კანი ჰქი-
დაო, — გარეთ გაუსვლელობის ფე-
რით, ოთახის ფერით სახეზე, ოღონდ
ხალისიანი, ძალიან ხალისიანი. ხშიერი
სიცილით ხვდებოდა ყოველ ჩახვილ სი-
ტყვას, გატაცებით თამაშობდა ნარდს,
ამბობდა ქებას ახალი უფროსებისა ზო-
მიერად, კარგად, სიტყვა თუ ნიიტანდა.
პო, ამას მაინც გულგატეხილობა არ და-
ერქმეოდა, ნამინისტრალის გულგატე-
ხილობა. ხოლო მის მეუღლეს, ნამინის-
ტრალის მეუღლეს, აშკარად ეტყობოდა,
რომ ძველი სიამაყე აღარა ჰქონდა, ცი-
ვად საუბრობდა, აბრაზებდა ქმრის ძა-
ლაღსიცილი, ძალაღმობიანი, ახლა
მთელს მის იმედებს, სიამაყეს, ამაღლე-
ბის იმედებს თავი მოეყარა ერთადერთ
ასულზე — ლამარაზე, რომელიც მოსე-
ლისთანავე შუაში ჩაუჯდა ეთერსა და
ლევანს, უბრალოდ, თამაშად, და მაშინ-
ვე სიტყვა ჩამოაგდო შენბერგზე, შენ-
ბერგის სისტემაზე, თორმეტ თუ ოთხ-
ოთხწყობიან სისტემაზე, ეგრეთწოდებ-
ულ ახალმოვლენაზე ევროპულ მუსი-
კაში.

ეს უცხო რამ ხილი იყო ეთერისათვის.
იგი უმწეოდ ახამხამებდა თვალებს. ლე-

ვანი, მართალია, თავს იქნევდა, ხშირ-ხშირად იძახდა სადასტუროდ: — „დიახ, დიახ“, მაგრამ, ეტყობოდა, არც იმას გავგებოდა ბევრი რამ. ლამარას რა ენაღვლებოდა, მას სწორედ ეს უნდოდა, ეამაყებოდა, დაე, დასარბებულყევნენ, შეშურებოდათ, რომ მან, აცოდა არა მხოლოდ ვერდი და ჩაიკოვსკი, როგორც ყველამ, არამედ უფრო მეტიც — შეეძლო დაესახელებინა შენბერგის მიმდევრებიც სხვა ქვეყნებში, თუნდაც იტალიელი ლუჯი და ლამიკოლო; შეეძლო ვრცლად ელაპარაკა, ეკამათა ატონალობაზე და ყბადალებულ დოდუაფონიაზე, შეეძლო კი არა, იქვე კამათობდა, ეთერისა და ლევანს შუა ჩამღვარყო, ხელებს იქნევდა, გაცხარებით დავობდა, თითქოს ეთერს ან ლევანს რაიმე საწინააღმდეგო შეეებდათ. მხოლოდ ესაა, რომ ეთერმა მოასწრო ერთი-ორჯერ ჩაერთო სიტყვები — „დეკადენტური“, „ყალბი მოდერნიზმი“ და კიდევ რაღაც ამის მსგავსი, მამ რა ექნა, ხომ არ დაეჩრდილვინებოდა ლამარას. — ეს კია, რომ მაშინვე ლოყები შეეფაკლა; „დედაე ჩემო, რა მაძიებლებს ხმის ამოღებას, რატომ არ გავჩუმდები?“ — შეშფოთებით გაიფიქრა ეთერმა, — რა მაძიებლებს თავი გამოვიდო? — რა თქმა უნდა, შიში, სიამაყის შიში, აქაო-და ვინმემ რამე არ იფიქროს, ეთქვათ, ლამარამ და ლევანმა უცოდინარად არ ჩამთვალონ. არ შევიბღალო მათს თვალში“. სხვა რა იძულება უნდა მოსვლიდა ეთერს! თანაც, სიმორცხვის ფერი რომ გადაჰკრავდა, კიდევ უფრო მეტი ეშხით იღვებოდა.

აბა, საწინააღმდეგოს მოქმელი ვინ იქნებოდა? და ლამარაც უკვე ლაპარაკობდა არტურ ბლისის ოპერა „ოლიმპიელებზე“: ოხ, თქვენ რომ იცოდეთ, რა ბუნდოვანებაა. რა გაუგებრობაა! — გაგრძელებით ამბობდა ლამარა, — მაგრამ ყველაზე დიდი გაუგებრობა იცით, რა არის? „ოლიმპიელების პრემიერას“ „კოვენტ-გარდენში“ დაესწრნენ ჩვენი მუსიკოსებიც. პირველი მოქმედების შემდეგ მათ გააცნეს ოპერის

ლიბრეტოს ავტორი ჯონ პრისტლი „როგორ მოგწინათ?“ იქნებოდა... ლიმ. „იცით, რა, ცუდი არ უნდა იყოს, იღონდ კარგად ვერ გავიგე, ეგებ იმიტომ, ინგლისური კარგად არ ვიცი!“ თავზანანდ მიუვო ერთმა. „შე ინგლისური ენა კარგად ვიცი, უფრო მეტიც, მევე დავეწრე ეს დრამა და მინც არაფერი მესმის მისი!“ აი, რა უპასუხა პრისტლიმ... წარმოგიდგენიათ, ავტორი, რომელსაც თავისი ნაწარმოები არ ესმის!

და ლამარას პასუხისთვის არ მოუცდია, არ შეჩერებულა, უმაღვე ჩინეთში გადავიდა, შეი ლან-ფანის ხოტბა თქვა: „წარმოგიდგენიათ, სამოც წელს მიღწეული მამაკაცი ქალიშვილის როლებში. წარმოგიდგენიათ?“ და თვითონ თითქოს წარმოედგინოს კი არა, მრავალჯერ ენახოსო, ისე ლაპარაკობდა მის ხმაზე, მიმიკაზე, რხევის სინარჩარესა და მუსიკალაზე ოპერაში „თქმულება თეთრ გველზე“...

ჰო, მართლაც საოცარი, დამაყრობელი, დამაოჩნოებელი იყო ლამარა, სიტყვათა ნიაღვრით, მიმიკით, ზომიერი რხევით და მთელი ამ „კოვენტ-გარდენებით“. მართლაც შეიძლება დიდი იმედი ჰქონოდა დედას, დედის იმედი — კარგი სიმე, აი, ისეთი, როგორიც ლევან ქურდოვანიძეა, დოცენტის ხელფასით უნივერსიტეტში, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ხელფასით ფიზიოლოგიის ინსტიტუტში... მაგრამ რა ძალა ექნებოდა ამ იმედს, ამ „კოვენტ-გარდენობას“ სალომეს მოხერხებასა და ეთერის მშვენიერებასთან? იქნებ საამისო ეკვებიც აღბროდა ნამინისტრალის შეუღლეს, იქნებ ამიტომ უფრო დანაღვლიანებულყო.

სხვას ვის არ რად უნდა მოვლებოდა ნაღვლიანობის ელფერი ესოდენ საზეიმო საღამოს, თუ არა ისევე მთავარ დიასახლისს, სალომე კორკოტაძეს, რომელმაც დიპლომატიურ-ტაქტიკური მოსახერხებებით მიიწვია ერთი სახელგატეხილი სტუმარი, ხოლო მოულოდნელად გამოჩნდა მეორეც. ეს უკვე არღვევდა

ტაქტიკურ ზომიერებას, ან დიდი სი-
ფრთხილის, დიდი წონასწორობის და-
ცეას მოითხოვდა. მაგრამ როგორ? ეს ხომ
პროფესორი ნიკო ქიქოძე იყო, რომე-
ლიც თავისი ხმით, მოსწრებელი სიტყ-
ვა-პასუხით, ხატოვანი, ცოცხალი შედა-
რებებით, ჰომერული სიცილის გამო-
წვევი სხარტულობით ყველას ყურად-
ღებებს იპყრობდა. რომელი დადუმდე-
ბოდა, რომელი მოისვენებდა, რომელი
გაუქვენწლავს დატოვებდა ვინმეს, მით
უშეტეს, ათვალისწინებულს, მოღათ და
დაიცივით წონასწორობა, ტაქტიკურა
ზომიერება! ძნელი იყო, ძალან ძნელი.

ამიტომ ჩემად, თავისთვის გულში ხა-
რობდა სალომე, — პროფესორი ქიქოძე
მოსკოვში რომ იყო, ეგონა, მის დაბრუ-
ნებამდე მოასწრებდა წვეულებას და
თამამად გამოთქვამდა სინანულს: ახ,
სად არის ნიკო, ურმისოდ რას ეგვანება
სუფრა, ნეტავ ჩამოვიდოდესო! ნატვ-
რაც ასეთი უნდა, მნატვრელიც ასეთი
უნდა, უგულო ნატვრაც აუბდა სალო-
მეს: იმ დილით დარეკა ნიკომ, ჩამოვე-
ლი, გულს არ დაგწყვეტ, უსათუოდ გე-
წვევიო. ჰოდა, ეწვია, ეწვია საპატიო
სტუმარი, სალომეს სუფრის მშვენიება,
სასიქადულო მეგობარი ამ ბოლოდრო-
მდე, ჰო, ამ ბოლოდრომდე, ვიდრე გა-
უსხენებდნენ ახალგაზრდობისდროინ-
დელ ცოდვებს, ამბებს ოციანი წლები-
სას, როცა ლამაზი, თამამი, მკვერმეტყ-
ველი ახალგაზრდა რასელის მიმდევრად
აღიარებდა თავს. მეო, — ამბობდა, —
შევასრულებ უდიდეს როლს ფილოსო-
ფიის ისტორიაში, მე მოეშლი წინააღ-
მდეგობას იდეალიზმსა და მატერია-
ლიზმს შორისო. ჰო, ასე უთქვამს, იქნებ
ვინმეს სჯეროდა კიდეც, ოღონდ, სულ
მალე მოქმელსაც და გამგონესაც გადა-
ვიწყდა ეს დანაქალი, გადავიწყდათ რა-
სელის სახელიც, კიდეც მეტი: პროფე-
სორმა ნიკო ქიქოძემ, ესე იგი მოქმელმა,
რამდენჯერმე უარყო რასელი, გამოე-
დავა ლოგიკური ატომიზმის საკითხებ-
ზე, ერთი სიტყვით, დაიხსნა სული ეშმა-
კისაგან, — როგორც თვითონვე ხუმრო-
ბდა, — დიდი ხნის წინათ დაიხსნა... რა-

ღა შეიძლება იყოს პატარა, თუ ერთი
ადამიანის სიცოცხლესაც დიდი ხნის და-
ერქმევავო?! — უკვირდით სხვადასხვა
ხასიათის მოწინააღმდეგეებს და მწვავე
პაექრობის დროს. არცთუ იშვიათად,
გადაჰყრავდნენ ლომე: „რასელიდან
ქრის, რასელიდან უბერავს, რასელიდან
მეტს რას ელიო“, — რაც უკვე მეტისმე-
ტად მწვავედ ვაისმოდა; მწვავე იყო
ხსენება იმ ადამიანთან, რომელიც
უკვე ფილოსოფიურ-თეორიულ-სქო-
ლასტიკური ტერმინოლოგიას, ორომ-
ტრიალის გარეშე სრულიად ნათლად,
მკაფიოდ ქადაგებდა ატომური ომის,
საბჭოთა კავშირის განადგურების, მსო-
ფლიო მითავრობის შექმნის იდეას... ეს
მართლაც საოცარი ნახტომია ბუნდოვ-
ანობიდან სინათლეში. ამას რასელის ფი-
ლოსოფიავზე ვამბობთ, პროფესორ ნიკო
ქიქოძემ არ შეეხება. მას ეცხვლეს უკი-
დებდა რასელის თუნდაც უნებლიე ხსე-
ნება, ბრდღენივად, მთელი თავისი
მკვერმეტყველების ბრწყინვალეობით
თავს ესხმოდა ყველა ჯერის სუბიექ-
ტურ იდეალიზტებს, მსჯელობდა, ლამა-
რაყობდა, ქადაგებდა დაქანცულობამდე,
მაგრამ მაინც არ ინდობდნენ უღმობელ-
ნი, არ ივიწყებდნენ ახალგაზრდულ ქა-
დილს: „მე შევასრულებ უდიდეს როლს
ფილოსოფიის ისტორიაშიო“.

სასიკეთო იყო ახლა მასთან მეგობ-
რობა? ესლა აკლდა აბოლონ კორკოტა-
ძის სახელს? როგორ არ შეწუხებულო-
ყო სალომე, როგორ არ შეწუხებულო-
ყო, თითქოს საგანგებოდ პროფესორი
ქიქოძე მეტისმეტად ეფერებოდა აბო-
ლონს, ხელსა ხვევდა, უწოდებდა უძვე-
ლესს, უნეტარესს, უერთგულეს მეგო-
ბარს, — ჩვენაო, ბევრი გადაგვიტანია
და კიდეც ბევრს გადაგვიტანო, — ისე
ქექდა, ისე იქრებოდა ოთახიდან ოთახ-
ში მისი ხმა, კარებში რომ ვინმესთვის
მოესწრო, უსათუოდ წააქევედა.

სანაღვლეზელი და დიდი საზრუნვე-
ლი ჰქონდა სალომეს: სხვა რაშით, ან
სხვა ვინშეთი უნდა დაეპყრო სტუმრების
ყურადღება. მაგრამ ვის შეეძლო მეტო-
ქეობა პროფესორ ნიკო ქიქოძესთან.

მამინ როდესაც დაუშრეტელი იყო მთელი მისი სალარო სიტყვისა, ხანა ყველგან არისო, ნათქვამია. სალომემ ერთი გადაავლო თვალი თავის ამალას და აღტაცებით, აღმოჩენის აღტაცებით წაცუხცუხდა სოკრატ აბაზაისძისკენ, რომელიც ფანჯრის ფარდას გლალობებოდა და თან უცხოენათა ინსტიტუტის ორ სტუდენტ ქალიშვილს უმტიციებდა რაღაცას.

— ბატონო სოკრატ, — ყველას გასაგონად შესაბა სალომემ, — ჩვენ ყველანი აღტაცებული ვართ თქვენი ახალი ნაწარმოებით. ხომ იცით, რა ვგულისხმობთ?! თქვენ იმდენი წარმატება გაქვთ, შესაძლოა უცებ ვერ მიხვდეთ ესაა „მაკბეტი“. „მაკბეტის“ თარგმანი, ახალა თარგმანი, თქვენი თარგმანი... წავეითებთ გამოქვეყნებული ნაწყვეტი, შესანიშნავია... მაჩაბლის შემდეგ „მაკბეტი“ ხელახლად თარგმნა გამარჯვებითა გამარჯვებაა, არა? — სალომე დაუბრუნდა მიახლოებულ სტუმრებს, პატარა წრეს, რომელიც აბაზაისძის გარშემო შეიკრა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — დააწია რამდენიმე ხმამ.

— ვკონებ, ბატონი სოკრატე უარს არ გვეტყვის. — თქვა ისევ სალომემ, — თუ გავბედავთ და გავუმღავენებთ ჩვენს სურვილს წაგვიკითხოს რომელიმე ადგილი ახალი თარგმანიდან!

— არა, არა, არ გვეტყვის, არ გვეტყვის! — ეადევ რამდენიმე ხმამ დააწია. არც თანხმობისათვის მოუცდიათ, ფარდას ჩამოაცილეს. საერთოელი შუა ოთახში დაუდგეს, დასვეს, სრული სიჩუმე ბრძანეს, ხმა გაკმიდეს... თუმცა პროფესორ ქიქოძეს არ უნდოდა გაჩუმება, — ბუბუბული რომ გალობს, ლომიცა ბრძღენავსო, ერთმანეთს ხელს არ უშლიანო. — შინც გაჩუმეს, პროფესორი ქიქოძეც გაჩუმეს, საგულდაგულ მსმენელნიც გამოსტაცეს, ყველას გულისყური სოკრატ აბაზაისძეს შემოუქრიბეს.

განა მოსწრებელი, მოხერხებული, სწორი არ იყო სალომეს არჩევანი?

უდავოდ მოხერხებული იყო ასეთ შემთხვევაში სხვა ვერაინს დასტურდება პროფესორ ქიქოძეს, თუ არა სოკრატ აბაზაისძე, რომლის სახელი, აგერ ორმოცა წელიწადია, არ ჩამოდიოდა ქართული პრესის ფურცლებიდან; ან ისა წერდა, ან მასზე წერდნენ. ყველა სფეროში გამოეცადა ბედი: პოეზია, პროზა, დრამა, კრიტიკა, თეორია — ყველა ენრი თავისუფლად ემორჩილებოდა, როგორც თვითონ ამბობდა. თხზავდა ლირიკულ ლექსებს და ედავებოდა დიდ ქართველ ლირიკოსებს, თან ამტიციებდა — ლირიკა წამყვანია ლიტერატურაში; თხზავდა პოემებს და ედავებოდა დიდ ქართველ ეპიკოსებს, ამასთანავე ამტიციებდა — ეპოსი ძირითადია ლიტერატურაში; თხზავდა დრამებს და ედავებოდა შესანიშნავ ქართველ დრამატურებს, თანაც ამტიციებდა — დრამა ურთულესი, უპირველესი, უძირითადესი ენრია ლიტერატურაში; თხზავდა რომანებს და ევაჟტებოდა დიდ ქართველ რომანისტებს, ამასთანავე ამტიციებდა — რომანზე რთული, წარმტაცია, ამალღევებელი ენრი არ არსებობსო; ერთი სიტყვით, ეს იყო ენცი, რომელიც ასახეებდა პრაქტიკისა და თეორიის მთლიანობას, ერთსახეობას, ოღონდ ძნელი გამაზარაიკო იმის გარკვევა, სად უფრო ცდებოდა იგი — პრაქტიკაში თუ თეორიაში. ამაზე ამტყდარაყვენ კრიტიკოსები, აგერ, ორმოცა წელიწადია: ლირიკაში შეესეოდნენ — ეპოსში შესაწრებდა, ეპოსში ჩაუბტებოდნენ — დრამაში ისეუბებდა, დრამაში გადაეკრებოდნენ — რომანში შეეარღებოდა, რომანს ალყას შემოარტყამდნენ — თარგმანში ჩაიკეტებოდა. ახლაც თარგმანში ჩაიკეტელიყო, როგორც მამველის მომლოდინე მეციხოვნე, და მაჩაბელს შესჯობრებოდა, აუშჯობესებდა მაკბეტის თარგმანს, აუშჯობესებდა: „ანრდილის“ ნაცვლად „ჩვენებას“ ხმარობდა, „სწავლულის“ მაგივრად „განსწავლულს“, „უთხარის“ მაგივრად „შეესიტყვეს“, ნაცვლად ამისა — „როდესაც რომი

მბრძანებლობდა მთელს ქვეყანაზე“ (In the most high and palmy state of Rome) ფრანსას: „რომში, მაღალსა და პალმებით შემკულ ქალაქშიო“... და გატაცებით კითხულობდა ასე გაუმჯობესებულ თარგმანს სოკრატ აბაზაისძე, გატაცებითვე უსმენდნენ ან, ყოველ-შემთხვევაში, დაღუმებულიყო ყველა, მხოლოდ ღრთადრო უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი ქალიშვილები ამოიძახებდნენ ზოლმე: „Wonderfull..“ O, Jes!..“—სასწრაფოდ ამოიძახებდნენ ღრმა ამოუხეთქვისა თუ შესვენების წამებში.

თავისი გაიტანა სალომემ.

ყველაფერი რიგზე იყო, ყურადღება ჩამოსცილდა პროფესორ კიოპტეს, სტუმრები გაერთვნენ, ვერა გრძნობდნენ ვახშმის შეგვიანებას, ვერა გრძნობდნენ, რომ მასპინძლები კიდევ ვიღაცას ელოდნენ, ელოდნენ უფრო მეტი ემზიბა და გატაცებით, ვიდრე ყველა დანარჩენს... და სალომე თვლებს უნაბავდა აბაზაისძეს, იმასაც ემზი ემატებოდა, ბრუვდებოდა თუ სხვებს ბრუვდა. ყოველშემთხვევაში, იღვა მღუმარება, იყო წესრიგი, ყველას თვალები მიპყრობოდა აბაზაისძეს, ვიდრე ქალაქკომის ახალი მდივანი — არჩილ ალავეძე — მოვიდოდა.

მაშინ, პირველყოვლისა, სალომე წამოიჭრა ატაცების ამოძახილით, აჰყვა მთელი გუნდი გულისხმიერთა, მოალერსეთა. აიშალნენ სხვებაც, ვისაც აღრევე მოსწყყნოდა აბაზაისძის დეკლამაცია... შემოხევივნენ არჩილ ალავეძეს... განა საინტერესო არ იყო? ეს იყო ნიშნში გაბედული დაწინაურებისა, ისე გაბედული, ისე, რომ მსგავსი ჯერ არავის ენახა, არც გაეგონა ჩვენი დიდი, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ასეთი გაზვიადებაც არ შეიძლება. რას არ შეესწრებოდა, რას არ გაიგონებდა ალავეძე, რას არ შეეჩვეოდა, ისე შეეჩვეებოდა, უცნაურსაც ჩვეულებრივად მიიღებდა, ყოველშემთხვევაში, არ გაიკვირებდა, არ გაიოცებდა. ეს რატომღა

გაიოცეს თბილისელებმა, ძნელი ხათველია... განა მას მცირე წარმატებები ჰქონდა, ვიდრე თბილისის მოველენებლებს არა, მცირე არ ეთქმის! მაღარომ, სადაც მან იწყინის ადგილი მიიღო, გარდაამავალი ღრთა მოიპოვა. არც ეს იყო უჩვეულო და უცნაური, ის მაღარო ხშირად იღვა გამარჯვებულთა შორის, ზევრჯერ ეპყრა გარდამავალი ღრთა. მაგრამ იმ ღრთას ეგებ ისე შთაგონებით, ისე მჩქეფარედ, ისე მგზნებარედ ვერავინ მიესალმა, როგორც ის ახალგაზრდა იწყინერა: ეგებ საწარმოო თათბირებზე, მიმართვათა განხილვებზე, სადღესასწაულო ზატინგებზე ისე ცეცხლოვან სიტყვებს ვერავინ ამბობდა, როგორც ის ახალგაზრდა იწყინერა; ან ეგებ შემოწმების, დათვლიერების, უფროსებთან შეხვედრების დროს ისე ზომიერად, ისე ღირსეულად წინ წადგომა არავის შეეძლო, როგორც იმ ახალგაზრდა იწყინერას; ერთი სიტყვით, ეგებ მასზე უკეთესად გამოჩნევა ვერავინ მოახერხა, იმ გამოჩნეულ მაღაროში, და რა გასაკვირია ვინმე, მის დიდ შესაძლებლობაზე დაფიქრებულყო, მისი განსაკუთრებული ღვაწლი შეემჩნია — მაღაროს წარმატებებში. რა ეუყოთ, თუ მანამდე, მის შემდეგაც, იშვიათი არა ყოფილა წარმატებანი იმ მაღაროსი, რა ეუყოთ, განა ყველას შეუძლია იცქირებოდეს უკან ან წინ ანდა წინაც და უკანაც ერთდროულად, განა ყველას ძალუძს, ან თუ ძალუძს, განა ყოველთვის დაიცავს ზომიერებას?! რა სათქმელია! სისუსტე (შეცდომებს რომ უწოდებენ) ადამიანისათვის უჩვეულო არა ყოფილა...

აჰ, შორს წავედით, ასე, ვინ იცის, დიღხანს დაგვეყარგოს სალომეს წვეულება, არჩილ ალავეძის შემოსვლათ გამოწვეული აფორიაქება... ზო, იმას მოგახსენებდით, დაფიქრებულყოვნ-მეთქი ან ვინმეს დაფიქრებისოს, მერე პარტიუროს მდივნად აერჩიოთ, მაღაროს კიდევ გაემარჯვოს — ქალაქკომის მდივნად დაეწინაურებისოთ, პატარა ქალაქის, მაღაროების ქალაქის... განა

მცირე წარმატება ეთქმის?! თუ იტყვიან, სწორედ ამან იტყვიან, რამდენსაც სხვა წლობით იზრდებოდა, იმდენსაც ის საათობითო.

ახლა რიხისა და მგზნებარების ზრდას არ იკითხავთ — ჯერ მხოლოდ იქ, პატარა ქალაქში, მაღარაების ქალაქში... თუმცა განა სუყველას თქმა უნდაო?! ოღონდ ეს მაინც უნდა ითქვას: როცა დედაქალაქის ხელმძღვანელად შეტად მჩქეფარი, მგზნებარი, მღელვარი, რიხიანი ახალგაზრდა მოიხდომეს, დიდი ძებნა არ დასჭირებიათ... და მოვევლინა თბილისს არჩილ ალავეამ, ამა რა არის აქ გასაკვირი? უცნაურები უნდა იყვნენ ეს თბილისელებო, ხან გასაკვირეულს არ გაიკვირებენ, ხან გაუკვირალა უკვირთ, ერთი სიტყვით, მოვევლინა და ფიცხლად დატრიალდა, პირველყოვლინა, ქალაქის მთავარ ბანაკს ეკვეთა, ქალაქის გულს — მეცნიერებათა აკადემიას ეკვეთა, გულშიც გული, გულის გული ამოიჩინა — ფილოსოფიის ინსტიტუტს ეძგერა და ჯერ მხოლოდ ორ თვეს ითვლიდა მისი მოღვაწეობა, მოასწრო დაერბია არა მხოლოდ ფილოსოფიის, არამედ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიც. ახლა ხმა გავარდა, ღრუბელი თავს იყრის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თავზეო. ვარაუდობდნენ, როგორი იქნებოდა ღრუბელთა შემდგომი მოპარობა, თუ ღმერთმა დააცალაო... ჰო, მოვევლინა დედაქალაქს ეს უნივერსალური გონების ადამიანი, რომელიც საოცარი სისწრაფით ერკვევოდა ფილოსოფიის, ხელოვნების, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, მათემატიკის, ერთი სიტყვით, — რა ჩამოთვლა უნდა, — ყოველგვარი მეცნიერების უახლეს პრობლემებში და ყოველ დარგში სასწაულებრივ აღმოჩენებს ახდენდა.

ასე მაგალითად: ფილოსოფიის ინსტიტუტში აღმოაჩინა ჰეგელიანელები და კანტიანელები, ბერი ბეკონის მიმდევრები და ბუდისტები. უფრო დიდი აღმოჩენები გახდნიათ უკანასკნელ ხანებში? ძნელი დასაჯერებელია! ადამიანები წლებს განმავლობაში სწავლობ-

დნენ დიალექტიკურ მატერიალიზმს და უცებ — ჰეგელიანელები... სადაა? როგორა? მათგან ყველაზე ახალგაზრდებს ჰეგელის წიგნებზე ხომ არც წაუთხსავთ, — რომ არა ეთქვათ, თვალთაც არ უნახავთო, — ჰეგელს ხომ მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შენიშვნებით იცნობდნენ? დიახ, საიდანა? როგორა? მაშ გასაოცარი აღმოჩენა არ არის?! თუ ეს არ გაოცებთ, მაშ უფრო მეტი რამ გინახავთ ან გაგიგონიათ, ასეთივე აღმოჩენები მოახდინა მან ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტშიც. ყოველთავე ამის გარკვევა ალბათ მეტისმეტად ძნელი იქნება, სჯობს განმარტებებს დაეხსნათ, განა თვით ამბავის, ან შემთხვევის აღნიშვნა საკმარისი არ არის, მერე ისეთი შემთხვევისა, რომ თურმე (ეს არჩილ ალავეამდე არაფერი იყოდა) ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მსხდარან ისეთი ადამიანებო, რომელთა მრწამსი ჯერ კიდევ არ გახცოლებია ქრისტიანულ-ფეოდალურ იდეოლოგიას, ეს იმიტომ, რომ ბევრი მათგანი გართულა ტაძრებისა და ციხე-კოშკების შესწავლით.

არჩილ ალავეამ არ იყო ისეთი კაცი, ყურადღელ იმგვარი უმნიშვნელო რამ, იმგვარი წვრილმანი, რომ უამრავი ქართული ტაძრებიდან და ციხე-კოშკებიდან თვითთული დამოუკიდებელი, თავისებური, განუწეორებელი ძეგლია, უიშვიათესი ხელქმნილებია, კლასიკური ოსტატობის ნიმუშია. ჰო, ასეთ წვრილმანს რა ფასი ჰქონდა არჩილ ალავეამისათვის, მას ყველგან და ყველადღერში იდეოლოგიური მხარე აინტერესებდა და მისი აზრით ტაძრები და ციხე-კოშკები ფეოდალიზმი იყო, მათი დაწერილობითი აღწერა — ფორმალნიზმი. ლოგიკური არ არის თუ? ასე წმინდა ლოგიკის გზით აღმოაჩინა მან ფეოდალიზმის იდეოლოგიები და ფორმალისტები ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

არჩილ ალავეამ აღმოფიქვებული იყო, უნდოდა როგორმე სიტყვით გამოეხატა თავისი მრისხანება, ეძებდა შესაფერის გამოთქმებს, ამ ძიების დროს სულზე

მიუწრო ვილაყამ და მიაწოდა „ველფლინიზმი“. ეს ცნება დიდად მოეწონა არჩილ ალავექს და მამინე „ველფლინიზმი“ დაარქვა ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს და შემდეგ „ველფლინიზმს“ უწოდებდა ყოველივე უვარგისს, უმცაფსს, გადასაფდებს...

„ველფლინიზმა“ მამ რაა?! — ბობოქრობდა არჩილ ალავექი, — ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომათა ყოველ ტომს კონტრტიტულზე აწერია: Ars Georgica მამ რა არის, „ველფლინიზმი“ არ არის?!. და რაილა მღუმარედ შეკყურებდნენ, ეგონა, მეთანხმებიანო, ეგონა, შეცდომები შევავნებინეო, და ყელმოღერებული ჩამოდიოდა ტრიბუნიდან. და ნერე სხვადასხვა ჯურის ფეხისხმის ამყოლნი, სხვადასხვა ჯურის კრიტიკოსები, ამასთან შეუწყდარნი, — რადგან არა სცდება, ვინც არაფერს აკეთებს, — რომელთაც ბიბლოგრაფიულ შენიშვნებზე მერე არასოდეს არაფერი დაუწერიათ, არჩილ ალავექის სიტყვებით შთავონებულნი, ერთ ან ორციდა ფელეტონებით მიწასთან ასწორებდნენ დიდრონ ტომებს, ათულ წელთა ნაწევად-ნადაგს, ვეებერთელა გამოკვლევებს. აი რა ხდებოდა, რა დიდი მოძრაობა იყო იდეოლოგიის ფრანტზე!

ვის არ მიიზიდავდა მთელი ამ მოძრაობის სული და გული, ვის ყურადღებას არ მიიპყრობდა, ვინღა შეაჩერებოდა სოკრატ აბაზაისძეს, ვინღა მოისმენდა მისი სტილით გადმოცემულ დიალოგს უბედური დანიის პრინცისა და ანრდლის ან ჩვენებისა, როგორც თვითონ ამბობდა: ერთი სიტყვით, სწრაფად შემოეცალნენ, ისევე სწრაფად, როგორც არჩილ ალავექი შევიდა, თუმცა შევიდა კი არა, შეიჭრა, რალაც საოცარი გამომეტყველებით, სახეარეული, როგორც სულიერად მოტეხილნი ან ნახევრადშეშლილები არაან ხოლმე. და ალბათ სწორედ ეს „ან“ რომ არავის გაეცლო გუნებაში, თვითონვე განმარტა: —დავიღალე, დღეს ათი თათბირი, სხდომა და კრება მაინც ჩაეატარე, ახლაც

პირდაპირ კრებიდან მოვდევარო? და თითქოს მართლაც კრებიდან [კრებულზე] მისულიყოს, თითქოს მას კლარდნენ კრების დაწყებას, საქმიანად, შეუყოვნებლავ, სწრაფად გაეშტრა პრეზიდენტის მაგიდისაკენ, მთავარ, თვალაინის ადგილისაკენ. ხოლო როცა იქ უბრალო მაგიდის, — წყლის სუფრითა და ზარით, — ნაცვლად აღმოჩნდა მდიდრული სუფრა, ნუგბარ-ნუგბარი სასამელსაქმელით, გაოცება არ დასტყობია, არა, რა გააოცებდა, მის სხდომებს თავისი ხანგრძლიობით მხოლოდ ქართული სუფრა თუ შეუტოლდებოდა.

პოდა, მოვიდა ეს ნანატრი სტუმარიც.

— მობრძანდით! — საზეიმოდ დაიძახა სალომემ და ორივე ხელით გაალო კარები, ოღონდ დაფარული იყო შესასვლელი, ვიდრე არ ჩამოეცალა, — მობრძანდით! — გაიმეორა სალომემ და რადგან აყოვნებდნენ, ერთიმეორეს სთავაზობდნენ გზას, თვითონ დაიწყო დასახელება ღირსების მიხედვით... ასე, ოდნავი ჩახველებით, ხელების ფშვნეტი. ჰეროვანი რხევით, კდემის კმევით ჩაიარეს მის წინ სტუმრებმა. უცინოდნენ და უცინოდა. მხოლოდ პროფესორმა ნიკო ქიქოძემ უსაყვედურა:

— რომ მცოდნოდა, ალავექ გავდა მოწვეული, არ მოვიდოდი, არამცდა-არამც!

— ახ, რასა ბრძანებთ! — ჩემად, ოღონდ შესამჩნევი მრწოლით ამოიძახა სალომემ, მხოლოდ გულში გაივლო: „ახ, რა კარგს იზამდით! დღეს მართლაც საკირო არ იყავით!“

ხმაურობდა სკამები, ჯერ მხოლოდ სკამები ხმაურობდა.

VI

მერე ყველაფერი ახმაურდა, აგუგუნდა სასტუმრო დარბაზიც. შიგადაშიგ სინემეც ჩამოვარდებოდა ხოლმე, ეს მაშინ, როცა თამადა ადგებოდა ქიქა, ფილა ან ყანწაწვდილი, თითქოს კვერთხაწვდილი, ყურადღების, დაჯერების, მორჩილების ნიშნად, როგორც მეფეთა

და ეპისკოპოსთ სჩევოდათ. და მკვერ-
მეტყველობდა თამადა, მკვერმეტყვე-
ლობდნენ სხვებიც, ხოტბას ასხამდნენ
ყველას და ყველაფერს, ამკობდნენ ლა-
მას-ლამაზი სიტყვებით, მოხდენილი
შედარებებით.

რა დაღევდა კარგ სიტყვასა და მა-
ლალ სურვილებს. — ეს ხომ მხოლოდ
სიტყვა და სურვილები იყო, — ვინ იძუ-
წებდა, ვინ არ იქნებოდა გულუხვი! სვამ-
დნენ ეთერის სადღეგრძელოს და აღი-
დებდნენ მშვენიერებას, ქართველი ქა-
ლის მშვენიერებას ჯუფთებებს მშვენიე-
რება-გონიერებისას... იხსენებდნენ ნი-
ნოს, თამარს, ქეთევანს. ყოველ სადღე-
გრძელოს ფიანდაზად უფენდნენ ჩვენი
ერის ისტორიას, ძალიან იოლად, დიდი
გულმოდგინებითა და გულუხვობით, თუ
არ იკმარებდა, სხვა ერთა წარსულიდა-
ნაც მოიტანდნენ სამაგალითოს, რა თქმა
უნდა, არც აქ დააკლებდნენ გულუხვო-
ბას... ეს დალოცვილი ისტორია, კურთ-
ხეული წინაპრები ვის არ გააღაზთიან-
ნებენ, ვის არ დაამშვენებენ — პოეტებს,
სწავლულებს, სხვადასხვა დარგის მოღ-
ვაწეებებს... და ავი დაამშვენეს არჩილ
ალავაძეც. წამოიპართნენ სულნი ნე-
ტარსხელებულნი, მოწინწებით ეახლნენ,
ეთაყვანნენ, გვირგვინი მიართვეს, თან-
წყალობილი იმედები მოუტანეს, სასოე-
ბითა და სიზარულთ ჩააბარეს არჩილ
ალავაძეს. ასე იყო, უსათუოდ ასე იყო,
როცა ატენური თავში ადარდიმანდა,
როცა აპოლონი და გრიშა, ანუ გრიგო-
რი სებასტიანოვიჩი, ხოტბა-გუნდრუკის
კმევაში შეჯიბრდნენ, წინ წამოდგნენ
სხვა ფალავებიც, დიას, როცა დიდი ქა-
ლის ქვეშ აჩრდილები უფრო გამოისახა
თუ ყველა აჩრდილს დაემსგავსა, მო-
ბურუსდა თუ გაიბადრა, გაეციოვდა სა-
ბურუსში... მაშინ არჩილ ალავაძეც წამოიკ-
რა და დიდი თავმდაბლობით განაცხადა,
რომ კვლავაც თავდადებით ემსახურება
ხალხის ბედნიერებას, ხალხს შესწირავს
მთელ თავის ნიჭიერებას, ცოდნას, გა-
მოცდილებას და სხვა. ვინ იცის, ამ
დროს მას რა ალტაცებული ან განგებ
ალტაცებული, იმედოანი ან განგებ იმე-
დოანი, ეკვიანი ან აშკარად დამცინავი

თვალი შეჰყურებდა; მაგრამ ის მხოლოდ
გაბრწყინებულ სახეებს ხედავდა. ნიშნის
იქით, იმის მიღმა ვერაფერი სწულდითა
და, ვერ არჩევდა, ალბათ არც ესმოდა,
რადგან ყურადღება არ მიაქცია პროფე-
სორ ქიქოძის საკმაოდ ხმამაღლა წამოც-
დენილ სიტყვებს: „ვაი, ვაი ჩვენი ბრა-
ლიცა“, ცხადია, არც სალომეს მრისხანე
ბუზღუნს პროფესორთან, არც იმას, თუ
როგორ მოიკუნტა, კინაღამ შიშით გაქრა
აპოლონი, ვაი თუ გაიგონა ქიქოძის
ნათქვამიო. მაგრამ საჭირო არ იყო მთე-
ლი ეს შიში და სიფრთხილე, არჩილ
ალავაძე ალტაცების მეტს ვერაფერს
ამჩნევდა. მით უმეტეს, რომ მყისვე ქა-
ლებში რაღაც მზიარული ჩოჩქილი ატყ-
და, ორი მათგანი პიანინოსაკენ წაგოგ-
მანდა... გაისმა შტრატუსის ვალსი, ამ-
ღერდა ოპერის ცნობილი მომღერალი,
რომელსაც არც სილამაზე აკლდა, არც
არტისტული ოსტატობა არჩილ ალავა-
ძის ისე გასაბრუნებლად, რომ ვერ შეეშ-
ინია ეკვიანი თვალები, გამჭირდავი სიტ-
ყვები, ვერ შეეშინია ისეთი წვრილმანი,
რაც ალტაცების ბურანდან გამოიყვანდა
მას.

სალომეს შემნაცვლებელიც ჰყავდა,
სხვა ხერხებიც ჰქონდა, რომ დიღამდე
გაუწილებელი ყოფილიყო სიამე, სიზა-
რული, ალტაცება, დიღამდე მოჯადოე-
ბული ყოფილიყო, მოჯადოებულები გაე-
სტუმრებინა არჩილ ალავაძე. ხოლო სა-
ლამოს დაურეკავდა, დიდი მზრუნველო-
ბით მოიკითხავდა, როგორ გრძნობდა
თავს, ზომ არაფერი ეწყინა... მართალია,
მისი საკადრისი ვერაფერი მოახერხეს.
მაგრამ იმდენად დიდსულოვანია, რომ
... და ასე ზომიერი ჩქაროვით ჩიბუ-
ბუნებდა კარგად გაზეპირებულ მთელს
მოხსენებას, მრავალჯერ თქმულს, მრავ-
ალჯერ გაეორობულს, რასაც ყოველ-
თვის, თითქოს შეთანხმებული არიანო,
ერთსა და იმავე ადგილას გააწყვეტინებ-
დნენ ხოლმე: „საკადრისიო?!“ „რა ბრძა-
ნებაა, რა ბრძანებაა“, „ასე კმაყოფილი
არასოდეს ვყოფილვარ“ და სხვა. ამის
შემდეგ დიდი კმაყოფილებით, მოგა-
ლუობის გრძნობის გამოთქმის შემდეგ
აპოლონი ეახლებოდა არჩილ ალავაძეს.

თავის უცოდველობას აუხსნიდა, გადაყენ-გაღმოყენების უბრალო მსხვერპლი ვარო, აქლემები წაიკიდნენ და კონაკი გამოჴყლიტესო, ასე მომივიდაო. — ჰო, აბოლონი მოახერხებს, ბევრჯერ მოუხერხებია, კიდევაც მოახერხებს, ყოველ-შემთხვევაში, წინასწარ უნდა მოისმინოს მისი სათქმლი. ჰოდა, აბოლონ კორკოტამე კვლავ დაიქერს ღირსეულ ადგილს, ან მინისტრის მოადგილე იქნება, ანდა, თუ მინისტროები კიდევ გააერთიანდა — სამმართველოს უფროსი, თუ გაყვეს, — მინისტრის მოადგილე. არც ამ და, საერთოდ, მთელ ოთხ მოქმედებაში ის არაფერს დაკარგავს, მხოლოდ საჭიროა უფრო მჭიდროდ დაუახლოვდნენ არჩილ ალავაძეს... ესეც შესაძლებელია, უღძვოდ შესაძლებელია! და სალომემ გადახედა ეთერს...

თვალები დაეხარა ეთერს. განაბულიყო, ან ნეტარებდა, ან ყურს არ უგდებდა ლევან ქურდოვანიძეს, დანა-ჩანგალდამუტული რომ უმტკიცებდა რალაცას. დიახ, თანხმობის ნეტარება იყო თუ სრული უყურადღებობა, ნეტარება მოგონებისა? რატომ არ აიხედავს, რატომ არ მიაპყრობს თავის ლამაზ, მომხიბლავ თვალებს? აი, რამ შეაწუხა სალომე. და წამოდგა იგი, შინაგანი ლეღვით, მაგრამ ღიმილით შემოუარა მაგიდას, თითქოს მიგპარა ეთერს, ჯერ ორივე ხელი თვალებზე ააფარა, ვითომ — ვინა ვარო, მერე გულზე მიიხუტა, მიუალერსა, ჩასჩურჩულა: „ზომ არ მოიწყინე, ეთერიკო, ჩემო გოგონი?!“ — „არა, დეიდა, — ჩაიდუღუნა ეთერმა. — „შე ისე ბედნიერი ვარ...“ — ჩაიდუღუნა და ერთი წამით გაინაბა მის გულზე. შემდეგ ლევანიაკენ გადაიხარა სალომე, „თავს როგორა გრძობთ?“ ჰკითხა, თან სკამის ზურგზე გადაბატარა ხელი, ისე, რომ თითებით მხრებზე ოდნავ შეეხა. „შესანიშნავად. დიდებულად, ქალბატონო სალომე!“ აღტაცებით ამოიძახა ლევანმა და კიდევ უფრო გაუნათდა ლოყები, დიახ, ლოყები, რადგან ბუნებას როგორღაც ისე მოეწყოა მისი სახე, რომ სიხარული თუ მწუხარება, საერთოდ განცდა-გრძნობათა მოძრაობა, თვალების ნაცვლად, ლო-

ყებზე ესახებოდა. — ნუ იკითხავთ, როგორ და რატომ, ნურც გაზვიადებდამ, მხატვრულ გაზვიადებად უნდა შევხედოთ. ნათქვამს, აქ მხატვრობა არაფერ შუაშია, ზედმიწევნითი ასლია, უცვლელადა გადაღებული ნამდვილად არსებული სახე, არა მხოლოდ სახე. არამედ მთელი ხასიათი, თვისებები, შინაგანი ბუნება, ასე ხდება ხშირად: გაიოლდება ხოლმე მხატვრის საქმე. ჰოდა, ჩვენს გმირს ლოყებზე გამოსახვოდა დიდი სიხარული...

ლოყები, ის შესტქმებული ლოყები, მერე უნდა გენახათ, როცა ლევანს წელზე ხელი შემოეხვია ეთერისათვის და დასრიალებდა ფოქსტროტის ჰანგზე, მაშინ იტყოდით, ლოყები კი არა, დიდხუთშაბათის კიაკოკონებიაო. შეიძლება სხვას სხვა ეთქვა, ქურაზე ან ბრძმედზე გადაეტანა, მაგრამ სალომეს ეს შედარება დაეხადა, მოეწონა, სხვებსაც გადაულაპარაკა. მერე აღარავის უფიქრია სხვა შედარებებზე. „დიდხუთშაბათის... დიდხუთშაბათის...“, გაისმა რამდენჯერმე, ჩანდა, მოეწონათ სალომეს ნათქვამი. ვილაცამ განავითარა კიდევაც: „აიო გადასწვდება, გადაიწვის!“ — წამოიძახა, როცა ლევანის ლოყა მიუახლოვდა ეთერის კულულებს. რა თქმა უნდა, ეს განვითარება იყო: კიაკოკონა — ხანძარი-ნავლი. განვითარება არც აქ შეჩერდებოდა, ოღონდ ცოტა ხნის შემდეგ ყველას თავისი გართობა უფრო მოსურვებოდა, ვიდრე სხვისი თვალ-თვალი, ეთერი და ლევანი თანდათან სცილდებოდნენ მათს ყურადღებას. შემდეგ სალომეს ოთახში გავიდნენ შესასვენებლად. სალომემ უთხრა მათ, შეისვენეთ, ცოტა შეისვენეთ...

იმ მყუდრო ოთახში, ლამაზი დგამებით, საუცხოო ფარდებით, ძვირფასი ხალიჩებით მოართულ ოთახში, სავანგებოდ ლურჯი ნათურები რომ აენთოთ, უფრო გაიზარდა აღტაცების გრძნობა, რაღაც ზღაპრულ ჩვენებებად გადაიქცა ფარდების ზოლები, ნაჭარგები, სახეები ხალიჩებზე, დიდჩარჩოიანი სურათები, თვით სავარძელიც. ატუნურმა იცის ასე. ანკი რომელმა სასმელმა არ იცის! და თუ ახალგაზრდული სისხლიც აბორგე-

ბელა, ზღაპრულ-ალმტაცი ფერ-ჩვენებები სრულიად იოლად შობს გაბედულ გადაწყვეტილებებს. ეს საერთოდ, ხოლო ამ შემთხვევაში სიყვარულის გამოცხადება იგულისხმება. შეიძლება ამას დიდი გამბედაობაც არა სჭირდებოდეს, გაანია, ვის როგორ ესმის, ვინ როგორი ბუნებისაა, ვინ როგორ განიცდის, პო, შეიძლება ლევან ქურდოვანიძესაც არა სჭირდებოდა დიდი გამბედაობა, მაგრამ წინასწარი გადაწყვეტილება, შესაფერისი დროის შერჩევა, ხელსაყრელი პირობების შექმნა მანც აუცილებელი იყო. — ცხადია, ლევან ქურდოვანიძის აზრით, — ხოლო იმ დღეს წინასწარი გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ იგი ისე აღტაცებული იყო, ისე „შესაფერისი პირობები“ შეიქმნა, რომ გადაწყვეტილებაც გაბედულად აღიძრა. დიახ. გაბედულად.

— ეთერ! — აღმოხდა ლევანს და წამოდგა.

ეთერმა კიდევ უფრო დაბლა დახარა თვალები.

ლევანი შეყოვნდა, დაბლა დახრილმა თვალებმა და შემაკრთობელმა, მდუმარებამ შეაყოვნა. მაგრამ მაშინვე თვალი ააყოლა ეთერის ასწვრივ ხალიჩიან კედელზე ოქროვარაყიან ჩარჩოში ჩასმულ დიდ სურათს, სალომეს სურათს. ახალგაზრდობის დროინდელ სურათს, ხმელ-ხმელ, მძაფრ, დაძაბულ სახეს, რაც დიდად განსხვავდებოდა ახლანდელი სალომესაგან. ეს იყო ძლიერების, გაბედულების შთაბეჭდილებელი თვალები, რაც კვლავ შერჩენოდა ახლანდელ სალომეს, იმ თვალებს, რომელიც წელან ბედნიერად ციმციმებდა, სხივისობდა, იმეორებდა ნეტარსიტყვებს: სიყვარული, სიყვარული!.. წელან სულ სიხარულისა და სიყვარულის ბანქო იშლებოდა ლევანის ბედზე... დიახ, ახედა და აღიკსო სიამაყით. მაგრამ აღიკსო, რა სათქმელია, სიამაყე მას არასოდეს აკლდა, უნდა ითქვას: აღიკსო თვითრწმენით, თუმცაღა არც თვითრწმენა აკლდა ოდესმე. ერთი სიტყვით, ისევე გააღო პირი... გააღო და მოკლმა. აქ უკვე წინ-

დახედულობამ იჩინა თავი, წინდახედულებამ ლურჯი თუ ზღაპრულ ტერაქშით აღსავსე ოთახში, თანაც, როცა თავში ელავს ატენური. გსმენიათ რამე უფრო დიდი თვითრწმენის შესახებ? იქნებ გსმენიათ, რა გასაკვირია, რას არ გაიგონებდით ამ დიდი ამბებით, გატაცებებითა და ვნებებით აღსავსე ქვეყანაზე. გაიგონებდით და ესეც გაიგონეთ: ლევანი კიდევ შეყოვნდა. თქმა ადვილია, იტყვის, ძალიან კარგადაც იტყვის, გრძლად, თუნდაც მოკლედ. როგორც შეატყობს, როგორც საჭირო იქნება, ოღონდ როგორ მიიღებს, რა დამართება ამ შემთხვევით შემდგომად ახლა შურთხივითვე განაბულ ქალიწვილს, რომელიც ალბათ დიდ მღელვარებას აუტანია, შეუპყრია, შეუპყრავს. მღელვარე განცდას დაუდუმებია. თავს ევლება ქალიწვილს ლევან ქურდოვანიძე უკვე რამდენიმე საათია და ახლამზად არის აუწყოს უმაღლესი ბედნიერება, უთხრას სიტყვა, რისთვისაც ბევრი ჰკუთას დაკარგავს, უფრო თამამი ქალიწვილიც კი, მით უმეტეს ეს, თითქმის გულწასანსუვლად მომზადებულ გოგონა. რა გასაკვირია, მას გული წაუვიდეს, ერთი შეჰკივლოს დიდი სიხარულისაგან და გული წაუვიდეს, მკლავებზე გადაესვენოს თავის საბედოს. დაე, ასე იყოს, ლევანი მღელვარედ იხმობს მასპინძლებს. სტუმრებს, შიშითა და სიხარულით აუწყებს, რაც მოხდა. ისინიც წყალს მოარბენინებენ. გადაუხსნიან საკინძეს და აპყურებენ წვეთებს, გამომაფხიზლებელ წვეთებს. მარადული ნეტარების წვეთებს. მაგრამ რად უნდა დაისწროს მოწმედ ამდენი ხალხი, რა საჭიროა სხვების ჩარევა, ვითომ რა ძნელია სიხარულით გულშემოყრილი ქალიწვილის მობრუნება, განა მართლა საკმარისი არ არის საკინძის გახსნა და წყლის ჰკურება! რა თქმა უნდა, საკმარისია. ამდენი გაწამაწია საჭირო არ არის: „ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!“ — კმარა გაიმეოროს ერთი-ორჯერ, თანაც გულში ჩაიკრა, — არ დაგავიწყდეს, მთავარი ეს არის, —

და ისიც ჩაგვეკვრის, დაქანტულივით ამოისუნთქავს, მისავათებულოვით იკითხავს: „მა, რა მომივიდა... სადა ვარ?!“ „ჩემთან, ჩემო სიცოცხლე!“ ჰოდა, ანთ მორჩება ყველაფერი, რა საქირაო სხვების დამოწმება!

გაიფიქრა და წარმოიდგინა ყოველივე ლევანმა, მერე თვალები მიმოაჯარა ღერჯი ფერებით, ზღაპრული ნვენებებით აღსავსე ოთახში. წყლის სურასა და კიქას ენებდა, — შემდეგ ფანჯარასთან პატარა მაგიდაზე წააწყდა, მსწრაფლ მიიჭრა წყალთან. — დაფიქრება ხომ აღარ შეიძლებოდა, — აიტაცა სურა, გაავსო კიქა, ოღნავ მოსვა და მოზერხებულად დადგა... ასე რომ, ყველაფერი მზად იყო.

— ეთერ! — ამოიმახა ლევანმა და კიდევ ახედა სალომეს სურათს, სალომეს თვალუბს: „ჩქარა, რაღას უცდი, დროს ნუ ჰკარგავო“, — ანიშნებდა ის ევალეზი. ისიც აჩქარდა, სხაპასუბით თქვა: დიდი ხანია ველოდი ამ წუთს, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა, რომ... რომ მიყვარხართ!

ეთერმა არა მხოლოდ თვალები, თავიც დახარა, თითქოს გადაეფარა სიამის შექს, რაც მყისვე ამოიხაზა მის სახეზე, შექს სიამისა და კმაყოფილებისა, რასაც ყოველ ქალიშვილში იწვევს სიყვარულის გამოცხადება, თუნდაც წინააღმდეგი იყოს.

ეს იყო და ეს, არავითარი გულის წასვლა, არც ოღნავ ზედმეტი მოძრაობა... ამოდ იქტირებოდა კიქისაკენ ლევან ქურდოვანიძე.

— ეთერ! — ახლა გაკვირვებით დაიმახა ლევანმა.

ეთერმა აიხედა, სრულიად დამშვიდებული სახით აიხედა.

— გისმენთ! — უბრალოდ თქვა ეთერმა.

— მე უკვე გითხარით! — მღელვარედ თუ ცოტა გულმოსულად დაატანა ლევანმა.

— მეც მოვისმინე! — მხრები შეარხია ეთერმა, ვითომდა რაო...

— მერე და რას მეტყვი? — სხარტლის ფერები აღეკითადა დროშებზე...

— მე რა უნდა გითხარით? — ეთერმა მაკ გაიოცა. ახლა გოცებით უნდოდა დაეთარა რაღაც სიამის მაგვარი გრანოზა, უნებლიეთ რომ აღსრულიყო და არ ყუნდებოდა.

— როგორ თუ რა... მიყვარხართ-მეთქი!

— თქვენი ნებაა... თქვენი გრანობა... თქვენი ნებაა! — მშვიდად, დინჯად დაატანა ეთერმა, მაგრამ მამინევი ლიმილი მოერიო, რადგან ლევანს საოცრად დაეცრიოჯა სახე. — ესეც არ იყოს, — განაგრძო ეთერმა დამცინავი ლიმილით, — სუთუ შეიძლება სიყვარული ასე უეცრად, ერთი დანახვით, ნუთუ ზერელე გრანობა სიყვარული? რაღაც ასე არ უნდა იყოს, სხვანაირად ამბობენ, სხვანაირად წერენ... — და ეთერმა გაუწროა თვალები ლევანს მკაცრი, უღმობელი მსაჯულოვით, რომელმაც იცის, რომ დამნაშავეს სხვა გზა აღარ აქვს, უნდა გამოტყდეს.

„აეჩქარდი? შესაძლოა ყოველშემთხვევაში, უკან დახვევის დრო აღარ არის!“ გაიფიქრა ლევანმა.

— უეცრად, ერთი ნახვით?! — გოცებით ამოიმახა ლევანმა, — ჩემთვის ეს უეცარი არ არის, დღეს პირველად არ დამინახავხართ... პირველ სექტემბერს აქეთია გხედავთ, გაკვირდებით, ო, არა, დაკვირვება რა შუაშია... მიზიდავთ, მზიბლავთ, მალეღვებთ... და განა საქმეო დრო არ არის, განა არ შეიძლება აღტაცებამდე, სიყვარულამდე ამალღებულოვო მთელი ეს გრანობები?! ეს ხომ მთელი ისტორიაა, სიყვარულის ისტორია, ისტორიაა და არა ნუცბათეობა. თუმცა რატომ არ შეიძლება უეცრად აღიძრას სიყვარული?! ვგონებ აქ მტკიცება საჭირო არ უნდა იყოს, მარტო ერთი მაგალითი კმარა: მოიგონეთ ტარიელისა და ნესტანის პირველი შეხვედრა. შეიძლებოდა ჩვენც ისევე დაგვმართოდა, ვითომ რა არის აქ გასაკვირი?!

— არაფერი! — მიუგო ეთერმა იმავე ღიმილით, თავშეკავებით დამცინავი ღიმილით.

— რა თქმა უნდა, არაფერი! — სახე გაუბრწყინდა ლევანს, მყისვე ეთერის გვერდით ჩამოჯდა და წელზე შემოუტურა ხელი. შეიძლება საამისოდაც სალომეს თვალებს წაექეზებინა, — მაგრამ ყოველთვის და ყველაფერში ხომ ვერ უშველიდა სალომეს თვალეზი, — ეთერმა ცივად მოიშორა მისი ხელი, ადგა, დახედა ამაყად და კარიკავენ გაემართა.

— წავიდეთ, — ბრძანების კილოთი თქვა ეთერმა, — უკვე დასხდებოდნენ!

ეთერი გავიდა, აღარ დაელოდა ლევანს, რომელსაც თითქოს წამოდგომა ვერ მოეხერხებინა, მერე ძლივძლიობით აითრია წელი, ერთი წამით ოთახი დატრიალდა მის ირგვლივ, რამდენჯერმე გაუქროლ-გამოუქროლა სალომეს სურათმა, სალომეს თვალებმა, ახლა თითქოს გამანადგურებელი დაცინვით აღსავსე თვალებმა, და ცეცხლი წაეკიდა ლევანს, განრისხდა, აღუშფოთდა შეურაცხყოფილი სიმაყე, გაიჭრა სალომეს ოთახიდან პირდაპირ გარდერობში, წასვლის მტკიცე გადაწყვეტილებით გაიჭრა. შეიძლება მართლაც გაესწრო, წასულიყო შეუმჩნეველად, რომ დროზე ეპოვნა თავისი პალტო, არ დაბნეულიყო უამრავ პალტოთა შორის. თუმცა პალტოს პოვნა კიდევ იმდენი არაფერი, ქულის აღმოჩენა გადაიტყა ერთ ვიავგლახად და უბედურებად. ბოლოს მეტი ჯანი აღარ იყო, ალაღებდნენ ხელში მოხვედრილი ქული უნდა ჩამოეცვა, მაგრამ ვიდრე ამ განზრახვამდე მივიდოდა, სალომეს ექვები აღუძრა ლევანის ამდენი ხნით შეგვიანებამ და დერეფანში გაეკარდა.

— ბატონო ლევან! — შემფოთებით დაიძახა სალომემ.

— პა! ბატონო! — დანაშაულზე წასწრებულვით წარმოთქვა ლევანმა და ფიცხლად დასდო სხვისი ქული, — ვერა და ვერ ვიპოვნე ჩემი ქული... ის უკეთესია... ახალია...

— არ მესმის, არაფერი მესმის, — თვალში გაუღართოვდა სალომეს, — არის ეს?! — უთითა პალტოზე.

— მივდივარ! დროა... გვიანაა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა ლევანმა და ბევალი აარიდა, შეურაცხყოფა და გაბრაზება არ შემამჩნისო.

— შემომხედეთ! შემომხედეთ-მეთქი, საით იტყობით, შემომხედეთ! — ჩააცივდა სალომე, — რაღაც ამბავია, რაღაცას მალავთ... რა მოხდა?

— არაფერი, არა, არაფერი... ხვალ, დიახ, ხვალ ნამუშაო მაქვს... სასწრაფო დავალუბა...

— რა თქმა უნდა, მართლაც ამბობთ. საჭმე უსათუოდ გაქვთ, დიახ, მართლაც ამბობთ, — დაატანა სალომემ ექვიანი გამოხედვით, — ასე აჩქარების მიზეზი მაინც ეს არ უნდა იყოს! არ შეგიძლიათ არ მითხრათ, თქვენ ხომ უაღრესად გულწრფელი ადამიანი ბრძანდებით, რამდენი რამ მსმენია თქვენს მომხიბლავ გულწრფელობაზე. — აქ პალტოში წაატანა ხელი, სამხრე გადაუწია, — გაიხადეთ! ეთერთან დაჰყავით საქმობანს... გაწყენინათ რამე? — მეორე სახელოც გადაუწია, — გაიხადეთ. ასე. პა, გაწყენინათ რამე? თუ ვერ გაუგეთ ერთიმეორეს? ვერ გაუგეთ? არაფერს ამბობთ... ვერ გაუგეთ, უსათუოდ ვერ გაუგეთ ერთიმეორეს! — სალომემ პალტო ჩამოკიდა, მკლავე გამოისდო, სარბარბაზოსაქენ გადადგა ნაბიჯი. ლევანი არ დაიძრა, ფეხი მიახვირა. — მოიცათ, მოიცათ, — აჩქარებით დაატანა სალომემ. — უარგად ვერ გამოვთქვი... იმან ვერ გაგოთ. თქვენ სახეზე ეს იხატება, მე არ შეეცდებით, გულთამხილავი ვარ, პა, პა, პა... ურა გჯერათ? დამიჯერეთ, დამიჯერეთ, რომ სცდებით, დამიჯერეთ, რომ ტყუილა გგონიათ, თითქოს ეთერს არ ესმოდეს... არა მას... რა საკიროა, აბა მე რად უნდა მათქმევინოთ, თვითონვე იტყვის, ის თვითონ გეტყვით, ოღონდ თქვენ არ უნდა მიეცეთ ამოწუნხილს. სად გაგონილი, აბა სად გაგონილი! წავიდეთ! — სალომემ გაიციანა, ზემოქმედების, დამორჩილების საგან-

გებო სიცილით და გასწია ლევანისაკენ. ლევანმაც გაიცინა, მწარედ გაიცინა, მაგრამ ეს მინც სიცილი იყო და არა მრისხანება.

— აბა შედით! — უკვე ზომიერი ბრძანებით უთხრა სალომემ, — თქვენ ყველაზე მეტად უნდა იმხიარულოთ, იცით, თქვენ ყველაზე ბედნიერი ხართ, თქვენს ყოველ სურვილსა და მანანს აღსრულება უწყობია, იცოდეთ-მეთქი! — შთამაგონებლად დააბოლოვა, გაიცინა, და ასე შეაცილა ლევანი დაბრუნში. მისი სახე უმაღლეს უდიდესმა მკმუნვარებამ მოიცვა. ეს არ იყო მკმუნვარება უნიველბობისა და გულგატეხილობისა, ეს განცდა თითქმის არც გააჩნდა სალომეს. ყოველ დაბრკოლებას ახალი ძალით ეკვეთებოდა, მთელ თავის გონიერებას და მოხერხებას მომართავდა, უსათუოდ ფონს გავიდოდა, ხოლო თუ მინც მოიკმუნვარებდა, ეს იმიტომ, რომ არ უნდოდა საქმის გართულება, მინც ხომ უნდა გაკეთებულყო, მინც უნდა აღსრულებულყო, როგორც სურდა, როგორც ინებებდა. — მაშ რაღა საქმით იყო გართულება, ზედმეტი ღელვა, ფორიაქი, არა სჯობდა იოლად გადაწყვეტილიყო? რატომ დროზე არ უნდა შეეგნო ეთერს, რაღად უნდა დასჭირებოდა ახალ-ახალი მტკიცებანი, განა იშვიათად გადაუტრავს ლევან ქურდოვანიძის ხობტა, ჰა, რატომ დროზე არ უნდა შეიგნოს, რად უნდა ემცეოდეს ასე ცივად, რად უნდა გააბრაზოს, ვითომ რატომამო? და სალომემ მერი გაიხმო.

— ეს რასა ჰკავს?! — აბუბუნდა სალომე.

— რა მოხდა?! — შეძრწუნდა მერი.

— ჰკითხე შენს ქალიშვილს, ჰკითხე ორბისელ ოტროველას!

— რა მოხდა-მეთქი!

— რა მოხდებოდა, სხვა რა მოხდებოდა; თუ არა ის, რომ შენს ქალიშვილს აღზარდა აქლია, არ შეუძლია თავის დაქვერა წესიერ საზოგადოებაში, აქამდე ისევ ორბისის ზეგავლენის ქვეშ არის და ამდენი ჩინისის, ამდენი

გონიერული შეგონების შემდეგ მინც არ შეუძლია ისევე არ მოექცეს ლევან ქურდოვანიძეს, როგორც ორბისელ გობივიებს!

— მე, მინც არაფერი მესმის! — გააწყვეტინა მერიმ, გააწყვეტინა არა პირვანდელი ძრწოლით. ჩანდა, გაიგო, რაღაცას მიხვდა.

— ძალიან კარგად გესმის! — უფრო განრისხდა სალომე.

— მესმის, რომ ეთერს ჰკილაე!

— ვკილაე! ვკილაე კი არა, ვლანძლაე, შენცა გლანძლაე მისი ასე ცუდად აღზრდისათვის!

მერის ცრემლებით აევსო თვალები.

— ნუ ისარგებლებ იმითი, რომ შენი ხიზანი ვარ, შენგან დავალებული ვარ...

სალომე უცებ დაცხრა.

— არა გრცხვენია, მერი, არა გრცხვენია! — ჩქროლვით თქვა სალომემ, — მე ხომ შენი სიკეთე მალაპარაკებს, ეთერის სიყვარული მალელვებს... არა გრცხვენია, აბა რას მეუბნები! როგორც გენებოს, შენი ნებაა... დღეოს შემდეგ შენს საქმეში არ ჩავერევი, მაგრამ ჩემთვის მინც მექნება დიდი გულსტკიეილი, თუ ეთერი უარყოფს ლევან ქურდოვანიძეს... დიახ, ჩემთვის ეს ყოველთვის მწარე იქნება, რადგან ეს იქნება უარყოფა ბედნიერებისა, დაკარგვა დიდი ბედისა, და მე ცუდი დეიდა უნდა ვიყო ეთერისა, რომ გული არა მტკიოდეს, არა ეწუბდეს, არა ვლეღავდეს... ოღონდ იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება... ეთერი შეიგნებს, შენ შეაგნებინებს! მითხარი, ხომ შეაგნებინებს?

— არ ვიცი, რა მოხდა, ან რა მოხდება ეთერსა და ლევანს შორის, მაგრამ თუ ეთერი უარყოფს ლევანის წინადადებას, მართალი ვითხრა, მინც დამინც არ მეწყინება, რანაირი თვალეები აქვს... ღმერთო ჩემო!

— ღმერთი გამიწყობს, თუ გონიერება გყოფნადეს! როგორც უნდა გეწყინოს, როგორც გინდა მიიღე, არ შემიძლია არ ვითხრა... აქვს შესანიშნავი ოჯახი, ჰყავს წარჩინებული ნათე-

საეზო, თვეში ექვსი ათას მანეთამდე ღებულობს და შენ რაღაც თვალგზებზე ლაპარაკობ!

— ფული მაინც ფულია, რაც არ უნდა იყოს, თვალები — ადამიანია!

— ფული ფული კი არ არის — ცხოვრებაა, ცხოვრება, ხოლო თვალები რომ ადამიანი იყოს, ეს მხოლოდ შენი აზრებია... და ესეც იცოდე, ამ შემთხვევაში ეთერს მარტო მტერი არ შეუწყობს ხელს... ნებისთი თუ უნებლიეთ მტერი გამოვა, დიახ მტერი. არც ის გეგონოს, თითქოს ლევან ქურდოვანიძე კარებს აგიტალახებს, ჰო-ჰო. არა და არა — მას თავიანთი ცემულების ამაღლა ახვევია, თუნდაც აქვე, აი აქვე, რომელსაც გნებავს, დაადე ხელი, გნებავს, ლამაზა საჯაროდ ჩამოვეონწიალება კისერზე... ამას თვალები არ მოსწონს, თვალები, დამიხედეთ ერთი, თვალებისათვის ბედნიერებას ხელსა ჰკრავს!

— არა, ხელს არა ვკრავ, წინ არ ვეღობები... ბედი ბედა!

— ავი სთქვი, არ მეწყინებაო?

— დიახ, მაინცდამაინც არ მეწყინება-მეთქი... ისე ეთერმა იცის, მისი ნება... ვინ იცის, ამ თვლების შეჩვევაც შეიძლებოდა...

— ახალგაზრდებმა ზოგჯერ არ იციან, როგორ მოიქცნენ, უნდა ვერჩიოთ!

— ვერჩიოთ!

ასე გადაწყდა, ასე დამთავრდა, მათი მღელვარე და აჩქარებული საუბარი.

მერიმ ბევრი აღარ დაახანა, — თუ დაახანებდა, არ მოასვენებდა სალომე, თვალებით არ მოასვენებდა, — ეთერი გაიხმო, დაწვრილებით გამოჰკითხა ყველაფერი. თუმცა დაწვრილებით დაკითხვა, ირიბი და ჯვარედინი შეკითხვები არა სჭირდებოდა ეთერს, ისედაც თანმიმდევრულად, ზედმიწევნით, მკვირცხლად ჰყვებოდა, როგორ გაეიდნენ, სად და როგორ დასხდნენ, როგორ ეცვლებოდა სახე, როგორ ირბოდა, როგორ დაიწყო და რა თქვა

ლევანმა. ისიც არ გამოჩინებია. წინასწარ გასამხნეველად წყალო მთხევრო, გასამხნეველადო, — ასე ჰქვამდა ბოდა ეთერს; რა უპასუხა, როგორ უპასუხა, რა დროს ადგა და გავიდა... ერთი სიტყვით, არაფერი გამოჩინებია, მთელი ამ სასიამოვნო ამბიდან, სადაც მერიმ ოტროველობა — უზრდელობის ნასახიც ვერ იპოვნა. რა ამოღო ალღელებულა სალომე, მაინც რას მოითხოვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ეთერი? ვთქვათ, ჰყვარებოდა კიდევ, — და უჩუჩუნდა თუ არა, ყელზე ხომ არ შემოეჭმებოდა? მაგრამ მაინც — „ეთერ, შეილო, ნუ ააღელვებ დეიდა სალომეს, ხომ ხედავ, როგორი თავდადებულია შენთვის. ნუ გაანაწყენებ მის სტუმრებს, თავაზიანად მოეჭეცი ლევან ქურდოვანიძეს, კეთილშობილი კაცი უნდა იყოს... ჰო, დეიდაშენი ალღელებულია... ვერ მოითმენს მის შეურაცხყოფას!“ — უთხრა მერიმ. „როგორ გაბედავ ვინმეს შეურაცხყოფას... მაგრამ თუკი არ მიყვარს?!“ თქვა და რაღაც უმწეობა დაეტყო მის თვალებს. „ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ენახოთ, რა იქნება, ოღონდ ახლა მოეჭეცი ისე, როგორც თამამი ქალიშვილები ექცევიან სახარბიელო საქმროებს!“ „ოჰ, ძნელი... ძნელი იქნება, დედი!“ „სცადე, ეს ერთხელ, ერთხელ, დეიდა სალომეს სიყვარულისათვის! წავიდეთ!“ — და მერიმ უკვე ძალისძალათი შეიყვანა ეთერი აზიზიზებულ დარბაზში.

რამ უფრო იმოქმედა: დედის დარბაზმა გასჭრა და არაგულწრფელი ქცევისათვის ძალა აღმოაჩინა ეთერს, იმარჯვა დეიდა სალომემ, (რომელიც მათს ირგვლივ ტრიალებდა, სწორად ლაპარაკობდა ეთერის მიავიჯრად, ან თავისებურ შენიშვნებს ურთავდა ეთერის ნათქვამ სიტყვებს), ხელი შეუწყო მოსევადებულმა გიხვებმა, რომლებსაც ზედზედ სცილიდა თამადა და ალჟერდს უსათუოდ ლევანთან გადადიოდა. ჰო, იმოქმედა ერთმა, მეორემ, მესამემ თუ სამივემ, ან კიდევ სხვა რამემაც, ეს საძიებელი აღარ უნდა



იყოს, რაკი მიზანი აღსრულდა. ეს საერთოდ. ოღონდ ახლა ყველაფერი მაინც სალომეს მიეწერებოდა, ხოლო სალომე არ იყო ისეთი ადამიანი, დაეწყო ქაღილი, მე გაეაყეთე... მე რომ არ ვყოფილიყავი... მე ვარ, რაცა ვარო, და სხვა. დიახ, ასეთი ხასიათი არა ჰქონდა სალომეს და ამიტომ არ არის საძიებელი, რომელმა ან ვისმა ღონისძიებამ უფრო გასჭრა, მერე რა კარგად გასჭრა. აჩქარება რა სათქმელია, ლევანს სულაც არ უნდოდა წასვლა, აიშაღნენ და ის ყველას აკავებდა, დიდი და ზოგადი სადღეგრძელოებით აღარავის აცდიდა, აღარც თამადას, აღარც მასპინძლებს, ალტაცებელიყო და ანთებელიყო, მღეროდა თავდავიწყებით, ხელბს უკოცნიდა სალომესა და მერის, ეხვეოდა ახოლონ კორკოტაძეს, — ღობეს ეხვეოდა ყურძნის სიყვარულითო. სხვა რაღა ეთქვათ, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, საგმარისი არ იქნება ითქვას, რომ ის მართლაც ყველაზე მეტად მხიარულებდა, ყველაზე ბედნიერად თვლიდა თავს? მაგრამ ბოლოსდაბოლოს ყველა მიდიოდა და ისიც უნდა წასულიყო... დიდი გაჭირვებით იცვამდა პალტოს, დიდი გაჭირვებით ირჩევდა ქუდს, თუმცა მისი ქუდიღა დარჩენილიყო, ამასთანავე, ნეტარებით ისმენდა სალომეს ტყბილ სიტყვებს:

— ხვალ სადილად გელით, უსანთოდ

გელით... ხომ იცით, უნამცეცებოდა, რომ იტყვიან, ნამცეცებოდა, უნამცეცებოდა მხოლოდ შინაურები ვიქნებით მხოლოდ შინაურები... მოხვალთ, რა თქმა უნდა, მოხვალთ!

— რა თქმა უნდა, ძვირფასო ქალბატონო სალომე!

— ღამე მშვიდობისათ!

— ღამე მშვიდობისათ, დიდებულო ქალბატონო სალომე!

— არ დაივიწყოთ!

— რა დამაივიწყებს, სულმნათო ქალბატონო სალომე!

სიტყვის თქმის დროს არა უჭირდა, სიტყვის იმორჩილებდა, ოღონდ კიბეების დამორჩილება აღმოჩნდა ძნელი, ორი კაცი შეელოდა, მაინც ეურჩებოდა კიბეები. ადიოდა თუ ჩადიოდა ვეღარ გაეგო, ერთბაშად რამდენიმე კიბე აღმართებოდა ან მოიშლებოდა უეცრად, უფსკრული დაუღებდა ხახას. შეძრწუნდებოდა, აყვირდებოდა თუნდაც ისეთი გულოვანი და გამარჯვებული, როგორიც ლევან ქურდოვანიმე იყო, აყვირდებოდა, მაშ რას იზამდა! ყვირილზე ეთერმაც გამოიხედა, მაგრამ მყისვე კარები მოუკეტა დეიდა სალომემ, რად უნდა დაენახა, რა დღეში იყო შესანიშნავი მეცნიერი, თვალსაჩინო მკვლევარი, რომელსაც სულ მოკლე ხანში სასწაული უნდა მოეხდინა ფსიქოლოგიის მეცნიერებაში.

(ვაგრძელება იქნება)



ქ ი ტ მ ს ა

(დასასრული)

XI

ბამოცდები

კაცი ლამის სანთლად დადნეს,
წლად გადიქვა მისთვის წუთიც;
ველარ იტევს ახალგაზრდებს
დერეფანი ინსტიტუტის.
დგას ქიტიცა, ეს შეათედ
გადის იგი გამოცდაზე, —
«ჩრქოლა მიტანს ღამენათევს»,
გულში წყენით ამბობს ასე.
როგორც ძმასთან, დგანან მასთან,
ეხვევიან გარს ბიჭები.
ფერწასული ახალგაზრდა
ეკითხება: — ჩაიჭრები?
— მეყოს, სამჯერ ჩავიჭერი, —
ეტყვის იგი ოხერით მაშინ.
მეგობარო, დამიჯერე,
სამჯერ ვიწექ ჰოსპიტალში.
— ცინც ხარ, ცნობა ადვილია, —
ამბობს ერთი მოფერებით, —
სად ყოფილხარ, სად გივლია
ეხვედებით შენი ორდენებით.
დაიძახეს მისი გვარი
და გასცილდა სწორებს სწორი.
როგორც ძველი მეგობარი,
თბილად შეხვდა პროფესორი.
მანინე თრთოდა, ცახცახებდა
ახალგაზრდა კაცი დიდხანს,
გათამამდა და გამხნედა
სამი კითხვის წაქითხვისას.
გადაავლო თვალი ფურცელს,
გაეფანტა წამით შაში,
გაახსენდა გლეხკაცს უცებ
ყველა ძველი ვაზის ჯიში.
დაჯდა. ცოტა დაისვენა
და, ვით ძველი ყრმობის ღეჭსი,
ელვისუბლად გაიხსენა
გლეხმა ვაზის მყნობის წესი.

გაიხსენა მკვდარი მამა,
ვისი ხსოვნაც ასულდგმულებს.
ლამის თვალი დაენამა
გამოცდაზე გასულ სტუდენტს!
გაახსენდა მას ვენახი,
სადაც მამა მუდამ დილით
ხელში სასხლავ-იარაღით
ფუსფუსებდა ფუტკარივით.
ააღაც თითქოს ვაზებს წამლავს,
ფესვებს მიწას მიფრდილებს.
მთელი მცხეთა მოხუც მამას
ეძახოდა მიწურიენლს.
რომ უყურებს თეთრწვერება
პროფესორი — მშობლის მსგავსი,
ვაქვაცს მამა ეჩვენება,
ახსენდება ყველა ვაზი:
— საფერავი, ციქვა, თითა,
ოჯალეში, მტრედისფება,
რქაწიფთელი, მტევანდიდა,
შწვანე, ჩეში, სავარესხვა.
ჩამოთვალა მან ნახული,
გაგონილი, წაქითხული,
იმერული, ქართლ-კახური,
ლენხუმური, ჯავახური.
არ იფიწყებს ცოლიკაურს,
ჩინურს, თეთრას, ალადასტურს:
ახალგაზრდის ყოველ პასუხს
პროფესორი ატანს დასტურს.
გლეხკაცს გულში აქვს პასუხი,
წიგნში ჩემად როდი ეძებს.
ამბობს იგი სხაპასუხით
ვაზის ღერწას მყნობის წესებს.
მას მიუგო პროფესორმა:
— პირში ჰქება როგორ გითხრა.
პასუხები მომეწონა,
მაგრამ დაგრჩა ბოლო კითხვა...



მზარეს არა, რამდენ კუთხეს
 იცნობ განთქმულს ვენახებით? —
 ახალგაზრდა უბასუხებს:
 — ჩვენში ვენახს ბევრგან ვხვდებით.
 მან ერთბაშად ჩამოთვალა
 ვაზის ჯიში სამოცამდე.

ბერიაცი ეტყვის: — კმარა,
 კმარა, უკვე გამოგცადე! —
 პროფესორი გულში ამბობს: —
 „ჩვენს ქვეყანას კიდევ სხვები
 გაუმრავლოს, გაუნარდოს
 შენისთანა ქიტესები“.

XII

ბავშირებზე-დაბრკოლება

შენ, მკითხველო, წარამარა
 გაიკვირებ, გაოცდები:
 უცბად როგორ ჩაბარა
 ჩემმა გმირმა გამოცდები!
 ასე როგორ მისდის საქმე,
 არსად ხვდება დაბრკოლებას,
 რომ აღიღებს, ყველა აქებს
 მის მარჯვენას და გონებას.
 გაჭრა ქარხნის საძირკველი,
 გამოცდებიც ჩააბარა.
 არაფერი საკვირველი
 არ გეგონოთ, არა, არა!
 რადგან ტყვიის დარად მიჭრის
 წლები ჩვენი ცხოვრებისა,
 შეიძლება, ჩემი ფაქტით,
 მან გაუსწროს ღრივის ისარს,
 ვისაც ბრძოლით გაუქვია
 გაჭირების, რისხვის წლები,
 ვინც მშვიდობის ნატრულია,
 ვინც აღვსილა დიდი რწმენით.
 და ამიტომ მართოდმართო
 მე შეფიქრებს ჩემი მარცხი,
 ეგებ კარგად ვერ დავხატო
 ბევრი არა — ერთი კაცი.

არ აგიწერთ რუსთავს, სამგორს,
 რაც, მკითხველო, კარგად იცი.
 მეშინია დამეჩაგროს
 გმირი — ჩემი ძმადნაფიცი,
 ვინც ამსხვრევდა მტრების ტანებს,
 ჰქონდა ვეფხვის გაქანება,
 მეშინია იგი განგებ
 არ დაჩრდილონ მანქანებმა. —
 ვისაც ნორჩი სიკაბუკე
 დალუბვია ორ-სამ თვეში,
 ვინც ქალარად იქცა უკვე,
 თეთრი უჩანს თოვლად თმებში.
 იწევა მკვდრებთან, დაჭრილებთან,
 სიკვდილს გრძნობდა მუდამ ახლოს.
 გმირმა კიდევ „გაქირებია“,
 „დაბრკოლება“ უნდა ნახოს?
 ვთქვათ და შეხვდა „განსაცდელი“,
 „რთული საქმე“ და სხვა და სხვა...
 ქიტესასთვის განა ძნელი
 არის მათი გადალახვა?
 ეყოს, კაცი სანთლად დნება,
 გულით ერთის გულში არის,
 ერთხელ ნახვა ენატრება
 ერთი ქალის — უჩინარის.

XIII

ოქროხელას უბვირები

აცვიფრებდა ყველას ძალზე,
 აოცებდა, აკვირებდა:
 ასე სწრაფად ქვას ქვათაძე
 ქვაზე როგორ აკირებდა.
 იყო მართლაც დასალოცი
 მისი მკლავი, მისი გარჯა.
 ტრიალებდა კალატოზი,
 ხელში ეპყრა რკინის ქაფჩა.

ტრიალებდა მარჯვე გლეხი,
 წინ გაუსწრო ძმებს არწივმა.
 ზრდიდა კედლებს, როგორც ხეხილს,
 გაზაფხულის მზე და წვიმა.
 — აი, წრთობა გვარდიული,
 ჩვენ სახელი გაგვიხუნა...
 — გვარში ქვა აქვს ჩაყირული, —
 ერთმა მუშამ გაიხუმრა.

— ბრიგადირო, გაგვიძახე! —
 დაიჭებებს ბოლოს ყველა.
 ერთი ამბობს: — დაეუძახოთ
 მეტსახელად ოქროხელა! —
 გადაწყვიტეს ძმებმა უცბად,
 ძმას სახელი გადაუცეთეს.
 ოქროხელა დეკავტორად
 ზრდადა ფსევბგადგმულ კედლებს.
 ვილაყამ თქვა: — იბრძვი, სწავლობს
 ეს ცეცხლივით კაცი, მაგრამ
 ბედი შინც არა წყალობს,
 სიყვარულში დაიწვარა.
 მას მეორე უპასუხებს:
 — არ სჩვევია გალახრება,
 მაგის ბედი ნუ გაწუხებს,
 დაჩაგრული არ დარჩება.
 საოცარი იყო მართლაც
 ნატერის ასე აცხადება:
 ოცი უცხო ახალგაზრდა
 ჩვენს ქიტესას თავს ადგება.
 ოცივენი კრელ-კრელ ქედებს
 მოიხდიან მოკრძალებით.
 მიხალმების შემდეგ ჰკითხეს:
 — ბრიგადირო თქვენ ბრძანდებით?
 რკინის ქაფჩას ხელი უშვა,
 წამით შედგა ოქროხელა.
 „ვინ არიან?“ შეიშმუშნა,
 ემცნაურა ბოლოს ყველა.
 იგი წელში გაიმართა,
 ვით ფოლადის ბირდაბირი.
 გაიმართა და მიმართა:
 — დაახ, მე ვარ ბრიგადირო.
 ერთი ეტყვის: — თქვენ გადიდებს,
 გაქებს ხალხი სასახელოს.
 წამოვედით, რომ ოცივე
 გამოვადგეთ საქართველოს.
 თქვენთან, თქვენთან გამოგვგზავნეს,
 კარგად სწავლას შეგპირდებით.
 ოსტატურად გამოგვზარდა
 ახალგაზრდა შეგირდები.
 რისთვის მაქვს, ამხანაგო,
 ცაში ხომ არ შევფრინდები?
 ასე ურცხვად აღარ მაქოთ,
 თუ ხართ ჩემი შეგირდები.
 გადახედა მან ოცივეს,
 უცებ ერთი გიშრისთმება
 უპასუხებს: — გვაპატიეთ,
 რომ გაკადრეთ პირში ქება.

ჩვენს ქიტესას არც ეს მოსწონს:
 — პატიება რას მიქვია,
 ვაქაცისთვის წამდაუწუმ
 ბოღიშისხდა რა რაგია!
 განა ლოდებს, განა ატურს
 გაზიდვინებთ ძალის ძალით.
 დარბაისლურ, ამხანაგურ
 სიტყვა-პასუხს არ ისწავლით.
 შეპყრებდა იგი დიდხანს
 თმებზეუქუქებს და ტანადებს,
 რუსთაველის პროსპექტიდან
 რუსთავს მისულ ახალგაზრდებს.
 — ზნეს შეგიცვლით უღარდლებს,
 არ დარჩებით უცვლელებად.
 იქ გეძახდნენ რუსთაველებს,
 აქ იქცევით რუსთაველებად. —
 გაეხუმრა მათ ქვათაძე
 სიტყვამკვახე, პირდაპირი.
 ახალბედებს, ახალგაზრდებს
 ასე უხვდა ბრიგადირო.
 ბოლოს ყაბუტო გაუცინა,
 თითქოს ყველას შეეთეხა,
 მან ოცივეს გაუჩინა:
 საქმე სახლის შენებისა.
 ზოგი გვერდზე მოიყენა,
 თვითონ ხელი სტაცა ნიჩაბს.
 ერთს შესძახა ოქროხელამ:
 — გაისარჯე, არა გიშავს!
 ზოგი კრულად იდგა განზე,
 მათ ქიტესა გადაპყვირებს:
 — არა, თქვენი სილამაზე,
 კეკლუტობა არ მაყვირებს.
 — ახლოს მოდი, ქვიშა ცარიით! —
 დაიძახებს იგი მკაცრად.
 ზოგს აჩეჩებს ნიჩაბს ძალით,
 ზოგს ასწავლის ქვიშის გაცრას,
 ზოგს ქვის ქვაზე წყობის აჩეჩებს,
 ზოგს ცემენტის წყალში გახსნას,
 თან უყვავებს, როგორც ბავშვებს:
 — ხომ არ არჩევთ სახლში წასვლას?
 ხომ არ გინდათ, ხვალ პროსპექტზე
 სასაიერიოდ გამოგაწყოთ?
 არა, ნაზებს და აზიზებს
 ამ სიტყვში გამოგაცხობთ.
 ერთს თარაზო მისცა ხელში:
 — ახლოს მოდექ ჩემთან, ნაზო,
 როგორც გატყობ, სიცოცხლეში
 არ გპერია შენ თარაზო.





— არა, მართლაც არ მკერია, ახალგაზრდამ თქმა შეუძლება: შამაჩემი რაჟველია, ერთ დროს სახლებს აშენებდა. ბრიგადირი ლამის მაშინ სიცილისგან არ დაიხრჩო. — ბიჭო, თუ ხარ შამის ვაჟი — შენც რაჟველი არ ხარ ბიჭო? ახარხარდა ერთხმად ყველა, მოხვდა სხარტი თქმა მიზანში. რაჟველ ყმარწვილს მეტსახელად დაუძახეს „შამის ვაჟი“. ერთმა ცქვიტმა იმერელმა, მიანება საქმეს თავი, დაიკენესა: — ისე ცხელა, ვდნები თაფლის სანთელსავით. მას ქიტესა ეტყვის: — რაო, გაგიხურდა ტვინი შინისგან? ჩინურ ქოლგას და მარაოს ჩამოგატანთ თბილისიდან. იცინოდა ოცო ერთად, შეჰყურებდნენ გამარჯვ ოსტატს, შილალ კედლებს ვინც აგებდა საქართველოს სამშვედლოსას. ქვიშას ცრიდნენ ქაბუტები, თავს ერთმანეთს აწონებდნენ და ბრიგადირს გამუდმებით ქვას და ცემენტს აწოდებდნენ. როგორც რძე და მშობლის სითბო, ბიჭებს გარჯა შეერგებათ, შალე იგრძენს შრომის სიტკბო ახალბედა მშენებლებმა. ცახელები, ქართლები, რაჟველები, იმერლები, სისხლქარბები, ჯანმრთელები, ჩვენი ქვეყნის იმედები

არ ყოფილან განსაცდელში, არ შეჰყარიათ ცეცხლში მტრების მზეში იწვრიდნენ და სამ თვეში დაოსტატდნენ შეგირდები. ფართო თვალებს უბრწყინებდა ჩვენს ქიტესას მათი გარჯა, ქაბუტთ სახით თვალწინ ედგა ქართლ-კახეთი, ფშავი, რაჟა. თვალწინ ედგა სამეგრელო, ჯავახეთი და სვანეთი; თვალწინ ედგა საქართველოს ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთ, დასავლეთი დიდ ქარხნისას ზრდიდა კედლებს. უზრდებოდა რკინის ქელი კავკასიის ზვიად ქედებს. ჩვენი გლეხის, ჩვენი მუშის, მთელი ჩვენი ხალხის ხელით იზრდებოდა ქვეყნის გულში ბუმბერაზი ქარხნის ხედიც. ინგრეოდა ბარაკები, მათ ადგილას მხარგაშლილი ჩანდნენ ახალ ანაგები სართლები — ცადაქრილი. მიწა დამწვარ-დამშარული წყალს აწვდიდა ახალ ჭადარს, ლიანებით დახლართული მტკვრის ნაპირას ქალა ჩანდა. ძეწნის, ვერხვის, ალვის შრიალს შეერთებდა ხმა უტუტესი. ჩამკვდარ მიწის წილშიაც გასჯდომოდა მამულს ფესვი. დანგრეული ნაციხარით, უზარმაზარ ქარხნის ხედით ცხადად ჩანდა — რა ვიყავით! მომავალში რა ვიქნებით.

XIV

მიზნის ძახილი

სამ წელიწადს აშენებლი მარჯვე გლეხი რუსთავ-ქალაქს, სახელს კი არ დაეძებდა, ან თბილ საქმეს, მუქთა ალაგს. მან იცოდა: ქიტესების, ივანების ნაგებია, რაც მამულში რკინიგზები, ქალაქები, ქარხნებია.

მათ აშენეს ქვეყნად, რაც კი ბურჯთა ბურჯზე მთავარია. გულმართალი გლეხიკაცი გამარჯვ ხალხის ჯავარია. გული გლეხის, ფიქრი გლეხის დიდი მიზნით ჩაღდებოდა: ხეალ რუსთავი დიდი ქვეყნის ქალაქთ შორის ჩადგებოდა.



ეროვნული
მემორიალი

კაცი იწრთო, დაოსტატდა,
ძმებს უსწრებდა, ეამს უსწრებდა.
სწავლაც, ტრფობაც გამოსცადა
სამ წელიწადს დაუსწრებლად.
ცნობდნენ თითით საჩვენებელს,
ქუხდა კაცი მკლავციხელი.
ათ წელიწადს საშენებელს
მოანდომა სამი წელი.
ჩვენს ქიტესას უხობს დილით
დიდი საქმე დედამიწის,
მოდრეკილი, ქედამობდილი
დრო ბავშვივით დგება მის წინ.
ვინც დაუსწრო ეამს უსწრაფესს,
უკან დარჩა ათი წელი,
ვინც მომავლის კარებს აღებს,
ვით კეთილი მასანძელი.
დრეკება მის წინ დრო ზვიადი
და ქიტესა ფიქრობს ასე:
„ჩემნაირი ხასიათის
ხალხი მზად ვართ პირობაზე“.
ბოლოს, როცა ქარხნის კვამლი
დაინახა მან ახლოდან,
— ეს ერთი და სხვა მრავალი! —
დაიძახა ხარაოვან.
აგუგუნდა მილი ქარხნის
კვამლის ქოჩორამიმოშლილი,
აგუგუნდა გმირი ხალხის
ბუმბერაზი, პირშო შვილი.
მაშინ ჩუმად თქვა ქვათაძემ:
„მეც მოვედი აქ პირველი.“
წერაქვს ხელი აქ დავტაცე,
აქ გავკერი საძირკველი“.
დღე აენთო ცეცხლის სვეტით
ომგადახდილი ლომგულისთვის,
ვარვარებდა ცხელი მკერდი
ახალგაზრდა კომუნისტის.

ტაში, ვაშა აღარ მიწყდა —
ერთმანეთში არეული. ეროვნული
მემორიალი
ქუხს მიტინგი. ლავა წითლად
მოჩქედს გავარვარებელი.
გადახვდა ქართულ ფოლადს
და ბალღივით, როგორც ყველას,
აუძგერდა, აუთრთოლდა
ცხელი გული ოქროსხელას.
დაიძახა ხალხმა ერთხმად:
— ჰე, მოგვხედე, ძმაო ქიტეს,
ჩვენც საბრძოლო ორდენებთან
მკერდს ორდენი ჩამოგვკიდეს!
შენ გეკუთვნის, ძმაო, სწორედ,
აშენებდი ორ ჩვენოღენს.
მან დახვდა თავმოშწონედ
შრომის წითელ დროშის ორდენს.
ტრიბუნაზე დადგა იგი,
არ დამალავს კაცი სათქმელს:
— ყველამ იცის თადარიგი,
ყველა მისდევს თავის საქმეს.
აქ რჩებიან ჩემი ძმები,
აქ დარჩენა ერთად უნდათ,
მაგრამ ნურას ნუ ეცდებით,
გადამაღნოთ მეტალურგად.
მე სამგორის მიწა მიცდის,
იქ გავტეხავ ყამირს გლეხი,
მზით ბალახი სადაც იწვის,
სადაც მიღვას ცალი ფეხი.
დაუძახეს: — ბევრი არის
აქაც სახლი ასაგებნი!
ვილაც ბრძანებს: — დარჩი მაინც,
დარჩი! არის გასაგებნი?!
— ქვა გატყდება, მაგრამ ჩემი
სიტყვა განა იზზარება.
სხვა რა გითხრათ დანარჩენი! —
მან წარმოთქვა, ვით ბრძანება.

XV

ხალხის ჯამარი

ჩვენს ქიტესას არსად დახვდა
გზა გაშლილი ვარდ-ფურცლებად,
მაგრამ რაც თქვა, გაანაღდა,
სწავლას ასწრებს დაუსწრებლად.
იმ უჩინარ, უცნობ ასულს
სწერს ქვათაძე თხოვნის წერილს:
„როდის მნახავ, ვოცდი პასუჯა“
თუ ვიცადო ორი წელიც?“

დაჯდა იგი მაგიდასთან,
წიგნი დახვდა წინ გაშლილი,
მეთვალყურედ თავს დაადგა
სიყვარულის წმინდა ჩრდილი.
„წაიკითხე!“ — უჩჩვენს ვილაც,
თითქოს იცნო ხმა ქალწულის,
წამოიწყებს წიგნის კითხვას
კაცი დადლილ-დაქანცული.



დადგა ღამე. ქართლის ღამე
 თითქოს სტუდენტს შეეკითხა:
 „წიგნის კითხვით დაიღალე,
 თუ სამგორის შენებთა?“
 „არ დავლილვარ, — იტყვის გულში
 გლეხი გაუჩერებელი, —
 ვიბრძვი, ვიღწვი, ინსტიტუტშიც
 ვსწავლობ ქვეყნის მშენებელი“.
 შედრკა ღამე. არა თქვა რა,
 ცა განათდა დაბინდული.
 ღამე გატყდა, მაგრამ არა,
 არ გატყდება კაცის გული!
 არ შედრკება გამრჯე კაცი,
 ქვას გააღნობს ცეცხლით, ნებით.
 არ ტყდებოდნენ მისი მსგავსი
 წინაპარი სეხნიები.
 მათ აშენეს ძველი ხანძთა,
 ძველი მცხეთა და თბილისი,
 თუ ქიტესა ბევრი გაწყდა,
 ბევრიც დარჩა მათი ღირსი.
 გმირთა გმირნი, ბრძენთა ბრძენი
 ახლაც ქუხან ქიტესანი:
 ქვათაძენი, ვეფხვაძენი,
 ლომიძენი, კიდევ სხვანი.
 მჯერა, სამას არაგველში
 ასს ქიტესა ერქვა ნაღდად.

მათი ზურგი განსაცდელში
 მთელ სამშობლოს ედგა
 რალა ბევრი გავაგრძელო,
 არხს უჭრიან სამგორს მძებნი,
 მზისკენ იწევეს საქართველო,
 მხრებით წივენ ძალოსნები.
 ქიტესამაც არხი თხარა,
 გადახაზა მიწის ბურთი,
 ცხელი ოფლის ღვარი ღვარა,
 დაამთავრა ინსტიტუტი.
 მისი ქული იყო ზეცა,
 დეღამიწა — ქალამანი.
 ყოველ კვირას ჩოხა ეცეცა,
 ქიდაობდა ფალავანი.
 ბოლოს, როცა არხში წყალი
 აჩქაფუნდა გასაოცრად,
 გულუკეთილმა კაცმა ძმანი
 ტყბილად, მძურად გადაკოცნა.
 ხალხს ქიტესამ გადასძახა:
 — რაც მთავარი იყო, მოვრჩით,
 ჩემი მცხეთა მეძებს ახლა,
 სიყვარული მიხმობს მორჩილს.
 დარჩა საქმის მეასედი —
 ბოლოს ლხინი, წვეულება.
 მალე წავალ. მე ასეთი
 დამყოლია ჩვეულება.

XVI

ახალი ამბავი

მოქლომინებს, მოჭრის ცხენი,
 უკან რჩება ბული,
 იკვამლება ვრცელი ველი,
 მგლის ზურგივით რუხი.
 სამგორს დაჰკრავს ტყვიისფერი,
 მოწამლულა ზეცა.
 გადატრუსულ ტრამალს მტვერი
 ეფინება ზეწრად.
 დადახედა კაცმა შარას
 დახვდა ყოფილ ძმობილს
 და თან ჩვირით შეიმშრალა
 შუბლზე ღვარი ოფლის.
 — სად ყოფილხარ, სად გივლია?
 გაგიტანჯავს ცხენი.
 შინ შემოდი — სადილია
 გემრიელი, ცხელი.
 მან კარავში შეიყვანა
 მგზავრი სახემკაცრი.

— რისთვის ჩნდება შენისთანა
 უცნაური კაცი?
 მოღუშულხარ, თითქოს დანა
 უნდა დამცე გულში.
 ერთი ბიჭი შენისთანა
 გვეყავდა ათეულში.
 შუბლს არასდროს არა ხსნიდა,
 ცახცახებდა შიშით,
 ყველაზე ღრმა სანგარს თხრიდა
 ლაჩრულ ანგარიშით.
 კარგად მახსოვს მისი სახე,
 თითქოს ვნახე გულში.
 ადრე მოკლეს, მე დავმარხე,
 ტყვია ჰქონდა ზურგში.
 გაიმართე ძმაო, მითხარ,
 შეგხვდა რამე მარცხი?
 შიშით მხრებში რას მოხრილხარ,
 ვით ის ჯარისკაცი?

შავი ფერი გადაჰკრავდა
თავმჯდომარეს ყოფილს.

ზეზე ადგა, თავს დაადგა
თავის ყოფილ ძმობილს.

— ხუთ წელიწადს მომითმინა,
ამიტანა ხალხმა,

მაინც მოხსნამ მომიწია,
გამაშავეს ახლა.

გამომგზავნეს გუშინ შენთან,
შინ არ დამხვდო, მაგრამ
შენს მაგივრად ვილაც შემხვდა,
დამინახა, გაქრა.

ქალი იყო, ვერ ვიცანი,
ძლივს მოვკარი თვალი.

ბნელ ღამეში, როგორც ალი,
გაქრა იღუმალი.

ჩაეცინა ჩვენს ქიტესას,
შეუგუბდა სუნთქვა:

— ეჰ, საცოლეს შეხვდი ჩემსას? —
ყოფილ ძმობილს უთხრა.

— როდის ვიცნობ შენს საცოლეს,
რის თქმა გინდა ამით?

— არც მე ვიცნობ, რომ იცოდეს
ვილაც დადის ღამით.

ვერ ამოვხსენ გამოცანა,
ვერც ამოვხსნით ახლა;

გატყობ, მართლა გამოგზავნა
ჩემთან ჩვენმა ხალხმა.

მე მირჩევენ თავმჯდომარედ?
კარგი, ხვალვე წავალ.

რუსთავს, სამგორს ოფლი ვღვარე,
მოვთათვე სწავლა.

— შენც წამოხვალ? — შეეკითხა
მასპინძელი სტუმარს.

დუმდა, დუმდა კაცი დიდხანს,
ბოლოს იტყვის უარს.

— მე დამტოვე, ჩემო ძმაო,
შენ ამ ცხენით წადი,

აქ დავრჩები სამუშაოდ
ერთი წელიწადი.

მეგობარი სიტყვას უპრის,
უპასუხებს წყენით:

— სიარული ვისაც უპირს,
მან იაროს ცხენით.

XVII

ოპტომგებარი

მზისგან სახეგარუჯული
მიაბიჯებს, მიდის მგზავრი,
ფრთების ცემით და ჩურჩულით
თმებს უწეწავს დილის ქარი.

განა დაღლილ-დაქანცული,
ჯანდაღლილი ან მოხრილი,

ახალკოსტუმგადაცმული
მიდის კაცი ვალმოხდილი.

მგზავრს ფურცელი უახლესი
გულთან უდევს მათუწყებლად,

რომ ხუთებზე უმაღლესი
დაამთავრა დაუსწრებლად.

გაუვლია ვაჟკაცს ძელი
შრომის სკოლა, დიდი ომი.

ახლა ძელი ტანსაცმელი
სახლში მიაქვს, ვით დიბლომი.

მტკერის ნაპირის მტკერიან გზაზე
მოდის მკვიდრი ამ ხეობის,

იარალი უდევს მხარზე,
რა კაცია, რა ხელობის?

განა რკინის იარალით
შეიძლება მარტო ომი?

უყვარს მიწა, ყანა, ბალი,
გზას მიჰყვება აგრონომი.

„ღამე დადგა, დავგვიანდი, —
მგზავრმა გულში ჩაიკვნესა.

ვინც მინდოდა, ხვალ დილამდის
ველარ ვნახავ“, თქვა ქიტესამ.

კერა გაჟვრილებული
დახვდა, როგორც თავპირველად,

მგზავრი დაგვიანებული
თავს არ თვლიდა მასპინძელად.

და წერილი მაგიდაზე
ეგდო, როგორც ღამის ჩრდილი.

„მცხეთის ბაღში, ხვალ დილაზე
მნახავ, — სწერდა ქალიშვილი, —

გეფიცები, გული ახლა
უშენობამ ამომიწვია.

გოგონების გუნდში მნახავ,
რომელი ვარ, გამოიცანი!

არ ვიქნები ნაცნობების
ზურგის უკან მიმაღული,

კარგო, განა მეცოდები,
მდაგავს შენი სიყვარული“.



ღამე ტყდება. ჩვენს ქატიკას
 არ ედება თვალზე რული;
 ვადახედავს მალლით მცხეთას
 კაცი — სევდივთ ავსებულის.
 ღრუბლის ქოჩორის შეისწორებს
 ბურთი ბადრი და ელვარე,
 დაადგება სვეტიცხოველს
 შემოდგომის სავსე მთვარე.
 წყალში აფრქვევს შუქს ხაჰსი,
 დელავს ცეცხლი ოქროსფერი,
 დაჰყურებენ მტკვარს აღერსით
 ლენინი და ოქტომბერი.
 მოჩანს ვერცხლით დაბლანდული
 სერის მუჭი ლურჯი კალთა,
 სადღაც ისმის ხმა ფანდურის,
 სადღაც მღერის გუნდი ქალთა.
 აღარ წყდება, აღარ ცხრება
 მძლე სიმღერა ცხენოსანთა.

შუღამით, აღბათ, მცხეთას
 წაყრიონი შემობრძანდეს
 ოქტომბერი მღერის ქართლში,
 რთვლობა მოჩნა დალოცვილი.
 ერთად სხედან სუფრის თავში
 შემოდგომა და ქორწილი.
 ქიტესამ თქვა: „ისევ მოცდა,
 ნატრობა მერგო წილად“.
 და ინატრა ის დღე, როცა
 მათაც უნდა ექორწილათ.
 გლეხი მარცხნივ გადახედავს,
 მტკვარს არაგვი სადაც ერთვის.
 მღინარეთა შეუღლებას
 შეადარებს გზაჯვარედინს.
 „მე კი ბედი არსად შემხვდა,
 რთხელ ნახვა არ მაღირსა“.
 ვაჟაკს ქორწილს ახსენებდა
 შუყრა მტკვრის და არაგვისა.

XVIII

არ მოდის?

იჯდა დილით მცხეთის ბაღში
 კაცი ლელოგატანილი,
 შეჰყურებდნენ, ვით სიზმარში,
 მას ლენინი და სტალინი.
 სკამზე ისხდნენ ერთად ძმები,
 საუბრობდნენ ისევ ხალხზე,
 ხალხზე ბეობდნენ ბელადები,
 რვანზე, ქიტესაზე...
 შორს წვდებოდა მათი თვალთ
 ახალ ზღვების დაბადებას,
 ქარიშხალი და გრივალი
 ერთად ისხდნენ ქანდაკებად.
 იჯდა მარტომარტო ბაღში,
 შეჰყურებდა მათ ქიტესა,
 შეუყვარდა ბალობაში
 უსაყვარლეს ბაღში შესვლა.
 გაკვეთილი დასწავლილი
 როცა ჰქონდა ბალობისას,
 მას ლენინი და სტალინი
 ანიშნებდნენ ახლოს მისვლას.
 ამხნეებდნენ ქართველ ყმაწვილს,
 უბედებდნენ წარმატებას.
 ახლა, როგორც მართვე არწივთ,
 უმზერს იგი ქანდაკებას.
 უმზერს, სითბო ხედება გულზე,
 თითქოს აღარც ახსოვს ომი,

მშვიდობაზე და მამულზე
 ფიქრობს ახლა აგრონომი
 ფიქრობს: „მამა მყავდა გლეხი,
 ოფლს აღერიდა ჯეჯილს წყაროდ,
 მე მისი ძე დაერგავ ხეხილს, —
 სადაც მარტო ძეძვი ხარობს.
 რას არ ნატრობს, რას არ ამბობს
 შემოქმედი კაცი გულში:
 — ავაყვავებ ახალ სამგორს
 ვაზით, ვაშლით, კაკლით, ნუშით.
 დაზღვავდება ივრის წყალი,
 ველზე ბალი აკვირტდება,
 ქვეყანაზე მისი ცალი
 სხვა ბაღნარი არ იქნება.
 დაებრუნდები სამგორს, როცა
 აქოჩილი ზღვა დამხვდება.
 არსად მიყვარს დიდხანს მოცდა, —
 სამგორს შინდა დასახლება.
 ამოვძირკვევ ნარს და ტუიას,
 ყველანი ვაჭმევ გვალვას სირცხვილს.
 ხელად ვიგრძნობ ხის სატკივარს,
 როგორც ბრძენი ათასი წლის.
 გამოვიყვან, დაერგავ, ვამყნობ
 ხეხილს უცნობს, მრავალ ახალს,
 და მექნება საამაყოდ,
 რომ შევმატე მამულს რაღაც.

ვენახები აღლუდებ, ზღვა მიაწვდის წყალს და ნიაფს. არ ჰქონია, არც ექნება სხვა ოცნება აღამიანს. მიზანს დიად ცხოვრებისას მომავლისკენ გზა აქვს ერთი. მე მივაღწევ სწორედ მიზანს, რადგან სიკვდილს ვამარცხებდი", — ფიქრობს იგი, გულში ბოლოს იტყვის, — „აღბათ აღარ მოდის... უჩინარი ურჩი გოგო სად შემხვდება საღამომდის? ერთხელ მაინც მოვკრა თვალი, ენახო მაინც როგორია, ჩემი ბედი მომავალი სხვებზე კარგი რომ მგონია... ეგებ არვინ არ თხოვლობს, ენატრება გასაღება; ეგრე უშნოდ რატომ ხუმრობს, რად მიმეტებს ასაგდებად? —

თქვა ქიტესამ გულმოსულმა: ახლა ვერსად ენახე დილით! ჩემთან როცა მოვა ჩემად, შინ დავხვდები ხათანგივით. არსად წავალ, სანამ ხელში არ ჩაეგდებ იმ უჩინარს: გამოვტეხავ, ასეთ ცეცხლში ჩემი დაწვა ვინ ურჩია! ვაი, თავი შეურცხვესა, ვინც ჩამთვალოს უნდო კაცად“, გულის წყრომით თქვა ქიტესამ, დაეპაღანა უცნობს მკაცრად. „შინ დავიციდი, შინ ვიქნები ყოველ ღამეს, მუდამ დილას“, თქვა და უცებ ტყბილი ხმები შემოესმა გულდარდიანს. დიმი-დაფით ატყდა დოლი, ახუნუნდა ზურნა ახლონი, წაეა, გასწევს აგრონომი, ქიდაობა უნდა ნახოს.

XIX

მომავლის გზა

ქიდაობენ გლდანელები, დიღმელები, ძეგველები, ძმები ლამისყანელები, წილყნელები, მცხეთელები. მეზურნეებს დაბაბები და ლოყები დაბურთვით, დაფდაფებენ დაფდაფები, გულში ცეცხლი დაუნთით. ვის შეხვდება ფათერაკი, ვინ დარჩება ფალავანი? თვითონ სანდრო კანდელაკი დგას, ვით ციხე-გალავანი. გადაწყურებს ქიდაობას, ბუმბერაზი ხუჭავს თვალებს და იხსენებს იმ თაობას — კამბეჩუას, კულა გლდანელს. ახსენდება, როცა ბავშვი შორით ჰვრეტდა ზვიად კაცებს. უცებ ხალხის მოწყდა ტაში, ორთავ ბეჭზე ვილაც დასცეს. — გაილახა, გაილახა! — დაიძახა ხალხმა ერთხმად. ქიტესამაც დაინახა, გლეხი როგორ დასცა გლეხმა.

შუა წრეში ვილაც იწვა, არ ეწადა წამოდგომა. ჩაიცინა, ხელად იცნო ჩია ბიჭი აგრონომმა. ჩაიცინა, მაგრამ გული კვლავ ტკიოდა ჩვენს ქვეთაძეს — ველარ იცნო დაკარგული, — ვერსად ნახა ქვეყანაზე. გოგონების გუნდთან დგება, ეგებ იცნოს თვალისჩინი, მას ბალღურად, უდარდელად უმზერს ყველა ქალიშვილი. ლამის არის გულში ფესვი ღრმად გაიდგას სევდამ ახლად. ერთმანეთზე უკეთესი ოცი მტრედი ერთად დახვდა. ოცი ერთად დგას ქალწული, — ობლად მე ვარ მარტო მგონი“ — ახალკოსტუმგადაცმული გულში იტყვის აგრონომი. ახალგაზრდა იდგა ობლად, გული ველარ დაიმშვიდა. გაწყურებდა ქიდაობას გუნდი მცხეთელ ქალიშვილთა.



„რომელია მათში ნეტავ“,
 თქვა ქიტესამ გულმოკლულმა.
 ვაჟკაცს ეპვი აშინებდა:
 „არ მოსულა, თუ მოსულა...“
 ნახერხს ასლის მტვრის სვეტები,
 წრეში წყვილი დგას შეშვიდე.
 ჩვენს ქიტესას უხმოზს ერთი
 ტანახმახი: — დამეკიდე!
 ეგ ჰალსტუხი გადაავდე,
 არ დაგახჩოხს მაგ საყელომს!..
 — არ შეშინდე, მაგრა დადექ,
 ქიტეს, უნდა გვასახელო! —
 გაამხნევა ხალხმა იგი:
 — ეგეთს დასცემ კიდევ სამასს!
 ჭიდაობის თადარიგი
 იცის ჩვენმა ქიტესამაც
 არ შეშინდა, არ გაიქცა,
 არ მიწადო — არ შეპყვირა.
 ჩოხა ხელად გადაიკვა
 ჩამეკრივებულ ტანზე გმირმა.
 რკინისკუნთებდაბურცული
 იგი წრეში გახტა მაშინ.
 მითქმა-მოთქმა და ჩურჩული
 ელვისუმაღ ატყდა ხალხში.
 ასაღებდნენ იგავს, ზღაპარს,
 ტყუილს, მართალს ცისას-ბრისას.
 ამნაირი ქება მართლაც
 არ რგებია გმირთა გმირსაც.
 ზოგი ამბობს: — ცირკში ვნახე,
 როცა დასცა სამი ერთად...
 შედრკა გლეხი ტანახმახი,
 შებმას აღარ აპირებდა.
 ბოლოს შიშით გადის წრეში,
 ვით წინასწარ გალახული.
 მის მეტოქეს სიცოცხლეში
 ცირკი ორჯერ აქვს ნახული.
 ჩვენს ქიტესას იმ ახმახმა
 ხელი ფრთხილად ჩამოართვა.
 ხმა გაკმინდა უმაღ ხალხმა,
 წამს დუმილი ჩამოვარდა.
 შებმას ჯიქურ იერით
 გაურბიან მორკინალნი.
 მაღალ-მაღალს ტანი შიშით
 გახდომია ხორკლიანი.
 ბალობიდან შეუყვარდა
 ჩვენს ქიტესას ძველი ხერხი:
 უცებ წელში შეუყვარდა,
 ზე ასწია გრძელი გლეხი.

ზე ასწია, როგორც ბავშვი,
 ახმახს ტანში გააქრკოლა.
 მას ქიტესა თითქოს ხალხში
 უპირებდა გადასროლას.
 თან ფიქრობდა: „ეგებ უმზერს
 მასაც ვინმე შავთვალეხა...“
 ხელი უშვა ვაჟკაცს უცებ
 და გასხლტომა დაანება.
 არ გალახა მან ახმახი,
 ჩასჩურჩულა თანაც ჩუმად:
 — შენზე მეტად ვარ ამაყი,
 მამ გავშველდეთ ვაჟკაცურად.
 შეცბა ხალხი, მიხვდა ხალხი:
 — შეგიცოდა, შეგიწყალა,
 არ გაბედო აქ ტრახახი,
 სიგრძეშია შენი ძალა?!
 დაიძახეს მცხეთელებმა
 და ქიტესა გადაიკონეს.
 კანდელაკიც ეფერება:
 — ჩემზე მეტი ძალა მოგცეს!
 მეზურნე რომ ჩაპბერს ზურნას,
 მედოლე რომ დაპკრავს დოლზე,
 ლომკაცურად, ვაჟკაცურად
 წრეში წყვილი გავა დროზე.
 დგას ქიტესა მეზობლებთან,
 გადასტეკრის ქალიშვილებს.
 გული ეწვის, მეგობრებთან
 არ იტირებს, არ იჩივებს.
 გოგონების გუნდში ერთი
 შავთვალეხა, გიშერთმება
 ჩვენს ქიტესას შორით ეტრფის,
 დნება, ქრება, იფერფლება.
 ვინ გაიგებს, ვინ რა იცის,
 როგორ დნება ოქრო ნაზი,
 როგორ ფეთქავს, როგორ იწვის
 გული სოფელად გოგონასი.
 და ქიტესა მიხვდა მაშინ,
 გადახედა მწველი თვალით,
 მიხვდა — ორნი ერთ ტათაში
 რომ იწვოდნენ ცეცხლის ალით.
 კაცი შექმა გააბრწყინა.
 როგორც მთვარემ სახე სანთლის.
 იციობს — გოგო პაწაწინა
 იყო ომის ატეხამდის.
 ბოლოს ხმები მიწყდა ზურნის,
 მწუხრის თალხი ბინდი მოდგა.
 ვის ლხინისკენ სწევდა გული,
 ვინ შინისკენ მიდიოდა.

— ტაში, ტაში! — საყვირით
 კივის ჩია გალახელი —
 ნახერხი რომ ყამირივით
 ბეჭებით აქვს გადახნული.
 გააჩალეს, დასცხეს ტაში,
 შეცახცახდა წმინდა მიწა.
 დასცხეს ტაში და მცხეთაში
 ჭილაობა ლხინად იქცა.
 ის ქალწული გოგონებთან
 ჩუმად კრთოდა, ცახცახებდა,
 გულის დარდი როგორ ეთქვა?
 ვერ გაბედა დაძახება.
 დაკივლებაც ვერ დასცილდა
 გულში ცეცხლად დაშლავებულს
 სიყვარულის სეედას წმინდას —
 მძაფრ ქარიშხლად გამზადებულს.
 — ჭიტეს! — ქალმა დაიძახა
 და შებრუნდა წალმა ჩარხი.
 — ბიჭოს, საქმე გაიჩარხა!.. —
 მძლე შეძახილს აყვია ხალხი.
 ხმა შეიჭრა წამით ხალხში,
 ხალხის ხმაში ხმამ გაყონა.
 ჩვენს/ჭიტესას მაშინ ტანში
 ამოდ, ტკბილად გააჭრეოლა.
 ლამის მუხლი მოეკვეთა,
 ფხა წაუხდა ვაჟაკური,
 წამით ჯანი მოეთენთა,

წინ დაუდგა მას ქალწული. *მარკინული*
 იდგა კაცი — დაჩვეული *ზინგლირთქვა*
 ომტრიალში, ცეცხლში შესვლას.
 სწორი-გულის არჩეული
 შეჰყურებდა ჩვენს ჭიტესას.
 ხალხს გაშორდა ერთი წყვილი,
 ნეტავ ხალხის რა სცხვენოდათ?
 ჭაბუჯთ ტაში და სიცილი
 არ წყდებოდა, არ ცხრებოდა.
 კალთებიდან ქართლის ზეცას
 ვარსკვლავები ძირს სცივოდა,
 შესცივოდა ქალს ჭიტესა
 და ციცივოც იცინოდა.
 ჩაუარეს ზაპეს, მალღობს,
 მიღიოდა ერთად წყვილი,
 მათ ლენინი ედგათ ახლოს
 მომავლისკენ ხელგაწვდილი.
 მიჰყვებოდნენ მტკვრის ხეობას
 დროის გმირი და ქალწული.
 ნაწნავეები ერხეოდა
 ქალწულს კობტად გადაწული.
 ირხეოდა წყვილის ჩრდილი,
 როგორც სიმე-ვატარძლისა,
 ნათღებოდა წინ გაშლილი
 გზა ჭიტესა ქვათაძისა.

1954 — 1955 წელი
 თბილისი — მცხეთა.



თენებოშის კალთებზე

თუ მგზავრს სვირის ჭალეებში ბინდო
წამოეწია, ფეხს უნდა აუჩქაროს, თორემ
აჯამეთის ტყეში გავლისას, დიდი გუ-
ლადიც რომ იყოს, შიში მაინც დას-
ძლევს, თავის მოსატყუებელ ღიღინს
წამოაწყებინებს და, სანამ ტყეს არ გას-
ცდება, მშვიდი ფიქრების საშუალებას
არ მისცემს.

ფრთხილად მიაბიჯებდა ჯუმბერი.
მარცხენა ხელში მომცრო ჩემოდანი
ეჭირა, მარჯვენას თავისუფლად იჭ-
ნევდა და ხანდახან, ვითომ შემთხვევით,
გაპკრავდა ხოლმე პიჯაკის ჯიბეს, რო-
მელშიც პატარა ელექტროფარანი ჩაი-
ლო მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე.
ცოტა ხნის წინათ ვაგონის კუბეში იჯდა,
ჭადრაკს ეთამაშებოდა გზაში გაცნობილ
ოფიცერს, რადიოს უსმენდა, პაპიროსს
აბოლებდა და კედელზე მიმაგრებულ
ლითონის საფერფლეში აქრობდა; ახლა
კი დაბურთულ ტყეშია, ასწოვან მუ-
ხებს შორის გაქრალ ბილიკს დასდგო-
მია, გასული შემოდგომის დამალ ფოთ-
ლებს თელავს. იქნებ ასეთი მკვეთრი
ცვლილების ბრალია გულში ჩაპარული
პატარა შიში. არც არის გასაკვირი, თით-
ქმის ერთი წელია, აღარ ყოფილა სო-
ფელში, გადაეჩვია ტყეებში ხეტიალს,
დანისლულ მთებზე სიარულს. ახლაც არ
შეეშინდებოდა ჯუმბერს, ოღონდ იცო-
დეს; რამ გაანძრია ის ბუჩქი გზის ნაპი-
რას, ან რომელი ნადირის თვალებია,
შორს, ტყის სიღრმეში რომ გაივლია.

უეცრად ჩემოდანი ბუჩქის ტოტს წა-
მოეღო, ტოტი დაიჭიმა, ორიოდ ნაბი-
ჯით გაჰყვა ჯუმბერს, მერე ასხლტა და
ჩემოდანი ჩაფხაჭხა. ჯუმბერმა ჯიბის
ელექტროფარანი ამოიღო, პიჯაკის უბე-
ში ჩამალა, თვითონაც ჩაუჭყიტა და
გაანათა. შეამოწმა. სწორედ ამ დროს
წყლის შორეული ჩხრიალი მოესმა. „გა-

მომივლია ტყე“, გაიფიქრა გახარე-
ბულმა. ნაბიჯს უმატა. ტყე თანდათან
გამეჩხერდა. ხეები თითქოს დადაბლდა.
ბილიკიც გათავდა და კუდივით გადაება
ფართო შარავზას. ჯუმბერი ღელეს
წაადგა თავზე. წყალი ჩუჩჩუხით მიედი-
ნებოდა გზის გასწვრივ, რალაცას ბუტ-
ბუტებდა, ჩურჩულებდა, ქვეებს ეჯახე-
ბოდა, თითქოს გზას ვერ პოულობდა
უძთვარო ღამეში.

ჯუმბერი ღელის პირს ჩამოუჯდა. „აქ
გზის ნახევარია სადგურამდე“, ასე ამ-
ბობენ სვირის ბაზრობაზე მიმავალი თე-
ნებოურელი გლეხები. იქნებ მართალ-
ნიც არიან, ჯუმბერს კი უკვე სახლში
მისული ჰგონია თავი. ცოტას დაისვენ-
ებს, პირზე წყალს შეისხამს და ერთ
საათში ბელუხასაც ააყუფებს, ხმას არ
მიაწყდენს, ძალი იხლეჩა იცნობს, მი-
წაზე წაწეება, თავისა და კულის ქნევას
დაიწყებს და წყმტუნით გამოხატავს
სიხარულს...

ჩაბნელებული მიდამო რალაცამ გა-
ანათა. ხეთა ჩრდილებმა შარავზა-
ზე გადაიარბინეს და გაქრნენ. ჯუმ-
ბერი წამოხტა და მალლობისკენ დაიწყო
ეჭირა. ცოტახნის შემდეგ ისევ გამოჩნ-
და სინათლე. ავტომანქანა იყო. ჩემო-
დანს ხელი წამოავლო და გზაჯვარედინ-
ისაკენ გაიქცა, „თუ თენებოურისკენ
გადაუხვია, მეც გავყვებიო“, გაიფიქრა
ჯუმბერმა.

შოფერს დაღმართზე მოტორი გამო-
ერთო და ისე მოჰყავდა ავტომობილი.
ჯუმბერი თენებოურისკენ მიმავალ გზა-
ზე გადავიდა. ჯიბიდან ელექტროფარ-
ანი ამოიღო და გაანათა, იქნებ სიბნე-
ლეში ვერც შემამჩნიოს შოფერმაო. მან-
ქანამაც იქითკენ გაუხვია და შეჩერდა.
ჯუმბერი განგებ შექფარის სინათლეში
დადგა, თუ ვინმე ნაცნობია, დამინახავს

და თვითონვე დამიძახებსო. ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, მართლაც დაუძახეს:

— ჯუმბერ, შენა ხარ?

— ჯუმბერი ვარ, შენ რომელი ხარ, ვერ გიცანი.

— ამოდი აქ და მიცნობ, — გაიცინა ვილაცამ მანქანის ძარახზე.

შოფერმა კაბინიდან რეზინის ქურკელი გადმოიტანა, მანქანის კამერის გადასაქვრი, ღელის ნაპირზე ჩაირბინა და სიბნელეში დაიკარგა. ჯუმბერმა ფეხი შედგა მაღალ ბორბალზე, აიწია და ძარის მოაჯირს გადააჯდა. ვილაცამ ჩემოდანი გამოართვა.

— წინ დადექი, — უთხრეს ჯუმბერს, — დასაჯდომი ადგილი არ არის.

— უშანგი, შენ ხარ?! — წამოიძახა ჯუმბერმა და ადამიანის ლანდს, რომელიც ფოტოსურათივით თანდათან მკვეთრად ისახებოდა სიბნელეში, მარჯვენა ხელი მოუქმებდა, — ხმა გამოგცვლია, ბიჭო, ველარ გიცანი.

— შენ კი არა, ახლა დედაჩემიც ვერ მიცნობს ხმაზე, მანქანაზე გავცივდი, ჩიტვივით მოფრინავდა ეს სულწაწყმედილი.

— საიდან მოდიხარ?

— ქუთაისიდან, საქონელი წამოვიღე და...

— საქონელი? — ჯუმბერმა მიიხედა, ახლა უკვე კარგად გაარჩია მანქანაზე დაყრილი ხის ყუთები, რამდენიმე ტომარა და საზაფხულო, დასაკეცი საწოლები.

— კოოპერატივის გამგედ დამნიშნეს, — თითქოს დანაშაულს აღიარებსო, ისე წარმოთქვა უშანგიმ, — დღეს პირველად მომაქვს საქონელი.

— ბიჭოს, მერე ვაქრობა გეხერხება? ხომ იცი, მაგასაც ნიჭი უნდა.

— ვერა ვარ კარგი დახლიდარი, მაგრამ დაგეხმარებითო, მპირდებიან... აღარ მივიღივართ? — გასძახა უშანგიმ შოფერს, რომელიც მანქანაში წყალს ასხამდა და თავი გვერდზე გადაელუნა, რომ რადიატორიდან ამომავალი ორთქლი არ ესუნთქა. არაფერი უპასუხა

უშანგის, ჩაჯდა და მოტორი დაუშვა. ჯუმბერმა კაბინის სარკმელში მხოლოდ ახლა შენიშნა; შოფერის გვერდით ვილაც კი იჯდა.

— ეინ არის? — შეეკითხა უშანგის. თავი ძლივს შეიკავა, კინალამ წააქცია უეცრად დაბრუნდა მანქანამ.

— ხე-ტყის საწყობის გამგეა ქუთაისში, ბელზე შემხვდა; ხვალამდე უნდა მეცადა ჩვენი კოლმეურნეობის მანქანისათვის.

— შენი სტუმარია?

— არა, ასლანთან მიდის, ახლო ნათესავეები ვართო, ასე მითხრა.

ასლანის ხსენებაზე ჯუმბერი ცუდ გუნებაზე დადგა. თითქოს უშანგიმ ამით ანიშნა: „რამაი საქმე, ნუნუს ამბავს რატომ არ შეეკითხებიო“. მართლაცადა, მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, მას შემდეგ ჯუმბერს სულ არ გახსენებია ნუნუს, ვითომ ასე შეაშინა ტყეში? თუმცა თბილისშიაც დამართია: სალამოს, ინსტიტუტიდან დაბრუნების შემდეგ, გაოცებით აღმოაჩენდა, რომ ლექციების განმავლობაში არც კი გახსენებია, იყო თუ არა ამ ქვეყნად ერთი ძალიან, ძალიან ლამაზი გოგონა, რომელსაც ხან „ჩემო ნუნუს“, ხან „პატარა ნუნუსას“ და ხან „ჩემო პატარას“ უწოდებდა თავის წერილებში. ნეტავ ნუნუს თბილისში წამოსულიყო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჯუმბერი ორი კურსით იქნებოდა წინ... ვერ შეეღია ასლან ბიძია ქალიშვილს, ვერ გაიმეტა ქალაქისათვის, იქნებ ასეც სჯობდეს.

— რამ ჩაგაფიქრა, ამხანაგო, არ მოგწონს ჩვენი სოფელი? — გაეხუმრა უშანგი, ფიქრებს მიუხედა, სოფლის ახალგაზრდებიდან მხოლოდ მან იცოდა ჯუმბერისა და ნუნუს ტრფილის ამბავი, — ნუ გეშინია, ქალის უნახავს გაგხდის, ისე გალამაზდა... იცის, რომ მოდიხარ?

— იცის, — დაიმორცხვა ჯუმბერმა და თავისი უკანასკნელი წერილი გაახსენდა, სამკვრელად გადაწერილი და უნებურად დახეპირებული.

— მერე, შე კაი კაცო, რას იცდიდი ამ გზაჯვარედინზე, ფეხით ასულიყავი.

— არ მიცდია, მეც თქვენთან ერთად მოვედი.

— რომელი გზით?

— სვირიდან.

— სვირიდან? — გაოცდა უშანგი, — დავაქაცებულხარ, ძმაო, ღამით ძალს ვერ შეიტყუებ იმ ტყეში.

მანქანა ახლა ფრთხილად მიჰყავდა შოფერს. აღმართზე ამავალი გზა უანგარისოდ მოიყურელი, მიწაში ნახევრად-ჩაფლული ლოდებში იყო მოკირწყლული და ავტომობილი ორივე ბორბალზე კოკლობდა. შარაგზა ხან აკაციების გვირაბში შედიოდა, მაშინ ჯუმბერი და უშანგი იმუხლებოდნენ, რომ სახე არ გაეკაწრათ, ხან კი თავქვე დაეკიდებოდა, ღელეს მიადგებოდა და თითქოს წყალს გადაახტაო, მეორე ნაპირზე გრძელდებოდა.

«აღბათ ჯერ არ სძინავს ნუნუს, — ფიქრობდა ჯუმბერი, — აქამდე მელოდებოდა, ახლა კი გადაწყვიტა, აღარ ჩამოვარ და მოიწყინა, თავის ოთახში ზის, იატაკს დასცქერის, თათის წვერებზე დაკიდულ ტუფლს აქანავეებს, ხან ქუსლზე მიირტყამს, ასეთ დროს ჯუმბერს რამდენჯერ აუკრავს ფეხი ნუნუს ტუფლისთვის და იატაკზე გადაუგდია, ნუნუს გაბრაზდებოდა და შიშველი ტერფით დაითრევდა ფეხსაცმელს... იქნებ ახლა ნუნუს ფანჯარასთან მივიდა და ჯუმბერის სახლისკენ გაიხედა. ბელუხა არ ჰყვფს. სახლიდან სინათლე არ გამოდის. „დაწეკი, გოგო“, უყვარის მეორე ოთახიდან მამამისი... არა, ასლან ბიძია ახლა შინ არ იქნება. ამიტომ ნუნუს ჯერ არ წვება. ისევე გასცქერის ჯუმბერის ეზოს და გზას. იქნებ ამ ავტომობილის სინათლე შეამჩნია ახლა, მოტორის გუგუნიც მოესმა და გაიღიმა?... ჰმ, შეიძლება სულაც არ გავხსენებოვარ დღეს, — ეკვამა გაუღევა უეცრად ჯუმბერს და უშანგის გადახედა. უშანგიც ჩაფიქრებულა. ფიქრობს თავის კოორპერატივზე, ქუთაისიდან წამოდებულ საქონელზე და ხვალინდელ დღეზე. ისიც ჯუმბერს

უყურებს. ელიმებათ. ხედებიან ერთმანეთის გულისტქმას.

— ეპ, — უნებურად ამოვიტყუე ბერმა და მაშინვე ჩაახველა, ვითომ სწორედ ჩახველება უნდოდა, მაგრამ უშანგის არ გამოაპრვია ეს.

— რას ოხრავ, ბიჭო, ასე გაქვს საქმე?

— არა... — შეყოყმანდა ჯუმბერი — საკაბის ჩამოტანა მინდოდა ნუნუსთვის და...

— ფული დაგაკლდა?

— ჰო!

— ნუნუს რად უნდა, ბიჭო, შენი ნაციდი საკაბე, — ჯუმბერის გაბრაზება სცადა უშანგი, — დღემდე უკვე ორასი შრომადღე აქვს ჩაწიქიქებული და თუ ძალიან შევხვეწები საქორწილოდაც გამოგაწყობს.

— საქორწილოდ? — თითქოს ეუცხოვა ჯუმბერს.



მანქანა სოფლის კოორპერატივთან შეჩერდა. მაგრამ შოფერი მოტორს არ აქრობდა. ნელ-ნელა შემოატრიალა ავტომობილი, ბოლო შენობისკენ მოაქცევინა, მერე ერთბაშად მიაგდო კოორპერატივის ჩარაზულ კარებთან. ამ დროს მოტორი ისე ასრიალდა, ისე აქოთქოთდა, თითქოს ახლა აპირებს მოგზაურობის დაწყებასო, და უეცრად ჩაჩუმდა.

ჯუმბერი და უშანგი ერთად გადმობნენ მანქანიდან. ჯუმბერმა მთისკენ გაიხედა; აქა-იქ მჭეტლავ სინათლევებს შორის ცდილობდა გამოეცნო, რომელი იყო მისი სახლი, მერე ნუნუს სახლსაც ადვილად იპოვნინდა. მანქანის ყურთწამლები რახრახის შემდეგ ახლა სიმღერასავით ჩაესმოდა ცაცხვების შრიალი და წისქვილის ქვის ზმაური, ეტყობოდა, საფეკავი ილეოდა ხვიერაში. ჯუმბერმა თავისი ჩრდილი დაინახა და მაშინვე ცას ახედა. ავტომანქანის შექთარის სინათლეში ვერც შეუმჩნევია მთვარის ამოსვლა. «მალე ავალ

ახლში, როგორ გაუკვირდება ბებნას, იქნებ ასლან ბიძიასთანაც არ ეძინოთ, რა უქირს, გადავალ, არც ისე გვიანაა“.

— გამდლობთ, უშანგი, წავალ ახლა, — წარმოთქვა ჯუმბერმა.

უშანგი შორს იდგა და კოპერატივის კარს მოხრდილ ქეას უმარჯვებდა, რომ თავისით აღარ მიხურულიყო. ჯუმბერის ხმა რომ შემოესმა, წელში გაიმართა და, ცოტა არ იყოს, გულმისულად დაიძახა:

— გამოიწი აქეთ! — ჯუმბერი მივიდა, — შენ თუ ახლა აქედან ფეხს გაადგამ, მერე ჩემთვის გინდა ყოფილხარ და გინდა არა!

— მეჩქარება, უშანგი, დალილიც ვარ.

— კარგი ახლა, ბავშვივით ნუ ლაპარაკობ, ისეთ ღვინოს დაგალევიან, რომ...

— ბუბიაჩემს ეწყინება, მისი ამბავი ხომ იცი.

— ვიცო, ვისაც ეწყინება, — ეშმაკურად გაიღიმა უშანგიმ, — უცბად დავცლით მანქანას და...

— არა, წავალ, წასვლა სჯობს.

— ბიჭო, ჩემი ახალი საქმიანობა არ უნდა დამილოცო? — ისეთი სერიოზულადობით ჰკითხა უშანგიმ, თითქოს ამის შემდეგ ფარხმალი უნდა დაეყარა ჯუმბერს.

— მამატიე, უშანგი, თუ ძმა ხარ, არ გეწყინოს, მაგრამ წავალ.

— კარგი წადი, წადი, ძმაო, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, — მკვახედ ესროლა უშანგიმ და გამოწრთობილ ჯარისკაცივით სწრაფად შეტრიალდა. ჯუმბერს ეწყინა, ეწყინა ის, რომ უშანგის ეწყინა. „ვერ უნდა მიხვდეს? სახლში ასვლა სველაფერს მირჩევნია“, გაიფიქრა ჯუმბერმა და უშანგისკენ გაემართა: „ისევ მე დაერჩე ნაწყენი, მიუკადრისაო, არ იფიქროს“.

უშანგას მეწისჭვილესთვის დაეძახა და ახლა შუა გზაზე ელოდებოდა. მეწისჭვილე კრაქს ხელისგულს აფარებდა, მაგრამ გამხმარ თითებს შორის ნიავი მანც ეპარებოდა და ალი ხან პატრუქზე

გადაწვებოდა, თითქოს ქურქულში ჩაძრომას ლამობსო, ხან დაწუნარდებოდა, გაიმართებოდა და შავ მკვარცხელს ვეხვებოდა. როდესაც ახალგაზრდებს მიუახლოვდა, მეწისჭვილემ ჩუმში სალაში თქვა და უცერად წამოიძახა:

— ეს ჯუმბერი არ არის?

— მე გახლავარ.

— ასე უნდა, ბაბუა, ასე, ხშირ-ხშირად უნდა ჩამოხვიდე, სამშობლოს დავიწყებას არავინ მოგაწონებს.

— მალე გამოვიყვით, ბაბუა, სულ მალე.

— რომელზე ხარ ახლა?

— მესამე კურსზე გადავედი.

— აბა, ჰე, — შეაგულთანა მოხუცმა და კრაქი მიწაზე დადო.

უშანგი მიხვდა, ჯუმბერი აღარ წავიდოდა, მისი ჩემოდანი კოპერატივის წინკარში შეიტანა და მანქანაზე ასვლას აპირებდა, რომ იქიდან ყუთები და ტომარები გადმოეწოდებინა.

— ეპე, ერთს გადავყვი და ამასობაში მეორე გამეპარა — წამოიყვირა უცერად უშანგიმ, გზისკენ გაიქცა და გასძახა, — დათიკო! — პასუხად ეხო მოვიდა.

— დათიკო, უუუ! — მოუმატა ხმას უშანგიმ, — უუ, — გამოაჯაერეს მთებმა.

— ყრუ კი არა ვარ, ამხანაგო! — გაისმა სულ ახლოს და ღელედან მომავალ ბილიკზე ორი ლანდი წამოიძარა.

— აქ ყოფილხარო? არ გეწყინოს, დათიკო, ჩვენში ასე ვიცით ძახილი: მთებს ვიხმართ, როცა ხმა არ გეყოფნის. აბა, წამობრძანდით, დედაჩემთან უკვე გაგზავნილი მყვეს კაცი, ხაჭაპურებიც გამოცხობილი ექნება.

— სახაჭაპუროდ არ მცალია, ბოდიშს კი ვიხდი შენთან, აგერ, დედეში ცივი წყალი დავლიეთ და სხვა არც მინდარამე. — უპასუხა დათიკომ.

ისინი მანქანას მიუახლოვდნენ, უცერად დათიკო შეჩერდა და უცნაური დაუინებით დააქერდა ჯუმბერს.

— ბოდიში, თქვენ მგონი...

— ეს ჩემი მეზობელია, — დაასწრო უშანგიმ, — თბილისში სწავლობს და ახლა არადადგებზე ჩამოვიდა, ჯუმბერ, გაიცანი, ეს...

მაგრამ უშანგიმ დათიკოს წარდგენა ევლარ მოახერხა, რატომღაც ენა დაება. ჯუმბერმა უსიამოვნოდ მოიშორა დათიკოს ხელი: ღელეში დაებანა და კარგად არ გაეშრო. თითქოს უშიზნოდ აღელდა; თავხედურად შესცქეროდა ახალი ნაცნობი.

— „მაშ ეს ყოფილა ჯუმბერი? — გაუეღვა დათიკოს, — ეს მეცილეა ნუნუს? კაცი არ ვიქნები, თუ მისივე პირით უარი არ ვათქმევინო,“ — მერე ხმაძლლა მიმართა ჯუმბერს:

— თქვენ სადღაც მინახავართ, მგონი...

ჯუმბერმა თითქოს გუმანით იგრძნო მეტოქე და მისი ავი ფიქრები, უეცრად ჯიბის ელექტროფარანი ამოიღო და სახეში მიანათა დათიკოს. მოჩვენებასავეთ გაიღვრა დაღმევიღმა და უზომოდ დამფრთხალმა სახემ, წვრილმა, ქრელმა თვალებმა და თვალბთან აფარებულმა თითებმა. ჯუმბერი აღელდა, თითქოს ახლა შემოეფეთა ის მგელი, რომლის თავდასხმას აჯამეთის ტყეში მოელოდა, მერე ისიც იგრძნო, რომ ცოტა უზრდელობა გამოუვიდა, ფარანი შეატრიალა, ფეხსაცმელებზე დაინათა, ხომ არ გამსვრიათ, და წყნარად წარმოთქვა:

— არა, მე არ მახსოვხართ, — თუმცა იმ წუთშივე იცნო ინსტიტუტის სასადილოს ყოფილი გამგე.

— კეთილი, — გაისმა დათიკოს დაგვიანებული პასუხი, ამ სიტყვაში დაუმთავრებელი მეტარა იმალებოდა, ძლივს შეიკავა თავი, მკლავები აუთამაშდა, შეკრთა კიდევაც, თითქოს სახეზე კი არა, გულში ჩაინათეს ფარანი.

— აბა, წამობრძანდით, დათიკო, მერე ჯუმბერთან ერთად წახვალთ, ერთი გაქვთ გზა, — უხერხულობა დაარღვია უშანგიმ.

— მე ასლანის სტუმარი ვარ, მელოდება და რას ვერჩი, ხომ არ გავათენ-

ბინებ, — უხეშად წამოისროლა დათიკომ, — ასეც რომ არ იყოს, გათენებამდე უნდა ჩავიდე ქუთაისში, საქმე მდებარეობს.

— ეს კაცი მაინც გამატანე, — შოფერზე მიუთითა უშანგიმ.

— აჰ! — უარის ნიშნად წამოიძახა დათიკომ, ისეთი ხმით, რომ რაღაც მიზეზი უნდა დაესახელებინა, მაგრამ თითქოს დაავიწყდაო, გაჩუმდა. შოფერი მანქანის კაბინის საფეხურზე ჩამომჯდარიყო, როგორც კი ახსენეს, წამოდგა, უშანგის მიუახლოვდა და ხელები გაშალა.

— მანქანას ვერ დავტოვებ, თორემ სიამოვნებით, — წარმოთქვა მან და დათიკოს შეხედა. ამ უკანასკნელმა ზურგი შეაქცია ჯუმბერს, უშანგის გამოემშვიდობა, თავზე ქელი ჩამოიფხატა და სწრაფად გაშორდა იქაურობას. იგი ჯერ ღელის ნაპირზე არ იყო ჩასული, მისი მკრთალი და გრძელი ჩრდილი კი უკვე გაღმა გასულიყო და აღმართზე მიცოცავდა, ასლანის სახლისკენ.

მეწისქვილეს მანქანა დაეცალა, ყუთები, დასაკეცი საწოლები და ტომრები კოპერატევიმ შეეზიდა, ახლა კი ბოქლომს ხელში აჩხარუნებდა, უშანგის ელოდებოდა.

— დაკეტე, ბაბუა, და აბა შენ იცი, წისქვილს ნუ გადაყვები, აქეთაც გქონდეს თვალი, — უშანგი შოფერთან მივიდა, — თუ წამოხვალ, გამეხარდება, თუ არა-და, იქნება ვახშამი გამოვატანო ვინმეს, მარტო იქეიფე... წავიდეო, — უთხრა ჯუმბერს და მისი ჩემოდანი ილღიაში ამოიღო.

ჯუმბერმა ფეხი აითრია. უგუნებოდ იყო გულში თითქოს მწარე წვენი ჩააწურეს, თავი უბრუოდა. რამ გახადა უგუნებოდ? უშანგის უადგილო და უდროო მასპინძლობამ, თუ ნუნუს უნახობამ? ერთმაც, მეორემაც და კიდევ რაღაც სხვამ...

„არა, მე არ მახსოვხართ“, გაახსენდა თავისივე სიტყვები.

„კეთილი“, ცოცხლად ჩაესმა დათიკოს აღრენილი ხმა.

ნუნუ ფეხადგმული ყვავილია, ნუნუ ჩურჩულია მთის წყაროსი. თუ ამ ყვავილს არ დაყნოსა, თუ ეს წყარო არ შესესა, ჯუმბერი ვერ გაძლებს, რამე დამართება, სადღაც გადაიარგება.

ასე სწერს უკანასკნელ წერილში.

მაგრამ დღესაც არ ჩამოვიდა.

არ ეძინება ნუნუს. გარინდებული წევს საწოლში და ფანჯრიდან ცას შეჰყურებს. მის თვალბეჭეში მთვარე არეკლილია, ორი მთვარე. მაგრამ აი, საყვირველები; ორივე თვალში მთვარეები იბინდებიან, თითოლვას იწყებენ, ალბათ ღრუბელი ეფარება ცაზე. არა, ცა მოწმენდილია. ნუნუ ტირის. ცრემლები სცვივა. თითო ცრემლი თითო მთვარეს იტაცებს თვალდან და ქვევითენ მიჰქანებს, სანამ ბალიშს არ დაეცემა. ეს სიყვარულის ცრემლებია, ტკბილი, გულის დამამებელი ცრემლები. ნუნუ ხელს იწვდენს და სკამზე გადაფენილ კაბის ჯიბეში ცხვირსახოცს დაეძებს. ნამტირალევი ბავშვივით ასლოცინებს ნუნუს.

წერილში სწერია: „შაბათ საღამოს ენახავთ ერთმანეთს, ადრე არ დაგვიხნოს“, ჰოდა, ნუნუს არ იძინებს. ყანიდან რომ დაბრუნდა, მამა სახლში არ დახვდა. თავი დაიბანა, კაბა გაიფთოვა, ფანჯარასთან ჩამოჯდა და აბრეშუმის ხელსახოცის ქარგვა განაგრძო. უეცრად გაახსენდა, მამისთვის ჭადი არ იყო გამომცხვარი. შეშინდა, შშიერმა არ მომისწროსო, ბუხარში ცეცხლი გააჩაღა, ცაცხვის ნემო დაკრიფა და სამი ჭადი დააკრა კეცებზე. გულზე მოეშვა.

დაღამებულაც არ იყო, როცა მამა დაბრუნდა. არაფერი უკამია, ისე დაწვა. ჯუმბერი არ ჩანდა. ნუნუს იმედი ჰქონდა, ალბათ სახლში მივიდა, დალილია და ჯერ იმიტომ ვერ გადმოდის ჩვენთანო. მაგრამ ლეღვის ხეებს შორის, ჯუმბერის ეზოში, ნინო-ბებია დაინახა, დაბალ სკამზე იჯდა და ინდაურის ჭუკებს ფხალს აკმევდა, აკაციის ფოთლებისგან გაკეთებულს. შეილიშვილი რომ

მოსვლოდა, ამისთვის არ ეცლებოდა ნინო ბებიას... დაღამდა. ახლა მარჯვენა კენ დაიწყო ცქერა ნუნუს. ახლა მარჯვენა ხანდა, ოდებიდან მოჭიბტე ლამპების შუქს გარდა. ცოტა გვიან, როცა მთვარე ამოვიდა, აჯამეთის ტყისაკენ თავაწყვეტილად მიჩუბჩუხე ღელის წყალი სარკესავით აბრიალდა აქა-იქ. ასლა უფრო ადვილად შეიძლებოდა მგზავრის შემჩნევა შარავნაზე.

მაგრამ არ ჩანდა სასურველი მგზავრი. ნუნუმ ტანთ გაიხადა, ფანჯარა ოდნავ მიხურა და საბნის ქვეშ შესრიალდა. საწოლი გრილი იყო, ესიაშოვნა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ლოყით დაეძებდა ბალიშის გრილ კუთხეს, შიშველ ტერფებს აბჯენდა რკინის საწოლის თავს. დაწვა, მაგრამ სულ მალე ინანა: ავტომანქანის შორეული, ყრუ გუგუნი მოესმა. გულფართხალებული წამოჯდა ლოგინზე, მერე შუქფარის სინათლესაც მოჰკრა თვალი, ავტომობილი კოაპერატივთან გაჩერდა. რა ჰქნას ნუნუმ? ტანთ ჩაიცვას? მერე ხომ მამასაც გააღვიძებს. იკითხავს: „რამია საქმეო“, შეიძლება მიხვდეს კიდევაც ყველაფერს. მთელი დამე აღარ დაიძინებს, იბურდ-ლუნებს, ნუნუსაც გაუწყრება და ჯუმბერს ხომ მიწასთან გაასწორებს დაიცნვით. არა, ისევ სჯობს, ლოგინში დარჩეს. თუ ჯუმბერი მართლა მოვიდა, როგორმე ანიშნებს ნუნუს. ან ბელუხას დაუსტვენს თავისებურად, ან ხმამაღლა დაელაპარაკება ნინო ბებიას, ნუნუსთვის ესეც საყმარისი იქნება. მაგრამ ტყუილად შემფოთდა, არ ჩანს ჯუმბერი, თუ იმ მანქანას მოჰყვა, აქამდე უნდა ამისთლიყო კიდევაც. დანადღლიანდა გოგო. სწორედ მაშინ გაახსენდა ჯუმბერის უკანასკნელი წერილი, რომელშიც ფეხადგმულ ყვავილსა და ჩურჩულე წყაროს ადარებდა ნუნუს, რომელშიც სწერდა, ადრე არ დაგვიხნოსო. ჰოდა, არ იძინებს ნუნუ, არ იძინებს და მთვარეს შეჰყურებს ცრემლიანი თვალებით.

აიგნის კარებზე დააკაუნეს. ნუნუ შეკრთა. ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

ფართო თვალები უფრო გაუფართოვდა. ხელმეორედ მოისმა კაკუნი და კარიც აკრიალდა. შეინძრა მაღალ ბიჯგებზე შემდგარი ძველი. ოდა, აივანზე ვიღაც შემოვიდა და მცირე დაყოვნების შემდეგ იმ ოთახის კარზე დააკაკუნა, რომელშიც მამას ეძინა. ვინ უნდა იყოს?

— ასლან! — ჩემმა ძახილმა აზრი გაუწყვიტა ნუნუს, იმ წუთშივე იცნო განსაკუთრებულად წარმოთქმული „ს“. თითქოს ძალს უსისინებსო. დათიკო იყო, მამის ახალი ნაცნობი. რას შემოეჩვია ამ ბოლო დროს ეს კაცი, მამა ამხროს ჩემი ძველი მეგობრის შვილია, თენებოლურში აპირებს ჩამოსახლებასო, მაგრამ ნუნუს არ სჯერა, თუ სამოსახლოს ეძებს, საბჭოს თავმჯდომარეს უნდა მიავითხოს... რა გაწითლებული თვალები აქვს, თითქოს საგანგებოდ ისრესდეს თითები, რა ძალის-ძალათი უღიმის ხოლმე ნუნუს, ვინ ეხვეწება?!. რამ მოიყვანა ამ შუალამისა? ჩუ, მგონი მამა წამოდგა და კარებისკენ მიდის.

— რომელი ხარ?! — მოესმა ნუნუს მამის ჩახრინწული ხმა.

— მე ვარ, ბატონო ასლან, დათიკო. კარი გაიღო და წინა ოთახის იატაკი მძიმე ნაბიჯებმა ააკრაქუნა.

— რატომ დაიგვიანე?
— არაფერია, ბატონო ასლან, გათენებამდე მაინც მოვასწრებთ.

— მოსწრებით კი მოეასწრებთ, მაგრამ... — მამას რატომღაც შეუბორძივდა ენა. მერე მოკლედ მოკრა, — ფული პოიტანე?

— აქ მაქვს, ლამა აანთე და გავსწორდეთ.

ნუნუს თვალნათლივ წარმოესახა, თუ რატორ მივიდა კედელთან მამა, როგორ მოაფათურა ბუხრის თავზე ხელები და ასანთი მოძებნა. ცოტახნის შემდეგ ღრიკოდ დატოვებულ კარიდან ნუნუს ოთახში სინათლის სვეტი ჩამოწვა, ნუნუს ოთახიდან კი ლამის პებელა წაფარდა ლამისკენ. ეტყობოდა ბევრი ფული ჰქონდა დასათვლელი მამას, რადგან კარგა ხანს სინთემ იყო ჩამოვარდნილი.

— სწორია ხომ? — მოისმა ბოლოს დათიკოს ხმა.

— ძალის კუდივით. — *ერკონულში*
მამ და ორივეს ხმადაბლა ჩაეცინა.

— შოფერი კოოპერატივთან დაეტოვე, ჩემო ასლან, — წამოიწყო დავითმა, — გზაჯვარედინამდე ჩაიყვანს მანქანას, ვითომ სულ წაივია, მერე ზესტაფონის გზაზე გადაუხვევს და ნაწისქვილართან დაგვიცდის.

— ჰკვიანურად მოგიფიქრია, მაგრამ ჯობდა ადრე მოსულიყავი ცოტა, შარაგზით წასვლა დაგვაგვიანებს, — ასლანი დათიქრდა... არაფერია. ერთი ბილივი ვიცი... გზას მოეკრით და უცბად ავრეკავთ ხარებს ნაწისქვილარში, ხომ იცი, დღეს მზებუღობაა, ყველაზე მოკლე ღამეა და უნდა ვიჩქაროთ.

ნუნუს გატვრენილიყო. გულზე ხელს იჭერდა, თითქოს მისი ბაგაბუგი მეორე ოთახშიც გააღწევდა. შუბლი ოფლით დასცვაროდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს უცნაური შეთანხმება? ნაწისქვილართან მანქანის გაჩერება და ხარების მთაში აღენა ამ შუალამისა?

— სძინავს? — მოისმა უეცრად დათიკოს სისინი.

ნუნუს იგრძნო, რომ დათიკო იმ წუთში ხარბი თვალებით იჭერებოდა კარისკენ.

— სძინავს. ალბათ დღესაც გიყვით იმუშავა მაგ შეჩვენებულმა ყანაში.

— ხომ არ ვითქვამთ, ბატონო ასლან, რამე?

მამა კარგახანს დუმდა.

— შენი არ მიკვირს? მე რა უნდა მეთქვა, შე კაი კაცო...

ფანჯრიდან შემოჭრილმა ნიავმა კარი მიხურა და ისევ გააღო. ნუნუს ვეღარ გაიგონა მამის ბოლო სიტყვები.

— დღეს გავიციანი თქვენი სასიძო. ბატონო ასლან, — ისევ მოისმა დათიკოს ხმა.

— ვინაო?!

— თქვენი ყურის მეზობელი, ჯუმბერს რომ ეძახიან, ჩემი მანქანით მოვიყვანე...

ნუნუს მოეჩვენა, რომ ხმადაბლა წამო-

იყვირა. თვითონვე გაუყვირდა, რომ ჩუ-
მად შეხედა ამ ამბავს.

— მეორედ აღარ გამაგონო მაგ სიტყ-
ყები, — მრისხანედ წარმოთქვა მა-
მამ, — თუ ჩემთან კარგი დამოკიდებუ-
ლება გინდა, მეორედ აღარ გამაგონო.

— მამაბაბე, ბატონო ასლან, მაგრამ
ყური მოეკარი, მდღერით ვერ დააშო-
რებ, ისე არიან შეყვარებულებიო, მეც
კაცი ვარ, მოქმედებს ჩენზე ეს მითქმა-
მოთქმა.

— ხმა, კრინტი, თუ არ გინდა, რომ წა-
ვიჩხუბოთ. ბავშვების მასხრობისთვის
მცალია ახლა? — მერე თითქო მოღბა
ასლანი, — ჩემო დათიკო. მე ამ საქმეში
ნუნუს გულისთვის აგყევი, ჩემი ერთად-
ერთი ქალიშვილის გულისთვის. მეცო-
დება, სიკვდილი ცხრა მთას იქით კი
აღარ არის, აგერ, უკანასკნელ მთაზე
მოცოცავს, მივძაღვლები და დამრჩება
შეშველ-ტიტველი გოგო. ასეა, თორემ
ამ საქმეზე დაგყავიზღებოდი? ჩვენ ეს
ამბავი მშვიდობით დავებოლოვით და
ჩემს სიტყვას... — მამა შებორძიკდა,
თითქოს არ ემეტებოდა სათქმელი. —
ჩემს სიტყვას მე არ გადავალ, მზითვეს
რომ დაიმზადებს, — მამა ისევ შეყოყ-
მანდა, — შენ იცი, წაიყვანე და... ღმერ-
თმა კარგად გამყოფოთ.

ნუნუს რაღაც წამოიყვირა, თუ დაიკვ-
ნესა, აღარ ახსოვს. იმ წუთშივე კარა
გაიღო და თავზე მამა დაადგა.

— გლეჩავს, გოგო? — დაიხრიალა
მან. ნუნუს მისი ნერწყვი მოხედა ლოყა-
ზე. ცოტაწინით იცადა მამამ. უეცრად
წელში გაიმართა, თავის ოთახში გავიდა
და კარი მკიდროდ მიიხურა. კიდეე კარ-
ბი, კიდეე კარგი, რომ ასე მოხდა. თორემ
ვერ გადაურჩებოდა მის რისხვას.

ნუნუს თავი უსყვება, თვალების
გახელისაც ეშინია, ჰგონია, საიდანლაც
უყურებს მამა. გარინდული წევს,
ღრმად სუნთქავს და ძალიან უნდა, რომ
ყველაფერი სიზმარი იყოს: ისიც, რომ
მამას ფულუბი მოუტანეს, (რატომ მოუ-
ტანეს?), ისიც, რომ შოფერმა ნაწისქვი-
ლართან უნდა დაუცადოს მამას და და-
თიკოს თავისი მანქანით (რა უნდათ იქ?),

ოო, ის კი ნამდვილი სიზმარი იყო, ნამ-
დვილი. როგორ წამოსცდებოდა, მამა,
„წაიყვანე ჩემი ქალიშვილიო“? რო-
გორ გაიმეტებდა „თვეგაკარულ და
შებლგარეცხილ“ დათიკოსათვის? რასა-
კვირველია, ყველაფერი სიზმარი იყო,
მოეჩვენა ნუნუს, მართლა მოეჩვენა.
არავის არ დაუცკუნებია ივენის კარზე,
არავის არ დაუძახია: „ასლან“, არავინ
არ მოსულა ამ ღამით მათთან, და არც
მამას გაუღვიძია. ყველაფერი სიზმარში
ნახა, სიზმარში გაიგონა ნუნუს, გარდა..

გარდა ჯღმბერის ჩამოსვლისა. მგონი
ასე თქვა დათიკომ: „თქვენი მეზობელი,
ჯღმბერი, ჩემი მანქანით მოვიყვანეთ“.

ნუნუ თავიდან იწყებს ექვებთან
ბრძოლას. სხვანაირად ცდილობს თავის
მოტყუებას, მაგრამ ახლა სიზმარს ეე-
ლარ იშველიებს. ფიქრობს თავის მამა-
ზე, ფუყე თაემოყვარებობით დაავადე-
ბულ ადამიანზე, მაგრამ მაინც საყვა-
რელ მამაზე. ასე გაიმეტებს თავის
ღვიძლ გოგოს?

მაგრამ იქნებ ატყუებს დათიკოს? ეს
სიხარული საიდანლაც მოფრინდა და
ნუნუს გულში შეფართხალდა. ალბათ
მამას სხვა საქმისათვის სჭირდება ეს
ტყუილი. ნუნუ მშვიდდება. იმ ღამით
ათას მიზეზს შეთხზავდა თავის დასამ-
შვიდებლად, ათასჯერ აუჩქროლდე-
ბოდა გული სიხარულისგან, მაგრამ დაუ-
კითხავად მოსულმა ძიღმა წაართვა ეს
ტანჯვა და ნეტარება, ვეღარც ხარების
ფლოქვების ხმამ გამოაღვიძა, ვეღარც
ბელუხას გააეებულმა, ხანგრძლივმა ყე-
ფამ.

მეუღლრობეა ჩამოღვა ასლან ჟორკო-
ლასის ოღაში. მოიღრუბლა.

მთვარე ზეკარის უღელტეხილში ჩაი-
ჩება.

ისეთი ღამე ჩამოწვა, თითქოს აღარა-
სოდეს გათენდებოდა.

••

უხარამზარ გიდელოვით დამზობილა
თენებოურის მთა. ამ დილით მას კაშ-
კაშა მზეც დაჰმატებია სიმაღლედ, წი-

თელ ქუდივით დასკუპულა მთის წვერზე და, თითქოს დაგორებისა ეშინათ, თრთის და ღვივის ქარდაკრული ნაკვერჩხალივით. ამ მთიდან იწყება გათენება. თენებოურიც, ალბათ, იმიტომ შეარქვა ხალხმა. სოფელიც ამ სახელით მოუნათლავთ. მთის მწვერვალამდე მრავალი გორაკი, ფერდობი და ფერდობებზე ხალივით დარჩენილი პატარა მინდვრები უნდა აიარო. მთა სულ ტყითაა დაფარული. რცხილის, კობიტის, მუხისა და ბზის ხეებს შორის მრავალი ბილიკი გადის. მათი გაგნება მხოლოდ აქურებს შეუძლიათ. სადღაც, მთის შუაწელიდან, ცივი წყარო გამოდის. გზადაგზა სხვა წყაროებიც უერთდებიან და იმ ადგილიდან, რომელსაც სოფლელები ვაკეწიფლარს უწოდებენ, ღელედ მიდის. ქვიდან ქვას ეხეთქება, წყალდიდობისას მოგლეჯილ ლოდებს ლოკავს, სლობინა, მწვანე ხავსით ფარავს, მერე ივავებს, მრავალ ყანასა და ვენახს ჰყვეთავს, ხიდად გადებულ ხეების ქვეშ ტბორდება, ზოგან ორად იყოფა და კუნძულად აქცევს გზაში დახვედრილ მაღლობებს. წისქვილებს აბრუნებს და შორს, აჯამეთის ტყის იქით, ყვირილაში ახრჩობა...

ამ ღელიდან გადმოვადებული რუ პირველად ჯუშმებრის ეზოში შემოდის.

— ბებია, ნუნუსთან გადავალ და მალე მოვალ, შენ ნუ დამიძახებ, — აფრთხილებს ნინო ბებიას ჯუშმებრი და ორლობისკენ მიდის.

— ნუნუ ამ დილით ყანისკენ მიდიოდა, შვილო.

— ვნახავ, თუ სახლში არ არის, ყანაშიც გაივლი.

— მალე მოდი, უშენოდ არ ვისადილებ. — ამბობს ბებია, ახსენდება ჯუშმებრის წუხანდელი სიმთვრალე და საჩქაროდ უმატებს. — ღვინო არსად დალიო, ბიჭო, — მაგრამ ჯუშმებრი უკვე შორსაა, აღარ ესმის უკანასკნელი სიტყვები, ნინო ბებია კი მაინც განაგრძობს ღარიგებას, — თავის დროზე ქაბე, თავის დროზე დაიძინე და ისე გასუქებული

ჩახვალ თბილისში, რომ დღესვე გეღარც გიცნობს.

ჯუშმებრი თავის ქიშკარს, არ გასცილებია, ბელუსა კი უკვე ნუნუს ეზოში დარბის, იცის ძაღლმა, პატრონიც აქ მოვა. ხან ზის ძირს ყნოსავს, ხან აივნის კიბეებს აირბნის. ცოტა-ხნით უყურებს დაკეტილ კარს, მერე ისევ ეზოში გაინავარდებს. ქათმები წრიალებენ, ჰგონიათ, დასაქერათ დაგვდევს ძაღლიო. ბელუსა ზედება ამას, თითქოს ვერც ამჩნევს ქათმებს, განზრახ კი მათყენ გარბის, ეთომდა სწორედ იქით აქვს საქმე. ბოლოს ორლობეში გადმოსული ჯუშმებრის შესაგებებლად გარბის. ჯუშმებრი ღელავს: როგორ შეხვდება ნუნუ? იცის თუ არა, რომ ჩამოვიდა?

— გადი, ძაღლო, იქით! — უჯავრდება ჯუშმებრი ბელუსას, რომელმაც წყალში გამოტობა და ახლა მის შარვალზე მონირომა თათებზე სწეწვენდა. ეს ღელის წყლის ტოტია. ძველად ჯუშმებრის მამა, უშანგის მამა და კიდევ რამდენიმე კაცი ბარბითა და თოხებით წასულან მოაში, პატარა რუ გაუქროთ, ღელის ტოტი გადმოუვლიათ, მთის კალთაზე გადმოუტარებიათ და მას აქეთ მოედინება. ჯერ ნინო ბებიას ეზოში შემოდის, მერე უფრო დაბლა, ასლანის ეზოში, კიდევ ოთხი მოსახლის საკარმიდამოზე ჩაივლის და, დობილოს ქვევით, ასვე ღულეს უერთდება. ჯუშმებრისა და ნუნუს ეზოებს შორის რუ ორლობეს სკრის. აქვე გზას მაღალი ზის ქიშკარი ჰკეტავს, ქიშკარს დიდი ბოქლომი ადევს. მარცხნივ პატარა კარია დატოვებული, მხოლოდ ცხენოსანი თუ გაეტყუებურემე კი ხარება უნდა შეაჩეროს და ასლანთან მივიღეს გასაღების გამოსართმევად. ასლანი აიწილანვე გახედავს და თუ ურეშე შეშა აწყვია, ბილეთს მოსთხოვს მეურმეს. მერე მოვა და შეამოწმებს: ზედმეტი ხომ არ მოსჭრა, სხვა ჯიში ხომ არ გაურაა, აბა რისი ტყის-მცველია, თუ ასე არ მოიქცა. ერთი სიტყვით, ტყიდან შეშას ვერაინ გაიტანს, თუ ამ ქიშკარს არ მიადგა, თუ ასლან ბიძიამ არ გაიგო. მაშ, ვინ ანადგურებს

კიდევ რალის თქმა უნდოდა ასლანს, მაგრამ უცრად დაიკვნისა და სიმწრისაგან ტუნზე იკბინა.

რა დაემართა ასე ერთბაშად ასლან ბიძის, რა ხმელი ფიჩხივით შემოენთო ცეცხლი. ნუნუს საქციელი ხომ არ უკიდებს ამ ცეცხლს, ანდა იქნებ ჩემი წერილი ჩაუვარდა ხელში. მგონი მართლა ტყუა ფეხი; როგორ სუნთქავდა, როგორ აღრუალებდა კბილებს. — ფიქრობდა ჯუმბერი და თავშეუკავებლად მოლაჯებდა დაღმართზე. ზნა ყანას მიადგა და გაჭრა. როცა სიმინდებს შორის კარგა მანძილი გაიარა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია ჯუმბერმა მოყვითალო, დამუშავებულ მიწაზე მკრთალად დანეული ბილიკი, რომელიც ყანასთან გამჭრალი გზის გაგრძელება უნდა ყოფილიყო. გაზაფხულზე, თესვას დაწყებისას, ყანებში და ვენახებში გამავალი ბილიკები ქრებიან, მიწის გულისკენ პირქვევდებიან, მოთესილ ფართობში ერთიანდებიან. მაგრამ გაივლის დრო, თავს წამოყოფს სიმინდი და მაშინ რომელიმე სოფლელი იმავე მიმართულებით გადაივლის. მის ნათესურებს მეორეც გაჰყვება. მესამეც, მეოთხეც და ისევ გაჩნდება, ისევ გადმოპირქვევდება ბილიკი, მეზობელს მეზობელთან დააკავშირებს, წისქვილისკენ გზას შეამოკლებს, როგორც შარშან, როგორც უხსოვარ დროს.

ჯუმბერი უკვე ახალგადაბრუნებულ ნულ მიწაზე მიიბიჯებს. აქა-იქ ყრია ათიოდე წუთის წინ გამარგლული სიმინდის ღერები, ჯერ ისევ სველი აქვთ გადანაჭერი. თოხს გადარჩენილ მომსხო სიმინდის ღეროებს მიწისკენ დაუხრიათ ხოიანი და წვეტიანი ფოთლები, თითქოს ხელს უწვდენენ დაცემულ ძმებს. აგერ თოხებიც. ვილაცას ფეხსაცმელზე იც დაუტოვია ყანაში. იქნებ ისვენებენ; დეღის სიგრილეს თუ შეაფარეს თავი, აი იქ, სადაც ახლა ბელუხა მიიმალა.

ჯუმბერმა ყანა ჩაირბინა. ტყემლისა

და ბლის ხეების ღობეს მიადგა. სწორედ ეს ღობე ეფარებოდა დღეს წიქსს. ოდნავ ჩაიწია, ანწლის ღეროები გადალენა და, თითქოს საჯანგებოდ, პირველად ნუნუს მოჰყრა თვალი. ქვაზე იჯდა, ერთი ფეხი წყალში ჩაეყო, ხელში ჰქაღი და ყველი დაეკავებინა და გემრიელად შეექცეოდა. მართლა როგორ გალამაზებულა, ღმერთო, რა სხვანაირი გამიძარა. თითქოს ვიღაც უცხო იყოს. თითქოს პირველად ხედავდეს. რა შორეული ეჩვენება ახლა ნუნუს. გამოუცდია ჯუმბერს ეს გრძობა და იცის; დღეს რომ მართო დარჩებინა, უამბობს ნუნუს, თუ როგორ უთვალთვალებდა ანწლის ბუჩქებიდან და რა შორეული ეჩვენებოდა. ამასაც ეტყვის, ასე რომ ფიქრობდა.

მოშორებით მეზობლები ჩამომსხდარან, ჯუმბერის ძველი ნაცნობები, ხუნუს ბავშვობის ამხანაგები, ზოგი აქეთა ნაპირას, ზოგი გაღმა — მწვანე მოლზე. სადილობენ. კაცები ღვინით სავსე ტუჩიან ღოჭებს. პირზე იყუდებენ, ასე უფრო გემრიელია. აი, ბელუხა ქვიდან ქვაზე გადაბტა და ნუნუს კალთაში ჩაუღო თავი. ნუნუს ჰქაღი და ყველი სასწრაფოდ მალა ასწია და შეჰყვია:

— ერთი ამას უყურეთ, აქ რა უნდა?

— ნინო თუ წამოვიდა ჩემს დასახმარებლად, იმას გამოჰყვებოდა, — გაიხუმრა ესტატემ, თეთრწვერა და ლოყებლადღა მოხუცმა.

— უი! — შეჰკვილა უცრად ნუნუს, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და ყანისკენ დაიწყო კვრეტა, ხეებსა და ანწლის ბუჩქებს შორის.

— ჯუმბერს გამოჰყვებოდა, წუხელ ჩამოსულა, — თქვა და ბაცმა სიწითლემ გადაჰყრა. ისეთმა, რომელიც ერთი-ორად აღამაზებს ქალს. ანწლის შავად დაშფიფებული თავთავები შეტორტმანდა, ვილაცამ ყასიდად ჩაახველა და მერე დეღისკენ ჩამოალაჯა.

— ბრიკადას გაუმარჯოს! — ხმამალა დაიძახა ჯუმბერმა. კონწეურნებს თითქოს დათქმული ჰქონდათ ჯერ

სინდემი და მერე ერთბაშად დახუცდება. ქალები ფეხზე წამოვარდნენ, კაცები აუჩქარებლად წამოფხენ. გაჩნდა თავისებური რიგი ჯუშმბერის ხელის ჩამოსართმევად და მისი ჯანმრთელობის გამოსაკეთებად.

— ეკას ჩემი სალაში... გმადლობთ, კარგად. ოჰ, ბაბუა ესტატეს გაუმარჯოს... რა მიჭირს, სძვენ ხომ კაცივით ხარო, ბაბუა... ბიჭოს, როგორ გაზრდილა ნოდარი, უღვაშები დახატული ხომ არ გაქვს, ... ა? იესმის რას ამბობს ბაბუა? უღვაშები ამოუვიდა და ენა ჩაუვარდო, ნუნუ გამარჯობა... ოო, თანროს ჩემი სალაში... რა ბრძანეთ? ყურძნის კრეფამდე? არა, აგვისტოს ბოლოს თბილისში უნდა ვიყო.

— აბა, დაგეწვიე. — მიიპატია ერთმა.

— აგერ, ა. აგერ დაბრძანდი, — ქვეზე გახეთი გაუშალა შვირემ.

— არა, მადლობელი ვარ, ამ წუთში ვისაუბრე, დღეს ცოტა ვიან ავდემი და... აღარ დააბოლოვა ჯუშმბერმა და ნუნუსკენ გაიხედა. ერთმანეთს გაუღიქმეს. ნუნემ თავი ჩაღუნა, მერე სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ვითომდა დიდად საქმიანი საუბარი განაგრძო ეკასთან.

— აბა, ტყუილად მანქა ჩამოგექი, ახალი ამბები გეცოდინება.

— ახალი რა ვითხრათ, ისეთი არაფერია.

— მთის ტრაქტორი არ ჩამოგიყვანია, ყმაწვილო? — ნიწინისმოგებით ჩაეკითხა ესტატე ბაბუა, — შარშინ თავი გადაგვამე, გაისად აუცილებლად გექნებათო და მე, სად არის მერე!

— იქნება, ბაბუა, იქნება, ახლა გამოცდას აბარებს მთის ტრაქტორი, ასეთივე მთიან სოფელში ამუშაებენ, როგორც ჩვენი თენებოური. დიდი, დიდი, მომავალ გაზაფხულამდე დაგვიანოს, მერე ამ ყანასაც გაააბრუნებს ალბათ, ამ დღის წყალსაც ეახლება გასაგრილებლად.

— ვითომ გადაყრით თონებს? — ჰკითხა დაეჭვებით ესტატემ.

— კი, ბაბუა,

— შენ თუ გინახავს ^{ერკუნული} ^{ქუშუქუქუქა} რი? — ამ შეკითხვაზე კოლმეორხეობა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. ეს შეამჩნია მოხუცმა და იწყინა, — რა გაცილებთ, შევიღებო, ამ დაფერდილ ყანებში, ხარი ვერ იმაგრებს ტანს და მანქანის მუშაობა არ გამოვირდეს? ამ მთებზეც რომ ტრაქტორებით შეგვალბოდა მუშაობა, ასე ღარიბი კი არ იქნებოდა ჩვენი თენებოური, სიმინდი თავზე საყრელი გექნებოდა, გზასაც კარგს გავიყვანდი, ელექტრონსაც გავიჩენდი და შრომ-დღესე ათ კილომდე გავანაწილებდი. ჰოდა, იმას გეკითხებოდი, ყმაწვილო, ის ტრაქტორი თუ გინახავს?

— მინახავს კი არა, წაყვანაც ვიცი. ბაბუა, მისი გამომგონებელი მე ლექციებს მიეკითხავს.

— მერე არ უთხარი თენებოურში თონებით მუშაობენ თქვა?

— იცის, ბაბუა, მთიანი სოფლები აღრიცხული აქვთ.

— კი, მაგრამ მთის ტრაქტორები რომ გვექნება, ჩვენ რაღა გაეაკეთოთ? — გულუბრყვილოდ იკითხა ეკამ.

— შე ქალო, ფერაში ძროხებს მე კი არ გამოვწველი, ბეაღის ზეგებს ტყუილად რომ სცვივა ფოთლები, თქვენი საქორწილო საკაბებშია. შეილოსა, სხვა კი არაფერი, აბრეშუმის გამოყვანაც უნდა ისწავლოთ, — თან ზემრობით, თან სერიოზულად წარმოთქვა ესტატემ და უეცრად აყვირდა: — ბელუსა, მწუ, მწუ, ბელუსა, ძალო, გამოდი აქეთ... არიქა, არ შეგასწორო ტყეში.

ჯუშმბერი წამოხტა და ანგარიშმიუცემლად დაედევნა ძალოს. რომელსაც ამწვანებული მოლი აგრბინა და საცაა ტყეში შერგავდა ცხვირს. პატრონის ძახილზე ძალო შეჩერდა. კუდის ქნევა დაიწყო, თავს ისე იგრცხდა, თითქოს კისერი ექავებოდა. არც ტყეში შედიოდა, აღარც უკან ბრუნდებოდა. იქამდე ასვლა კი ადვილი არ ეჩვენებოდა ჯუშმბერს.



— კი, მაგრამ შევიდეს, რა უკირს! — მხოლოდ ახლა ჩაუფიქრდა ჯუშბერი.

— რა უკირს, ბაბუა, და მაგ გზა-წერილის აყოლებით მანვის ხაფანგი მაქვს დაგებული, ერთი ი არა, ბარე შევიდა, ძალი ღამარცხდება, — გამოს-ძახა ესტატემ.

— მანვის? — იკითხა ჯუშბერმა და სათითაოდ შეხედა ეკას, ნოდარს და ნუნუს, რომლებიც მას ასდევნებოდნენ ძაღლის დასაბრუნებლად.

— ჰო, მანვის, ჩამოდის ღამით და ყანას ანადგურებს. — მორცხვად წარმოთქვა ნუნუსი და ჯუშბერს კადის ნატეხი გაუწოდა. კიდევ ერთხელ დაუძახა ბელუხას, მერე კადი გადაუგდო ჯუშბერმა, ძალი ადგილს მოწყდა, გამოექანა. მაგრამ დაღმართზე თავაველარ შეიკავა და უკან მოიტოვა სატყუარა ღუქმა. შებრუნდა და სვლება-სვლებით დაეწყო კამა. ახლა კი მივიდა ჯუშბერი და წინასწარ მოხსნილი ქამარი კისერში ჩაახა. ეკა და ნოდარი უკან დაბრუნებულუყვნენ, ნუნუსი მიდოდა ნელი ნაბიჯებით.

— ნუნუ, — ჩემად დაიძახა ჯუშბერმა, რომ ღელის ნაბიჯზე ჩამომსხდართ არ გაეგონათ. ნუნუ შეჩერდა, ჯუშბერისკენ არ გამოუხედავს. დაიხარა, ცალ ფეხზე ჩუსტი გაიძრო და დაფერტხა. ვითომ მიწა ჩაპყროდეს. მერე ჩუსტი ბალახზე დააგდო და ბატარა ფეხი სასწრაფოდ შიგ ჩამალა. ჯუშბერი მიუახლოვდა.

— ხომ კარგად ხარ, ნუნუკა, — ჩასჩურჩულა, თან შორიდან ბაბუა ესტატეს გაუღიმა უმიზეზოდ.

— გემღური, — აბუტბუტდა ნუნუ.

— ვიცი, მაგრამ ხომ შემირიდებენ?

— შეგირიდები! — ბავშვივით დაიქნია თავი ნუნუსი და შერცხვა.

ისინი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ კოლმეურნეებს. ჯუშბერს ვითომ ძალი უძალიანდებოდა და მისი წამოყვანით იყო გართული. ნუნუ კი ვითომ ზრდილობის წესს იცავდა, წინ არ უსწრებდა ახალჩამოსულს.

— უშანგის ბრალია, დამატრო... აჰ

სალამოს გიამობო ყველაფერს, ხომ მოხვალ?

— ამ სალამოს?

— ჰო, დაღამებისას... ისევ იქ, ესტატეს სახლს ქვევით.

• ამ ადგილის დასახელებამ ძველი შეხვედრები გაახსენა ჯუშბერს და დიდი ხნის განუცდელმა ტრუანტელმა დაუარა ტანში. ნუნუს შეხედა და გაუთორდა: უნებურად წარმოიდგინა, თუ როგორ აკოცებდა ამაღამ.

— ნუნუ, მამაშენია ავად, საჩქაროდ ამოვიდესო. — კიდევ კარგი ეს გაახსენდა ჯუშბერს, თორემ დიდხანს ვერ ამოიღებდა ხმას.

— ავად? — შეკრთა ნუნუ.

— ჰო, წევს და მგონი სიცხეც აქვს, ახლავე აქ გაჩნდესო.

— დილას კი თქვა, ფეხი ვიტკინეო, მაგრამ მეგონა... — მატყუებდაო, უნდოდა ეთქვა ნუნუს, მაგრამ აღარ დაამთავრა. დაღმართი ჩაირბინა, ბაბუა ესტატეს რალაც უთხრა ხმადაბლა. ესტატემ თავი დაქნია. ნუნუს თავსაფარი მოიძრო, ეკას დაუტოვა და საჩქაროდ გასცილდა იქაურობას.

— გადამჩვევია ეს სამკლე, ესა, — წარმოთქვა ჯუშბერმა და გაუჯავრდა ძაღლს, რომელიც უკან-უკან იწევდა, ცდილობდა თავიდან გადაემძრო ქამარი.

— გადაგჩვევოდა, ბაბუა, აბა, რა იქნებოდა, წელიწადში ერთხელ ჩამოღობხარ. — შენიშნა ესტატემ. ჯუშბერმა ეკას ეშმაკურ ღიმილს მოპკრა თვალი, თითქოს ეუბნებოდა: იცი, ჩემო ჯუშბერ, ვინც გადაგჩვევია და ისიც ვიცი, ვინც შეგეჩვევიაო.

— ბელუხა რომ მანვე დაგემო, უფრო მადლი იქნებოდა, — განაგრძო ესტატემ.

— რა მოხდა ასეთი, წყლს რამ გადარია ეს მაჩვიები? — იკითხა მართლაც დაინტერესებულმა ჯუშბერმა.

— მაგამი არაა საქმე, ბაბუა, მანვი რამდენიც იყო, ისევ იმდენი იქნება ტყეში, მაგრამ ყანა გადარია, ყანა. წყლს რომ მოსიავლს ველოთ, ტყეში-

ლია... ჰოდა, დიდ ვაშლს უფრო უჩნდება მატლი, ხომ იცი. წილს საადრეო სიმინდი დაეთესეთ და მაჩვიე ადრე გამოჩნდა. მეტი დაეთესეთ და მაჩვიეც მადა მოემატა, ე, ვაიხედ, იმ ფართობში სიმინდს უკვე ტარო აქვს ჩადებული, მეორე მოსავლიც უნდა მოვიყვანოთ წილს, — ესტატემ ხელი გაიშვირა იმ გორაკის ქვემოთ, რომელზედაც მისი ოდა იყო წამოდგმული და განაგრძო: — დაღამებისას იცის მაგ დაწყველილმა, წამოვა ნაწისქვილარიდან, გამოჰყვება საცალფეხოებს და ყანაში ამოყოფს თავს. ხომ იცი მერე, რა უტყვიან ღორია მაჩვი, იმდენს რას გააფუქებს, მაგრამ მაგის ნამოქმედარი რომ ნახო, გული მოგიცვდება; დაწვენილია მიწაზე ოცი-ოცდაათი ღერო სიმინდი, თითო ტაროს თითო ნაბეჩი აქვს, მეტი არა, მაგრამ, რად გინდა, ატარე ერთი იხარებს.

— კარგი ახლა, მამა, თავი ნუ მოაწყინე, დალიე ეგ ღვინო და დაალევიე, — წარმოთქვა ეკამ და ესტატეს წყალგამოვლებული ჩაის ჭიქა გადასცა.

— ხო, ხო, უნდა დავალევიო, აბა, — მოხუცმა ღვინო ჩამოასხა და ჯუმბერს გაუწოდა.

— ვერ დავლევ, ბაბუა, წუხანდელი ნამთვრალევი ვარ და თავი მიბრუნს.

— ერთი ჭიქა წამალია, არ გაწყენს... ჩქარა, თორემ, ხახა მიშრება.

— კიდევ სვამ ღვინოს, ესტატე ბაბუა?

— არა, ბამბით აწვეთებენ ყელში, — გაიხუმრა ეკამ და საყვედურით გადახედა მამამისს.

— სულ გაგიმარჯოთ, — ჭიქა მაღლა ასწია ჯუმბერმა, სათითაოდ ყველას თავი დაუქნია, დალია და ჭიქა თავდაღამა გადაატრიალა, — ასე მტერი დაგეცალოთ.

— აბა, ახლა წაივლეთ, — წარმოთქვა ბაბუა ესტატემ და წამოდგა: დანარჩენებიც წამოიშალნენ. ქალებმა სახელდახელოდ გაწყობილი სუფრა ააღაგეს, ქურჭლეულობა კალათებში ჩააწყეს, თავდახურული, ღვინიანი დოჭები წყალ-

ში დატოვეს და კვალდაკვალ გააყენეს. ყანისკენ მიმავალ მოხუცს, ღვინოს პირის მხოლოდ ბელუხა დარჩა.

— რამდენს ელით, ბაბუა, ამ ყანიდან? — ჰკითხა ჯუმბერმა ესტატეს, როდესაც ეს უყანასკნელი თოხს დასწვდა და გაუმარგლაევი ზვრელის თავში ჩადგა.

— ოთხასამდე ფუთი უნდა მივიღოთ ჰექტარზე, ასე ვართ გარიგებული.

— გარიგებული? ვისთან?

— ყანასთან.

ჯუმბერს გაელიმა.

* * *

— ჯუმბერ! — მოისმა სიბნელეში ფრთხილი ძახილი.

— აქა ვარ, ნუნუკა.

ორი ლანდი დაიძრა ერთმანეთისკენ. ჯერ ნელა, მერე თანდათან აჩქარდნენ, ბოლოს სირბილით გალიეს უყანასკნელი ნაბიჯები და... ერთი ლანდი თითქოს სადღაც გაქარა. მოისმა ღრმა, აჩქარებული სუნთქვა. ბუჩქებში ჩავარდნილი ციციანთელა ითვლიდა ბედნიერ წამებს. ლანდი ისევ გაორდა.

— ნუნუ, ჩემო ნუნუკა, რა გატირებს, ჩემო სულელო გოგო? მოისმა ვაჟის ჩურჩული.

— უბედური ვარ. — ბავშვივით ასლოკინდა ქალი.

— უბედური? რა მოხდა ნუნუ!

— მერე... მერე გეტყვი ყველაფერს... სულ, სულ ყველაფერს... ახლა მეჩქარება, ახლა უნდა გავიქცე.

— სად ნუნუ, სად გეჩქარება?

— ეჭიმთან... მამა ძალიან ცუდადაა... გამგზავნა.

— ამ ლამეში?

— წამომყვები?

— შე მართლა სულელო გოგო, აბა მარტო გაგიშვებ?

ლანდები ისევ შეერთდნენ, უფრო მტკიცედ, უფრო ხანგრძლივად. ციციანთელას შეეწყვიტა თავისი მუქის ქრობა, თითქოს დანაშაულად ჩათვალა

ქალ-ვაჟის ამ უნეტარესი წუთების ანგარიში.

უეტრად ნუნუს სახლიდან ყვირილი მოისმა.

— ვიშე, — წამოიკენესა ნუნუმ, — მამაჩემო, ჯუმბერ, შენი ჭირიშე, ჯუმბერ... გამიშვი...

ყვირილი განმეორდა.

— მამა! — აჰყვა ამ ყვირილს ნუნუც, ფეხი რუში ჩაუვარდა. წამოიშარტა, ისევ გაიქცა, ქოშინით, კენესით, კივილით — მამა, მამაჩემო...

*
**

ნუნუ აივანზე გააკავეს.

— რამ გადაგრია, გოგო, კი არ მომკვდარა, — შეუცაცხანა ნინო ბებიაშ.

— შეტევები აქვს, გადაუვლის, — დამშვიდება სცადა ესტატემ.

— კი, მაგრამ ასე ავად თუ იყო, ვერ სთქვი?

— ეჭმითან არავინ წასულა? — მოისმა აქეთ-იქიდან.

— წავიდა. — ძლივს ამოიღო ხმა ნუნუმ, — ნინო ბებია, ჩემო ბებია.. ხომ არ უნახე ფეხი, საშიშია?

— შე ქალო, ჩვენ გვეკითხები? — უსაყვედურა ესტატემ.

ნუნუ ოთახში შევარდა. ასლანის საწოლის შორიახლოს ეკა იდგა და ბუხარში სველ ტილოს წურავდა. ნუნუმ ტილო გამოართვა, მივიდა და შუბლზე გადაათარა მამას. ასლანმა თვალები გაახალა, კბილები გაახრჭიალა და ისევ აღმოხდა ყვირილი.

— მიშველეთ, მომჭერით ეს ფეხი, მიშველეთ! — მერე ხმას დაუდაბლა. — ეჭმით... ეჭმით, — თვალები ისევ დახუჭა და ტუნმოკმული აღმუვლდა.

უზოში ცხენოსანი შემოიჭრა. აივანზე აბურჩულდნენ.

— გიორგი უნდა იყოს.

— ალბათ აქვე გაუყეთებს ოპერაკიას.

— მერე სანდოა ვითომ?

— შე კაცო, კახიანთან მუშაობდა ორი წელიწადი.

აივანზე სამუალო ტანის, ჩაღის-შლიაპიანი კაცი შემოვიდა. ხელში ხელსაწყო ტარა ჩემოდანი ეკავა. ჩუმად სალაძი თქვა და ოთახის კარა შეაღო.

— ბიძია გიორგი, შენი ჭირიშე, ბიძია გიორგი, მიშველე. — სიხარულისგან გული აუჩუყდა ნუნუს და ეჭმის კისერზე მოეხვია.

— რა დაემართა. — ჩემოდანი მაგიდაზე დადო გიორგიმ და სკამი ავადმყოფის საწოლთან მიიტანა.

— კლდეზე გადაიჩეხა, ფეხი დაიშხვრია ქვაზე — ტირილით მიუგო ნუნუმ. ასლანმა ისევ გაახილა თვალები. ძლივს გასაგონად კენესოდა; ეტყობა. მცირე ხნით დაცხრომოდა ტკივილები.

— გიორგი, მიშველე... გათავადი კაცი, — შესჩივლა, შეემუდარა ეჭმის.

ეჭიმმა საბანი გადაეცა და წვივზე, რომელიც ორმაგად გამსხვილებულიყო ზედ დახვეული ზეწრისაგან. ხელი ფრთხილად დაადო.

— ვაი! — აღმოხდა ავადმყოფის და ფეხი შეუტრცდა.

— მოითმინე. ასლან, — უსაყვედურა გიორგიმ და ზეწარს შესხსნა დაუწყყო. — აბა, ლამაზა ასლოს მოიტანეთ.

ეკამ ორივე ხელი ჩასჭიდა ლამაზას. მალლა ასწია და ეჭიმის ზურგს უკან დადგა. ნუნუ თითებით ცრემლებს იშორებდა, რომ ყველაფერი კარგად დაეწახა.

— ვაი! — კვლავ წამოიყვირა ასლანმა, გაიბრძოლა. ფეხი ფეხს მოახვედრა და აღმუვლდა.

— დამიძახეთ ვინმეს, დამეხმარონ, — გასცა ბრძანება ეჭიმმა. ნუნუ აივანზე გავარდა. — კაცი თუ არის ვინმე, შემოვიდეს, — დაუმატა გიორგიმ.

ღია კარებში ესტატე გამოჩნდა. მას უკან მოჰყვებოდა ჯუმბერი და უშანგი. ჯუმბერი ველარ ასდევნებოდა ცხენზე მჯდომ ეჭიმს და მხოლოდ ახლა მოსულიყო. უშანგი გზაში შეხვედროდა.

— ასლან ბატონო, — ხმამალა თქვა ეჭიმმა, — თუ არ მაცლით, არაფერი გამოვა, მოითმინეთ ცოტა, — მერე კაცებს წასჩურჩულა. იქნებ დამჭირდეთო, ნა-

ხევი შეხსნა და კრილობას დააქვრდა. დანარჩენები ცნობისმოყვარეობამ დასძლია, გარს შემოვხვიენენ ექიმის სკამს. ავადმყოფს ფეხი გასიებოდა, დაწითლებოდა. ორივე მხარეზე, კოჭებს ზევით, შეღებულნი და ჩაშვებულნი სისხლით ამოვსებული ორ-ორა კრილობა ჩანდა დიდი წერტილებივით. ექიმმა ტუჩის კენჭა დაიწყო, რალაცამ ჩააღიქრა. ესტატემ კი, კრილობას თვალი მოჰკრა თუ არა, შეერთა, გაოცებისაგან პირი გააღო, „ღმერთო შეგცოდნო“, ჩაილაპარაკა და უკან დაიხია.

— რა ეცვა ფეხზე? — იკითხა ექიმმა.

— წინდა ეცვა, ორი წყვილი, — მოიხსნა ნუნუსმა.

— კრილობაში ნაქერი ჩარჩენილა, გამოღებია საწერიო. ეს არაფერი, მაგრამ მეშინია, ძვალი არ იყოთ გატეხილი, — წარმოთქვა გიორგიმ და დაუმატა, — ქვაზე დარტყმულს არ ჰგავს ეს კრილობა.

— ხათანგის ნაგბილარია, ბატონო! — თუმეუყავებლად წამოიძახა ესტატემ, ექიმის დეკვებამ უბიძგა და უნებურად წამოასროლინა ეს სიტყვები.

ამ დროს ოდის ქვეშ მოისმა ძაღლის გაბმული ყმული, ისეთი, რომელიც მხარულების დროსაც უსიამოვნო შეგომნებას იწვევს. ეზოში ვიღაცამ ჩაირბინა, ქვა შეისროლა ოდის ქვეშ, ძაღლი აწკავლდა გაიქცა. ბელუხა იყო.

ტყვილებიდან გულმეღონებულ, დასტატებულ და აქამდე ბურანში მყოფ ავადმყოფზე თითქოს ჯადოსავით იმოქმედა ძაღლის ყმულიმა, სწრაფად გაახილა დაფეთებული, შიშნარევი თვალები, ჯერ უშანგი და ჯუმბერი შეაფალიერა, მერე ესტატეს მიაშტერდა, სახე დაემანქა:

— იცანი შენი ნახელავი, ესტატე? ხათანგი დამიკვ, ხომ? აბა, მიწაზე აღარ ვიაროთ, ხომ? გაგიმართლა ნადირობამ — პაერი შეისუნთქა და შეჰყვირა, — ჩემი სიყვდილის სანახავად მოხვედით? ვაფთრეთ, გამშორდით! — თავი ბალიშზე დაუყარდა და ცხენივით აფრტუნდა. ჯუმბერსა და უშანგის

კინალამ სიცილი წასკდათ. *მეტირე ფედე* შეიკავეს, ერთმა — ნუნუსს *ფედე* ორემ — ეკას რილით. ყვირილზე ქალები შემოცვიდნენ. გაოცებულმა ექიმმა არ იცოდა, რა ეჭნა, ბოლოს ხელები გაშალა და თითქოს პაერი წაღვნა კარებისკენ: — მარტო დაეტოვოთ ავადმყოფი, თუ დამპირდით, დაგიძახებთ, — ეკას და ნუნუსს ანიშნა, დარჩენილიყვნენ.

ყველანი ეზოში ჩაიკრბნენ. ბაბუა ესტატე თავისთვის ბუტბუტებდა: „მე ხათანგის ნაგბილარი ვიციანი, თორემ მიწაზე სიარულს ვინ უშლის. კიი მანვივით არ გაბმულა მაგ უბედურ დღეზე განილი?“ უშანგი და ჯუმბერი ღობეზე გამობმულ ცხენთან მიანულიყვნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ. დანარჩენები უნების ხესთან შეგვუფებულიყვნენ.

ექიმს კი თითქო ყველანი და ყველაფერი დავიწყებოდა; შესაათის გულმოდგინებით ჩაჰკირტებდა კრილობას, რომლიდანაც უკვე გამოეღო წინდის ნაგლეჯი ძაფები — სისხლით გაწითლებული და ოდნავ დამსხვილებული, ახლა კი იარას უხვევდა ავადმყოფს. ასლანსაც თითქოს დაამებოდა ტყვილები: ისე აღარ კენესოდა, სამაგიეროდ, ბოლმა და ბრანში ახრჩობდა, ზედმეტ ღვინოსავით ყელზე მობაჯნილი. ამ სიბრანის მიზეზი წუხანდელი დამე იყო, დაწყველილი დამე, მაინც რა ეშმაკად მოინდომეს მოკლე ბილივით ასვლა. საურამე გზით რომ გადასულიყვნენ ნაწისქვილარში, არც ამ სირცხვილში ჩაეარდებოდა, არც ამ სატანჯველში. ჯერ იყო და, გადაარეკეს თუ არა ხარები ეზოს გადაღმა, ბელუხა აყეფდა, ალბათ, დათიკო ეუტხოვა, აყეფდა და სხვა ძაღლებიც აიყოლია, ასე ყეფა-ყეფით ჩაჰყვნენ დობილომდე, კინალამ გააღვიძეს მთელი სიფელი... იმიტომ იჩქარეს, იმიტომ აჰყვნენ შეუსვენებლივ გზაწერის... მაინც რა დამბლა დაეცა დათიკოს, ახალგაზრდა კაცია და მოხუცს ვერ გაუძლო აღმართში... ქალსაც რომ თხოულობს! ... ახია იმაზე ყველაფერი; რა ბავშვივით აბლავდა, რა ფეთიანივით აყვირდა... გული გადაუბრუნდა ასლანს. ხარები



მიატოვა და შისყენ გაიქცა დასახმარებლად იმ კუბრივით ღამეში, გაიქცა და, ბედის დაცინვაო, რომ იტყვიან, სწორედ ის მოხდა, მაშინვე თვითონაც აყვირდა, და მეურე რა ხმამაღლა!

გაუგონარი ამბავი შეემთხვათ. ორი აღამიანი კი არა, ერთად ორი მაჩვი არ გაბმულა ხაფანგში, მიანც სად იშოვნა იმ ოხრად დასარჩენმა ესტატემ ამდენი ხაფანგი, რა ჯანდაბად უნდოდა... ნაპარავი შეშა ხომ ვეღარ წაიღო დათიკომ, თვითონ ძლივს წვეთრა, ეშმაკსაც უთრევია მისი თავი. მაგრამ ახლა რა ვლით? ალბათ, ყველაფერს გაიგებენ, ყველაფერს მიხვდებიან, რა გამოეპარება ამ ხალხს. ვითომ დასჯიან? დააპატიმრებენ? ჯანდაბას, მოხდეს. რაც მოხდება... მაგრამ ბელუხას, ოო, იმ კრელთვალება ბელუხას სიამოვნებით დაბეგვავს, თუკი ოდესმე ფეხზე დადგა, ან ხეზე ჩამოკიდებს ან ურემში გააბამს ხარივით ან...

— აბა, ასე, ფეხს ძალა არ დაატანო. — ფიქრები გაუწყვიტა ექიმმა, — სამი კვირა მიანც უნდა იწვე, ნუნუ გამოგიცვლის სახევეს... ეცადე, დაიძინო, ხეალ სადამოსაც შემოვივლი. — გიორგიმ ხელსაწყობები ჩემოდანში ჩაალაგა და გარეთ გამოვიდა.

— ალბათ, ღამეში ჭყინტ სიმინდზე მოუხედა ხელი, თორემ ხაფანგი ისე რას გაუხედავდა, — მოესმა ექიმს ეზოდან.

— აბა, სამუშაოდ ვეღარ გამოვარო? ხომ დაიღუბა საწყალი... სოცმეგობრებში ვინ ჰყავდა გამოწვეული?

— მიანც ეს ძაღლის ყმული რა ცუო, ა?

— მოითმინეთ, მოითმინეთ. — გააჩუმა ვილკამ ხუმრობის გუნებაზე მოსულნი, მაგრამ, ეტყობოდა, თვითონ ნაკლები მოსულჯი არ იქნებოდა — ეგ ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ ასლანი როგორაა, არ უნდა გაევიფოთ? — მეურე ექიმს მიუბრუნდა და რაც შეიძლება სერიოზულად და ხმამაღლა ჰკითხა: — ბატონო გიორგი, გადარჩება ვითომ ასლანი?

ექიმი მიუხედა შემკითხველს:

— მასზეა დამოკიდებული, — თვითონაც ხმამაღლა წარმოთქვა ეს ორი სიტ-

ყვა, გაელიმა, აღვირი მოხსნა და ცხენს თავზე გადაუგდო.

ასლანმა ძლივს ჩაიძინა: ნუნუმ ღამას აუწია და დოქს ადგილი შეუნაცვლა მიგინაზე. ავადმყოფის სახეს ჩრდილი დავა. მალე ხერინვაც ამოუშვა ასლანმა, ნუნუ კი ჯერ ვერ ბედავდა დაწოლას; ვაითუ, ისევე გაეღვიძოს მამასო, წიგნი გაწალა, დანიშნული, გადაკეცილი ფურცელი ხელისგულთ გაასწორა და კითხვა დაიწყო. ასლანი თანდათან უმატებდა ხერინვას, თითქოს ყელში რაღაც გაჩხეროდა და მის გადაყლაპვას ცდილობდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა. ნუნუს შეეშინდა, მამა თავისივე ხერინვამ არ გამოაღვიძოსო, მივიდა და შიშველ ლოყაზე ფრთხილად შეახო თითები. მიმინარემ ლოყა მოიფხანა, თავი შეაბრუნდა და ოთახში საჩუმე ჩამოვიარდა. ნუნუმ იატაკზე დაიხედა, თვალდათვალ მოძებნა ის ფიცარი, რომელიც არ ჭრამუნობდა, ზედ დადგა და ფრთხილი ნაბიჯებით გაემართა მაგიდისკენ. „ცოტას წაეკითხავ და დაგწვიები“, გაიფიქრა, მაგრამ სანამ მაგიდას მიუჯდებოდა, ღია კარებში რაღაცამ გაიღვავა და ნუნუ ადგილზე გაშეშდა, კისერმოღრეცილი და თვალბედაკეცტილი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ განათდა, უფრო ხანგრძლივად და უფრო მკაფიოდ. ცალთვალ ავტომობილის შუქს ჰგავდა. ფეცრად ეს შუქი უცნაურად აქანავდა, ზევით და ქვევით, მაღლა და ძირს, თითქოს ხელს უქნევდა ვილკას. სწრაფად მოდიოდა კოლმეურნეობის საცდელი ნაკვეთიდან, სადაც საადრეო სიმინდიან ერთად სოიაც ეთესა. ნუნუ ელოდებოდა, თუ როდის შეწყდებოდა შუქის აღმად აღმაქანაობა და როდის ჩაქრებოდა, მაგრამ ჩაქრობის მაგივრად შუქის მოპარობას შეწყობილად აყვა სტვენის ხმა, გუგულს ბაძავდა ვილკაც.

„ჯუმბერია“, გაუელვა ნუნუს და უნებურად გაიხედა ავადმყოფისაკენ. ასლანი მშვილად ფშვინავდა. ამ მოყოლოდნელმა შესაძლებლობამ, რომ ამჟამად

კიდევ ნახავდა ჯუშბერს, ნუნუს გული აუთრთოლა, ლამა ჩააქრო, ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან, აიენის კარის აქირალემა ვერ გაბედა, კამა აიკეცა, მოაჯირზე გადაალაჯა და ეზოში ჩახტა. როცა ორღობეში გამოვიდა, შედგა და ყური მიუვლო, რამე ხმაური ხომ არ მოდიოდა სახლიდან. მერე ყანაში გადავიდა და ნაპირ-ნაპირ აპყვა რუს. ის შუქი აღარსად ჩანდა, ამიტომ მიწაზე აღარ იყურებოდა ნუნუს, იქნებ კიდევ განათდეს და თვალი მოვკრაო. ხელის-გულეები წინ გაეშვირა და სიმინდის ფოთლებს აქეთ-იქით წვედა, მკლავები რომ არ გაეფხაჭხა.

— ნუნუს, — მოესმა გაუბედავი ჩურჩული და თითქოს მიწიდან ამოვიდაო, მის წინ ჯუშბერი აისვეტა, — სხვა მეგონე და დავიმაღე, თორემ გზას გაგინათებდი, — დამნაშავესავით აღიარა ჯუშბერმა.

— რას ანათებდი? აბა, კიდევ ვაანათე.

ჯუშბერმა მიწაზე დაანათა ჯიბის ელექტროფარანი.

— ამან დაგაინტერესა და იმიტომ ამოხვედი?

— არა, ჯუშბერ.

— მაშინ ცოტა ხნით დაეჯდეთ, ჯერ ხომ არ გეძინება?

— არა... მე უკვე მძინავს, — გაიღიმა ნუნუს და ხელი თავისი სახლისკენ გაიშვირა.

— მეც ეგრე ვიფიქრე, ლამა რომ ჩაქრა.

რუს ნაპირზე წამოსხდნენ, ფეხები მეორე ნაპირზე გადააწყვეს. სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. მერყეობდა ნუნუს: გაენდო თუ არა ჯუშბერისთვის დათიკოს უღროლო სტუმრობის ამბავი და უნებურად მოსმენილი საუბარი? მერყეობდა ჯუშბერიც: არ უნდოდა მწუხარება მიეყენებინა საყვარელი ადამიანისათვის და ისევე გაეჭირდა მამამისის წუხანდელი ნამოქმედარი, როგორც უშანვაჭირადედა დღეს. ბოლოს გაბედა. საიდან არ მოუარა, რა სიტყვები არ მოიშველია, რომ ასლანის დანაშაული

უფრო მცირედ მოსჩვენებოდა, ნუნუს უთხრა, რომ ყველაფერი უნებურად გვა საბჭოში, ქუთაისის მილიცია მოსულა თავმჯდომარესთან, რალაცები გამოუკითხავს. თურქი ვარციხის ხელთან დაუკავებიათ დათიკოს მანქანა, წინდაწინ სვლენიათ, რა საქმისთვისაც წამოსულა თენებოტურში, თუმცა მანქანაში შეშა არ აღმოჩენილა, მაგრამ დათიკო მაინც დაუპატიმრებიათ. ჯუშბერმა დაამწვიდა ნუნუს, რომ აქ ასაღლეველი არაფერი იყო, იცრუა, რომ ასლან ბიძიასთვის თვალეები აუხვევია დათიკოს, რომ ასლან ბიძიამ თურმე არც კი იცოდა... არც კი იცოდა, რომ ქურდობას ჩადიოდა, რომ...

— ქურდობას? — წამოიყვირა ნუნუს და ლოყაზე ხელი იტაცა.

— ჰო, ნუნუსა, ასე გამოდის.

— ქურდობას, ჯუშბერ? მამამ... მამაჩემმა იქურდა? — ასლოკინდა ნუნუს და ჩუმად დაიწყო ტირილი.

— ჩუ, ნუნუს, დამწვიდდი, ჩემო ნუნუსა, გადააცდინეს კაცო, აბატებენ, — ისევე განგებ ამცირებდა ასლანის დანაშაულს ჯუშბერი. ნუნუს კი ერთბაშად ეკვამა გაუელვა: სწორედ ამისთვის გამოიძახა ჯუშბერმა, ამ ამბის სათქმელად. ახლა კი... ახლა ჯუშბერი იტყვის, რომ მას არ შეუძლია, აღარ შეუძლია იმეგობროს. რა მისი ბრალია, მაგრამ აღარ ძალუძს ნუნუსთან მეგობრობა, რომ მათ შორის ყველაფერი გათავდა... რადგან ისეთი მამის შვილი, როგორც...

— ყური დამიგდე. ნუნუს, — მოისმა ჯუშბერის ოდნავ ათრთოლებული ხმა, — მე სულაც არ ვაპირებდი ამის თქმას, მე... სულ სხვა რამ მინდა გითხრა... დიდი ხანია, რაც მინდა, — ჯუშბერი გაწუმდა, ბალახი მოგლიჯა და თითზე გადაიხვირა. — მე რომ მიყვარხარ, ხომ გჯერა?

— მჯერა. — წარმოთქვა ნუნუს და ერთბაშად ტირილი შეწყვიტა, გუმანით იგრძნო, რალაც სათქმელი ჰქონდა ჯუშბერს, თითქოს შეეშინდა, ტირილის დროს სიტყვა არ გამოიმეპაროს.

— შენ? შენც ხომ გიყვარავარ?

ნუნუმ გვერდზე გაიხედა და თავი დააქნია.

— ორივეს გვიყვარს ერთმანეთი. ხომ ასეა?

— ჰო.

— ხომ ძალიან, სულ, სულ ძალიან?

ნუნუმ კვლავ დააქნია თავი. მას უკვე ბუნდოვანი სიზმარივით დავიწყებოდა მწუხარება და ახლა სულ სხვა მიზეზით ეკრემლებოდა თვალები.

— ჰოდა, — ჯუმბერი სიტყვებს ეძებდა, — ჰოდა, როცა ასეა, როცა ასე ძლიერ უყვართ, ორი და სამი წლის განმავლობაში, მაშინ... მაშინ თვითონაც იკვირებს, როგორ იქცევიან, მაშინ... უკვე დროა, ნუნუ... თუკი ყველაფერი მომწიფებელია, რაღას დავუცადოთ...

ჯუმბერი გაჩუმდა, ნუნუ ადგილზე შეტოკდა, ნაწნაეები უკან გადაიგდო, მიწაზე დაგდებული ელექტროფარანი აიღო და გაანათა. რიგრიგობით მიაშუქა ტანაყრილ სიმინდის ღეროებს.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... ზედაც, ჯუმბერ, ერთ ძირზე ოთხი ტაროა... ერთი, ორი... ამაზე მხოლოდ ორი...

— გინდა მოვტეხოთ, — ვითომ ძა-

ლიან დაინტერესდა სიმინდების თვლით: ჯუმბერი, გული კი გამაღვიწყვეტდა. — სიტყვის ბანზე ვაჭაბუკობა რებდა ნუნუ.

— არა, ჯუმბერ, ჯერ ხომ სულ ნელდია და ჭყინტი. ცოლოა, კარგად დამწიფდეს. მარცვლები დაუმსხვილდეს. — და ნუნუმ ახლა სხვა სიმინდზე გადაიტანა ფარნის შუქი. — ერთი, ორი, სამი, ოთხი... ამაზედაც ოთხი... ჯუმბერ, შეხედე, შეხედე, რა სიმალეზე გაზრდილა ის სიმინდი, ულვაშები კი ჯერ ხეირიანად არც გამოხსმია, — და ნუნუმ გადაიკისკისა.

ჯუმბერმა უნებურად საკუთარ ულვაშებზე მოისევა ხელი. გაწითლდა, გაბრაზდა კიდევაც და, თითქოს ჯაერი უნდა ამოიყაროსო, მოულოდნელად ხელი გადახვია ნუნუს. ტუჩებზე დაეწაფა და გარინდდა. ქალის ხელიდან გავარდნილი ელექტროფარანი ბალახებზე გადაგორდა და რუში ჩავარდა. მაგრამ არ ჩამჭრალა, მთვარის ანარეკლივით ამოიხედა წყლიდან, რომელიც ისე ჩუხჩუხებდა და ისე სწრაფად მიედინებოდა, როგორც სისხლი ქალ-ვაჟის მარღვებში.



ბოჩოღას ამბავი

პოლიასთან მენახირეს
ცნობა მიაქვს ცუდი მეტად;
მოახსენა: წაბლა ძროხა
არ დაბრუნდა ჯოგთან ერთად.

დიღხანს ვძებნე, რა არ ვქენი,
ვერსად მას ვერ მივაგენი.

ეს რა საქმე მოგვივიდა
საეალალო, სადარდელი!
ძროხა მაშინ დაკარგულა,
ხბოს მოგებას როცა ელის.

დაიბნევა იგი ტყეში,
ველარ ვნახავთ თავის დღეში.

ეს წყველი ფათერაკი
მოსდა სწორედ რაღა მაშინ,
მესაქონლე ნასტასია
რომ არ იყო ჩვენს ფერმაში.

ხასიათით ნასტასია
ვერ ვიტყვი, რომ აღმასია.

სათითაოდ გამოგვლანძლავს
დედაკაცი ენამწეავი:
— კი ვიცოდი, კი ვიცოდი,
მოხდებოდა ეს ამბავი!

წამოიწყებს თავის ქებას,
მოგვაბეზრებს თავს უბედობით:
— თანამეწე არავინ მყავს,
საქმეს ვერვის ვერ ვენდობი!

მხართეძოზე წვანან მულამ,
ეინ გიშველის განსაცდელში.
აშკარაა, მავნებლები
მოკალათდნენ ჩვენს ბოსელში.

ძროხის მოვლა მათ არ უყვართ,
ღე, ძროხები დაიხოცონ.

შოფერთან კი მზად არიან
დღედაღამე იხორბოცონ...

რა პასუხი უნდა მიეცე,
რომ დანუშლეს ენამწარი?
ის არ სტყუის, ძროხა მართლაც
დაიკარგა, აღარ არი.

არ დაბრუნდა საძოვრიდან,
დაიკარგა, აღარ მოვა.
ახლა რაღა გეშველება
შენ, პოლია კახაკოვა?

ტყისკენ მართო გაეშურა,
არ მიჰყვება შეგობარი.
დადის ტყეში კახაკოვა,
შეადღეა ჩუმი, წყნარი.

იარება ნაძვნარებში.
ხმელ ხავს ფეხით თელავს ქალი.
დადის ტყეში კახაკოვა
და სუნი სცემს ნეშომპალის.

თვალის კუთვით გაიარა
გზა საეალი მეტად ძნელი,
ეხვეოდა აბლაბუდა,
ნესტიანი, ზიზლის მგერელი...

ულრანი ტყე მან დახვერა,
მოიარა სულმთლად თითქოზ.
შემდეგ, მოლილ-მოქანცული,
ჯარკვებ დაჯდა, დარღობს, ფიქრობს:

რით დაბრუნდეს ის ფერმაში,
ნასტასიას რაღას ეტყვის?
აქ შოფერიც არის ბრალში,
საყვედური მასზეც ეთქმის.

რომ ტყუილად ის არ დადის —
ყველამ იცის, მართალია.
ღე, უყვარდეს! პოლიას კი
მისთვის სულაც არ სცალია.

ას წელსაც რომ არა ნახოს,
შეუძლია მოითმინოს,
მაგრამ ძნელი არის კიცხვა
სულ უბრალოდ რომ ისმინოს.

ქალი ისევ უღრან ტყეში
დადის, ველარ დაისვენა.
ახ, ბებერო წაბლა ძროხავ,
ახ, სულელი, ლენია შენა!

დადის ქალი — და უეცრად,
თითქოს სადღაც, ბუნქებს იქით,
ხმა გაისმა წუხილისა
და უმაღლე მიწყდა იგი...

დააყურა წარბაწევით,
გაინაბა სიჩუმეში
და მოესმა ქალს გარკვევით,
იქვე ახლოს ძროხა ზენემის...

დაიხუნემა — კვლავ დუმილი,
როგორც იცის ტყეში მუდამ...
გაექანა ბუნქისაკენ,
წაბლა არის. რა თქმა უნდა.

ძალმიზდილად დაიბღაეღა,
მოაბრუნა რქები ოდნავ,
თითქოს პატრონს დაინახვა,
ფერღები რომ ნაფერთხოდა.

დაიხია, —
მწვანე მოღზე
წაბლისფერი ხზო გამოჩნდა.
ის ლოკავდა უკვე ბალახს
და დედის წინ იღვა კოხტად.

ბოიოლაა მინებული,
ლამაზია, ფეხებგრძელი,
სახელიც აქვს საკუთარი,
უკვე ჰქვია მას ტყისმცველი.

ქალმა ის ხზო, როგორც ბავშვი,
აიყვანა — მიხდევს დედა.
საეარტხელი დაუფარდა,
მაგრამ ზედაც არ შეხედა!

გამოვიდა ბოლოს მინდვრად,
გაიარა გზა ტყიანი.

ოხ, მძიმეა ეს ბოიოლა,
გრძელფეხება, ოფლიანი...
ქართული
ენების

დაიმალა მზე ნაძენარში,
ველს სიზნელე ებარება.
დაეღალა ქალს მუხლები,
თქვა: არ ძალმიძს კვლავ ტარება!

წაბლა ძროხა მისდევს უკან
ფორხილით და ხშირი კმუნით.
თითქოს ამბობს: მეც ვატარე,
ახლა არის ჯერი შენი.

ძალას იყრებს კანაკოვა,
გზას განაგრძობს, აღარ დგება.
ეცოდება ხზო და ძროხა,
თავის თავიც ეცოდება...

ველარ უძღვებს ფეხი, ხელი,
ჰა, წაიქცეს ლამის ქალი,
და პოლიამ სწორედ ამ დროს
თავის შოფერს მოჰკრა თვალი.

ის პოლიას ვერა ზედავს,
თავის გზაზე მიდის მშვიდად.
დაუყვია ქალმა: — „ექტორ!“ —
დაჯდა, ტვირთი ველარ ზიდა.

მიიბრინა ვაჟმა შიშით,
ქალს თვალი აქვს ცრემლით სავსე.
— შენ სეირნობ არხეინად
და მე კი აქ ვწვალბობ ასე!

— მამატრე... ამბობს ვაჟი
დაბნეული და შემკრთალი.
მაგრამ მისი აღარ სჯერათ,
ყურსაც აღარ უჯღვებს ქალი.

— ბოდიშების დროა განა,
შეგიძლია ხზოს წაყვანა!

შოფერს სიტყვა არ დაუძრავს,
ხზოს დასტაცა სწრაფად ხელი.
მიდის წინ და კანაკოვა
მისდევს ცრემლით ლოყასველი.

ხზო სიფრთხილით მიჰყავს შოფერს,
ქალიშვილსაც უცქერს მალვით.



— ასე რატომ ნერვიულობ? —
ჩამოუვდო სიტყვა კრძალვით.

თუნც გრძნობს ალერსს, თანაგრძნობას,
ქალი არ სცემს მაინც ზმასა.
სიამოვნებს, რომ მბრძანებლობს
შოფერს, მკაცრი ცოლის მსგავსად.

დაე, დუმდუს, მაინც ზედავს
ვაყვაცს ერთგულ მეგობარსა.
არ გაწირავს, არ დაწაფრავს,
გაუმაგრებს შუდამ მხარსა.

აქ უსიტყვო თანხმობაა.

ქველის ხსოვნა არ ექნება, *
გამოვიდა ნასტასია
და ქიშკართან მიეგება.

— კი ვიცოდი... — ის აყვირდა,
მაგრამ როცა დააკვირდა,
მიხვდა ქორწილს ცოტა უკლდა
და შესცვალა კილო ოდნავ:
— კი ვიცოდი, კი ვიცოდი,
რომ ბოროლა უქნებოდა!

თარგმანი **გრიგოლ ცეცხლაძისა**.

რთივანი გულია



ტურისტების ბილიკი

ტყიან მთაზე გვირისტებად
ჩანს ბილიკი ტურისტების.

ვინც გაივლის იმ ბილიკებს,
ნახავს წყაროს მოლიქლიკეს.

ნაკადული, როგორც სარკე,
მგზავრებს იწვევს ბალისაყენ.

ვინც ბალისკენ ესწრაფება —
იმ ცივ წყაროს ეწაფება.

და ბავშვებსაც იწვევს ქუჩა,
მათ წყაროში სახე უჩანთ.

ჩანს თურქმენი, ლატვიელი,
ბელორუსი, გულით წრფელი.

მათთან ერთად კიდევ სხვები —
მეგობრები ძვირფასები.

პატარაა წყარო წყნარი —
დიდ ქვეყნების მეგობარი...

გაგაფხულის წვიმა

ღრუბელი სქელად
ევროდა ზეცას
და ცისარტყელას
ატლასი ეცევა.

ღრუბელთა მერნებს,
გაფრენილს ლაღად,
და ცეცხლის ენებს
ვხედავდი თ მაღლა.

იგრგვინა ბარად,
იგრგვინა მთებში

და ციდან ღვარად
მოვიდა თქეში.

ნორჩო ველი,
ბალახი მწვანე
და გვალვა მწველი
მოსცილდა ყანებს.

ნახირმა მყისვე
ბალახი ნახა,
ბუნება ისევ
გაცოცხლდა ახლად...

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

ანთებულია დაისის შუქით
საღამო წყნარი.
შორიდან მოჩანს ვრცელი და მტეჩი
ზღვა ბობოქარი.

მოშედილია ცა ვარსკვლავებით.
ზღვა გვაფრქვევს ნათელს,
გვიცქერის მთვარე მორცხვი თვალებით
და ღამეს ათევს.

ვიცი, მრავალი ამ ღამით ხარობს,
იქ, სადაც ნაპირს აწყდება ტალღა,

სადაც ბაღია და წმინდა წყარო,
სიამით სხედან ქალ-ვაჟი ახლა.

ანთებულია ალერსით ვაჟი,
მას უპასუხებს ალერსით ქალი:
გოგონა ვერ გრძნობს მთვარეს
სხივგამოლილს,
ვაჟს ველარ ართობს ვარსკვლავი
მკრთალი.

მათ ვერ აფხიზლებს ტალღების ტაში
და ვერც ხმაური ვერავითარი,

როს ვრცოლვა უვლის ორივეს ტანში,
როს მაჭნისია სხივები მთვარის?!

არის მსოფლიო, პლანეტა მთელი,
ეს დედამიწა ორად ვინ გაპყოს?
არსებობს ტრფობა, ალერსით წრფელი,
ბედნიერება ყოველგან სახლობს.

და ცეცხლზე შეტად ენთება გული,
როცა ახლოა ალერსის წამი,
ბედნიერება მყარდება სრული,
ჭრება სიმწარე, ცხოვრების შხანი.

ყველგან იმედის სხივები კრთიან,
ავსებულია ფიალა ყრმობის.
არ აქვს საზღვარი ქალ-ვაჟის ტრფიას,
მე ვი, პოეტი, სიშმაგის მგობი,
ვიღეკ, ვებრძოდი სიბერეს ტიას...

გაკვირვებული სურათით ახლით,
ხელში ვილებდი გაცვეთილ ღირას;
დიდხანს ვფიქრობდი მკმუნვარე სახით:
— რაა ტრფობისთვის თავის განწირვა?!

როგორ გავიგო, რაც ენაზე თვალით,
როგორ ვუმღერო სიყვარულს ლექსით?
აღამიანი, ალერსით მწერალი,
თვით სიცოცხლეა ულამაზესი...

მათ უტეხიათ აქ ღამე მთელი,
დავიწყებით შიში და კრძალვა.

მხოლოდ კოცნა და ალერსი წრფელი
ეს არის მათი სიცოცხლის წრფელი

მაღალფარდოვნად ვმღეროდი, მაინც
ლექსი გადმეჭვა მშრალ ანგარიშად.
ვერ განვიცდიდი ალერსის მანის,
გონებას გრძნობა გამოეთიშა.

ცაზე ვარსკვლავნი სიამით კრთიან
და ღამეც ისევ განაგრძობს ყოფნას;
წყვილები ღამით რჩებიან გვიან,
არ აქვს საზღვარი ალერსს და ტრფობას.

მთვარე ღრუბლებში ანათებს
მორცხვად.
თითქოს ეკრძალვის წყვილებს
კოცნას...
და რაც ქალ-ვაჟის ალერსით ითქვა,
ვერ გამოხატა პოეტის რითმამ.

თუმცა გავლექსე ტალღების ტაში,
ველარ შევიგრძნე გულუბის ფეთქვა,
ენაზე ურცხვი ვარსკვლავი ცაში,
ვერ ვთქვი, რაც პოეტს მიწოდდა მეთქვა.

და რაც ვიბილე — ალერსი, კოცნა,
თითქოს ჩემს გულში ცივ ლოდად იქცა,
და შემრცხვა მაშინ, შევიგრძნე, როცა
ტრფობა ქცეული უწმინდეს ფიცად!..

თარგმანი ქალე გოგოზიძისა



ქან ვაღონის რმისი

ეს მოხდა სულ რამდენიმე წუთში. „წმინდა ელენეს“ ორი ზანგი ცეცხლფარეში ჰამბუ და მამაღუ შელაპარაკდნენ და უცებ დანები იშიშვლეს.

თითქოს გიშრისაგან გამოკვეთილი ორი ამოღონი დაუნდობლად ებრძოდა ერთმანეთს. მხოლოდ მარცხენა მკლავით იცავდნენ თავს. შემდეგ ჰამბუ დაეცა, მამაღუმ კი სისხლიანი დანა ზღვაში გადაისროლა, ამხანაგს გვერდზე მიუჯდა და დიდი კრელი ბაღდადით მხარის შეხვევა დაუწყო, თუმცა თვითონაც მკლავიდან სისხლი თქრაალით ჩამოსდიოდა.

როდესაც დატრალი ვიწრო ჩასახვლელზე საკაცით ჩაჰყავდათ, იგი თავის ენაზე მამაღუს ღიმილით რაღაცას ეუბნებოდა.

— მთლად ბავშვებით არიან, ოქროს გული აქვთ! — უთხრა მოხუცმა ცეცხლფარეშმა მარტენმა თავის ამხანაგს ანდრესს და ზურგშეტყევით მღვარ მესამე მექანიკოსს თამბაქოს ნალექი ფეხებში შეაბურჭვა.

მარსელის ნავსადგურის კომისარს, რომელიც მამაღუს დასაბატონებლად მოვიდა, იქ მყოფმა ცეცხლფარეშებმა — მარტენმა, ანდრემ, ჯორჯენამ (ასე შეარქვეს მას მოკლე ფეხებისა და გრძელი ტანის გამო) და მისმა მეწყვილემ დრუენამ, — განუცხადეს:

— მამაღუ არაფერ შუაშია, დამნაშავე ჩვენა ვართ!

მაგრამ რა დანაშაული ჰქონდათ ჩაღენილი, არ ამბობდნენ!

— ვერაფერი გამოვიდა! — დღლაედა ახალგაზრდა, არისტოკრატიული მანერების მქონე კომისარი. — დატრალი ამბობს, რომ თვითონ დაიჭრა, თქვენ კი თქვენს თავზე იღებთ დანაშაულს! მე ბოი უნდა ვიცოდე!

კაპიტანი მიხვდა, რომ შეიძლებოდა მეორე ცეცხლფარეშის შენარჩუნება. კომისარი კაიუტაში მიიწვია და სტუარტს¹ მაგარი სასმელები შეუკვეთა.

— რაც უფრო მეტს გადააყლავებს, მით უფრო ნაკლებ ქრთამს მისცემს! — გაიფიქრა ანდრემ და მამაღუს სანახავად ცეცხლფარეშთა კუბრიკში² ჩავიდა, უკან გაჰყენენ მგზლვაურები, თვით სიტყვაძიერი ბოცმანიც კი.

მამაღუ უხბოდ იწვა, ოფლის მსხვილ წვეთებს დაეფარა მისი შეგვრემანი სახე. შეხვეული მკლავი გვერდზე ედო. დაწითლებულ თვალებზე და ნესტოების ცახცახზე ეტყობოდა, რომ ტკივილებიდან იტანჯებოდა.

— რა თევზბივით ჩაქედილხართ! — წაიბურტყუნა მარტენმა. მაგრამ მგზლვაურებს უნდოდათ ვაეგოთ ჩხუბის მიზეზი და ადგილიდან არ იძვროდნენ.

— ეჰ!.. ბებერ სელაას დავემსგავსე, გამოეთაყვანდი! — მწარედ წამოიძახა მარტენმა.

მის უკან ვილაცამ გაიციინა. მაგრამ დაინახეს თუ არა მარტენის მრისხანე გამომეტყველება, სიცილი მსწრაფლ შეწყდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, დამნაშავე ჯერ მე ვარ! — განაცხაო მარტენმა. — აი, მესამე მექანიკოსი ეურადანი! — მარტენს, ეტყობოდა, მისი შეგინება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. — მთელი ეს აურზაური მაგანა ატეხა! მაგან წაჰკიდა ერთმანეთს ჰამბუ და მამაღუ, ისევე როგორც კოლონიებში თერთი აღმინის-ტრატორები სხვადასხვა ტომს ერთმანეთს მიუხევენ ხოლმე ამოსახოცად!

¹ სტუარტი — გემის ლაქია, მეზუფტაბი.

² კუბრიკი — გემის მსახურთა საერთო საცხოვრებელი.

ამ შედარებამ მარტენი დააკმაყოფილა და ცოტახანს გაიწმინდა.

— ესენი ურდანიშა გამოძიებელივით ცალ-ცალკე გამოიძახა და ორივე მოატყუა: თითქოს თვითთელი მათგანი გამოტყდა, რომ ერთად იქურდეს... ჰოდა, აჰ, აჰი მთვალურსნენ კიდეც ერთმანეთს დანებოთ!

ყველა მიასტერდა დაკრილს. მამადემ ეს შენიშნა და თვალები დახუჭა.

— ნამდვილი დამნაშავენი კი! — მარტენი ძველი გამოცდილი მთხრობელივით კვლავ გაჩუმდა, რაკი შეამჩნია, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო.

— განაგრძე, რაღას გაჩუმდი?!

— ხომ იცი, არ დაგაბეზლებთ! — ველარ შეიკავეს თავი მეზღვაურებმა.

მარტენმა თითი მალა აიშვირა.

— ნამდვილი დამნაშავენი, კაპიტნის წყვეული ქათმებია. ჰო! რაკ კი კაპიტანს იაფად შეხვდება, ყველაფერს ყიდულობს, ჰოდა, აფრიკაში ჩალის ფასად იყიდა ეს ასიოდე ფრთოსანი მალევიარა! საქათმე კი გემბანზე გააშენებინა, სწორედ ცეცხლფარეშთა კუბრიკის თავზე! მზარეული ყოველდღე თითო ცალს ხან უხარშავს და ხან უწევავს. ჩვენ კი ვბრუნდებით ვახტიდან. — ხომ უნდა დავიძინოთ, — მაგრამ ვინ გაცლის? ეუცხოვთ მამლებს გემზე ცხოვრება და დღედაღამ განუწყვეტლივ ყოვიან! ვებვეწით მზარეულს, რომ ჯერ მამლები დაეკლა. არც ამან გვიშველა. ჩვენდა პატრუსაკემად ამოარჩევდა ყველაზე მყოვანას და დაჰკლავდა. მაგრამ, ჩვენს ჯობრზე, სხვა მამლაფინწას, რომელიც ჯერ კიდეც ნოტებს სწავლობდა, ზღვის ჰაერისაგან ისეთი ხმა უფითარდებოდა, რომ ოპერის ტენორსაც კი შესურდებოდა. იგი ყველა დაღუპული მოამის მაგურ თავგამოდებით ყიოდა და ყიოდა...

ძალიან დავიტანჯეთ. მე, მამადემ, ჰამბუმ და ანდრემ გადავწყვიტეთ — მოგვეთათბირა. ჯორცხენა და დრუნა ვახტზე იყვნენ. მე, როგორც ყველაზე გამოცდილს, მელოდებიან — რას ვიტყვი... რაღაც უნდა მეთქვა, თორემ ორმოცი წლის განმავლობაში ზღვებზე და

ოკეანეებზე ცურვით მოპოვებულ პრემიებს ვკარგავდი. ჰოდა, მეც, ბრძენებმა, ტრუტუმმა, სირცხვილი ვკამე.

მარტენმა ჯიბიდან ამოიღო მონძი, რომელიც ცხვირსახოცის მაგიერობას უწევდა, და ცეცხლზე ატრეცილი სახე მოიწმინდა. მეზღვაურები დუმდნენ საინტერესო ამბის მოლოდინში.

— ანდრე ორი საზეთელის მოსატანად გავგზავნე. მამადე და ჰამბუ კი დავაროგე: თუთარი ტანსაცმელი გაიხადეთ და მსგავსად შავი ავაზებია, რომლებიც თქვენს ჯუნგლებში ბინადრობენ, შეიპარეთ საქათმეში ისე, რომ კაპიტნის ბოგადან არ შეგნიშნონ. „არის, შესრულებული იქნება!“ — გაიცინა ორივემ. ვეუბნები, გაუხეთეთ მამლებს კინოსაქვეშ... რადგან, რომ დაიციელოს მამალმა, ჯერ სული უნდა დაიგროვოს. კინოსაქვეშ გახეთვის შემდეგ კი სულს ველარ შეიკავეს! ჰოდა, სულიერად გამოფიტული არათუ მამალი. ადამიანიც ველარა მღერის! როგორც დავარიგე, ტანთ გაიხადეს, თითო საზეთელი აიღეს ზელში და სიბნელეში გაუჩინარდნენ. საქათმეში ისეთი ალიაქოთი ატყდა, გეგონებოდათ, „შაპის მოსაკლავად ჰარამხანას ყაჩაღები დაეცნენო. ეს კია, რომ ამ ქათმების ჰარამხანაში შაპები ბლომად იყვნენ! ნახევარი საათის შემდეგ მამადე და ჰამბუ დაბრუნდნენ მთლად ბუმბულში ამოგანგლულები და მითხრეს. დავალება შეეასრულეთო. მართლაც, ყურს ვუვადებთ და... შეღამინას ხომ უნდა ეყვილათ მამლებს? ისინი კი მარტო ფრთებს აბარტყუნებდნენ და საცოდავად, ბატბოვით სისინებდნენ! „ხოციებიან“, ამბობდა ანდრე. მე, მამადე და ჰამბუმ კი ვიცოდით, რომ არ კვდებოდნენ. ჩვენმა ჰორტუგამ იმოქმედა.

მეორე დღეს გემზე ატყდა დავა. ჩვენ კი დავდივართ გემბანზე და ყურს ვუვადებთ, როგორ ამტკიცებენ, რომ არსებობს კირი, რომელიც მხოლოდ მამლებს ავლებს მუსრს. მამ თუ ეს ასე არ არის, ამდენი მამალი რამ დახოცა, როცა არცერთი დედალი არ მომკვდარა?!



მარტენმა დაამთავრა თავისი თხრობა და ქიხის ამოსაღებად ხელი ჯდობსავენ წაიღო. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. უკანასკნელ ხანებში მას ყურს აღარ უგდებდნენ, რადგან ზეპირად იცოდნენ, რაც უნდა ეამბა.

— რა შეაშია აქ ჯორცხენა და დრუნჩა?

— რატომ იდეს თავის თავზე დანაშაული? — დააყარეს შეკითხვები მუზღუაურებმა.

ჯორცხენა დამნაშავესავით ილიმებოდა და წასასვლელადაც მოეზნადა, მაგრამ ის გაუშვეს. დრუნჩა კი, როგორც ყოველთვის, აქეთ-იქით უაზროდ იყურობოდა.

— ქათმები? ოცი ქათამი ვინ მოიპარა? — შეეკითხა ბოცმანი. ყველა დუმდა.

— მაძღუს და ჰამბუს რომ არ მოუპარავთ, ეს მე ნამდვილად ვიცი! ქურდისთვის რომ წამესწრო, ცხვირ-პირს ამოეუნაყავდი! — დაამთავრა მსხვილი წარბების შეკმულხვინით ბოცმანმა.

— კარგი იქნებოდა, ამის გამო ორი ადამიანი არ დაქრილიყო! — თქვა ანდრემ და ცდილობდა არ გაეხედა ჯორცხენასა და დრუნჩასაც.

ერთი დღით ადრე, ვიდრე გემი მარსელში მივიდოდა, ანდრე სამანქანო განყოფილებაში ცხელი წყლის ამოსატანად ჩავიდა. და ვედრო რომ ვერ იპოვა, საცეცხლფარეშოში გავიდა. ჯორცხენა და დრუნჩა ამ დროს ნიჩბებით ფრთხილად დებდნენ ღუმელში დამრგვალებულ ცეცხლგამლე თიხას. ანდრე შეუმჩნევლად ამოეთარა ლითონის დიდ გეჯებს, რომლებოთაც გემბანზე წიდას ეწვეიან, და დაუწყო თვალთვალ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჯორცხენამ გამოიღო აგურივით გამოშწვარი თიხა, დრუნჩამ კი მას ნიჩბით დაარტყა და დაამტვრია. ამოვარდა ოშხივარი, შემწვარი ქათმის სუნმა მიაღწია ამწოვ მილამდე, რომლის მასობლადაც იმალებოდა ანდრე.

ცეცხლფარეშებმა თიხის ნატეხები, რომლებზედაც ბუმბული იყო აკრული,

მოაცალეს ქათამს და დაიწყეს კნა, ჯიბიდან იღებდნენ პურის ნატეხებს და ილუკებოდნენ, თან იტყობოდნენ საცეცხლფარეშოში — ერთადერთი კარისკენ. ანდრემ იცოდა, ვინც იყო ქათმების ქურდი, მას ახლა აინტერესებდა მხოლოდ, რას ეტყოდა მარტენი, რომელსაც უამბო ამის შესახებ.

— ოცი ჩასუქებული ქათამი მოიპარეს. — გააქნია თავი მალაშმა, გამხდარმა მუზღუაურმა და ტუნები გაილოკა.

— შენ რა? — ეცა მოლაპარაკეს მარტენი, — კაპიტნის ქონება გენანება? ჩვენ კი ნახევრად მშვივრები ვართ! არა, ბიჭებო?

— მართალია! — წაიბურტყუნა ვიდაცამ. დანარჩენები დუმდნენ.

— დმერთმა ქათამი რომ გააჩინა, ის კი არ უბრძანებია მარტო კაპიტნებმა კნაონო! — მარტენმა შეუმჩნევლად ჩაუკრა თვალი ჯორცხენასა და დრუნჩას, ამით აგრძნობინა, რომ მან ყველაფერი იცოდა.

ანდრემ ველარ მოითმინა და თქვა: — ტუტუცები! ნეტავი მამლები მაინც წაეყვანათ, რალა დედლები მიჰყავდათ! — მაგრამ აღარავის გაუცინია.

მამადემ ერთი ამოიკვნესა და გვერდზე გადაბრუნდა.

ანდრეს გაახსენდა დაქრილი ამხანაგები და გემბანზე ავიდა. ივლისის კანკაშა მზე თვალს უბრძანებდა. გაიარა ძველი საბარგო ხომალდის გაგარვარებული გემბანი, თვითონაც არ იცოდა, სად წასულიყო ან რა გაეკეთებინა.

ხვლიდან იწყებოდა ცეცხლფარეშოთვის კატორღული შრომა. შორეულ რეისზე შედიოდნენ, ნიუიორკში. კაპიტანმა კი ცეცხლფარეშებს კვლავ უარი განუცხადა — მენახშირეებს არ დავიჭირავებო. თუმცა, წესდების მიხედვით, ყოველი სამი ცეცხლფარეშის ვახტას უნდა ჰყოლოდა ერთი მენახშირე. რომელიც ბუნეკრიდან ნახშირს მიაწვდიდა და ხელის ჯალამბარით წიდას ზევით, გემბანზე, აიტანდა ზღვაში გადასაყრელად. აქედან დანახშირი ფული კი კაპიტ-

ნის ჯიბეში მიდიოდა. სხვა გემებთან შედარებით, მეზღვაურებს აქ ცუდად კვებავდნენ.

„გაუჭირდებათ კარგი ცეცხლფარეშის შოვნა!“ — გაიფიქრა ანდრემ და ტრამპს ჩაჰყვა იმ გადაწყვეტილებით, რომ კაფეში ერთი ჭიქა ლუდი დაეღია.

დიდი ჰაკ ჰაუნის¹ ჩრდილში ლურჯ სპექტანისამოსში გამოწყობილი სამი კაცი იდგა. ეტყობოდათ, ანდრეს მიახლოებან ელოდნენ. ერთი მათგანი, რომელსაც დასიებული წითელი სახე ჰქონდა და ჭუჭყიანი, დილემდაწყვეტილი პოჯაიდან კი მყერდზე ქაღარა ბალანი მოუჩანდა, ანდრეს მიუახლოვდა.

— გამარჯობა, ანდრე! — ჩაიხრიალა მან ჯიბეებიდან ხელების ამოღებულად. — გავიგე, რომ ცეცხლფარეში გჭირდებათ!

— გაგიმარჯოს, ცეცხლავ! — უპასუხა ანდრემ. — პო, გეჭირდება... მაგრამ არა მგონია მიგიღონ! ზომ იცი!

ცეცხლას გასიებულ სახეზე მწარე ღიმილი დაეკლავა. მიჩვეული იყო ამგვარ პასუხს.

— რა ვიცი, საბუშაოს ვთხოვლობ, ფულს ზომ არა! — ევლავ ჩაიხრიალა ცეცხლამ.

— წადი, შეეკობე! ოლონდ... ვინ არა სვამს... მაგრამ, ისე როგორც შენ? მერე კიდევ სულ ჩხუბზე მიიწეე ხოლმე! არა, არ მიგიღებენ! იცოდე, ამას ამხანაგურად გეუბნები! — თითქმის მობოდიშებით დაუწყო ახსნა ანდრემ. შემდეგ გადახედა ცეცხლას ზურგსუკან მდგარ პატარა თავიან, თვალუბნაცვენილ ვეება კაცს.

— აი, ის კი! — ანდრემ ზიზღით მიუთითა და არც კი იკადრა მისი სახელის ხსენება, თუმცა მშვენიერად იცოდა, რომ მას ემილი ერქვა. — კიდევაც რომ მიიღონ, ყველა ცეცხლფარეში გემს მაშინვე დატოვებს.

— რატომ? — პირმოთენდ კვითხა

ემილია და პატარა უაზრო თვალებში ანდრეს მიაშტერა.

— შტრეიკბრუხერი ხარ! — უპასუხა ანდრემ ისე, რომ არც შეუხებლად. — ერთხელ გაპატოეთ, გვეგონა, სასულელით მოგივიდა, ან შიმშილია აგვიღია. შენ მაშინ იტირე და ბოდიშიც კი მოგვიხადე... მეორედ კი აღარ დევსებეთ... გათაგებულა!

ანდრემ ყველა ამხანაგის სახელით გამოუტანა მას ეს სასტიკი განაჩენი და გზა განაგრძო.

— ერთი ჭიქა ღვინო მაინც დამალე ვინე! — მოესმა ჩახლეჩილი ხმა გალოთებული ცეცხლფარეშისა, რომელსაც თავისი მწითლური იმების გამო ოდესღაც ცეცხლა შეარქვეს.

ანდრემ თანხმობის ნიშნად ხელი ჩაიქნია და გადაჭრა ფართო გზა, რომელიც წავსადგურს ქალაქთან აერთებდა.

ცარიელ კაფეში შეპატრონეს თავისი მსუქანი სახე „კომერციული“ ღიმილით გაეზადა. ბედნიერებისაგან ილიშებოდა ცეცხლა. სანამ ანდრეს ლუდს დაუსხამდნენ, მან ერთ ჭიქა ღვინოსაც ბოლო მოუღო.

— ანდრე, ჩემო ძმაო, გასსოვს, პიბრალობაში ინგლისელებს რომ ვეჩხუბეთ? კიდევ ერთი ჭიქა! — ევედრებოდა ცეცხლა ისეთი გრძნობით. როგორც შეიძლებოდა ჰქონოდა გალოთებულ კაცს ყველა იმის მიმართ, ვინც კი წყურვილს დაუკმაყოფილებდა.

შეპატრონე ღიმილით უყურებდა ანდრეს. მან თანხმობის მიღებისთანავე შეაგისო ჭიქა.

კაფეში შემოვიდა ზორბა, მხარბეკ-გამართული ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელმაც გარეთ ვერ გაბედა ანდრესთან დალაპარაკება. მარცხენა წარბთან დიდი ვარდისფერი ნაჭრილობები ეწყებოდა, შემოსს გააღებდა და წაბლისფერ ხუტუქა ქიჩორში ემალებოდა, რაც, თითქოს, ვაკეკობას ჰმატებდა მის ლამაზ სახეს.

იგი უყურებდა ანდრეს რაღაც ბავშვური გულუბრყვილობითა და იმედით.

— იქნებ რამე მიირთვათ? — მორცხ-

¹ ჰაკ ჰაუნის — ტვირთის შესანახი შენობა ნაბაფოსთან.

ვი დიმილით შევთავაზა მან ანდრესა და ცეცხლას.

ცეცხლას უკვე გაწვდილი ჰქონდა მეპატრონისათვის ცარიელი ჭიქა.

— მიირთვიო. რასაც ისურვებთ! — კვლავ მორცხვად გაიღიმა ახალგაზრდამ.

— მე ორმაგი დამისხი! — დაუკვეთა სახეგაბრწყინებულმა ცეცხლამ და ძველი ნაცნობივით ახალგაზრდას ხელი მხარზე დაადო. — ჩვენი, ცეცხლფარეშებმა, ვიციოთ ხმელეთზე მყოფი გაჭირვებული მეგობრების გატანა. შენ ცეცხლფარეში ხარ, ხომ?! ხომ ცეცხლფარეში ხარ? — ეკითხებოდა ცეცხლა და თვალეებში ჩასატყვროდა.

— ჰო! — ყოყმანით უპასუხა ახალგაზრდამ და გაიჟოლა. მთერალ ცეცხლას რომ გასცლოდა, ანდრემ ეს ახალგაზრდა მაგიდასთან მიიპატიჟა.

— თქვენ „წმინდა ელენეზე“ ვინდათ მოეწყოთ? — ჰკითხა ანდრემ.

— ო, ეს რომ შესაძლებელი იყოს?! თქვენ ნიუიორკში მიდიხართ, არა?

— ჰო, ჩვენი რეისი — კასაბლანკა ნიუიორკია! ეს რა არის, რომელ გემზე დაგცხობთ ნიჩაბი ცეცხლფარეშია? — ჰკითხა ანდრემ და მოსაუბრეს შუბლივით ნაპრილობებზე შეითითა.

— არა, ეს გემზე კი არა, პარტიზანებთან! — თითქოს დამნაშავეაო, გაიღიმა ახალგაზრდამ.

— აა, კამრად?! და ანდრემ გაუწოდა თავისი კოჭრიახი ხელი იმ გადაწყვეტილებით, რომ, რაღაც უნდა დასჯდომოდა, მოეწყო იგი „წმინდა ელენეზე“.

— რა გევაოთ? — ჰკითხა მან. ეს შეკითხვა უკვე მეგობრობის საწინდარი იყო.

— ეან ვალონა.

— კარგი. ეანი — უთხრა გახარებულმა ანდრემ, — ახლა წავიდეთ კაპიტანთან. მე ვეტყვი, რომ შენთან ერთად მიმღევი! საზღვაო წიგნაკი თანა გაქვს?

— არა!

— სიმთვრალის დროს, ალბათ... მოგბარეს არა?! — უფრო მეტი¹ ხნად² დაეტყო ანდრეს. უხაროდა, რომ³ კამრად⁴ ამხანაგი ეყოლებოდა, მასავით ყოფილი პარტიზანი.

ამ დროს ცეცხლა უკვე საჩხუბრად იწვევდა დასალევად შემოსულ მუშტარზე, რადგან ღვინო არ დაალევინეს.

— უ-უ, ჩარჩებო, ქურდებო! — დროა⁵ ლებდა ცეცხლა და ვეება მუშტებს ცხვირწინ უტრიალებდა პატარა, ყოყლონიანი კაცს, რომლის მისამველებლად მეპატრონე დახლიდან გამოძვრა.

— მე თუ ვსვამ, ჩემი ფულითა ვსვამ! ან ჩემი ამხანაგების ფულით! — ცეცხლამ თითით უჩვენა ანდრეზე და ეანზე. — შენთან კი, რომ მესხვეწო კიდევ, არ დავლევ!

მეპატრონე თავის უხარმახარი ღიმილთა აწვებოდა და გარეთ აგდებდა უკვე ხმაჩაყმენილ ცეცხლას.

— ეჰ, რა კაცი იყო? — მწარედ წარმოთქვა ანდრემ. — მარსელის საუკეთესო ცეცხლფარეში! გამრჯე. არც სვამდა, არც ფულზე თამაშობდა. მთელი ნაშრომი შინ მოქონდა ქალიშვილთან. ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. მწიოთურა!

— ჰყავდა? — ჰკითხა ეანმა.

— ჰო, დაეღუპა! ოქუპაციის დროს გერმანელებმა პროკლამაციები უპოვეს! ებ კი გალოთდა... საცოდავი! ველარაფერს უშველი. აი, მარტო ღვინით თუ თანავუგრძნობთ ხოლმე. წავიდეთ.

ისინი წავიდნენ.

ცეცხლა შუა გზაზე იღგა და კაფეს მეპატრონეს ლანძღავდა. შორიდან მუშტების ქნევით ემუქრებოდა.

— მუშტების წურბელავ, მოგკლავ, დაგახრჩობ! — ყვიროდა იგი.

— არცთუ ისე ცდება! — ჩაიცინა ეანმა.

— მართალია, მაგრამ მაგისთანებმა კი არ უნდა თქვან! ამით მხოლოდ მტერს გაეხარებთ! გარდა ამისა, ბრძოლა ასეთი ამბით კი არ უნდა დავიწყოთ! — უპასუხა შუბლშეკრულმა ანდრემ.

¹ კამრად — ფრანგულად ამხანაგს ნიშნავს.

შორს, მოსახვევში, ცემენტის მიეტილ ქარხანასთან, გამოჩნდა ამერიკული საბარგო მანქანების მთელი კოლონა. ისინი მიქროდნენ ფართო ქუჩაზე.

— ამ იარაღსა და საომარ მასალას ამერიკის გემიდან ნახსადგურის ბოლოში ტვირთავენ ჯარისკაცები. — საქმიანად აუხსნა ანდრემ და უცებ შესახა:

— ცეცხლა, ფრთხილად, ცეცხლა. მანქანებს ჩამოეცაღ!

მაგრამ უკვე გვიან იყო. პირველმა მანქანამ სულ რამდენიმე გოჯის მოშორებით ჩაუქროლა, მეორე მანქანამ ფრთა გაჰკრა მობღინძულ ცეცხლს და შორს ისროლა. მოტორის გუგუნით გაიქროლა მესამემ, მეოთხემ... მეცხრემ, მეათემ და მანქანები გაუჩინარდნენ. ანდრემ და ეანმა მიიჩინეს მიწაზე გამზლართულ ცეცხლსთან. ანდრემ მის მკერდს ყური შიადო. როდესაც თავი მალა ასწია, ირგვლივ უკვე ხალხის დიდი ჯგუფი შემოხვეოდათ.

ანდრე წამოადგა. ყველა მას მისჩერებოდა.

— ჩაქრა ცეცხლა! — სინთეში ყრუდ წარმოთქვა მან და დაიწყო ხალხის რკალის გარღვევა.

ესი დუმილთ უკან გაჰყვა. გაისმა აღშფოთებული ხმები:

— ერთი კიდევ მოჰკლეს წყულებმა!

— ოკუპანტებივით იქცევიან!

— არამზადები, არც კი გაჩერდნენ!

ანდრე და ეანი უხზოდ შორდებოდნენ უბედური შემთხვევის ადგილს. თვითუღმა მათგანმა დიდი ხანია გაუგოსაიღუმლოება ამ მკაცრსა და მათთვის ასე ცუდად მოწყობილ ცხოვრებას. მაგრამ სიკვდილი რატომღაც ყოველთვის აუხსნელი რჩებოდა.

— ისე კი, ეს სულ უბრალოდ მოხდა! — თავისთვის ჩაილაპარაკა ანდრემ. — გერმანელმა ოკუპანტებმა შეილი მოჰკლეს, ამერიკელებმა — მამა!

„წმინდა ელენეს“ წინ თავი მოეყარათ უმეშევარ ცეცხლფარეშებს.

ესი ანდრეს გემზე აჰყვა. ის შორიანლო იღბა. ანდრე ელაპარაკებოდა გამხ-

დარ, ულამაზო სახის კაცს, რომელიც სოფლის ბებერ მღვდელსა და მღვდელთმამყრების დასაფარავად ეპარქიით იყურებოდა და ცდილობდა ყური დაეგდო ლაპარაკისთვის, რომელიც მას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა.

— ბატონო კაპიტანო, იმაზე უკეთეს ცეცხლფარეშს ვერ იშოვით! მე მასთან მიმუშავია „პორტოს“-ზე. ორი კაცის ოდენა ძალა შესწევს. საზღვაო წიგნაკი კი ღამისათვის მოუბარავთ. ხომ იცით, რა დღეშია მეზღვაური როცა ის ხმელეთზეა და ფულიც არა აქვს! — დამაჯერებლად ცრუობდა ანდრე. მერე ეს ხელი დაუქნია.

— შემდეგი რეისისათვის საზღვაო წიგნაკი უნდა იქონიოთ. ჯერჯერობით სრული ხელფასა მოცემა არ შემოძლია! — წაბრტყუნა კაპიტანმა და ესი ათვალაიერ-ჩაათვალაიერა.

— ეს არაფერია! — გულბრყვილოდ დათანხმდა ესი.

— მომეცით თქვენი პასპორტი! იცოდეთ, არ გავიგანო. უკმაყოფილება მუშაობისა თუ კვების გამო!

— არა, ბატონო კაპიტანო! — გაიღიმა ესი. რომელიც მზად იყო, მოზღვავებული გრძნობებით გულანუყებული ყოველგვარ დათმობაზე წასულიყო.

კაპიტანი პასპორტით ხელში გაემართა თავისი კაიუტისაკენ, რომელიც კინოზე იყო. ანდრე მას წამოეწია.

— ბატონო კაპიტანო, ნება დაგვრთეთ, რომ ის ჩემი მეწყვილე იყოს. მარტნი კი მამადესთან იქნება.

კაპიტანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ანდრე ესითან გაბრუნდა. ესი სახე ისეთი ბედნიერებით იყო გაბრწყინებული, რომ ანდრეს შეეცოდა კიდევ, ესი ბარგის მოსატანად წავიდა და ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა პატარა ჩემოდნით ხელში.

სალამოს ანდრემ, ესი და მამადემ, რომელსაც სიცხე ჰქონდა, წაიჭიფეს. დანარჩენი ცეცხლფარეშები და თვისუფალი მეზღვაურები ამ ბოლო დღეს ხმელეთზე სერიანობდნენ.

ანდრემ შესთავაზა ქალაქში სასიერ-



ნოდ წასულიყენენ, მაგრამ ეანმა უარი უთხრა, თითქოს ეშინოდა, გემიდან რომ გადმოსულიყო, ადგილი დაეკარგებოდა. ლამით ჯორცხენა და დრუნა ღუმელზე ახურებდნენ.

შემდეგი ვახტა ანდრესი და ეანისა იყო.

როდესაც ვილაციის ოფლით დასველებულ ბრეზენტის ხელთათმანებს იცვამდა, ეანს რალაციის თქმა უნდოდა ანდრესთვის, მაგრამ ვერ გაეხედა. თვითელ მათგანს ორ ღუმელზე უნდა ემუშავა. ანდრემ ეანი მარჯვნივ დააყენა ბუნკერთან, საიდანაც ნახშირი უნდა გამოეღოთ და მუშაობას შეუდგა. ანდრე მალულად თვალებს ადევნებდა. თუ როგორ მუშაობდა მისი ახალი ამხანაგი. ეტყობოდა რომ ეანი ფიზიკურად ძლიერი იყო. მაგრამ... „ნუთუ მომატყუა? — გაიფიქრა ანდრემ, — ეტყობა, ცეცხლფარეშია არასოდეს უმუშავია!“

ეანი ცდილობდა ანდრესთვის მიეხამა. ისიც ანდრესავეთ ყრიდა ნახშირს, დიდი, გრძელი ლომით თუჯის გისოსზე მიკრულ წითლად გავარვარებულ უკვი წილად ქცეულ ნახშირს ამტარებდა. მაგრამ მისი გამოღება ნიჩბიანი რეისის ლომით ვეღარ შეძლო და სახე და, ხელებამტარეცილმა, მუდარით შეხედა ანდრეს.

„ნამდვილად ასეა, არ იცის!“ გაიფიქრა ანდრემ და გააფთრებული განაგრძობდა მუშაობას.

ეანი, სამუშაოს დაკარგვის შიშით თავგანწირული, გამუდმებით ღუმელთან იდგა და იქიდან, გამოჰქონდა ერთმანეთში არეული წიდა და ნახშირი. წარბები და წამწამები შეტრუსული ჰქონდა. დამოთლებული ხელები ეწოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეანი გრძნობდა — გავარვარებული ღუმელის ხახა როგორ იწყებდა ტრიალს. გონს ვერ მოდიოდა. კიდევ რამდენიმე წუთიც და — გავარვარებული ნახშირისა და წილის თუთქზე გულწასული დაეცემოდა! ქვედაყბა ჩამოვარდნოდა და პირის მოკლმვის ღონე აღარ წესწევდა, მაგრამ მაინც მუშაობდა. ანდრე მიხვდა, რომ ეანმა

მოატყუა. ბრაზობდა. უცებ დინება, რომ ეანი რამდენიმეჯერ წინაშე დაეკნინა და კინაღამ დაეცა. ანდრემ წილის მისაქმარობი კასრიდან ერთი ვედრო წყალი ამოიღო და ეანს გადაასხა. ხელიდან ლომი გამოსტაცა და წათრია ამწოვი მილისაკენ, სადაც სუნთქვა მაინც იყო შესაძლებელი.

მერე გაეშურა, ეანის ღუმელები რომ წესრიგში მოეყვანა.

— კარისკენ იყურე. მექანიკოსი არ შემოვიდეს! — და ანდრე მთელი ძალღონით განაგრძობდა მუშაობას. ბოლოს, თვითონაც ვეღარ გაუძლო სიცხეს, ოფლში გაწურული ამწოვი მილის ქვეშ დაღვა.

— აბა, მოდი, მოდი! — გაამხნევა მან ეანი, რომელიც უკვე მოსულიერდა. — აი, ასე უნდა გაეკეთდეს, თორემ ორთქლის წნევა დაეკემა, მექანიკოსი გაიგებს, რომ შენ ცეცხლფარეში არა ხარ, და ვიდრე ზღვაში გავიდოდე, გაგადებს...“

როდესაც მესამე მექანიკოსმა საცეცხლფარეშიში შემოიხედა, ეანი გამაგებით ყრიდა ნახშირს ღუმელში. მექანიკოსმა ყურადღება მიაქცია ეანის მძლავრ კუნთებს და, ეტყობოდა, კმაყოფილი გავიდა. ოთხსაათიანი ვახტა დამთავრდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე გემბანზე წილის ზევით ასატანად ჯალამბარს ატრიალებდნენ, ანდრეს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს. წიდა დროებით გემბანზე გადმოყარეს რადგან ნავსადგურში მისი გადაყრა არ შეიძლებოდა. ანდრემ ბეჯითად შენიღბა წიდაში შერეული ნახშირის ნატეხები და წაიღო. შემდეგ ორი ჯამით ხელში დაბრუნდა, ერთი ეანს მისცა და მხოლოდ მაშინ გამოეღაპარაკა:

— მზარეთლთან წავიდეთ, საუზმე გამოვართვათ!

მაგრამ ეანმა უარი უთხრა. მთვრალივით მიბარბაცდა კუბრიკამდე, დაეგლო საწოლზე და ჩაეძინა.

ეანი ღუმელების ჯაჭვის ძლიერმა ეღარუნმა გამოაღვია. შიოდა. მაკარონით სავსე ჯამი სკამზე თავით ეღვა.

— ქამე, თორემ ვერ შესძლებ მუშაობას! — მოესმა ანდრეს ხმა.

ზრახნის მუშაობისაგან გემი ძაგდაგებდა და ოდნავ ირწეოდა კიდევ.

— ჩვერ უკვე ზღვაში ვართ? — აღმოხდა ეანს.

— ზღვაში?! ნეტავ გაჩვენა ეს ძველი კალოში ზღვაში! ჯერ მხოლოდ ნავსადგურიდან გადვივართ!

— მადლობა ღმერთს! — სიამოვნებით ამოიხბრა ეანმა.

ანდრე მიხვდა.

— ნუ გიხარია, „ცეცხლფარეშო“, ჯერ კიდევ შეიძლება ხმელეთზე გადმოვსეთ, კასაბლანკაში!

— ღამერწმუნეთ, ანდრე, მე უსათუოდ უნდა მოვხვედ ნიუიორკში! ნახავთ, შევძლებ მუშაობას! — მის ხმაში მუდარა ისმოდა. ანდრე მოლბა.

— მერე ვნახავთ! ახლა კი მაბადუს ექნმარები. საყოდავი! ტყვიელებისაგან ისე იკრუნჩხება, როგორც უშმაკი ტაფაზე, მაგრამ მაინც მუშაობს! შერ კი სამანქანო განყოფილებიდან მოიტანე ერთი ვედრო ცხელი წყალი და იბანავე მოგიხდება!

მხოლოდ ახლა შენიშნა ეანმა, რომ ნახშირისაგან მთლად გაშავებულიყო.

შემდეგი ვახტაც ეანისთვის მძიმე იყო. მის ტანჯვას გემის რწვევაც დაემატა.

ასე გაიარა ორმა დღემ. ეანი უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა. ანდრე მხოლოდ ზანდახან აძლედა მითითებას. გავარეარებული ღმელების გარდა, ეანი ახლა ბევრ საინტერესო რამეს ამჩნევდა. ისმენდა საინტერესო ამბებს, რომლებსაც მოხუცი მარტენი ჰყვებოდა.

მამადლე ძალიან გახდა, მაგრამ მუშაობას მაინც განაგრძობდა.

ეანი კრილობას უხვევდა მამადლს, ამას შეეწირა ერთი ზეწარი. გემის საფთვიაჟო ყუთში, რომელსაც ბოცმანი თავის თოკებთან, საღებავებთან და ჯავრისებთან ინახავდა, ოოდისა და სასაქმებელი ზეთის მეტი არაფერი მოიძებნებოდა.

ჯორცხენა და დრუნჩა, რომლებსაც ეტყობოდა, ეანი მოეწონებოდათ. ნენ მას, რომ კასაბლანკაში მიხვდით. ნავე „ბუზბირში“¹. წაიყვანდნენ.

— ბუზბირი რა არის? — იკითხა ეანმა პირველად, ამ ხნის განმავლობაში დრუნჩას სახეზე რალაც ღმილოს მსგავსმა გადაჰკრა, ჯორცხენა გატაცებით უხსნიდა, უკანასკნელად იქ ორა ათასოთხასი ქალი იყო.

— ეგ შეუძლებელია! — გაოცდა ეანი.

— მართლა, მართლა! — ევერი დაეკრა დრუნჩამ.

ჯორცხენა განაგრძობდა:

— როგორც კი მაროკოში ვინმეს დაღერენ ამგვარ საქმეზე, იქ გზავნიან დსოკედლიმდე ტოვებენ. ეს მალელ კედლით გარშემორტყმული მთელი უბანია. რომელსაც მაროკოელი მსროლელები იცავენ.

— ჰო, ჰო! — კვლავ შეაწყვეტინ: დრუნჩამ. — წვერიანი ჯარისკაცები, ფერად სამოსელში და კრეტლებში გამოწყობილნი, დგანან კარებში და დედაკაებს წყვლებით ერეკებიან.

— მოიცა ერთი! — მოუბრძებლად შეჰყვირა ჯორცხენამ. თავის არცთუ ისე უკვიან მეგობარს — როგორც კი შეხვალ, ქიანქველებივით ირევიან ზანგები, მაროკოელები და სხვ...

— როგორ ცხოვრობენ, რითი იკვებებიან? — დაინტერესდა ეანი.

ჯორცხენა და დრუნჩა ვახტზე წაიღნენ.

ამ კითხვაზე უბასუხა ანდრემ, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა.

— განა ცოტაა ისეთი, რომელიც სამარის ქიასავით სხვისი სხეულით იკვებება? ეს „პროტექტორები“. როგორც მათ უწოდებენ, უბედურ დედაკაებს საჭმლით, ტანსაცმლით და წერილმანო ზიზილ-პიპილებით ამარაგებენ. ამის საფასურში კი სხეულით მონაგარ ფულს ართმევენ.

ზიზილისა და სიძულვილის გრძნობით

¹ ბუზბირი მსოფლიოში ყველაზე დიდი საროსკობაა.

აინთო ეანი ყოველივე იმის მიმართ, რაც ეი ასეთი დაუნდობელი ლოგიკით იყო შექმნილი ადამიანის დასამცირებლად. ეანი ამოვიდა კუბრიკიდან, რომელიც გემის ცხვირზე იყო და დახვეული თოკის გორგალზე ჩამოვდა. მას ანდრეც გამოჰყვა. აქვე იჯდა მოხუცი მარტენი და ტანსაცმელს აყერებდა. გაბარებულმა, რომ ყურადღებით უსმენდნენ, დაიწყო იმის მოყოლა, თუ როგორ იცვამდა ახალგაზრდობისას და როგორ გაედებოდნენ მისთვის ქალები ყოველ წავსადგურში.

ურცხვ მეთოვლიათა ხმა ფარავდა მის ლაპარაკს და ბოლოს იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო.

შორს ხმელეთის მკრთალი ზოლი გამოჩნდა.

— შევდივართ პიპრალტარის სრუტეში. — თქვა ანდრემ, — აი, დახედე წყალს, ეს სარდენების ილხია.

გემის მარჯვენა ზღვის მშვიდი ზედაპირი მოკარბებული თევზებისაგან თითქოს დღვდა. მეთოვლიები წყალზე სხდებოდნენ და მერე ისევ ყვირილით მალა მიფრინავდნენ. სულ ახლოს, თითქოს მდინარებას გაეტაცოსო, კარგა მოზრდილმა რაღაც მრგვალმა სხეულმა გასცურა. მის ამოხნეწილ ზურგზე ბედქრას მსგავსა რამდენიმე ულაამაზო ჩიტი იჯდა.

— ეს ზღვის დიდი კუა, ისინი საერთოდ სარდენების ილხს მისდევენ, იმას უყურე! — ვეებართელა თევზების მთელი ჯოგი ხან გამოჩნდებოდა და ხან იმალებოდა ზღვის ამღვრეულ ზედაპირზე.

— ზღვის ღორები ნამდვილი უბედურებაა სარდენებზე მონადირეთათვის: ბაღეებს უხევენ!

ანდრე და ეანი მამადუს კრილობების შესახებვედ წავიდნენ.

ღამით, მუშაობის შემდეგ გემბანზე ასული ეანი გაოცებული იყო არაჩვეულებრივი სანახაობით. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თათქოს დიდი ქალაქის გაჩირალდნებულ მოედანზე იმყოფებოდა. ლალად მიცურავდა „წმინდა ელე-

ნე“. აქეთ-იქით ჩამწყრივებული იყო განათებული გემი-ფაბრიკების მრავლებიც სახლებსა ჰგავდნენ. მწკრივში მდებარე პირი ეი, როგორც სველი ასფალტი, ნათურების მოლივლივე ანარეკლს იძლეოდა.

ეანი შორს იცქირებოდა. ეს იყო მისი ბედნიერების გზა!

ატლანტის ოკეანე ახლა აღარ გნევენობდა თავისი მისწრაფების დაბრკობებად... ეანს იგი წარმოედგინა ლამაზ, მთებში ჩაყარულ ტბად, რომლის მეორე ნაპირზე, პატარა სახლში ელოდებოდა ის...

მთვარე ეი, მრავალი პოეტის მიერ ნგზნებარედ და სიღიადემდე მისული გულუბრყვილობით აღწერილი. ღრუბლებში ცურვით მისდევდა გემს, რათა მოწვევ გამხდარიყო ეანის მომავალი ბედნიერებისა.

მალე, სულ მალე გათენდება დღე. როდესაც ისინი ნიუიორკის გაჩირალდნებულ ქუჩებში ერთად გაივლიან. კელავინდებურად ჩაეკროდა გულში, რომ, როგორც ამბობდა, მისი ვულისცემა გავსო. თვითონ ეი, ამაყი და ბედნიერი, ზევიდან დახედავდა მის ლამაზ, მალალ შუბლს, — ოდნავ აწეულ პატარა ცხვირსა და ფუნჩულა, ბავშვურ ტუჩებს.

— მალე ვიქნებით ერთად! — ენდრე ჩულებოდა აფრიკის სანაპიროებიდან მონაბერ სიროკოს¹, — ვერაინ შერლებს ჩვენს დამორებას!

სიბნელეში მოახლოებულ ანდრეს შემოესმა სიტყვები: „ჩემო პატარავ, ნუ გეშინია! ახლა ყველაფერი კარგად იქნება!“ შემდეგ გაისმა ღრმა ამოოხვრა, რომელსაც კვლავ მოჰყვა სიტყვები: „ოჰ, რა კვიანურდება ეს დრო!“

ანდრე მოტრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ ეანმა შეამჩნია და სთხოვა, მასთან მისულიყო.

მერე მთელი ღამე გემბანზე ერთად გაატარეს. ეანმა ლამაზი თავის მეგობარს:

¹ სიროკო — აფრიკის ცხელი ქარი.

— განმათავისუფლებელი ბრძოლები რომ მიმდინარეობდა, თქვესმეტა წლისა ვიყავი. ნათლად ჩამჩა მეხსიერებაში ეს დღე, როცა დავიკერი. ამერიკელი ტანკისტები არ დაგვეხმარნენ ერთ-ერთ სოფელში ალყა-შემორტყმული ფაშისტების განადგურებაში. მახსოვს: პარტიზანები სანადირო თოფებით, შაშხანებითა და ავტომატებით მისდევდნენ მტერს. როგორ ედილობდა მამაჩემი, თავისი სხეულით დაეფარე შეტევის დროს! შემდეგ თავში საშინელი დარტყმა ვიგრძენი და გონს მოვედი მხოლოდ ამერიკელთა წითელი ჯვრის მანქანაში. ლამაზი ქალიშვილები, პილოტურებში და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილნი. კრილობას მახვევდნენ, რა შურს-ველობით მაწვდიდნენ ნაირნაირ კონსერვირებულ ტკბილეულს, ალბათ იმიტომ, რომ დაჭრაღა შორის ყველაზე უმცროსი მე ვიყავი!

შემდეგ ოჯახში დაბრუნება, მოგონებები იმ მშვენიერ ქალიშვილებზე და... უცებ, შარშან ზაფხულში... ჰო, დამავიწყდა მეტყვა: გაიარა დრომ და მე ჩვენი სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი გავაღი. მამა კვლავ სამუდლოში მუშაობდა, დედა კი ოჯახში დიასახლისობდა. თავისუფალ დროს ჩვენს პატარა ბაღში ვმუშაობდით და ნამდვილად ბედნიერები ვიყავით. რა თქმა უნდა, ხანდახან გვეკონდა შეჯახებები ამერიკელთა ბანაის ჯარისკაცებთან, რომელნიც ომის დამთავრების შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ სამშობლოში დაბრუნებულნიყვნენ, მრავლდებოდნენ და გლეხების საუკეთესო მიწებს ისაკუთრებდნენ. გარდა ამისა, ჩვენი ქალიშვილებს მეტისმეტად უღიერად ეპყრობოდნენ! თვრებოდნენ და გაღეშობები მანქანებით დანავარდობდნენ. რამდენჯერ გაუტანიათ ამ არაშაადებს გლეხკაცის პირუტყვი, გაუნადგურებიათ ჩვენი ბაღნა-ბაღები...

მთელი სოფელი გულთანად იცინოდა ერთ საწყალ კოკლ მეკასრეზე, რომელმაც თავის ერთადერთ ბლის ხეზე მოვრალ ამერიკელს წაასწრო. აღშფო-

თებულ პატრონს ამერიკელმა ზემოდან უხარმზარი კოლტი დაანახა და კოლტების მტვრევით და ლაწაღუნით ბლის ქამა განაგრძო. ხეხილის გადასარჩენად მეკასრეს ისლა დარჩენოდა, რომ ხეზე ასულიყო, თვითონ დაეკრიფა და მიეწოდებინა.

ქანმა სიგარეტები ამოიღო. ორივე მდუმარედ მოსწია.

ანდრემ შენიშნა, რომ, როდესაც ქანი თავის სოფლის შესახებ მოუთხრობდა, მტყუყელება ეცვლებოდა, თვითონაც რაღაც სხვანაირი. უფრო თავისუფალი და უბრალო ხდებოდა.

— ჩვენც ბევრი ვიცინეთ მეკასრეზე, მაგრამ გადავწყვიტეთ ხეხილისათვის გვედევნებინა თვალუტრი. მამაჩემს, როგორც ყველა გლეხს, არაფრის დაკარგვა არ უყვარს!

ერთ კვირა დილით, ცხედაც, მწვანეში, ბლის ქვეშ, მოჩანს ამერიკელის ფორმა. ნიჩბის ტარს დავავლე ხელი და ვაზებს შორის მივეპარე. ვიფიქრე: კოლტი თუ ამოიღო, დარტყმას დავასწრებ-მეთქი. შევყვირე კიდევ.

დავინახე ქალიშვილის შეშინებულ სახე, ოქროსფერი კულულები და თვლები... და მერე რა თვალები!

ქანმა ჩაახველა და რამდენიმე ღრმს ნათაზის შემდეგ სულ სხვა ხმით განაგრძო:

— დიდრონი, ღია-ლურჯი ფერის. მუქად მორკალელი თვლები! ძალიან შევაშინე. მეუბრხებულა. ბოდში მოვიხადე. ჯერ თვალებზე ცრემლები მოადგა, შემდეგ კი სიცილი დაიწყო. ბალი მივართვი, სამკვდლო დავათვალიერებინე, დედამ კი დილის საუშმეზე მოიპატიოა. ვიდრე დედაჩემსა და მამაჩემს რაღაცას გაქორევით უხსნიდა, მე წვედი და ყველაზე ლამაზი კოსტუმი ჩავიცვი.

— მამ, გულში ჩავგარდნია! — უთხრა ანდრემ.

— ჰო! — გულწრფელად აღიარა ქანმა. დიდხანს დუმდნენ. ქანი რაღაცაზე ფიქრობდა.

— რა ერქვა?



— ოლივია, ოლივია მაკ კორმიე. წარ-
მოშობით ირლანდიელია.

კვლავ სინუში გამოეხდა.

— შემდეგ?

— შემდეგ... მთელი დღე ჩვენსას იყო.
ეტყობოდა. ოჯახურ მყუდროებაში
ყოფნა სიამოვნებდა. ამბობდა, რომ ძა-
ლიან ნაღვლობდა დედაზე, სხვა არავინ
ჰყავდა. ის ჯარში მიიმე მატერიალური
პირობების გამო წასულიყო. მაშინ
ცხრამეტი წლისა იყო. როცა წასვლა
დააპირა, უნდობლად ფული მოეცა, რითაც
ყველას გვაწყენინა. დედას ძალიან მოს-
წონდა, მამა კი არაფერს ამბობდა. საერ-
თოდ, მამას მაინცდამაინც არ უყვარს
ამერიკელები.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირველი
დანახვისთანავე შემოვიყვარდა! ამბობენ
კი, რომ ასე არ ზღებამ! ყოველ საღა-
მოს დაგვიჩინობდი იმ გზაზე, რომელიც
ამერიკელთა ბანაკისაკენ მიემართებო-
და. ვიყუდებოდი ჰოსპიტლის ფანჯრებ-
ში, სადაც ოლივია მეტეულებოდა, მაგ-
რამ ამოვად. შემდეგ კვირას, იმის მა-
გვირად, რომ მამას დავხმარებოდი პა-
მიდორების ჩიათა ღებების გადარგვაში,
კოხტად გამოვეწყვე და ბანაკისაკენ
გავიქედი. მამაჩემმა ჩემ გასაგონად თქვა:

— არ მომწონს, რომ ამერიკელთა
ბანაკის ქალები სვამენ, თამბაქოს ეწე-
ვიან, საერთოდ. ქარაღმულები არიან!

მე არაფერი ვუბასუხე, მაგრამ შეუ-
რაცხყოფა კი ვიგრძენი.

ბანაკამდე ოთხი კილომეტრი იყო.
ნელა მივდიოდი. ვფიქრობდი ოლივია-
ზე და გზაზე, რა ავი შეიძლება იყოს
ხანდახან საეუთარი მამაც კი!

შორიდან „ვილისი“ გამოჩნდა. შიგ
ისხდნენ ამერიკელი ოფიცერი და ქალი
სამხედრო ფორმაში. ეტყობოდა, ძა-
ლიან მთვრალეები იყვნენ, რადგან მან-
ქანა უთავბოლოდ გზის ერთ მხარეიდან
მეორეზე გადადიოდა, ზოგჯერ სინქა-
რეს ანელებდა და მერე მიექანებოდა.

მამაჩემი მართალი იყო, მაგრამ ეს
არავითარ შემთხვევაში ოლივიას არ
შეეხებოდა!

მანქანა ახლოვდებოდა. და იმ ქალ-
ელებს ოლივია შეეცინა. მგონი მძღვე-
ლები იყვნენ, საკეს ხელს ზეგულს მსგავს
გვერდზე აბრუნებდა. ის არაშადა კი
ცალი ხელით მანქანას ასწორებდა. მეო-
რე ხელით ცდილობდა ოლივიას მოხ-
ვეოდა. ბოლოს, უცებ შემოტრიალებუ-
ლი მანქანა წინა თვლებით თხრილში
შეიჭრა. ოლივია გადმოხტა და გაიქცა.
უკან დაედევნა, ჰრქელფეხება და დე-
დაცაცვით ფართოთეძობიანი ოფი-
ცერი. ის იყო წამოეწია, რომ მწარე
სილა მიიღო. ვაცეხლებულმა ოფი-
ცერმა ოლივიას მკლავების მტვრევა და-
უწყო, მე სულ ახლოს ვიყავი. ვეჭვარე
ამ მხეცს და ნიკაში ერთი ამორტყმით
მიწაზე გავშლართე.

ოლივია სწრაფად მომეარდა და უკან-
მოუხედავად გავეშურეთ. საღამოს სა-
ჩუქმში ფიქვანარებიდან ისმოდა ტრიტ-
ნობების გულსგამწყვალებული ტრი-
ტინი.

თურმე ოლივია ჩვენცენ მოდიოდა.
გზაზე ნაცნობ ოუიკერს წამოყვანა შეუ-
თავაზებია.

ამის შემდეგ ჩვენ ყოველდღე ვხვდე-
ბოდით ერთმანეთს. მისდანი ჩემი სიყ-
ვარული სულ უფრო და უფრო ძლიერ-
დებოდა. გავიდა ორი თვე და გამო-
ვეტყუდი, რომ მიყვარდა. მაშინ პირვე-
ლად მოვეხვეი...

უკან ენა აერა და განუმიდა. ვემის
წინ, მარჯვენა მხრიდან, გარდერაზე
გამოჩნდა პიბრალტარის კლდე. რომე-
ლიდაც ესპანურ სოფელში სინათლე
ბეტებავდა. — წმინდა ელენე! სვლა შე-
ნელა, მარჯვნივ უხვევედა.

— ექვსი თვის შემდეგ ოლივია ნიუ-
იორკში დაბრუნდა დემობილიზაციისა-
თვის.

გამოთხოვებისას ერთმანეთს შეეფ-
ცეთ სამარის კარამდე ერთგული მეგობ-
რობა! და მე მისი ისევე მჯერა, რო-
გორც საკეთარი თავისა! ამ ზაფხულს
უნდა დაბრუნებულიყო! ჰოდა, უკვე
ოთხი თვეა, წერილი არ მიმიღია! —
სეველიანად დაამთავრა უკანა. ამ დროს
მათ მარტენი და მამადუ მიუახლოვდნენ.

მარტენი ცუდ გუნებაზე იყო და ილანძობოდა:

— ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი! — ამ უცულო ვირთაგვამ კიდევ გაგაცურა! — რა მოხდა? — ჰკითხა ანდრემ.

მამადემ ჩაიციხა.

— ნუთუ ვერ ხედებით? — გაიკვირვა მარტენმა. — კაბიტანმა, მარსელში რომ არ მოეცა ხელფასი, მოგვანტყუა — კასაბლანკაში მოვცემით.

— ახლა კი გავიგეთ, რომ კასაბლანკაში არ შევდივართ! — დაუმატა მამადემ.

— შეზღვეურს ფული ნავსადგურში ენდა, თორემ ზღვაში ფული ისევე პკირდება, როგორც მალამო ხის ფეხზე. დუჰ! — და მარტენი ხუთ სხვადასხვა ენაზე გინებით გაუმასპინძლდა კაპიტანს. მოგონებებში ჩაფლულმა ეჟანმა თავი ვეღარ შეიკავა და გულთანად გაიციხა.

სწორედ ისე მოხდა, როგორც მარტენმა და მამადემ თქვეს. ერთი დღე-ღამის განმავლობაში პიბრალტარის რეიდზე კარკაბიდან ნახშირს ტვირთავდნენ და შემდეგ, ხმელეთზე ჩამოესვლეულად, გააწიეს პირდაპირ ნიუ-იორკისკენ.



მეტრამეტად უახუთუღოა შაფხულის შუადღე ნიუიორკში.

თითქოს გავარვარებული ღუმელის ცეცხლი სახეში გცემს და გადააწვარი ბენზინის, ასფალტის, საღებავებისა და მტვრის სუნით გაყვანილი ცხელი პაერი წევს ფილტვებს. ქუჩებში ცათამბჯენების კვადრატულ უფორმო მასებს შორის ირევა ადამიანების გაუთავებელი ნაკადი. ქუდქვეშ ამოჩრდილი გაზეთებით წინ და უკან დარბიან გაზეთის გამყიდველები, რომლებიც გაჰყვირიან სენსაციურ ამბებზე. გზაჯვარედინებზე გაისმის გაჩერებული მანქანების საყვირის ხმა, ამ ხმაურს ზედ ერთვის ქუჩიანი საპაერო მეტროს ყრიალი.

ამ ვეებერთელა ქალაქის თრომტროი-ალში ეანი იშვიათი ერთეული ნაკადი გამოანაკლისს წარმოადგენდა. ვისთვის რომ სცოდნოდა, რა ხდებოდა ეანის გულში, გაუვირდებოდა მისი გარეგნული სიმშვიდე. თავისი ცხოვრებას ყველაზე პასუხსაგებ მომენტშიც იგი ყოველთვის ასეთი მშვიდი იყო.

მისამართი მან ზეპირად იცინა, ქუჩას კი იცნობს ოლივიას ნაამბობის მიხედვით. აი ლუღხანაც, სადაც სანახევროდ საფთოაქო საქონლით ეკარობენ. ამის იქით უნდა იყოს ის ქუჩა, ოლივია რომ ცხოვრობს დედასთან ერთად. ეჟანმა გულში ჩაიხუტა საფრანგეთიდან წამოღებული ნობათი და შეუხვია მუშათა რაიონის ვიწრო, ბნელ მოსახვევში. აი ის სახლიც. აქ ქუჩის მიბებო საჯიგველბათა და ტყვის მიღებით ერთმანეთს ასახირებდნენ. ეანი მოვიდა მათ და ბნელსა და ქუჩიანი კიბეს აჰყვა.

ყოველ სართულზე გრძელი დერეფნების გაქონილ კარებში მოისმოდა ბავშვების კიჰყანი, დედაკაცების გულსამღვრევი წყევლა და მთერალი ადამიანების ხორბოცი. ბოლოს, ყველაზე ზემოთა სართულზე, დერეფნის ბოლოში, ეანი ერთი ოთახის წინ გაჩერდა. გული საშინლად უცემდა. მის კაცუნზე დიდხანს არ უპასუხიათ. მერე ფეხისმმა მოისმა. ვიღაცა მწარედ ახველებდა და დიდხანს ეჯავჯვებოდა კარს. როგორც იქნა, კარი გაიღო და გამხდარი მოხუცი მღვრიე, უფერული თვალებით ეანს მიაშტერდა.

— მე მინდა ოლივია მაც კორმოკი! მოხუცმა უარს ნიშნად თავი გააქნია. — იქნებ სამუშაოზე? — ეჟანმა საათს დახედა. სადილობის შესვენების დრო იყო.

— მაც კორმიეები აქ აღარ არიან. ამ დროს მეზობლის კარი გაიღო და გამოვიდა სქელი დედაკაცი ქუჩიანი პენტარით.

— რა? — ძლივს წარმოთქვა ეანმა.

— მაც კორმიეები? — ჰკითხა დედაკაცმა და სტუმარი დათვლიერ-ჩაათვალიერა — გარდაიცვალა... დედა! ოლი-



ვია კი...—დედაცაცმა ხელები გაშალა.—
აქ აღარ ცხოვრობს..

— ეანმა ხმის ამოღება ვერ შეძლო.

— ქარა მართებდა და გააგდეს! ოლი-
ვია რამდენჯერმე მოვიდა წერილისა-
თვის და მას შემდეგ აღარ გვინახავს!

ორიოდ წუთის წინათ მძაფრად ამ-
გვრებული გული ეანს ახლა თითქოს
გაუჩერდა და ვერაფერი კარგის მომას-
წავებეღმა სიმშვიდემ მოიცვა.

— მობრძანდით ჩემთან, — შესთავა-
ზა დედაცაცმა. — ეს მოხეტე მათ სრუ-
ლიდაც არ იცნობს.

პატარა ოთახის კედლებზე გაკრულ
ვილაც მანაკაცების სურათები ქალა-
დის ყვავილებით იყო მოართული. დედა-
ცაცმა ეანს უთხრა:

— დედა სულ ცოტა ხანს ჰყავდა
ავად. როდესაც ოლივია მარტო დარჩა,
რამდენიმე სამუშაო ადგილი გამოიკვა-
ლა. შემდეგ უმძევეარი დადიოდა. მაგ-
რამ ის სერიოზული ქალია. სისულე-
ლემდე სერიოზული სახლის მმარ-
თველს თვალში მოუვიდა. სულელი
რომ დათანხმებულიყო, ვიღერ ის კაც
ეინს მოიკლავდა, ორ-სამ თვეს კიდევ
იკვოვრებდა, ამ ხნის განმავლობაში
იქნებ სამუშაოდ ეშოვა. ჰოდა, აიღო და
გაავდო ოთახიდან!

— ნაცნობები არა ჰყავთ?

— არაფერს აი, ოლივიას ეურობაში
ვილაც ფრანგი ჰყავდა!

თქვენ შემთხვევით იმის გამოგზავნილი
ხომ არ ხართ?

— დიას უპასუხა ეანმა.

— მე ჯერ მეგონა, თქვენ ისა ხართ!
მაგრამ არა, რა თქმა უნდა! ოლივიას
ნაამბობით ვიცო, ის ისეთი ლამაზია,
რომ თქვენ იმასთან როგორ მოხვალთ
თუმცა, — ქალმა თვალეები მიბნინდა და
განაგრძო, — იცით, რა. თუ ოთახი არა
გაქვთ, შეგიძლიათ ჩემთან დაბინავ-
დეთ! — ქალს გახსნილი პენუარიდან
მუხლი უჩანდა.

— როგორ გავიგო, სად არის ოლი-
ვია? — ჰკითხა ეანმა.

— არ ვიცო, ჩვენს რაიონში რომ არ

არის, ეს ნამდვილად ვიცო, — ეანი გა-
მოთხოვა და წავიდა.

მთელი დღე ქუჩებში ზღაპრულად
ყველას აკვირდებოდა, რამდენჯერმე
მოეჩენა კიდევ ოლივია ხალხში, მაგ-
რამ წამოეწყო და თუ არა, იმედი უც-
რუვედებოდა.

გვიან ღამით კუბრიკში ანდრე, მარ-
ტენი და მამადუ ანუგეშებდნენ ეანს:

— ნუ გეშინია, სადმე წავაწყდე-
ვით!.. — აწყნარებდა მეგობარს ანდ-
რე. — გაზეთში გამოვაცხადებთ. ნიე-
მართავთ კერძო სააგენტოებს!

— ფული თუ არ გყოფა, ჩვენ მოგ-
ცემთ! — დაუნათა მარტენმა.

— რასაჭვირეულია! — ღიმილით უთხ-
რა მამადუმ.

მეორე დღეს, გაზეთში გამოცხადების
შემდეგ ეანი და ანდრე შევიდნენ საა-
გენტოში.

განყოფილების გამგემ მათ წინასწარ
ფული გამოართვა და წინადადება მის-
ცა, შესამე დღეს შემოეცლოთ. შესამე
დღეს გამგემ განაცხადა, რომ ნიუიორ-
კში მაკ კორმიკები ურიცხვია, რაც ძა-
ლიან ართულებს ძებნას, და დამატე-
ბითი ფული მოითხოვა.

როდესაც ისინი შესამედ მოვიდნენ,
გამგემ უთხრა კვალს მივაგენითო, და კი-
დეგ მოსთხოვა ფული.

ეანს ბედმა გაუღიმა: გემს ტვირთის
ზილება დაავციანდა და პირველმა მექა-
ნიკოსმა გადაწყვიტა, ქვაბები ნადული-
საგან გაეწმინდა, რის გამოც ნარდად
მოურიგდა ჯროცხენასა და დრუნჩას.

ძებნის დრო კიდევ ჰქონდა. მაგ-
რამ, როგორც ყოველთვის, ძებნა უშე-
დეგოდ მთავრდებოდა.

ეანი საცოდავი სახანავი იყო. დადიო-
და საავადმყოფოებსა და პროსექტუ-
რებში, სრუჯავდა უბედური შემთხვევე-
ბის მსხვერპლთა სიებს, ათვლიერებდა
მოკლულთა და დამხრჩვალთა ფოტო-
სურათებს და, არ დაუტოვებია სულით
ავადმყოფთა სახლებიც.

ეანი აღარაფერს ჰამდა და ძილიც
დაჰკარგა.

— სული ამოსძვრება! როგორც უღბურ კუნძულზე! ჩვენ რა, ხალხი არა ვართ? — მიმართა მარტენმა ანდრესსა და მამადუსს. მას ჯავრისაგან ჭაღარა ეღვაშები აბურძგნოდა.

— უნდა რითიმე გავართოთ, მაგრამ როგორ? — იკითხა ანდრემ და შეწუხებულმა ხელები გაშალა.

— მოდი, კუნი-აილანდში¹, წავიყვანოთ, ვეთხრათ, რომ ოლივიას მოსაძებნად მივიღივართ! — თქვა მამადუსმა.

ასეც მოიქცნენ. როდესაც ავტობუსიდან გადმოვიდნენ, თვითეული მათგანი ცდილობდა, რამე ეხუმრა, რომ გაერთოთ ჟანი. ასასი ფერადი ნათურებით ბრწყინავდა მათ წინ ზღაპრული კუნი-აილანდი.

— სენიორებო! — დაიწყო იტალიაში ნამყოფმა ანდრემ, — იქნებ დასთანხმდეთ და ამიყვანოთ, როგორც თქვენი „ჩინერონე“², თუ ვერ შევძლებ, გიჩვენოთ ძველი რომის ნანგრევები, მე ვუჩვენებ მაღალი წოდების სენიორებს ამერიკელი ხალხის გასართობების კოლოსალურ ინდუსტრიას!

— თუ გვეყოფა ფული, რა თქმა უნდა! — დაუდასტურა მარტენმა.

— ანდა „ჩინერონეს“ თუ ეყოფა გამოსცდილება. — გაეცინა მამადუსს.

— მომყევით, სენიორებო!

და ისინი შეერივნენ გასართობად მოსულ ახმურებულ ხალხს, რომელიც ტიანჯუელებივით ირეოდა.

თავჩაღუნული ჟანი ამხანაგებს მისდევდა. მუსიკის ხმა, ბალაგანების მუხატრონეთა ღრიალი, — რუბორებით ხალხს რომ იზიდავდნენ, — შეზარხოსებული ჯდაცაელების და მამაკაცების კვილი და ხარხარი ირეოდა ტირში ამტყდარი თოფების ჭახჭუხში, ელექტროსაქანელეების, მატარებლების, რკინის მოედნებზე პატარა ავტომანქანების დაჯახების გრი-ალში.

— მორჩილების უბნით გავიაროთ, იქ მეტი სიმშვიდეა! — შესთავაზო მამადუსმა ნიკელითა და საღებავებთან³ მამადუსმა ბულ ავტომატებზე გაბრწყინებული ელექტრონის რეკლამები ჰპირდებოდა ყველას, ვინც კი ხერტილში რამდენიმე ცენტს ჩაუშვებდა. მომავლის წინასწარმეტყველებას...

მარტენი მიუახლოვდა ერთ „ელექტრომკითხავს“ და მამაკაცთა განყოფილებაში ფული ჩაუშვა. ავტომატი ახრიალდა, ერთ კუნძულში აღჭაჯი განათდა, მეორეში — ჭოტი, მესამეში — ლამურა და ბოლოს — ლამაზი, ნახევრად შიშველი ქალი, რომელიც თითოთ უჩვენებდა, სად აიღო გადმოვარდნილი ბილეთი.

მარტენმა თავისი გახვევებული თითებით ტლანქად აიღო ბილეთი და ძლივ-ძლივობით, დამარცვლით დაიწყო კითხვა მისთვის არცთუ ისე ნაცნობ ენაზე.

— ნუ მოჰქანცავთ თქვენს თვალებს, კეთილშობილო სენიორ, — მიმართა ანდრემ მარტენს, — მე ზეპირად გეტყვით, რაც მანდ სწერია. — და ანდრე პათოსით შეუდგა ციტირებას: „თქვენ გიჭირთ, მაგრამ სულით ნუ დაეცემით! თუკი თქვენ არა გძულთ ადამიანები, ვინც სიმდიდრესა და მდგომარეობას მიიღწია, და, პირიქით, ეცდებით იყოთ მათთვის სასარგებლო, მაშინ ყოველის მხილველი თვალი სახელგანთქმული მკითხავისა თქვენში ხედავს სულ მოკლე ხნის განმავლობაში დიდი „ბიზნესის“⁴ ადამიანს, თქვენ გეჩვენებთ ბანკში დიდი ანგარიში, ამავე დროს, ცოლად წამოგყვებათ ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალიშვილი“.

— თითქმის რომ ასეა! — დაუდასტურა მარტენმა მამადუსს დახმარებით ქალაქის შემოწმების შემდეგ. — ოღონდ აქ ლაპარაკია ჩიჯავოს საყასობების შეფის ქალიშვილზე.

— სენიორებო, ამათ გულუბრყვილო ადამიანებისთვის რამდენიმე ფორმულა აქვთ! — თქვა ანდრემ და ცალი თვალით გადახედა ჟანს. მან მეგობარს სედა შეამჩნია და მაშინვე დადუმდა.

¹ კუნი-აილანდი — ნიუიორკის გასართობი ოდგოლა.

² „ჩინერონე“ — იტალიურად ექსკურსმდოლს ნიშნავს.

³ „ბიზნესი“ — ვაჭრობა, კომერცია.

— უპ, რა სულელი ვარ! ქალიშვილებზე და გათხოვებზე ვლაპარაკობ! — გაიცხა ანდრემ თავისი თავი.

— ელექტრონის მკითხავეები უკვე დაძველდნენ და ხალხი კვლავ ცოცხალ ადამიანებს უბრუნდება. შეხედეთ, რა დიდძალი ხალხი დგას თვითველი მკითხავის კარწინ! — მამადუმ ხელი გაიშვირა პატარა ფარდულებსაყენ, რომელთა წინ თავიანთი მომავლით დაინტერესებულ ადამიანებს მოეყარათ თავი.

— სენიორებო! — მეტად გადაჭარბებული იტალიური კილოთი წარმოთქვა აღშფოთებულმა ანდრემ. — თუკი ამ ხალხს სურს, მოტყუებული დარჩეს, მათი ნებაა. ამერიკა თავისუფლების ქვეყანაა და თვითველი აცეთებს იმას, რაც მას უნდა!

იტალიურ კილოზე ნათქვამი ეს სიტყვები საკმაოდ სასაცილოდ ქდერდა. მამადუმ და მარტენმა გაიციინეს.

— აი, „სენიორებო“, მიაპყარით თქვენი დარბაისლური მზერა ამას! გთხოვთ ახლოს მობრძანდეთ.

ხუთიოდე მეტრის დაშორებით, გაჟიმული თოკიდან, რომლის აქეთ მოთამაშეს გადმოსვლის უფლება არა ჰქონდა, იდგა ოთხი უშნო საწოლი. საწოლზე ვარდისფერი, ჭუჭყიანი საბნების ქვეშ იწვევენ ფერ-უმაბრლით შეთხუპნული ქალები. რამდენიმე აყლაყუდა კაცი ნაბდის მკვრივ ბურთებს გაშმაგებით ესროდა საწოლზემოთ მიკრულ პატარა დისკოებს.

„ჩიჩერონე“ ეხსნიდა:

— თამაშის აზრი ის არის, რომ ბურთი მოხვდეს იმ დისკოს. თუ ბურთი მოხვდა, საწოლი აყირავდება და შიგ-მწოლიარე ქალი დაბლა ჩაგორდება. შეიძლება ითქვას, დედიშობილა. ხედავთ თითოეული ქალის სახის წინ გადაჭიმულ ბადეს? ზოგიერთი სადისტი ცდილობს, რომ, დისკოს მაგივრად, ბურთი პირდაპირ სახეში მოახვედროს ქალს.

— მაგრამ ვინ მიდის ასეთ სამუშაოზე? — მთელი საღამოს განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა ეანმა.

7. „ნათობი“ № 7.

ანდრემ უკვე სერიოზულად, ხმაში, გარკვეული სიმწრის გრძნობით ელაქსნა: — უმუშევრები, ავადმყოფი, ჩიხსკიპები! მეპატრონე მათ გროშებს უხდის! შეხედე, რა მოწადინებით ელიან ეს ბიჭები ამ უხამსობის ხილვას. ეს კიდევ არაფერი, იქით გაიხედე, იმ მწყობრი რიგისაყენ!

ეანმა გაიხედა.

— აი იქ, იმ ბამბუკის კარავებში, ტაიტელენის ქოხებში მაყურებელთა ნახევარზე მეტი ბიჭბუქები და ზნედაცემული მოხუცი კაცები არიან. ისინი მოდიან „ეგზოტიკური“ ცეკვების სახაზავად. შემსრულებლები, რა თქმა უნდა, როსკიპები არიან.

ეანი უკვე აღარ უსმენდა, ის ფიქრებმა გაიტაცა. ანდრემ ეს შენიშნა და გადაწყვიტა, რაიმე ეხუმრა.

— სენიორებო! — პათოსით დაიწყო მან. — ჯერ-ერთი, ეს შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს! მეორეც, ის, რომ ვისაც არა სურს, არც უცქეროს. ეს არის ჩვენი, ამერიკის დემოკრატიის ღირსება! ამხანაგებმა უსიტყვოდ განაგრძეს გზა. ამავე დროს, თვითველი მათგანი შეუმჩნეველად თვალყურს ადევნებდა ეანს, რომ ხალხში არ დაკარგულიყო.

უზარმაზარი უფანჯრო შენობისაყენ მიმავალმა ხალხის ნაკადმა მეგობრებშიც თან გაიყოლა; იქ, ალბათ, რაღაც ძალიან საინტერესო რამ ხდებოდა. დიდი პრეტელი აფიშები, რომლებზეც დახატული იყვნენ სახანაო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები, ხალხს ამცნობდა:

„ყინულის დელოფლების კონკურსი! თორმეტი ლამაზი ქალიშვილი!

პირველი ჯილდო—ხუთასი დოლარი;

მეორე ჯილდო—სამასი დოლარი;

მესამე ჯილდო—ასი დოლარი!“

ანდრემ იყიდა ბილეთები და ყველანი შევიდნენ თამბაქოს კვამლით დაბურულ კვებერთელა დარბაზში, სადაც იქნებოდა არანაკლებ სამი ათასი კაცისა. პატარა მაგილებთან მსხდომი ბუქ მაკერები!

1 ბუქმაკერი — სანძლეს მიმღები ადამიანი ღოღებზე და სხვა აზარტულ გასართობებზე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

ისევე, როგორც დოღზე, სანაძლეოს იღებდნენ.

— 6, 7 და 11 ნომრები მწყობრიდან გამოვიდნენ! შეგიძლიათ დასდოთ ფული! — გრგვინავდა სპიკერის¹ ხმა.

ბუკმაკერები მოუწოდებდნენ ანარტული თამაშის მოყვარულთ.

— ვიღებ ერთიდან ას დოლარამდე! — ყვიროდა ერთი.

— ვიღებ ასიდან ათას დოლარამდე! — ყვიროდა მეორე.

— ოღონდ ნუ ითამაშებთ! — გააფრთხილა მარტენმა თავისი ახალგაზრდა ამხანაგები, — აქ ხალხს ისე ფეკენიან, როგორც მოესურვებთ. თუ წინააღმდეგობას გაუწევ, დავასახიჩრებენ!

ამხანაგები წინ წავიდნენ, სურდათ ენახათ, რა ხდება დარბაზის შუა გულში: ქანი, როგორც ყოველთვის, უხალისოდ მისდევდა მათ.

რინგზე, ოდნავ ამოღებულ ადგილზე, ცხრა ახალგაზრდა ქალი გაუნძრევლად იჯდა. მათ საბანაო კოსტუმები ეცვათ. თვითველ მათგანს მკერდზე ნომერი ჰქონდა მიკრული.

სპიკერმა გამოაცხადა:

— სხედან ექვსი საათი და თხუთმეტი წუთი!

შეხედეთ, როგორ გაფითრებულა მუხუთე ნომერი! — როხროხებდა ვიღაცა.

— ყველაზე ადრე პირველი ნომერი წაიქცევა. — დაეინებით ამბობდა მეორე.

— ერთის წინააღმდეგ ორს ჩავდივარ, რომელი ნომრის წინააღმდეგაც გინდათ, ვირჩევ მესამე ნომერს, ასში ორას დოლარს ვიხდი. — სთავაზობდა ხალხს ერთი ანარტში შესული ფერმერი.

— საცოდავი გოგოები! — ჩუმად ჩაილაპარაკა მამადემ.

გვერდით მდგარმა სამხედრო პირმა, მართალია, ვერ გაიგო მისი ფრანგული, მაგრამ მაინც მრისხანედ შეხედა ზანგს, რომელმაც რალაცის თქმა გაბედა.

— ანდრე, ხედავ, რაზე სხედან? — წამოიყვირა აღშფოთებულმა მარტენმა.

ანდრეს ნაცვლად ვიღაც კარგად ჩაცმულმა, ძაფივით წერილულ ნომრებსა ჯენტლემენმა საკმაო სუფთა ფრანგულით უბასუხა:

— ყინულზე! უნდათ და სხედან! აი, მე ხომ არა ვზივარ ყინულზე?!

ანდრეს უნდოდა ებასუხა, მაგრამ ვერ მოასწრო. ქალიშვილმა, რომელსაც მესამე ნომერი ეკრა მკერდზე, თავი დახარა. ნელა ჩამოსრიალდა ყინულის დიდი თოშიდან, რომელიც ნაჯდომ ადგილას გამდნარიყო. არც კი განძრეულა, ბავშვებით მობუზული იატაკზე დაჩაჩა.

— მესამე ნომერი მწყობრიდან გამოვიდა! — გამოაცხადა სპიკერმა.

— რა კარგია, რომ მთავზე სანაძლეოს დადებდა ვერ მოვასწარი! ხარხარებდა ფერმერი.

დარბაზი გამოცოცხლდა. იხეოდა მესამე ნომრიანი ტოტალიზატორის¹ ბილეთები. ზოგიერთები დარჩენილთა ბილეთებს უფრო ძვირად ჰყიდიდნენ, დანაძლევებულნი ლანძლევა-გინებით ასწორებდნენ ანგარიშს. წაგებულები მიჩბოდნენ ბუკმაკერებთან და დანაჯარჯის ანაზღაურების იმედით ახალ ნომრებზე თამაშობდნენ.

მესამე ნომრიანი ქალიშვილი გულწასული გაიტანეს.

— წავიდეთ, მე მეტი აღარ შემიძლია! — ამოიოხრა მარტენმა.

— რასა ბრძანებთ?! საინტერესო ახალა! ერთ საათში ყველა გაიშობება! — გამოეპასუხა ძაფივით წერილულ ნომრებსა ჯენტლემენი.

— თორმეტი მზეთუნახავიდან რვა-ღა დარჩა! სხედან ექვსი საათი და ოცდაცამეტი წუთი... ითამაშეთ, დადეთ სანაძლეო! — გამოაცხადა სპიკერმა. უცებ ხმაური შეწყდა. ყველა დამბუზული ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს ქალიშვილს პირველი ნომრით. მას მკედრისფერი ედო. ადგომას ცდილობდა, მაგრამ ღონემიხიდილი მკლავები, რომლებსაც უილაჯოდ ამოძრავებდა,

¹ სპიკერი — პირი, რომელიც მაყურებელს მონათლეთა განაჩენს უცხადებს.

¹ ტოტალიზატორის ბილეთები იყიდება დოღში. ფულზე თამაშის დროს.

ყინულის თოშზე უხსლტებოდა. საბრალო ქალიშვილი ერთსა და იმავე უშედეგო მოძრაობებს აკეთებდა, როგორც დაკრილი ფრინველი, ფრთებს რომ აფართხალებს და ვერკი აფრენილა. მაყურებლები, რომლებსაც მისი წაგება აინტერესებდათ, წამოძახილებით ამხნევენდნენ, ამღვარიყო. ზოგიერთი იცინოდა. და ბოლოს, ქალიშვილი, გაშტერებული. სადაც უახროდ მიპყრობილი თვალებით, როგორც იქნა, წამოდგა, წაბარბაცდა, გვერდში მყოფ ნომერ მეორე ქალიშვილის დაეცა და ისიც წააქცია. ელაც კაცი, აღბათ ნომერ მეორე ქალიშვილის მანაჯერი! ავარდა რინგზე და შეეცადა წაქცეული კვლავ თავის ადგილზე დაესვა, მაგრამ ქალიშვილი, ისევე როგორც ნომერი პირველი, გრძნობადაკარგული იყო. ამ დროს ორი ზორბა კაცი წინ გამოვარდა, მათ მანაჯერი პირდაპირ ხალხზე გადაისროლეს და შემდეგ გულწაქული ქალები გაიტანეს.

— პირველი და მეორე ნომრება მწყობრიდან გამოვიდნენ! — დარჩა ექვსი მზეთუნახავი. ხედან ექვსი საათი და ორმოცდაცხრა წუთი. დასდეთ სანაძლეო! — კვლავ გამოაცხადა ახარტში შესულმა ხმააძაგაგებულმა სპიკერმა.

მარტენმა ფოლადის მუხრუქებივით ჩაველო იდაყვებში ხელი ანდრესა და ეანს, ვასავლელისაკენ შემოტრიალდა და მბრძანებლურად წარმოთქვა:

— წაივდეთ!

მაგრამ უცნაური რამ მოხდა. ეანმა გამოსტაცა მკლავი და მოუტირებელი ხელისკვრით ხალხის წრე გაარღვია, ის იქით გაეშურა, სადაც ქალიშვილები იხზდნენ.

ანდრე, მარტენი და მამადლე უკან გაპყენენ, მაგრამ ხალხის ტალღა კვლავ ერთდებოდა და ამით წინ აღარ უშვებდნენ.

რინგთან სულ ახლოს მისული ეანი ცხრა ნომერ ცინფერთავლება ქალიშვილის წინ გაჩერდა და დაეინებით დააკერდა.

— ოლივია! — უცრად დაიყვირა მან. ქალიშვილმა ფართოდ გახსნა მუხები და წელში გასწორდა. — *ლინქან* ეანს ვილაყამ გაართყა; მაგრამ მას ყურადღება არ მიუქცევია. ის გამორტებული ოლივიასაკენ მიიწევედა, ველარაფერს ხედავდა.

— ეანი! — ქალიშვილი წამოდგა, მაგრამ მუხლები მოეკვეთა, — ეანი! — მუხლებზე ხოხვით უახლოვდებოდა იგი რინგის ნაპირს.

— მეცხრე ნომერი მწყობრიდან გამოვიდა! დასდეთ სანაძლეო! — გამოაცხადა სპიკერმა.

რამდენიმე კაცი მივარდა ეანს. ანდრემ და მარტენმა მისვლა მოასწრეს. ატყდა ჩხუბი და აყალმაყალი.

მეგობართა შორის ყველაზე ღონიერი, და იქნებ ყველაზე გამბედავიც, მამადლე მოშორებით იდგა. ის რომ ჩხუბში ჩარეულიყო, როგორც ზანგს, ღინჩის კანონით გაუსწორდებოდნენ.

შემდეგ საერთო ყურადღება მიიპყრო მეათე ნომერმა, ნიადავ მომლიძარე ფავორიტმა ქალმა, რომელმაც აქეთ-იქით ქანაობა დაიწყო.

ეს ახალი გართობა — „დავარდება“, თუ „არ დავარდება“ — რომ არ ყოფილიყო, მეგობრები აქედან უვნებლად ვერ გავიდოდნენ.

ეანმა ოლივია ხელში აიტაცა და გარეთ გამოიყვანა. ქალიშვილი ბავშვივით კისერზე მოხვევოდა. გარეთ გამოვიდნენ თუ არა, მაშინვე ტაქსი მოიხმეს და ოლივიას ბინისკენ გაეშურნენ.

იაფფასიანი სასტუმროს დიასახლისი ჯერ გაოცდა, როდესაც ოლივია უცნობი კაცების ხელში დაინახა, შემდეგ ოლივიას თვალი ჩაუკრა და გამოუტყხადა, რომ ოთახში არავის შეიშვებდა, ვიდრე ძველ ვალს არ გადაიხდიდა.

ეანმა ვალი გადაიხადა. დიასახლისმა იგი დააჯილდოვა ჩამაალი კბილების კრეჭით, რაც ღიმლის ნიშნავდა. შემდეგ ჩუმად, როგორც თანამოზიარემ, მუჯულუგუნი წაპყრა ოლივიას, ვითომ — „მევიცი, მამაკაცები როდის არიან ხელგამლილებით“ — და თავის საქმეს შეუდგა.

1 მანაჯერი — მწვრთნელი, მომვლელი.

უკვე გვიან იყო. ანდრემ, მარტენმა და მამადუმ ერთი ღამით იქვე პატარა ოთახი დაიჭირავენ.

ოლივია ცდილობდა, არ შეემჩნია მისი დაუძლეულობა, მაგრამ ის ამას ვერ ახერხებდა, ძალიან დასუსტებული იყო. დაბინდულ, დამსკდარ საარკეში ჩაიხედა. თმა დაიფარცხნა, ლოგინში ჩაწვა და ვერაფრით ვერ გათბა.

ანდრე, მარტენი და მამადუმ რამდენიმე წუთით ისხდნენ ოლივიას სასათუმალთან, შემდეგ თავის ოთახში შევიდნენ და დიასახლისს ვისკი შეუკვეთეს. წამლებისთვის ანდრე დარბოდა, რადგან ოლივიას არ უნდოდა ეანის გაშვება. ეშინოდა არ დაჰკარგოდა.

— ეან, ჩემო ეან! მე გელოდებოდი! — აძგერებულ გულზე მიიკრა მისი ხელები ოლივიამ და განაგრძო: — მე გელოდებოდი... ეან, წმინდა!... ოჰ, რა ძნელი იყო! სახლის მმართველი... სამსახურში უფროსები... ეან, მითხარი, ხომ გიყვარვარ? — განუწყვეტლივ ეკითხებოდა იგი. ამ კონკურსში იმიტომ ჩავეერი, რომ შენთან წამოსასვლელი ფული მეშოვნა!

ოლივიას სციოდა. ეანმა ამხანაგების ოთახიდან ყველა საბანი გამოიტანა.

მეორე დღეს ანდრე, მარტენი და მამადუმ საჩუქრებით მოვიდნენ. მამადუმ მოიტანა ყველაზე ღიაფერის, როგორც კი შეეძლო ეშოვა, აბრეშუმის მანდილი, მარტენმა — ტყავის ჩანთა, რომელსაც საუკუნის დასაწყისში მოდის მიმდევარი ქალები ატარებდნენ, ანდრემ კი — მანიკიურის ნესესერი.

ოლივიამ სამივე გადაკოცნა და ღონე-მიხდილმა თვალები მილულა. მას დიდი სიცხე ჰქონდა. ეანი დაგვიანებულ ექიმის მოლოდინში ძალიან ღელავდა.

ღამით ოლივია ბოდავდა. გონსმოსული ეძებდა მის ხელებს და ხშირ-ხშირად ეკითხებოდა:

— ეან, ხომ გიყვარვარ?

მეორე დღეს სხვა ექიმს დაუძახეს. ანდრე და მარტენი გემზე წაივინდნენ ფულის სასესხებლად. მამადუმ კი ჰარლემიდან მოხუცი მომვლელი ზანგი ქალი მოიყვანა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ეანი ერთი წუთითაც არ მოსცილებია ოლივიას. მომვლელი ქალი რამდენჯერმე შეეცადა, ოთახიდან გაეყვანა ეანი და, ბოლოს, თავი დაანება.

მეორე დღეს ოლივია გონს მოვიდა.

— მე კი ისე მეშინოდა სიკვდილისა, ეან... ჩემო ზღარბუნავ!

— ოლივიამ თავისი უღონო ხელი ეანს გაუპარსავ სახეზე გადაუსვა.

ცრემლები რომ დაემაღა, ეანმა სახე მის ოქროსფერ კულულებში ჩამალა.

სალამოს ოლივია გარდაიცვალა.

დიდი შავი მანქანა მიაჭროლებდა სამ თეთრკანიანსა და ერთ ზანგს. ცეცხლფარეშები მიუხარედ თავჩალუნული ისხდნენ კუბოს გარშემო. მანქანა მიჭროდა რკინა-ბეტონის ბოძებზე გაყვანილ ფართო გზაზე. დაბლა მოჩანდა ფაბრიკების მილები და რომელიღაც ქალაქებისა და სოფლების რუხი, შებოლილი შენობები.

ამ ხნის განმავლობაში ეანს სიტყვა არ ამოუღია. სასაფლაოდან გამოსვლისას ეანი უეცრად საღდაც გაიქცა. როდესაც დაეწვივნენ წინააღმდეგობას უწყევდა.

„წმინდა ელენეზე“, რომელიც მეორე დღეს უნდა გასულიყო, ანდრემ, მარტენმა და მამადუმ გათოკილი ეანი მიათრიეს.

ა. პ. ჩხეიძე



ტ ი რ ი ფ ი

ვის უვლია ბ. და ტ. შორის საფოსტო გზაზე?

ვისაც უვლია, მას უთუოდ პატარა მღინარის კაზიავის პირას განმარტოებით მღგაო ანდრეევის წისქვილიც ემახსოვრება. წისქვილი პატარაა, მხოლოდ ორი თვალი. იგი ას წელზე მეტი ხნის იქნება. კარგა ხანია, რაც მან მუშაობა შეწყვიტა, ამიტომ გასაკვირიც არ არის, თუ იგი დამსგავსებია წელში მოხრილ, ჩამოკონკილ პატარა დედაბერს, რომელიც ყოველ წუთს წაქცევას ლამობს. და ეს პატარა დედაბერი დიდი ხნის წინათ წაიქცეოდა კიდეც, ბებერ, განიერ ტირიფს რომ არ ეყრდნობოდა. ტირიფი განიერია. ორი კაციც კი მკლავს ვერ შემოაწვდენს. ლაღლაა ფოთლებით შემოსილი მისი ტოტები სახურავზე და კაშხალზე ეშვებიან, მერე წყალში ბანაობენ და მიწას ეფინებიან. ესეც ბებერია და წელში მოხრილი. მისი კუზიანი ტანი დიდ, ჩაშავებულ ფულუროს კიდეც უფრო დაუმახინჯებია, ჩაპყავით ხელი ფულუროში და ბქვენი ხელი მყისვე შვეთაფლში ჩაეფლებს. ბქვენ თავთან ველური ფუტკრები გაიზუზუნებენ და ნემსით დგანხელებენ. რამდენი წლის იქნება ეს ხე? მისი მეგობარი არქიზო ამბობს, რომ იგი ბებერი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ბატონთან „ფრანგად“, მერე კი ქალბატონთან „ანგად“ მსახურობდა.

ეს კი მეტად დიდი ხნის წინათ იყო.

ტირიფი საყრდენია არა მარტო წისქვილისათვის, არამედ მეორე ნანგრევის — ბებერი არქიზოსთვისაც, რომელიც, მის ფეხზე მჯდარი, განთიადიდან განთიადამდე ანეკსით თევზს იჭერს. ის ტირიფივით ბებერი და კუზიანია, მისი

უკბილო ხახაც ფულუროს წააგავს. დღისით იგი ანეკსით თევზაობს, ღამით კი ფეხთან ზის და ოცნებობს. ორივენი — ბებერი ტირიფი და არქიზოც — დღედაღამ ჩურჩულებენ. თავის ცხოვრების გზაზე ორივეს ბებერი რამ უნახავს და გადახდომია. უსმინეთ მათ.

ამ ოცდაათი წლის წინათ, ბზობის კვირას, ბებერი ტირიფის დღეობაზე ბებერი არქიზო ისევ მიჩნეულ ადგილზე იჯდა, გახაფხულს გასცქეროდა და ანეკსით თევზაობდა. ირგვლივ, ისე როგორც ყოველთვის, სინუშე სუფევდა... მხოლოდ ბებრების ჩურჩული და მღინარეში მოსეირნე თევზის დროდარო თქათანი ისმოდა. ანეკსით თევზაობდა ბებერი და შუადღეს ელოდა, შუადღეზე კი თევზის წვენს ხარშავდა. როდესაც ტირიფის ჩრდილი უკან დახევას იწყებდა, შუადღეც დგებოდა. დღის დროს არქიზო საფოსტო ზანზალაკებითაც იტყობდა. ტ.ის ფოსტა კაშხალაზე სწორედ შუადღისას გაივლიდა ხოლმე.

იმ კვირადღესაც შემოესმა არქიზოს ზანზალაკების ხმა. ანეკსი დაადგო და კაშხალს გახედა. სამცხენა ფორანი გორაკზე გადავიდა, დაეშვა და კაშხალისაკენ ნაბიჯით გაეშურა. ფოსტალიონს ეძინა. კაშხალზე გასული ფორანი რატომღაც გაჩერდა. დიდი ხანია არქიზოს არაფერი ვაპყვირებია, მაგრამ ამჯერად კი ძლიერ გაოცდა. მართლაც უჩვეულო რამ მოხდა. მეეტლემ უკან მოიხედა, მოუსვენრად იწყო მოძრაობა, ფოსტალიონს სახეზე ცხვირსახოცი გადააძრო და ხელკეტი აღმართა. ფოსტალიონი არ შერხეულა. მის ქერა თავზე მეწამული დალი აკიაფდა. მეეტლე ფორნიდან ჩამოხტა, ხელკეტი მოიჭინა და ფოსტალიონს მეორედ შემოჰკრა. ცოტა ხნის

შემდეგ ნაბიჯების ხმა შემოესმა არქიპოს. მეეტლე ნაპირიდან ეშვებოდა და პარდაპირ მისკენ მოდიოდა. გატრუსული სახე გაფითრებოდა, უაზროდ, ჩლუნგად გაშტერებული მისი თვალები, ღმერთმა უწყის, რას უშვებდნენ. მეეტლე მთელი ტანით კანკალებდა. მან არქიპო ვერც კი შეამჩნია, ტირიფთან მიიჩინა და ფოსტის ჩანთა ფულუროში ჩასტენა. მერე აღმართი აირბინა, ფორანზე შეხტა. საფეთქელში და სახეში მუშტები წაიშინა, რამაც გააოცა არქიპო. როცა სახე გაისისხლიანა, ცხენებს მათრახი გადაუქირა და ყვირილი მორთო:

— მიშველეთ, მიშველეთ!

მას გამოძახილი უპასუხებდა. დიდხან ესმოდა არქიპოს ის „მიშველეთ!“

ექვსი დღის შემდეგ წისქვილს გამოძიებელი კომისია ეწვია. წისქვილისა და კახალის გეგმა გადაიღეს, რალაც საჭიროებისათვის მდინარის სიღრმეც გაზომეს, მერე ტირიფის ქვეშ ისაღილეს და წავიდნენ. არქიპო კი გამოძიების დროს ბორბლის ქვეშ დამალული იჯდა, კანკალებდა და ჩანთაში იყურებოდა. იქ ხედავდა პაკეტებს, რომელთაც ხუთი ბეჭედი ერტყა. დღედაღამ აცქერებოდა ბეჭდებს და ფიქრები არ ასვენებდა. ბებერი ტირიფი დღისით დღემდა, ღამით კი ტირილდა. არქიპო ყურს უგდებდა მის ტირილს და „სულელიო!“ — ფიქრობდა. ერთი კვირის შემდეგ არქიპო ჭალაქში წავიდა და ის ჩანთაც თან წაიღო.

— სად არის აქ სახელმწიფო დაწესებულება? — იკითხა მან, როდესაც სადარაჯო გაიარა.

მიუთითეს, დიდ ყვითელ სახლზე, რომლის კარებთან ზოლებიანი ჯიხური იდგა. იგი შევიდა და წინა ოთახში ბრწყინვალე ლილებიანი ბატონი დაინახა. ბატონი ჩიბუსს ეწეოდა და რალაც დანაშაულისათვის დარაჯს ავინებდა. მთელი ტანით აკანკალებული არქიპო მასთან მივიდა და მოუთხრო ამბავი, რომელიც ბებერი ტირიფს შეემთხვა. მოხელემ ჩანთა გამოართვა, თასმები გახსნა, გაფითრდა, გაწითლდა.

— ახლავე! — თქვა მან და დაწვედებულბაში გაიქცა. იქ გარსუფლურტყუნებ მოხელენი. ისინი დარბოდნენ, ფუსფუსებდნენ და ჩურჩულებდნენ... ათი წუთის შემდეგ მოხელემ არქიპოს ჩანთა გამოუღებინა და უთხრა:

— შენ იქ არ მისულხარ, ძმობილო. სადაც უნდა მისულიყავ. წადი ნიენაია ქუჩაზე. იქ გეტყვიან. აქ კი, ჩემო კარგო, ხაზინაა! შენ პოლიციაში უნდა მიხვიდე. არქიპომ ჩანთა აიღო და გამოვიდა.

„ჩანთა რალაც უფრო მჩატე გახდა! — გაფიქრა მან. — ნახევრად დაპატარავებული მეჩვენება!“

ნიენაია ქუჩაზე მიუთითეს მეორე ყვითელ სახლზე, რომლის კარების წინ ორი ჯიხურა იდგა. არქიპო შევიდა. წინა ოთახი აქ არ იყო. დაწესებულება პარდაპირ კიბიდან იწყებოდა. ბებერი ერთ-ერთ მაგიდასთან მივიდა. მწერლებს ჩანთის ისტორია უამბო. მათ ხელიდან გამოსტაცეს ჩანთა, უყვირეს, უფროსთან კაცო აფრინეს. მოვიდა მსხვილი, ულვაშიანი უფროსი. ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ მან ჩანთა წაიღო და მეორე ოთახში ჩაიკეტა.

— ფული სადღაა? — მოისმა ოთახიდან. — ჩანთა ხომ ცარიელია! თუმცა უთხარით ბებერს, შეუძლია წავიდეს. ხომ არ დავაბატიმროთ? ივანე მარკოვიჩს მიგვარეთ! თუმცა არა, გაუშვით, წავიდეს!

არქიპომ თავი დაუქრა და გამოვიდა. ერთი დღის შემდეგ ვოჯა და ქორჭილა თევზები ისევ ხედავდნენ მის ჭადარაჭვერს...

ეს იყო გვიან შემოდგომაზე. ბებერი იჯდა, თევზობდა. გაყვითლებულ ტირიფივით მოლუშოდა სახე. მას ეჯავრებოდა შემოდგომა. როდესაც მეეტლე დაინახა, სახე კიდევ უფრო მოვლუშა. მეეტლეს ყურადღება არ მოუქცევია მისთვის, ისე მივიდა ტირიფთან და ფულუროში ხელი შეჭყო. სველი და ზოზონა ფუტკრები მის სახელოზე აცოცდნენ. მეეტლემ მცირეხანს აფათურა ხელი ფულუროში და ერთბაშად გაფითრდა. ერთი საათის შემდეგ კი იგი მდინარის

პირას იჯდა და უზროდ გაცქეროდა წყალს.

— ის საღ არის? — ეკითხებოდა არქიმოს.

არქიმო ისევ დუმდა და მკვლელს გაურბოდა, მაგრამ მალე შეეცოდა.

— უფროსს მიუღტანე! — უთხრა მან. — მაგრამ ნუ გეშინია, სულელო... იქ მე განვატყაფებ, რომ ის ტირიფის ფულტროში ვიპოვე...

მეეტლე წამოიჭრა, ღრიალი მორთო და არქიმოს მისწვდა. დიდხანს სცემდა. ბებერი სახე დაუბეგვა. მიწაზე დასცა და ფეხებით შესდგა. როცა ცემას მორჩა, კი არ გამოირდა არქიმოს, არამედ მასთან ერთად წისქვილის ახლო ცხოვრება დაიწყო.

დღისით ეძინა და დუმდა, ღამით კი კაშხალზე დადიოდა. კაშხალზე ფოსტალიონიც სეირნობდა და მას ესაუბრებოდა. გაზაფხულიც დადგა, მეეტლე კი ისევ განაგრძობდა დუმილსა და სეირნობას. ერთხელ მასთან ბებერი მეთევზე მივიდა და უთხრა:

— კმარა, სულელო, ხეტიალი, წადი! — უთხრა და ფოსტალიონს გვერდულად გახედა.

ფოსტალიონმაც იგივე გაუმეორა... ტირიფმაც იგივე უჩუჩქულა...

— არ შემიძლია! — მიუგო მეეტ-

ლემ. — წავიდოდი, მაგრამ ფეხები მტკივა, სული მტკივა!

ბებერი მიეშველა და მკვლელს უყვანა. ნიენაია ქუჩაზე იმავე დაწესებულებაში მიიყვანა, სადაც ჩანთა მიიტანა. მეეტლე „უფროსის“ წინაშე წარდგა, მუხლებზე დაეცა, დანაშაული აღიარა. უღვაშიანი გაოცდა.

— ბრალს რად იღებ, სულელო! — უთხრა მან. — მთვრალი ხომ არა ხარ? გინდა ჯურღმულში ჩაგსვა? ყველანი გაგიტყვევებ, არამხადებები! მხოლოდ ურევინ და ზღართავენი საქმეს... დამნაშავეს ვერ მიაგნეს. მორჩა და გაათავდა მამრალა გინდა? წადი, დაიკარგე აქედან!

როდესაც ბებერმა ჩანთა შეახსენა, უღვაშიანმა გადაიხარხარა, ხოლო მწერლები გაიცდნენ... ცული მეხსიერება პქონდათ ალბათ... ვერ შეძლო მეეტლემ ნიენაია ქუჩაზე ცოდვის მონანიება. იძულებული გახდა ტირიფთან დაბრუნებულიყო.

იძულებული შეიქნა სინიდიის გაქცეოდა და წყლისათვის მიეშურებინა, აემდგრა სწორედ ის ადგილი, სადაც არქიმოს ანკისის ლივლიეები ცურავდნენ. თავი დაიხრჩო მეეტლემ. ბებერი მეთევზე და ბებერი ტირიფი კაშხალზე ხედავენ ახლა ორ აჩრდილს. მათთან ხომ არ ჩუჩქულებენ ისინი?

ხმალი კარბა

ვარვარა პეტროვანამ გამოიღვიძა და სმენად იქცა. რა რომ დარწმუნდა, ყოველივე ეს სიზმარი კი არა, ცხადიაო, გაფიქრდა, დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და შიშისგან აღნთო... შეშინებულმა ქალმა სახეზე ხელები ააფარა, იდაყუებს დაეყრდნო და ქმრის გაღვიძება დაიწყო. ლოგინში დაგორგორებული ქმარი ნელა ხერინავდა და მის მხარეზე სუნთქავდა.

— ალიოშა, ძვირფასო... გაიღვიძე! ჩემო კარგო! ახ... ახ... რა საშინელებაა! ალიოშა! ხერინვა შეწყვიტა, ფეხები გავიშა, ღრმად ამოისუნთქა და გაიღვიძა.

— ალიოშა, ძვირფასო... გაიღვიძე... ეს ვინ ტირის...?

— ვინ ტირის? რას ბოდავ?

— აბა ყური დაუგდე. გვისმის? ვიდაც კენესის... ბავშვი თუ მოგვიგდეს... ახ, არ შემიძლია ეუსმინო!

ალიოშა წამოიწია და ყური დაუგდო. დია ფანჯარაში ნაცრისფერი ღამე იცქირებოდა. იასამნის სურნელებასთან და ცაცხვის წყნარ ჩურჩულთან ერთად უღონო ნიავს უცნაური ხმებიც მოჰქონდა საწოლისაკენ... ერთბაშად ვერ გაარჩევ, რა ხმებია ეს: ბავშვის ტირილი, ლაზარეს გალობა, თუ კენესა... ვერ გაარჩევ! ერთი რამ კი ცხადი იყო: ხმები ფანჯრის ქვეშ გაისმოდა და მათ არა მარტო ერთი ყელი გამოსცემდა, არამედ

რამდენიმე... ისმოდა კრინი, პირველი, მოძახილი...

— ვარია, ეს ხომ ხვალი კატებია! სულელი! — უთხრა ალიოშამ.

— ხვალი კატებია? შეუძლებელია! ბანები ვინა არიან?

— ეს ღორი დრუხუნებს. ნუ დაივიწყებ, რომ ჩვენ აგარაჯზე ვართ. გესმის? ნამდვილად ხვალი კატებია...

დამშვიდდი. დაიძინე.

ვარია და ალიოშა დაწვენი და საბანი ტანზე გადაიჭიმეს. ფანჯარაში დილის სიგრილე შემოიჭრა და ოდნავ აცივდა. ცოლქმარი მოიკრუნხა და თვლები დახუჭა. ხუთი წუთის შემდეგ ალიოშა აწრიალდა და გვერდზე გადაბრუნდა.

არ მიძინებენ. ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! ღრიანცელს არ იშლიან...

კატების სიმღერა კი გრძელდებოდა. *crescendo*¹ მომღერლებს, როგორც ჩანს, ახალი მომღერლები, ახალი ძალები ემატებოდნენ და ფანჯრის ქვეშ ატეხილი ქრამული თანდათან ხმაურში, ღრიანცელში და ერთ დავიდარაბაში გადადიოდა... ნახი, როგორც ლაბა *piano*², *fortissimo* — *S*³ აღწევდა და მალე პაერი შემაზრუნე ხმებით აღივსო. ხვალი კატების გუნდიდან ერთნი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს გამოსცემდნენ, მეორენი — მერვედი და მეთექვსმეტედი ნოტების ზუსტი დაცვით, ვაჟკაცურ კრიმანტულს ამბობდნენ, მესამენი კი ერთფეროვან ნოტებს აგრძელებდნენ... ერთი ხვალი კატა კი, ალბათ ყველაზე ბებერი და მგზნებარე, არა კატის, არამედ რალაც არაბუნებრივ ხმას გამოსცემდა, ხან ბანს და ხანაც პირველს ამბობდა.

— მალ... მალ... ტუ... ტუ... ტუ... კარრიიუ!.. თუ არ ფშუტუნ, ვერაინ მახვდებოდა, რომ ეს კატები მღერიანო... ვარია ბუზღუნით გვერდზე გადაბრუნდა... ალიოშა წამოიჭრა, კატებს წაეველა-კრულვა შეუთვალა და ფანჯარა

მიხურა... მაგრამ ფანჯარა არაგამტარი საგანი როდია: მასში ხმები, სინათლე და ელექტრონიკ გადის.

— რვა საათზე უნდა ავდგე და სამსახურში წავიდე, — შეიგინა ალიოშამ. — ესენი კი ღრიანცელს, ძილს არ მაციან, წყეულები... შენ მაინც იყუნე, გევედრები დედაკაცო! პირდაპირ ყურში ჩამფშუტუნებს! წუწუნებს! რა ჩემი ბრალია? ისინი ხომ ჩემი არ არიან!

— გარკვე ისინი, თუ გიყვარდე!

ქმარმა შეიგინა, საწოლიდან წამოიჭრა და ფანჯარასკენ გაეშურა... ცაში ნათელი ჩადგა. რიყრაქმა მოატანა.

ალიოშამ ცას ახედა და ერთი ვარსკვლავი-ლა შეამჩნია, ისიც ძლივს ბეჭტავდა, თათქოს ნისლში გახვეულა... ფანჯრის გამოღების გამო შეშინებული ბელურები ცაზევის ტოტებში ავიყვიდნენ. ალიოშამ დაბლა დაიხედა და ათი ხვალი კატა დაინახა. ისინი სისინებდნენ, ნახად აბიჯებდნენ ბალახს, მღეროდნენ და კედლაბზეკილი გადაბრუნებულ როფზე მჯდარი ლამაზი პატარა, დედალი კატის გარშემო ცალკეა აქლემივით დადიოდნენ. ძნელი იყო გამოცნობა, რა უფრო სქარბობდა მათში: პატარა დედალი კატისადმი ტრფიალი, თუ საყუთარი ღირსების შეგნება? ტრფიალისათვის მოვიდნენ ისინი, თუ თავისი ღირსების საჩვენებლად? ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში უფაქიხეტი ზიზლი გამოკითხოდა. ბალის იქითა მხარეს გოკებთან ღორი ლობეს ეხახუნებოდა და ბალში შემოსვლას ითხოვდა.

— დაიკარგეთ აქედან, — დაუცაცხანა ალიოშამ, — ქში! ახ, თქვე კუდიანებო! აცხა, აცხა!

მაგრამ ხვალმა კატებმა ყურადღებაც არ მიაქციეს. მხოლოდ პატარა დედალმა კატამ ამოხედა და ისიც წამიერად, უგულოდ, იგი ბედნიერი იყო და ალიოშასათვის არ ცხელოდა.

— აცხა, აცხა... წყეულებო! ფუ, ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! ვარია, მომეცი ეგ სურა! წყალი გადავავლოთ! კუდიანებო!

¹ ძლიერდებოდა (იტალიური).

² ხეში (იტალიური).

³ ძლიერად (იტალიური).



ვარია წამოხტა და არა სურა, არამედ კოკა მიუბრუნებინა: ალიოშა ფანჯრის მოაჯირის მკერდით დაეხვინა, კოკა მოიმაჩრცვა და დააპირქვევა.

— ო, ღმერთო, ღმერთო! — მოისმა მალღლიდან ვილაყის ხმა.— ო, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ! ამა რასა ჰგავს ეს, ა? ო, ხო, ხო, ხო ახალგაზრდობავ!

ამას ოხერა მოჰყვა, ალიოშამ აიხედა და მალლა დიდი ყვავილებით მოხატულ ჩითის ხალათში გახვეული კაცის მხრები და გამხმარი, ძარღვიანი თითები დაინახა. საღამურის ჩაჩით მორთული ქალარა, პატარა თავი მხრებზე იდგა, თითები კი იმუქრებოდნენ... მოხუცი კაცი ფანჯარასთან იჯდა და ხვად კატებს თვალს არ აშორებდა. მისი პაწია თვალები ვნებით ანათებდნენ და ზეთში სცურავდნენ, თითქო ბალებს უცქერენო.

ალიოშამ ხახა გააღო, გაფითრდა და გაიღიმა...

— მოსვენებას ინებებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ? — უაზროდ წამოროშა და ჰკითხა მან.

— არ ვარგა, მოწყალეო ხელმწიდევ! თქვენ ბუნების წინააღმდეგ ილაშქრებთ, ჰბატუო! თქვენ არღვევთ... ეეე... ასე ვთქვათ, ბუნების კანონებს. არ ვარგა! რას დაეძებთ! ეს ხომ... ეს ხომ... ორგანიზმია? როგორ გგონიათ თქვენ? ორგანიზმია? საპიროა ამის ცოდნა! არ გიწონებთ, მოწყალეო ხელმწიდევ!

ალიოშა შეშინდა, საწოლისაკენ ცერად წაიღა და ჩუმად დაწვა. ვარია მის გვერდით მოიკრუნჩხა და სუნთქვა შეწყვიტა.

— ეს ჩვენი... — წაიჩურჩულა ალიოშამ. — თეთონ... და არა სძინავს. ხვად

კატებით ერთობა. საღამოეწრა, სატანა! უფროსთან ერთად ცხოვრება არასასიამოვნოა.

— ჰბატუო! — შემოესმა ალიოშას ერთი წუთის შემდეგ ბებრული ხმა. — სადა ხართ? მობრძანდით აქ!

ალიოშა ფანჯარასთან მივიდა და სახე მოხუცს მიამყრო.

— ხედავთ ამ თეთრ ხვად კატას? როგორ მოგწონთ? ეს ჩემია! ერთი მის მიხერა-მოხერას, ქცევას დამიხედეთ, როგორი აქვს! ნაბიჯებს! აბა უცქირეთ! მიაუ, მიაუ, ვასკა! ვასუშკა, ყაჩაღო! უღვაშებიც როგორი აქვს ამ გაიძვერას! ციმბირელია, არამზადა! შორეულ ადგილებიდან... ხე-ხე-ხე... ეს პატარა კატა კი თავს ვერ დააღწევს... თავს ვერ დააღწევს ხიფათს! ხე-ხე. ჩემი ხვადი კატა ყოველთვის ყველას სჯობნიდა. თქვენ ამაში ახლავე დარწმუნდებით! არა, ერთი მის მიხერა-მოხერას, ქცევას დამიხედეთ!

ალიოშამ უთხრა, ბეწვი ძალიან მომწონსო. მოხუცმა იმ ხვადი კატის ცხოვრების, მისი ჩვევების თხრობა დაიწყო. თხრობამ გაიტაცა და მზის ამოსვლამდე ლაპარაკობდა. ჰყვებოდა დაწვრილებით, თანაც თავის ძარღვებიან თითებს ტუჩებზე იდებდა, კოცნიდა და ლოკავდა... არ მოხერხდა დაძინება.

მეორე ღამეს, პირველ საათზე ხვადმა კატებმა ისევ წამოიწყეს თავისი სიმღერა და ვარია ისევ გააღვიძეს. ხვადი კატების გაღენას ალიოშა ვერ ბედავდა. მათ შორის მისი აღმატებულების, მისი უფროსის ხვადი კატაც იყო. ალიოშა და ვარია დილაღვე ისმენდნენ კატების კონცერტს.

მოხელის სიკვდილი

ერთ მშვენიერ საღამოს, არანაკლებ მშვენიერი ეგზეკუტორი ივანე დიმიტრის-ძე ჩერვიაკოვი სავარძლების მეორე რიგში იჯდა და დურბინდით „კორნევილის ზარებს“ გასცქეროდა. გასცქეროდა და უღიდეს ნეტარებას განიცდიდა. მაგრამ უეცრად... მოთხრობებში ზმირად შეხედებით ამ: „მაგრამ უეცრად“. ავ-

ტორები არ სცოდავენ; ცხოვრება ხომ სავეა მოულოდნელობით! მაგრამ უეცრად სახე დაეშანჭა, თვალები გადაუბრუნდა, სუნთქვა შეეკრა... თვალზე დურბინდი მოიშორა, დაიხარა და... „ანცხვიკი!!!“ როგორც ხედავთ მან ცხვირი დააცემინა. ცხვირის დაცემინება არავის არსად უზრდელობად არ ჩათვ-

ლება. ცხვირს აცემინებენ გლეხები და პოლიცემისტერებიც, ხანდახან საიდუმლო შრჩეველებიც კი. ყველა აცემინებს ცხვირს და ჩერვიაკოვსაც სრულიად არ შერცხვენია. ცხვირსასოციტ მოიწმინდა და, როგორც აღზრდილმა კაცმა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ცხვირის დაცემინებით ვინმე ხომ არ შევაწუხეო? მაგრამ ამ შემთხვევაში შერცხვა, მან დაინახა საეპოქლების პირველ რიგში მჯდარი მოხუცი პატარა კაცი, რომელიც გულმოდგინედ იწმინდა ხელთათმანით თავის მელოტ თავს და კისერს და რაღაცას ბუტბუტებდა. ამ მოხუცი ჩერვიაკოვმა გზათა უწყების დარგში მოსამსახურე სამოქალაქო გენერალი ბრიჯალოვი შეიცნო.

„მივაშხუფე“ — გაფიქრა ჩერვიაკოვმა. — ეს ჩემი უფროსი არ არის, სხეებისა, მაგრამ მაინც უხერხულია. ბოლოში უნდა მოვეხადო.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა და, მთელი ტანით წინ წახრილმა, გენერალს ყურში წასჩურჩულა:

— მამატიეთ, თქვენო ბრწყინვალე-ბავ. მე თქვენ მოგაშხუფეთ... უნებლიეთ...

— არაფერია, არაფერია...

— ღეთის გულისათვის მამატიეთ. მე ხომ... არა მსურდა!

— ოხ! მშვიდად იჯექით! დაგვაცა-ლით მოსმენა!

ჩერვიაკოვს შერცხვა, რეგვენივით გაიღიმა და სცენას მიაცქერდა. უცქერდა, მაგრამ ნეტარებას უკვე აღარ განიცდიდა: წუხილი ტანჯავდა. ანტრაქტის დროს ბრიჯალოვთან მივიდა, აეკიდა, უტრიალა, ბოლოს მოკრძალებას აჯობა და ბუტბუტით უთხრა:

— მე თქვენ მოგაშხუფეთ, თქვენო... ნვალეზავ... მამატიეთ... მე ხომ... განა...

— ოხ, კარგი ერთი... მე უკვე დამავიწყდა, თქვენ კი ისევე ამაზე! — მიუგო გენერალმა და მოთმინიბიდან გამოსულს ქვედა ბაგე აუქანკალდა.

„დავიწყდა, თვალბეში კი უკეთუ-რობა გამოუკრთის“, — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა და გენერალს ივნეულად შე-

ხედა. — ლაპარაკიც არა სურს. კარგი იქნებოდა, ამეხსნა მისთვის, რომ სწორ-ლიადაც არა მსურდა. რომ ეს ბუტბუტის კანონია, თორემ იფიქრებს, თითქო მიფურთხება მსურდა. ახლა თუ ასე არ ფიქრობს, მერე იფიქრებს“.

როდესაც ჩერვიაკოვი შინ მივიდა, თავის უზრდულობის შესახებ ცოლს უამბო... ცოლმა, როგორც მას მოეჩვენა, მეტად ზერეღედ შეხედა მომხდარ ამბავს. შეშინდა მხოლოდ, მაგრამ როდესაც გაიგო, ბრიჯალოვი ქმრის უშუალო უფროსი არ იყო, დამშვიდდა.

— მაინც ეახლე და ბოდიში მოუხადე, — უთხრა მან. — იფიქრებს, ხალხში თავის დაჭერა არ სცოდნიაო.

— საქმეც ეგ არის! ბოდიში მოუ-ხადე, მაგრამ, საოცარია... მან არც ერთი წამდართი სიტყვა არ მაღირსა. თუმცა ლაპარაკის დროც არ იყო.

მეორე დღეს ჩერვიაკოვმა ახალი ვი-მენდირი ჩაიცვა, თმა გაიკრიჭა და ბრიჯალოვს ეახლა, აეხსნა... გენერლის მისაღებ ოთახში ბევრი მთხოვნელი დაუხვდა, მათ შორის თვითონ გენერალიც ოთახში იყო და თხოვნების მი-ღება დაეწყო. რამდენიმე მთხოვნელთა დაკითხვის შემდეგ, გენერალმა ჩერვია-კოვსაც ახედა.

— გუშინ „არკადიში“, უკეთუ მო-გაგონდებათ, თქვენო ...ნვალეზავ, — დაი-წყო მოხსენება ეგზეკუტორმა, — ცხვი-რა დავაკოვინე და... უნებლიეთ მოგა-შხუფეთ... მამატ...

— რა სისულელეა... რას ჰგავს ეს...? თქვენ რა გნებავთ? — მიუბრუნდა გე-ნერალი მომდევნო მთხოვნელს.

„ლაპარაკი არა სურს, — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა და გაფითრდა. — მაშას-დამე, ცხარობს. არა, ამის დატოვება ასე შეუძლებელია... ავეუსნია...“

როდესაც გენერალმა უკანასკნელ მთხოვნელთან საუბარი დაამთავრა და შიდა აპარტამენტებს მიამურა, ჩერვია-კოვი უკან მიჰყვა და წაიბუტბუტა:

— თქვენო ...ნვალეზავ! უკეთუ ვე-დავ შევაწუხო თქვენი ...ნვალეზავ, შემიძ-ლია განვაცხადო, რომ ამას ჩავდივარ

მხოლოდ მონანიების გრძნობის გამო! არა განზრახ, თვითონვე იცით!

გენერალმა შეწუხებული სახე მიიღო და ხელი ჩაიქინა.

— ბოლოს და ბოლოს, თქვენ დამცინით, მოწყალეო ხელმწიფე! — უთხრა მან და კარები მიიხურა.

— რა დაცინვია ეს? — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, — არავითარი დაცინვა აქ არ არის! გენერალია, ამას კი ვერ მიმხვდარა! თუ ასეა, მაშინ აღარ დაეიწყებ ბოდიშის მოხდას იმ ღანფარონის წინაშე! ეშმაკსაც წაუღია! წერილს მივწერ, მისვლით კი მეტს აღარ ევახლები. ღმერთმანი აღარ ევახლები!“

ასე ფიქრობდა შინ მიმავალი ჩერვიაკოვი. გენერლისათვის წერილი მაინც არ მიუწერია. იფიქრა, იფიქრა, მაგრამ წერილს თავი და ბოლო ვერ მოაბა. იძულებული შეიქნა მეორე დღეს თვითონვე მისუღიყო ახსნა-განმარტებისათვის.

— გუშინ გვახელით, შემეწუხებინა

თქვენი... ნვალემა, — წაიბუტბუტა მან, — არა იმიტომ, რომ დამეცინე, რეგოლე თქვენ ინებმეთ გეტყვია. ბოდიშ ვინაღლი იმიტომ რომ ცხვირის დაცემინებისას მოგაშეფეთ... ხოლო დაცინვა არ მიფიქრია. ვანა დაცინვას გაუბედადი? უკეთოდ დაცინვას დაეიწყებთ, მაშინ ასე გამოდის, არავითარი პატივისცემა პერსონებისადმი... აღარ გვექნება...

— გაეთრით აქედან! — უეცრად იღრიალა გალურჯებულმა და აკანკალებულმა გენერალმა.

— რასა ბრძანებთ! — ჩურჩულით ჰკითხა თავზარდაცემულმა და ზეზეულად გათავებულმა ჩერვიაკოვმა.

— გაეთრიათ აქედან! — გაუმეორა გენერალმა და ფეხები დააბაკუნა.

ჩერვიაკოვს ჯიჯარი ჩაუწყდა. სმენა და ხედვა დაეკარგა. კარებისაკენ დაიხია, ქუჩაში გავიდა და შინ წალასასდა... მაშინაღურად შინ მისულს ვიცემუნდირი არ გაუხდია. ისე დაწვა საგარძელზე და... სული განუტევა.

კალიზონის ქალიშვილი

მემამულის გრიაბოვის სახლთან გაჩერდა კაუჩუკის საბურველებიანი და ზაგერდის საჯდომებიანი შესანიშნავი ეტლი, რომელსაც მსხვილი მეეტლე მართავდა. ეტლიდან თავდაზნაურთა სამაზრო თავმჯდომარე თედორე ანდრეის-ძე ოტცოვი გადმოხტა. წინა ოთახში ნამძინარევი ლაქია შეეგება.

— ბატონები შინ არიან? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— არ გახლავთ. ქალბატონი ბავშვებითურთ სტუმრად წავიდა, ბატონი კი ნაშვლ-გუვერნანტთან თევზაობს დილიდანვე.

ოტცოვი შედგა, ჩაფიქრდა და მერე გრიაბოვის საძებნელად მდინარისაკენ გაეშურა. მან იგი სახლიდან ორი კილომეტრით მოშორებულ მდინარეზე დაინახა. ოტცოვმა მალალი ნაპირიდან ძირს ჩაიხედა, და გრიაბოვი რომ დაინახა, სიცილი ვერ შეიკავა... ზორბა, მეტად დიდთავიანი მსხვილი კაცი თურქის მსგავსად ფეხმორთხმული სილაზე იჯდა

და ანკესით თევზს იჭერდა. შლიაპა კეფაზე მოეგდო და ჰალსტუჯი გვერდზე მოქცეოდა. იქვე მალალი, გამხდარი ინგლისელი ქალი იდგა გამობურცული თვალებით და ფრინველისმსგავსი დიდი ცხვირით, რომელიც კალქს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხვირს. მას ეცვა თეთრი მარშაშის კაბა, რომელშიც გაძვალტყავებული ყვითელი მხრები ილანდებოდა. ოქროს სარტყელზე ოქროსავე პატარა საათი ეკიდა. ისიც ანკესით თევზს იჭერდა. მათ ირგვლივ სამარისებური სოჩუმე დამკვიდრებულიყო. ორივენი უძრავად ჩანდნენ, როგორც მდინარე, რომელზედაც მათი ანკესების ტივტივები ცურავდნენ.

— გამტანჯველი ნადირობაა და ხვედრიც მწარე! — გაიცინა ოტცოვმა. — გამარჯობა, ივან კუშმინ!

— ა, შენა ხარ? — წყლისაგან თვალმოუშორებლად ჰკითხა გრიაბოვმა. — ჩამოდი?

— როგორც ხედავ... ეგ სულელური

გართობა ჯერ კიდევ არ მოგებზრდა, ჯერაც ვერ გადაეჩვიე?

— გადაეჩვიე კი არა, ეშმაკი... დილიდან მთელი დღე თევზს ვიჭერ... დღეს რალაც სჭირს თევზის ჭერა, ვერც მე და ვერც ამ მოიმახმა ვერაფერი ვერ დავიჭირეთ. ვზივართ, ვზივართ აქ და არაფერი არ გამოდის! მიშველეო, უნებლიეთ უნდა იძახო.

— შენც მიაფურობთ თევზებს. წამო, არაყს შევექცეთ!

— დაიცა... იქნებ რამე დავიჭიროთ. სალამო ქამს თევზი ანკესს უკეთ ეტანება... ვზივარ აქ, ძმაო, დილიდანვე. ისეთი მოწყენაა, ვერც კი წარმოიდგენ ვინ ეშმაკმა შემაჩვია ამ თევზაობას! ვიცი, რომ სისულელეა, და მაინც ვზივარ! ვზივარ, როგორც არამზადა, კატორღელი და, როგორც ჩერჩეტი ვინმე, წყალს დაეშტერებოვარ! ახლა მკაში წასვლაა საჭირო, მე კი თევზს ვიჭერ. გუშინ ხაონიევი მისი უსამღველოესობა სწირავდა, მე კი არ წავედი, აქ ვიჯექი, იმ, ამ ფარგასთან... ამ ალქაჯთან, კუდიანთან ერთად...

— ხომ არ გაგიყდი? — ჰკითხა ოტკოვმა და ინგლისელი ქალისაკენ დარცხენით გაიხედა. — ქალის თანდასწრებით ილანძღები... თანაც მასვე ლანძღავ...

— ეშმაკმა წაიღოს მაგის თავი! სულერთია, რუსულის არაფერი გაეგება. გინდა აქე, გინდა აგინე, — მაგისათვის სულერთია! ერთი მაგის ცხვირს დამიხედე! მხოლოდ მაგ ცხვირის დანახვა შეგილონებს გულს! მთელი დღეები ერთად ვზივართ და ერთი სიტყვა მაინც ამოვლო! დგას, როგორც საფრთხობელა, თვალების ლიბრი გადმოუჯარკლავს და წყალს დაშტერებია.

ინგლისელმა ქალმა დაამთქნარა, ჭია გამოცვალა და ანკეი გადაისროლა.

— ერთი რამ მიკვირს, ჩემო ძმაო! — განაგრძო გრიაბოვმა. — ათი წელია, ეს რეგენი რუსეთში ცხოვრობს, და ერთი რუსული სიტყვა მაინც ესწავლა! ...საკამარისია რომელიმე ჩვენი კუდაბზიკა არისტოკრატი ესტუმროს მათ,

და მაშინვე იმათ ენახე რუშეის დანი იწყებს. ესენი კი... ეშმაკმა ვეცხმეფათქა თავი! შენ ერთი მაგას შეხედე! ერთი მაგის ცხვირა დამიხედე!

— კმარა, გაჩუმდით... უხერხულია... რას ერჩი ქალს?

— ეს ქალი როდია, ეს ქალიშვილია... ეკვი არ მეპარება, ეს ჯოჯოხეთის მამხალაც საქმროებზე ფიქრობს... თანაც ქუანტობის სიღამლის რალაც სუნს ასდის... შემზარდა, ჩემო ძმაო! არ შემოძლია დამშვიდებით ვუცქირო! შემომხედავს თუ არა თავისი გადმოკარკლული თვალებით, მაშინვე შემაქროლებს. თითქოს იდაყვი მოაჯირს დავამგერეო. მაგასაც თევზის ჭერა უყვარს. შეხედე: თევზაობს და უდიდეს ნეტარებას განიცდის! ყველაფერს ზიზლით უცქერის... დგას, მუდრეგი, და გრძნობს, რომ აღამინია, რომ, მაშასადამე, ღმერთია ბუნებისა. იცი, რა ჰქვია მას? უილკი ჩარლზის ასული ტვაისი! ტფუ!... ვერც კი გამოთქვამ!

ინგლისელმა ქალმა თავისი სახელი რომ გაიგონა, ნელა მიიქცია გრიაბოვი-საკენ ცხვირი და ზიზლით შეათვალიერა. მერე გრიაბოვიდან თვალი ოტკოვზე გადაიტანა და მასაც ზიზლი შეაფრქვია. ყოველივე ეს მან შეანარულა მუნჯად. მელიდურად, ზვიადად და ნელა.

— ხომ დაინახე? — ჰკითხა ზარზარით გრიაბოვმა. — აი, ესეც თქვენო, გვამცნო! ო, შე მოიმახო, საფრთხობელავ! მხოლოდ ბავშვების გამო მოვიყვანე ეს ტრიტონი! თუ არა ბავშვები, მაგას ათ კოლომეტრზეც არ გავჯარებდი ჩემს მამულს. ცხვირი მიმინოს მიუგავს... წელი? ეგ საფრთხობელა გრძელ ლურსმანს მაგონებს. რომ შემეძლოს, მიწაში ჩაეარებოდი. დაიცა... ჩემს ანკესს, მგონი თევზი ეკიდება...

გრიაბოვი წამოიჭრა და ანკესის ჯოხი ასწია... ბაწარი დაიჭიმა... გრიაბოვმა ისევ აპკრა და ანკეი ვერ ამოაძრო.

— მოედო! — თქვა მან და მოილუშა... — ალბათ ქვას მოედო... ფუი ეშმაკს...

გრიბოვიის სახეზე ტანჯვა აისახა. ის ჭმენდა, ბორბავდა, წყევლას ჩურჩულებდა და თანაც ჯოხს ეზიდებოდა... ამან საქმეს ვერ უშველა. გრიბოვი გაფითრდა.

— ეს რა მომივიდა... წყალში უნდა ჩავიდე.

— გაანებე თავი!

— არ შეიძლება... სალამო ეამის წინ თევზს უკეთ იჭერენ... დალახვროს ღმერთმა. იძულებული ვარ, წყალში ჩავიდე. იძულებული ვარ! რომ იცოდე, როგორ მეზარება გახდა! ეს ინგლისელი ქალი აქედან უნდა გავაგდო... უხერხულია მაგის თვალწინ გახდა. რაც უნდა იყოს, მაინც დამაა—ქალია!

გრიბოვმა შლიაბა და პალატუნი მოიძრო.

— მისს ტყაის! ეე ვუ პრი...! მითხარი, როგორ გავაგებინო? აბა როგორ მოვმართოთ, რომ გაიგოთ? გესმით... აი იქ! იქ მიბრძანდით! გესმის?

მისს ტყაისმა გრიბოვის ზიზღი შეაფრქვია და ცხვირისმიერი რაღაც ბგერა გამოსცა.

— რაო? არ გესმით? შენ გეუბნები, წადი აქედან! უნდა გავიხადო, ჯოჯოხეთის მამხალაე! იქ წადი! იქ!

გრიბოვმა მისს სახელო მოჰქანა, ბუჩქებზე მიუთითა და დაჯდა: წადი, ბუჩქებს მოეთარეო. ანიშნა ამით... ინგლისელმა ქალმა ენერგიულად შეარხია წარბები და ინგლისურ ენაზე გრძელი წინადადება წარმოთქვა. შემამულეებს სიცილი წასკდათ.

— ჩემს სიცოცხლეში პირველად გავიგონე მისი ხმა... ამასაც რა ტყბილი ხმა ჰქონია! არ ესმის! მამ რა მოვეუხერხო?

— მიაფურთხე! წამოდი, არაყი დავლიოთ!

— არ შეიძლება, ახლა იწყება თევზაობა... სალამოა... მამ რას მიბრძანებ? აი ხათაბალა თუ გნებავს, ეგ არის. იძულებული ვარ, მისი თანდასწრებით გავიხადო...

გრიბოვმა სერთუცი, ტილუტი გაიხადა, დაგლო და ჩექმების წინაპროზად მოლზე დაჯდა.

— შეიგნე, ივან კუზმინ, — თქვა თავმჯდომარემ და მუქში ჩაიხიბითთა... — ეს, მეგობარო, დაცინვაა, აბუჩად აღდება.

— არავინ არ ავალებს მას, არ ესმოდეს, დაე, უცხოელებმა კეჟა ისწავლონ ამით!

გრიბოვმა ჩექმები და შარვალი გაიძრო, საცვლებიც გაიხადა. ადამის ტანი-სამოსში აღმოჩნდა. ოტცოვმა მუცელზე ხელი მოიჭირა. ის სიცილისა და სირცხვილისაგან გაწითლდა. ინგლისელმა ქალმა კი წარბები შეათამაშა და თვალელები დააბამბამა... მის ყვითელ სახეზე მედიდურმა, დამცინავმა ღიმილმა გაიბინა.

— უნდა გავგრილდე, — თქვა გრიბოვმა და ბარძაყებზე შემოიჭრა ხელი. — ფეოდორ ანდრეიჩი, ღეთის გულისათვის, მითხარით, რატომ მაქვს მკერდზე ყოველ ზაფხულს გამოყრილი?

— ჩქარა ჩაეშვი წყალში ან აიფარე რაიმე! პირუტყვო!

— შერცხვეს მაინც, იმ უნამუსოს! — თქვა გრიბოვმა, პირჯვარი გადაისახა და წყალში შევიდა. — ბრა... რა ცივი წყალია... შეხედე, წარბებს როგორ ატოკებს! არ იძვრის... ბრბოზე მაღლა დგას! ხა, ხა, ხა... ჩვენ ადამიანებად არ გვთვლის!

ვეება ტანით აღმართულმა, მუხლებამდე წყალში მდგარმა კაცმა განაგრძო:

— ეს, ძმაო, მას ინგლისი ნუ ჰგონია!

მისს ტყაისმა დამშვიდებით გამოცვალა კია, დამოქნარა და ანკესი გადაისროლა. ოტცოვი შებრუნდა. გრიბოვმა ანკესის კაკვი გაათავისუფლა, წყალში ჩაიყურყუმალა და მერე წყლიდან ქსუტუნით ამოვიდა. ორი წუთის შემდეგ იგი უკვე სილაზე იჯდა და ანკესით ისევ თევზს იჭერდა.

¹ ვთხოვთ... (ფრანგული).



შალვა აფხაიძე



გრიგორ აბაშიძის შემოქმედება

გრ. აბაშიძის პოეზია გამოირჩევა მაღალი პოეტური კულტურითა და იდეური სიღრმით. იგი ნათელი მხატვრული სახეებით, ცხოველი საღებავებით შეტყულებს ჩვენი ცხოვრების საღამაზეზე, საბჭოთა ადამიანის სულიერ სიმდიდრეზე.

გრ. აბაშიძის პოეზიის პოპულარობა ემყარება მტკიცე და უშუალო კავშირს პოეტისა სინამდვილესთან, თანამედროვეობასთან.

გრ. აბაშიძის ლექსებში ყოველთვის ჩანს ავტორის დამოკიდებულება მოვლენებთან, მისი მებრძოლი სულისკვეთება, მოწინავე საბჭოთა ადამიანის იდეური სამყარო. გრ. აბაშიძის პოეზიაში გადმოცემულია ჩვენი დროის ოპტიმისტური, ღრმა რწმენით გამსჭვალული მსოფლმხედველობა.

ერთი მებაძღე დამახასიათებელი თვისება აქვს გრ. აბაშიძის პოეზიას: ავტორი თავის ლექსებს, უმრავლეს შემთხვევაში, საფუძვლად უდებს ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებს, მის მიერ აღქმულ ცხოვრებისეულ ფაქტებს. გრ. აბაშიძის ლექსების ლირიკული გმირი აღმშრავალია მაღალი მორალური თვისებებით, ფართო ინტელექტუალური სამყაროთი და ცოცხალი გრძნობებით.

გრ. აბაშიძის პოეზიის ახასიათებს არა იმდენად მუსიკალური, რამდენადაც პლასტიკური სახეები, რომლებიც პოეტური სიბალღით გამოირჩევიან.

თავის ერთ-ერთ პატრიოტულ ლექსში „თბილისი“ პოეტი შორღებით ამბობს: „შე ისე ლექსს რა გამაბედინებს, გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის“. ეს არ არის ავტორის დეკლარაციული განცხადება. ამის დამადასტურებელია გრ. აბაშიძის მთელი შემოქმედებითი პრაქტიკა. მისი პოეტური სამყარო.

გრ. აბაშიძე მკვეთრი ინდივიდუალური ხმის პოეტია. მას აქვს წერის საკუთარი მანერა, საკუთარი სტილი. გრ. აბაშიძის ლექსთა წყობა, სიტყვის რიტმული ორგანიზაცია კლასიკური ლექსის ტრადიციებზეა აგებული. პოეტს ნოვატორობად მიაჩნია არა იმდენად ტექნიკური სიახლენი, არა ხელოვნურ და გარგველ ეფექტებზე დაყრდნობული პოეტური სამყაროები, არამედ ახალი მოვლენების, ცხოვრების მიერ წამოჭრილი ახალი პრაბლემების გაბედულ და

ღინამიერ სახეებში გადმოცემა. ამავე დროს, პოეტი გამოითიშული როლია იმ სამყაროდან, რომელიც წარსულმა შექმნა და ჩვენ გვიანდერა. გრ. აბაშიძე ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის დიდ და კეთილშობილურ ტრადიციებთან. ხალხის ისტორია, მისი განვითარება პოეტს წარმოდგენილი აქვს როგორც უწყვეტი პროცესი, მუდამღმი ხელდას იგი შორეული წარსულის ძირებს და აწყუწი — შორეული მომავლის პერსპექტივას. ამიტომ მისი თქმა: „შე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ, შეც გაიწილი ვარ გორგასლანისო“, — მეტად პრინციპული ხასიათისაა. ეს კონცეფცია, შეიძლება ითქვას, გრ. აბაშიძის პოეზიის ერთ-ერთ გამოსავალ წერტილს და ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამრიგად, პოეტის შემოქმედება ხასიათდება ერთგვარი ისტორიზმით, რომლის საფუძვლად წარმოადგენს არა წარსულის აპოლოგია, იდეალიზაცია, არამედ თანამედროვეობისა და წარსულის შორის შეგების წერტილების დადგენა, ერთეული ტრადიციების შემოქმედებითი განგრძობა და დამკვიდრება.

მასწერ აქტუალობასთან ერთად გრ. აბაშიძის პოეზიის თემატური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. პოეტი უმეორის ყოველივე ახალს, ძლევამოსილს, რაც ჩვენს სინამდვილეში ისახება და ვითარდება, ხალხისანი ფერებით ავყობს და ხატავს ჩვენი დროის ადამიანს, მის მაღალ სულიერ თვისებებს, მის გმირულ საქმიანობას. გრ. აბაშიძის პოეზიის მთავარი ობიექტი ყოველთვის ადამიანის სულიერი სამყაროა, მისი ემოციები, მისი ენებათაღლეზანი და ქმედებანი. მთავარი, წამყვანი, მაორგანიზებელი თემა მისი პოეზიისა მიერ პატრიოტიზმის თემაა, თემა სამშობლოს კეთილდღეობისა და განაღლებისა, მისი მატერიალური და კულტურული ძაღბების აღორძინებისა. საინტერესოა ამ შტრიც გრ. აბაშიძის ერთ-ერთი საუკეთესო, ღრმა პატრიოტული ტუნებით შესრულებული ლექსი „ღრმინების“.

ყოველ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ლექსს თავისი ბიოგრაფია აქვს. იგი გარკვეული დროისა და სოციალური წრის აზრებითა და გრძნობებით არის გამსჭვალული. პოეტის შემოქმედებითს ცხოვრებაში ზოგიერთი ლექსი ეტაპური მნიშვნელობისაა, მასში განსაკუთრებული სიმკვეთით გამოიხატება მწერლის ესთე-



ტიკერი მარწამსი და მისი პოეტური სამყარო. ასეთი ლექსების რიცხვს ეკუთვნის „ღროშები“, რომელშიც მკითხველი ეცნობა ავტორის შეხედულებებს ხალხის ცხოვრებაზე, ხედვას, თუ რა პირობებში აღიარებს მას და რა საკითხებზე ეჭვს იგი პასუხს.

გრ. აბაშიძე შემოქმედებითად აგრძელებს მოწინავე იდეებით გამსჭვალული ქართული კლასიკური ლიტერატურის მემკვიდრე პატრიოტულ ტრადიციებს. მაგრამ მისი პატრიოტიზმი — საბჭოთა პატრიოტიზმი, ახალ, ჯერ უნახავ სიმღელეზე აყვანილი სიუჟარულია სამშობლოს, ეს პატრიოტიზმი ორგანულად შეიცავს ინტერნაციონალიზმსა და ხალხთა მეგობრობის იდეებსა და გრძნობებს, იგი თავისთავადია ყოველგვარა ეროვნული შეზღუდულობისაგან.

როგორც ვთქვით, ლექსის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ როდის და რა გარემოებაში დაიწერა იგი, ლექსის ღირსება უნდა შეეფასოთ იმის მიხედვით, თუ როგორ უნახებოდა იგი ხალხს წესრიგში დაყენებულ საკითხებს. „ღროშები“ დაიწერა სამაჟლო ომის მკაცრ წლებში, როცა ფაშისტური ურდოები ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას ემუქრებოდნენ. ეს ნაწარმოებო, უძველესი, ასაზრდოებდა მკითხველში პატრიოტულ განცდას, აღვივებდა ნაციონალური სიამყარს გრძნობას.

პოეტი თვალნათლივ ხედავს ხალხის წარსულს, რომელიც თავისუფლების დაცვისათვის თავდადებული ბრძოლით არის გასცილსებული. იგი აყენებს საკითხს: რატომ მოხდა, რომ ხალხმა ჩვენი დროის უწილად „დავითიანი“ და „გორ-გასლიანი“ და არა „თამარისი“, მაშინ როდესაც, როგორც პოეტი ამბობს, „ქართველს მასებთ არავე უყვარდა“ და ყველა ცოხს მის მიერ ნაგვად აღიარებდა არც „ერეკლიანი“ უწილად ქართველმა ხალხმა თავის დროისა. პოეტი ამ მოუღწეას სამართლიანად ხსნის იმით, რომ ხალხს მოუხდა განსაკუთრებული ენერჯის დამბა სწორედ იმ ეპოქებში, როდესაც მოქმედებდნენ დავითი და გორგასლიანი, რომლებმაც, ვანდენენს რა ჩვენი ქვეყნიდან დამპყრობლები, სამშობლოს სექვერნიტეტი და მოლიანობა აღადგინეს. პოეტის მიერ გაცოცხლებულ სახეებში ხალხმა პერსონიფიცირებული. ეს ლექსი წარმოადგენს სტალინის იმ სიტყვის ერთგვარ გამომავრებას, რომლითაც მან ომის მძიმე დღეებში რუსი ხალხის შესხივრებაში გააცოცხლა წარსულის დიდ პატრიოტთა სახეები.

„ღროშებს“ თავისებურად ემთხვევა ლექსი „თელავის ციხის ლეგენდა“ რომელსაც მინაწერის სახით წინ უძღვის ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსის ორად ორი სტრიქონი: „განაფრთხე ძილი, ჯე აღსდევ, შთაიკვწერილთა რკინისა“. ეს მინაწერი აქ თითქმის თავისებური, კამერტონის როლს ასრულებს. მთელი ლექსი ამ პატრიოტულ ხმაზე აწყობლი. გრ. აბაშიძე ნათელ, ცხოველ პოეტურ სახეებში

შლის თავისი ქვეყნის ფართო ისტორიულ პერსპექტივას. ამ ლექსშიც, ისე როგორც „ღროშებში“, პოეტი ისტორიულ მუხუდში აყენებს საბჭოთა აღმართის თვალნათლივ. ლექსი „თელავის ციხის ლეგენდა“ გრ. აბაშიძისათვის წვეული ისტატიობით არის შესრულებული.

პატრიოტული ლექსების ციკლიდან თავისი ემოციურობითა და რომანტიკული ხილვით გამოირჩევა აგრეთვე „შეშლილი ხარი“, „სამეცხის საპარხზე“, „ჯავახიანობა“, „ნოსტის ღრუბელი“ და მრავალი სხვა, კემარტიკი მხატვრული გემოვნებით აღმუშავებული, ლექსი. ეს ლექსებიც გამსჭვალულია ჩვენი ხალხის მებრძოლი სულით. აქვენად რომ ერთიც დარჩეს ქართველი, აყენებს გამართავს, ვაზს გაახარებს — პოეტის ამ მიპერპოლურ თქმასი დიდი ისტორიული სიმართლა ჩაქსოვილია.

ხალხს გვირობისა და მის შეუღრველ სულზე მეტყველებს ლექსი „სამეცხის საპარხზე“. პოეტს დიდი მასშტაბები აქვს აღებული და ეს მასშტაბები არ არის ფუჭი ფანტაზიის ნაყოფი. მართლაც, მხოლოდ იმ აღმართებს შეეძლოა დაეცვათ თავისი ქვეყანა მოხუცებულ მებრძოლსაგან, შეექმნათ ღრმადიანის სულიერი და მატერიალური კელტურა, რომელთაც „ციხის-ოღნა ხმლები ჰქონდათ, სახლის ოღნა სარწახლები“ და რომლებიც „ძლივს ჩატყულან სამარხში“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსს, მის ღირსებებთან ერთად, წარსულას ოდნავი იდეალიზაციის ელფერიც დამკრავს.

რა არის გრ. აბაშიძის პატრიოტული ღირიკის ნიშნდობლივი თვისება? რა ახასიათებს მის პოეზიას საერთოდ? პოეტის შემოქმედების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი წარსულს აღიქვამს არა ქვერტითი გზით. მის პოეზიაში ქარბობის მხვილი აზრი და არა პასიური ქვერტა, ღრმა ფიქრი ხალხის ბედზე, მის შიშავალზე და არა სტიქიური გრძნობა. პოეტის შთავარების ასაზრდოებს ხალხის ძლევათსილები რწმენა, დიდი მოქალაქეობრივი იდეალი. პოეტი თითქმის ცდილობს ანალიზი გაუყვოს ისტორიულ პროცესებს, გამოიკვლიოს სინამდვილის მოვლენები. ეს ამოცანა მის პოეზიას შინააქ. სობრევ სიღრმეხა და გაქანებას იძლევის. გრ. აბაშიძის პატრიოტული ღირიკის ვიზირი მებრძოლი სულისკვეთებითი არის გამსჭვალული. რომელი ლექსიც არ უნდა წაიკითხოთ ამ რკალიდან — ყოველ მთავარში თქვენ გრძნობთ ავტორის პოეტურ უნარს, ჩაწვდეს ხალხის წარსულს, შექმნას ეპიკის ამსახველი მეტყველი სურათი, მონათეს ისეთი პოეტური სახეები თუ სტრუქტურა თქმანი, რომლებიც ლექსს ანათებენ, შინაგანი ენერჯით ანათებენ.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ გრ. აბაშიძის ერთ ლექსზე — „სევწყის ჩვენება“, რომელიც აგრეთვე მეტყველებს პოეტის მხატვრული აზროვნების ძალაზე, ლექსის ანალიზის დროს მკითხველს შეეძლია ცალკეული ხარვეზის მო-

ნახვა, ზოგიერთი მიმე და დუნე სტრუქტურის აღმოჩენა, მაგრამ მთლიანად ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია ვარ. ამაშიის შემოქმედებამა. მასში იგრძნობა ნათელი სვედა მშობლიურ მხარეს მოშორებული ადამიანისა და ის სასიხარულო, ოპტიმისტური გრძნობა, რომელიც ვუფლდა ამავე დროს მის გულს იმის შეგნებით, რომ ის მისკოვში მიუხაღობს, უცხო და ვადმოხვეწილი მოსამე კი არ არის, არამედ ამ ქალაქის ღვიძლი შვილია, დიდი საბჭოთა სამშობლოს მოქალაქეა. თანამედროვეობის მთავრი შეგრძნებით გამსჭვალული ლირიკული გმირის სახეს უპირისპირდება შორეულ წარსულში სამშობლოს მოწვევითი, ბედის უცვლელარტობით გაწამებული დიდი ქართველი მოღვაწეების — საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და ვახტანგის კაწმნიანი სახეები.

გრ. ამაშიის პოეტურ ზღვას ამ ლექსში ნამდვილი უშუალობა და ბუნებრივობა ახასიათებს. კონკრეტული დეტალები საშუალებით პოეტრი რეალისტურ სურათს ხატავს. მკითხველს თვალწინ წარმოედგება სახელოვან წინაპართა ძვირფასი საქაღენი, რომელთა ლოდებს ქართლის გერბები შემორჩენილია და რომლებიც „მზრავლე მიწის“ ბუნებებით არიან დაფარული.

ავტორს შეგნებული აქვს ეპითეტის — „მზრავლე მიწის“ შინაგანი აზრით ქართველი მოღვაწენი თავს უცხოოდ რადი გრძნობდნენ მოსკოვში, მათთვის რუსეთის მიწა ისევე მზრავლე და მშობლიური იყო, როგორც საქართველოსი. ამ ლექსის მატერული ფორმა გამოირჩევა სიღამაზითა და სინტაქსით, მთლიანობითა და შინაგანი პარმონით.

გრ. ამაშიის პოეზიაში, როგორც საერთოდ საბჭოთა პოეზიაში, პატრიოტიზმი თავის უმაღლეს ფორმას სწორედ ამ ლექსებში აღწევს, რომლებიც საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომისადმი, კომუნისტების მშენებლობისადმი არიან მიძღვნილი. ამ აზრით გრ. ამაშიის პოეზიაში უნდა გამოიყოს ლექსების ორი ციკლი: „სამზრავლ საზღვარზე“ და „სამეორის ველზე“, რომლებიც შთაგანებული არიან საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი იდეებით. ამ ლექსებში გრ. ამაშიე აღწევს პოეტური სიმწიფის ახალ დონეს. აქ ნათლად ჩანს პოეტის მიერ შექმნილი სახეების გამომსახველობის ძალა, პლასტიკური სიხუსტე. იგრძნობა პოეტის ღრმა განქცა, ის, რასაც ბელინსკი მატერულ მათოსს უწოდებდა და რასაც იგი კემმარტით პოეზიის ეპიკურულ თვისებად თვლიდა.

ლექსები „თავდაცვის ხაზი ქართულ სოფელთან“, „ამერიკის იანიარი“, „ნახვარის მოვარტ“, „ასეირნება აღმოსავლეთში“, „საბრე“, „ნეტავი შენს ბედს“, „რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“, „ჩვენი საღამო“, „თურქთა ლეშარი“, „ირანის ლომი“, „აღმოსავლეთის პატი“ და აღნიშნული ციკლის სხვა ლექსები ქართული პო-

ლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხს ეკუთვნის. ავტორი ზოგიერთ ლექსში ამტკიცებს განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიმართლას თავისი პოეტური ნიჭის ახალ მზარეს — სამედიტატის კემმარტ მათოსს.

ლექსში „თავდაცვის ხაზი ქართულ სოფელთან“ პოეტმა მოვლენათა დამარისპირებით სინამდვილის შთამბეჭდავ სურათს ხატავს, ერთი მხრით, ჩვენში, საბჭოეთში ხალხი შემოქმედებითი შრომის ფერხელშია ჩამბული, აქ აკაცი და ქალი მინდვრად იქნარის“ იმ მიზნით, „რომ მიწა დახანდ, რომ ვაზი გასტლან“. ამავე დროს, კანონისტური სამყაროში თავისუფლად ლამარაკის უფლება აქვთ მხოლოდ ტანჯებსა და ხარბანებს:

მიონანს ლულაში დაუნდობელთა,
ზედ დეტრიოტის ტვირები აზით,
თურმე აქ გაღის ქართულ სოფელთან
ამერიკელთა თავდაცვის ხაზი!

ამერიკის ქვემეხებია, ქართველი მევენახეები თავის რომ დაუმიზნებიათ. ამ ქვემეხებს ახელებს ნავთის სუნი, ალუბლის ბაღების სურნელება, ის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. პოეტმა სულ ერთი სტრიქონით („ქართულ მარგანეცს თვალს უბრალებს“) გადმოგვეცხა იმპერიალიზმის ბუნებას, ასულიერებს მას, მხეცს ადარებს და აზით მხატვრული სახის ძალას დიდად ზრდის. იმპერიალიზმის შინაგანი კანონზომიერება შესანიშნავად არის გადმოცემული პოეტის ძლიერ ლექსში „იანიარი“. იყო დრო, როცა თურქების ჯარი მიწის ზარსა სცემდა მეზობელ ხალხებს, როცა თურქებს ბეგები მოხერხებულად იყენებდნენ იანიარებს, როცა ამრწინაულ პორტა“ საეკთარ პოლიტიკას ატარებდა. დრო შეიცვალა. ბურჟუაზიამ ხელიდან გაავლო ნაციონალური დროშა, თავისი ქვეყნის ინტერესები დღარატზე ვაჟყავდა. ამერიკის იმპერიალიზმი უტოვრად შეიჭრა ჩვენი მეზობლის — თურქეთის ცხოვრებაში და იქ სახელმძღვანელო პოზიციები დაიკავა. ერთ სტროფში პოეტმა ოფიციალური თურქეთის მოელ სურათს იძლეა, ხატავს მის უშეწოდებლობას. პოეტს მონახული აქვს შესაფერი სახეები, რათა მკითხველში გარკვეული შთაბეჭდილება გამოიწვიოს, განამტკიცოს:

მაგრამ დახანელდა „ბრწინეალე პორტა“,
ჩამქცა თურქთა ცის კაბადონი,
სეავი თვით გახდა საჯიჯგნი ქორათა
და მონად იქცა თვითონ პატონი.

გრ. ამაშიე ვემებს მოულოდნელ, თუმცა საესებით ბუნებრივ, სახეებს: მან იცის, რომ სწორედ ასეთი სახეები იპარობენ მკითხველის ყურადღებას, ახდენენ მასზე ძლიერ შთაბეჭდილებას. გონებაშიმხილრად და ორიგინალურად

არის დაწერილი ლექსი „ნახევარმთვარე“, რომელშიც თურქთა ოდესღაც ძლიერი იმპერიაზს დღევანდელი უბადრეტი მდგომარეობა ორად ორ მიხედნილ სტრიქონშია გადმოცემული: „მთვარე, რომელიც ვეშას მოკავდა, ბოლის გასაწყვეტ ძაღს დაეგვანა“. პოეტმა მიხედნილად გამოქმენა შესაფერი ობიექტი — მიღებული მთვარე, რომელიც გამოიყენა პარალელის გასაყვებად და შესანიშნავ შედეგსაც მიაღწია.

საბჭოთა ხალხისათვის უცხოა ეროვნული შედეგი, სიძულვილი. პოეტი კარგად ვაძმოგვიყენეს საბჭოთა ხალხების ამ სულიერ განწყობილებას, მის დიდ სიყვარულს კაცობრიობის პროგრესული ძალებისადმი. აქტივად, ლექსი „ჩვენი საღამო“ ამ სახატო ამოცანას ისახავს მიზნად. მისი მიზანია გაავლოს ზღვარი თურქეთის ხალხსა და მის „მესვეურთა“ შორის, აღძვრას მეთხველში სიყვარულის გრძნობა თურქი ხალხისადმი, მისი პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლებისადმი, როგორც მავალითად, ნახში მიქმეთა, რომელიც თურქი ხალხის მოწინავე ძალების განსახიერებას წარმოადგენს. „ჩვენი საღამო ჩვენი საღამო“ — ეს არის პოეტის გულწრფელი გრძნობის გამოხატველი მიმართვა.

გრ. აბაშიძის ლექსები გამსჭვალულია პუბლიცისტური პათოსით და, ამავე დროს, მათში მოხლებილად არის შერჩეული მასალა აზრის, შთანთქმების მხატვრულ ენაზე ასაყვებლად. ამის სააღუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ამონაწერი ლექსიდან „გასივრენება აღმოსავლეთში“. ყურადსაღებია ის პოეტური ხერხი, რომლითაც ავტორი ხატავს თურქეთის პოლიტიკურ მდგომარეობას. ავტორი რამდენიმე პოეტური სტრიქონის საშუალებით ქმნის ამერიკელი კოლონიზატორის მავალი პორტრეტს. ეს ლექსი თავისი პოლიტიკური სიმადრით არის საყურადღებო მისი სატირული დერეა პამფლეტის დონემდე აღის.

პოეტი ასეთი მართალი და ცხველი საღებავებით ხატავს „გადამთვლ“ ამერიკელის პორტრეტს:

...მისთვის არაფერს აშობს ზახული,
მან ერთადერთი ზღვრითმა იცის —
ოქროს დოლარზე გამოსახული.
დოლარი არის მისი ხატება,
თურქის მავიდას უზის მდღეობა
და განათლებით არ განსხვავდება
მასპინძლისაგან მისი სტუმარი.

პოეტის მიუგება თქმა: „მან ერთად ერთი ჩუქრითმა იცის — ოქროს დოლარზე გამოსახული“. ამ ერთ წინადადებაში უოლსტრეიტის ცხოვრების მთელი აზრია გამოხატული, გადმოცემულია ამერიკელი იმპერიალისტის მთელი სულიცვალება.

ეზის სახელით იცავს პოეტი თავის ქვეყანას, როგორცა მისი პატრიოტიზმის სათავეები, მისი მ. „მნათობი“ № 7.

ხასიათი? ამ კითხვებზე გარყვეულ პასუხს ავტორისავე ლექსები იძლევა. ამ ლექსებში მისი რად გაიყვებენ სტრიქონებში „ჩვენი ხალხი“ მეთხველს თავისი ქვეყნის დიდ წარსულზე მოუთხორობენ, მოუთხორობენ ვიზიტზე, რომლებიც თავდადებით იცადენ სამშობლოს თავიუფლებას, მის კეთილდღეობას. გრ. აბაშიძის მთელი რიგ ლექსებში მეთხველი გაიგონებს დამპყრობთა „ცხენით გათქერილ ყმათა“ შემადარწუნებელ ზმას, ავტორის ხშირად ვადაწყავს სურათები წარსულში, ამ წარსულის გმირულ სურათებს აცოცხლებს და მასში შესატყვის პატრიოტულ განწყობილებას ჰქმნის, მოეწოდებს მას ბაძოცისავე ისტორიული მემკვიდრეობის დაძაბვად. მაგრამ კიდევ უფრო მეტგებარეა პოეტის პატრიოტული პათოსი, როდესაც საქმე სოციალისტური ეპოქის მონაზღვარს შეეხება. სოციალისტურმა სინამდვილემ ზომ წარსულის კულტურული საგანძურის შეისისხლოება და მის საფუძველზე შექმნა ახალი, ჯერ არანახული სულიერი და მატერიალური დოვლათი.

გრ. აბაშიძის პოეტური აზროვნებისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი მხატვრული სახეები უმრავლეს შემთხვევაში კონკრეტულ მასალას ვყრდნობა და ამიტომ ნათელი, ადეკვატ მისაწყვედენია გრ. აბაშიძის მიერ შექმნილი პოეტური სურათები გამაორჩევა საგნობრივობით. მის შთაგონებას ასახობდები ყოველი წერილი მანი, თუკი ის მნიშვნელოვანი მოვლენის არსს გამოხატავს. ჯერ კიდევ ბუღინსკი ამბობდა, რომ ის არ არის მხატვარი, რომლის შთაგონებაც მხოლოდ მაღალ სავნებს შეუძლიათ, „ქვეშაობიტი მხატვრისათვის, სადაც სიცოცხლეა, იქ არის პოეზია“. სწორედ ცხოვრებას, სინამდვილეს, რა ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს იგი, მოსყავს მობრძობაში პოეტის ფიქრები, გრძნობები, განცდები, რომელთა გარეშეც პოეზია არ არსებობს. ამავე დროს, გრ. აბაშიძის პოეზიისათვის უცხოა ყალბი პათეტიკა, გრძნობათა ვადაშეხებელი სიჭარბე. მისმა ლექსმა იზვიათად იცის მოხიზნული, შეკიბობები, შორისდებულები. გრ. აბაშიძის ლექსს ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ პოეზიაში. ზემოთქმულის დასადასტურებლად მრავალ ლექსის მოყვანა შეიძლება. დავამაყოფილოთ ერთ-ერთი ასეთი ლექსით, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა გონებამახვილურად აგებს პოეტი მხატვრულ სახეს. ჩვენ ვვულისხმობთ დიდი გემოვნებით დაწერილ პატარა ლექსს — „ახალშენი“, რომელიც საინტერესოდაც არის ჩაფიქრებული და ავტორის მაღალ პოეტურ კულტურასაც ამჟღავნებს. ლექსში ღაპარაკია ვაზის ახალშენზე, რაც თითქმის პრაზული ნაწარმოების თემაა, მაგრამ რაოდენი პოეზიაა ამ სტრიქონებში:

ჯერ კიდევ ტანის აყრა არ შევინს,
არ მოხვევია ჯერ ფარჩული,

პატარა ვაზი დგას ახალშენი თიკნის შეზღოვივით რქებდინწველი. მაგრამ ეს ვაზი მალეა წასული მალე დააფრენს ფოთლებს ჩიტებად, აღგება, როგორც საცხე ქაღალდი და კიგოს თმებით მოგვიდებია.

პოეტმა მშვენიერი საგნობრივი შედარებები მონახა და ლექსს ნამდვილი სიუცხლე მიანიჭა, მასში პოეტური სული შთაბერა, სისხლზორცივთ ააგსო. ეს შედარებები საყვებით ბუნებრივია, კონკრეტული და ამიტომ შთაბეჭდვად, დასამასიერებელი.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ გრ. აბაშიძე უშუალოდ განიცდის თანამედროვეობას და რომ მისი მუხა საზრდოობს იმ აქტუალური მასალით, რომელიც ჩვენი სინამდვილიდანაა აღებული, იმ საკითხებით, რომლებიც ჩვენ ხალხს აღადგებს. ავტორი ესმარება მასშტაბური ხასიათის ყველა მოვლენას, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში აქვს ადგილი. ამ მხრივ ყველაზე უფრო სრულყოფილია, და მხატვრულად დამთავრებული ის ლექსები, რომლებიც გაერთიანებულია ციკლში „საშგორის ველზე“. აქ ყოველი ლექსი წარმოადგენს ანარცელს იმ შეპოქებებით შრომის აღმავლობისას, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. თითოეულ ლექსში, როგორც წყლის წვეთში, მოჩანს მშენებლობის ფერადოვანი სურათები. ეს ლექსებიც ღრმად პატრიოტული განცდით არის გამსჭვალული, მათში იგრძნობა მაგისტრის საბჭოთა მოქალაქისა, რომელიც სიამაყის გრძობით შეკურტებს სამშობლოს წინსვლასა და აღმავლობას.

პოეტი ამ ლექსებში სძლევს ერთფეროვნებას, ზოლო სადაც პოეტური სიხალისე არ არის, სადაც გული ვერ გრძნობს აღტაცების სითბოს, იქ არც პოეზიაა, იქ საქმე გვაქვს არა სინამდვილესთან, არა ცხოვრების საღებავებთან, არამედ დეკორაციასთან, რომელიც მოკლებულია ცოცხალი სენიქვის უნარს და ამიტომ ნამდვილ სილამაზესაც.

საშგორის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექსებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრ. აბაშიძის შემოქმედებაში. მათ შორის ძნელია მოაძებნოს მოდერნებული, მომეხებული ლექსი. მკითხველი გრძნობს, რომ ავტორს მტკიცედ უკავია ხელში ლექსის სადავე, კარგად იცის საკუთარი ხმის გაშეყვება. პოეტს არ აღადარებს თვალს გამჭრიახობა და სიუესტე. ამიტომ აღწევს იგი წარმატებას. საველისშია, რომ თითქმის ყველა ლექსი ერთი ზომით არის დაწერილი, ათმარცხელოვან სტრიქონზეა აგებული, გარდა ერთისა („საშგორის მამითილი“), მაგრამ მხატვრულ პაუზებს მაინც ვერ იგრძნობს მკითხველი, მას არ რჩება ერთფეროვნების შთაბეჭდილება. პოეტმა შეძლო ამ ლექსებში აესახა მშენებლობის ხალხური ხასიათი, გადმოეცა თავისი მველვარება და ფიქრი ისეთ ზესტ მხატვრულ ფორ-

მაში, რომ ის მისაწვდომი ყოფილიყო მკითხველთა ფართო ფენებისათვის. სწორედ მაქვს ლითად, ლექსი „საშგორის მამითილი“ ნეტარად ამ ლექსშიც დამობისპირების ხერხს იყენებს. თუ წარსულში „ღობს აქედან, ღობს აქედან, ქედზე კაცი, ყველა ხმლით და შენით მიდილია მტერთან შესამებლად“, ახლა, საბჭოთა წყობილების პირობებში, მთელი ხალხი შემოქმედებითის შრომაშია ჩამბული. საშგორის მშენებლობა სახალხო საქმედ არის მიჩნეული.

გრ. აბაშიძის ლექსების დიდი უმაჩველესობა ნათელი პოეტური კონცეფციითაა შეკრული. ავიღოთ, მაგალითისათვის, ლექსი „უჯარმის ნანგრევებზე“, რომელიც მკაფიოდ გადმოგვცემს პოეტის აზრს ჩვენი ქვეყნის წარსულზე. პოეტი შეგნებულად გაუბრბის იმპრესიონისტულ მანაწერებს, რომელთა შორის ხშირად ძნელი ხდება რაიმე კავშირის მონახვა, რაიმე ლოკალური ერთიერობის დამყარება. პოეტი ცოცხლად შეიღებს და ასევე ცოცხლად აღიქვამს წარსულის სურათებს. მკითხველი ხედავს უჯარმის ციხის ნანგრევებთან მდგომ პოეტს, რომელიც მშენებლებთან ერთად საქართველოს თავს დასტრიალებს ავტორი პლასტიკურ, სახებურად გადმოგვცემს თავისი ხილვის საგანს. საველისშია, რომ პოეტის ფიქრი მიმართულია იმ უსახელო გზობებისაყენ, რომლებზეც უჯარმა ააგვს, მიყარბილია არა ვახტანგ მეფისადმი, არამედ ხალხისადმი.

ლექსი ასახავს შრომული ხალხის ჰუმანიტარულ პოეტი სულ რამდენიმე სტრიქონით ხალხის შთავლი ისტორიის არსს გადმოგვცემს: იგი (ხალხი) იმდენადილი იყო არჩების ნაცვლად ციხეება ეშენებინა, თავისი სულიერი და მატერიალური დოვლათი თავდაცვისთვის შეეწირა, გაწეწეწეული ბრძოლები ეწარმოებინა, მაგრამ მისი ოცნებად ყოველივეს რჩებოდა შემოქმედებითი შრომა, შენება.

ასეთივე პოიტი, მშვენიერად შეხამებული სიღებავებით ხატავს პოეტი საბჭოთა ადამიანის სახეს ლექსში „მწვერვალისყენ“. მთავარი რაც რიგითის საბჭოთა ადამიანის აყენებს მთელი თავით მალე კაპიტალისტურ საშგორის თუნდაც გამოჩენილ ადამიანზე — ეს არის მისი მალალი მორალი, მისი შეგნებულობა, დეცენტრომული სწრაფვა ცხოვრების სრულყოფისა და გარდაქმნისაყენ.

საბჭოთა ადამიანის ბედნიერება ის არის, რომ მას თავისუფლად შეუძლია იცუვნებოს ხეაღინდელ დღეზე, ჩაწევს მის მშვენებას. ეს ოცნება ფუცი რილია, იგი ცხოვრების განითარების შეცნობლად ინიკეტურ კანონებს ემყარება. ამიტომ არის ჩვენი ოცნება შინაარსიანი და ქმედითი. ადამიანის შრომამ, რომელიც ჩვენს პირობებში ესთეტიკურ კატეგორიადაა აყენალი, თბილისის ზღვა შექმნა. დღეს მისი ნაპირები მოტიტულებულია, მაგრამ პოეტი უკვე ხედავს ამ ნაპირებზე გაშენებულ ხეივანებს, სადაც

ხალხი ისვენებს, ხედავს მახათას მთაზე ამწყანე-
ბულ ტყეს, სადაც ფრთოსნები დაბუდებულან და
დასვენებს: „თბილისის ზღაპრე, ჩემი ოცნებით
ისე დამდება დღე ზეალინდელი“. პოეტს აინტე-
რესებს არა უშინაარსო კვრება ბუნებისა, არა
მხოლოდ მისი ძალუბის შეცნობა, არამედ ამ ბუნ-
ების გარდამსა, მისი ადამიანის სასახერში ნა-
ყენება. პოეტს მკითხველს მოჰკავის რწმენით
ააზარებს და ლექსით — „საღამო თბილისის
ზღაპრე“ სწორედ ამ გამიზნულობით არის საინ-
ტერესო.

გრ. აბაშიძეს, ერთი შეხედვით, თითქმის პრა-
ზული საგანი პოეტურ სიმბოლედდ აქყავს.
შლის რა სამგორის ველის მიშხიდელ სერათს
ღვსში — „თავისუფლების შექმნელს დიდებ-
ბა“, პოეტს, ამავე დროს, ხაზს უსვამს იმას, რაც
ხალხს ცხოვრების აღორძინების მიზნზე გახდა.
ეს არის თავისუფალი შრომა, „თავისუფლებას
რა შექლებია, თავისუფლების შექმნელს დრ-
დება!“ — ამ შეძახილით აქტორი მკითხველსა
შესატყვის სულიკეთებებს აღეძებს და მოუ-
წოდებს მას იბრძოლოს თავისუფალი შრომის
განმტკიცებისათვის.

ციკლში „სამგორის ველზე“ თავისი აქტუა-
ლობითა და იდეური გააზრების სიღრმით გამო-
ირჩევა ლექსი „კარაზე ფირი სამგორში“, ეს
ღვსში საერთოდება ხალხთა მეგობრობის
იდვის თავისებური გახსნით. საბჭოთა კუმანიზმ,
ხალხთა მეგობრობის გრძნობა ათქმევენებს პო-
ეტს: „ჩვენი მხარეს მართა მებითი კი არა, უნდა-
თვე უნდა ჰგავდეს კარაზე“.

აღნიშნული ციკლიდან უნდა გამოიყოს აგრე-
თვე ლექსი „ლენინი სამგორში“ თუნდაც იმი-
ტომ, რომ ეს ლექსი ადასტურებს, თუ რა კარ-
გად ფლობს გრ. აბაშიძე ლექსის ფორმას, ეს
ღვსში მეტად მდიდარია მონეტული ფიგურალურ-
ი გამოთქმებით, ახალი მეტაფორებით. აქ გატა-
რებულია აზრი, რომ ლენინი ყველგან არის, რომ
ჩვენი სინამდვილეს, კომუნისმის მთელ მშენებ-
ლობას ლენინის უკვდავი სული, მისი უკვდავი
იდებები ახაზრდობენ. ლენინი არა სახიში სი-
კეთისა და გმირული საქმეებისა.

„სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი და თვით
ლენინი სინათლე იქა“. „მტკვარზე გაწვდილი
ლენინის ზღო იარზეც მოსანს, ვით ცისარტყე-
ლა“, „ოცნებით ვხედავ იარზეც ლენინს — სი-
ნათლეს ქვეულს ადამიანად“ — აი ამ ლექსის
წამყვანი მოტივებია, და რომელი პოეტური სახეც
არ უნდა აიღოთ, მასში კუმუნისტებთა მოცემუ-
ლი, კოვლი მათგანი ფრთიანია, ვინცდასტვლუ-
რია, თავისებურია და ამიტომ იკავებს გზას მკი-
თხველის გულის სიღრმეში.

ლექსების ორი ციკლი „სამგორის ველზე“ და
„სამხრეთ საზღვარზე“ გრ. აბაშიძის შემოქმედე-
ბითი სიწმიდის მანვენებელია.

გრ. აბაშიძის პოეზია თემატურად მრავალფე-
როვანია. პოეტმა მრავალი მღელვარე ლექსი შე-
ქმნა სამამულო ომზე. ყველა ისინი ღრმა პატრი-

ოტული განცდით გამოირჩევა. ამ ლექსებში
პოეტმა აღადგინა ცოცხალი სურათები მქა-
მიანებისა, რომლებიც სწორედ მღელვარეობის
სუფლებებისათვის თავს პირდაპირდენ სამშობლის.
როგორც პოემებში, ისე ლექსებში გრ. აბაშიძე
ხატულური სცენების ოსტატად გვევლინება. სა-
კმარისია წაიკითხოთ პატარა პოეტური ფრაგმენ-
ტი „ტანკების დღეა“, რომ ცოცხლად წარმო-
გიდგოთ ბრძოლის ველი:

აღარ არიან რკინის დევეები,
მათი ხმა სიკვდილს აღარ მოიტანს,
გაცივებულან და ნანგრევები
ნამჭრალ ვულკანებს გვანან შორიდან.

განა ბრძოლის ველის ნათელ და მამფრ სე-
რათს არ წარმოგიდგენს შედარება დამსხვრე-
ლი ტანკებისა ნამჭრალ ვულკანებთან, რომლე-
ბიც ციციხლის ფრქვევის შემდეგ ბოლავენ? ასე-
თი გაბეღული სერათის დახატვა ნამდვილ პოე-
ტურ აღმოჩენას უდრის.

პოეტს თავის ლექსებში უმღერის უსახელო
გმირებს, რომლებიც ისტორიის ქმნიან, ჩვენი
დღიი სინამდვილის აქტორი შემოქმედნი არიან.
ლექსებში „ძღვეამისილი“ და „მას დიდება“
გრ. აბაშიძემ დახატა საუკეთესო თვისებების
მქონე შემკრული გმირის სახე.

უსახელო გმირში განსახიერებელია მთელი
ხალხი, რომელმაც უმაგალითო მსხვერპლი გაილი
თავისუფლების დასაცავად.

გრ. აბაშიძის პოეზიაში შედარებით იშვიათია
პეიზაჟური ლირია. ბუნების სურათები უფრო
ხშირად მის პოემებშია გაშლილი. მაგრამ იმ ცა-
კველ ლექსებშიც, რომლებიც ჩვენი ქვეყნის
მდიდარ პეიზაჟს ხატავენ, პოეტის სამშობლის
სიმშვენიერე ნამდვილად გაიკვლევებოდა.
გრ. აბაშიძის ლირიკულ პეიზაჟი პლასტიკურია,
მასში უხვად არის მოცემული საღებავები. ასევე
გამოირჩევა ამ ლექსების მთელი სიტყვიერი ქსო-
ვილი — ფაქრიზ და წმინდა. მაგალითისათვის
შეიძლება ავიღოთ ლექსი „როცა“. მასში მრავა-
ლია ობიექტივური შთამბეჭდავი პოეტური დე-
ტალი, აი რამდენიმე მაგალითიც:

გაქპირა ნისლი,
ცაზე არ ჩანს ღრუბლის ნასახი
და პირველქმნილი სიღამაზის უმანკუბით
ვარსკვლავებს გააქვთ ტბის ქაღალდი ჩემი
ცახცახი.

ცხადია, ამ იმონიურში მთავარ განწყობლე-
ბას ქმნის კარგად მოგნებული სახე — პირველ-
ქმნილი სიღამაზის უმანკუბა“. ამ სტრიქონების
განვითარებას წარმოადგენს ლექსის შემდეგი
უფრო ღრმა და შინაარსიანი, აღვლილი:

მთავარის შექად შემოდის ახლა
მისი ქალაის ანარკევის ნებაც, ამ ტბაში,
და ისე მისი სამხრების ვარსკვლავი ელავს,
როდესაც ტბაზე ვარსკვლავს გააქვს წყნარად
კაშკაში...

ეს სტრუქტურები განსაზღვრავენ მთელი ლექსის ინტონაციას.

გრ. ამაშიძის პოეზიის დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ აღვნიშნავთ პოეტის ოსტატობას რითმების შექმნისა და გამოყენების დარგში. გრ. ამაშიძეს ახასიათებს მეტად გამახვილებული გრძნობა რითმებისა, მისი რითმები ორიგინალური და მუსიკალურია, ისინი გამოირჩევიან სპეციფიკური და სისხვეთით.

ჩვენ ვილაპარაკებთ გრ. ამაშიძის პოეზიის ღირსებებზე, იმ ნიშნებზე, რომლებიც მას თავისებურების იერს ანიჭებენ. მაგრამ ყოველი ნამდვილი ხელოვანისათვის ნაყლები მნიშვნელობის როლია მის ნაყოფიერებათა კრიტიკა. იგი ავტორს იმ გზაზე მიუთითებს, რომლითაც მისი შემოქმედება უნდა წარიმართოს.

რა ნაყლი შეიმჩნევა, უპირველეს ყოვლისა, გრ. ამაშიძის პოეზიაში? ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი სუსტი ლექსი, რომელთა სტრუქტურებიდან თითქმის ციფრ სიო ჰქრის; შეიძლება აღვნიშნოთ, ზოგიერთი ლექსი, რომელიც უსაფრთხოდ განწყობილობითა დაწერილია. პოეტს ესაბნას ისტორიული თემებისკენ გადაკარბებული მიდრეკილება ჰქონდა. გრ. ამაშიძის საერთოდ ნათელ ლექსებში ცალკეული ბუნდოვანი სტრუქტურების აღმოჩენაც შეიძლება. გვხვდება წმინდა პრაზული ადგილებიც, დ. ა. შ.

მოთოყვანილ რამდენიმე ნიმუშს ლექსებიდან, რომელთა მშატერული ელერა ვერ დააყვარდებიან გრ. ამაშიძის პოეზიის მოყვარულ მკითხველს ასეთებია: „არც ნიაღვართი, არც ზღაპარი“, „არ მინდა სხვა სახელი“, „აქვას პოეზიაში“, „დაკვიფრის მოვარე“, „ერთი მეღვრა“, პოეტური ცოცხალი „ატენის ლექსები“ და სხვ., რომლებშიც შეიმჩნევა არაჯანსაღი განწყობილება, უფიქრობა, წარსულის იდეალიზაცია, მისტურული ხილვანი, სამართა პოეტისადვის უცხო ისტორიული რეჟიმის ცენცურები და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორს არც ერთი ამ მოხსენებელი ლექსი არ შეუტანია თავის ერთობეულში, ჩანს, მან ანგარიში გაუწია თავის დროზე პრესაში გამოთქმულ აზრს და ზოგიერთი თავისი ნაწარმოების გადაფასება მოახდინა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოეტს ამ მხრივ მეტი სიმეცხრე და თანმიმდევრულობა უნდა გამოეჩინა. ერთობეულში შეტანილია რამდენიმე ლექსი, რომლებიც მოაგონებულნი არიან აღმზრდელითა და ფუნქციას, საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ასეთია, მაგალითად, ლექსი „სევდა სანაპიროსი“. პოეზიის ერთერთი მოთავარი სავანს ყოველთვის წარმოადგენდა სპეციფიკური გრძნობა. ნამდვილი მოაგონებით აღბეჭდილი ლექსმა, ცხადია, იცის როგორც მზიური ხალისი, ისე სევდიანი განწყობილებაც, როგორც მაკორული, ისე შინორული აკორდებიც. მაგრამ მას ყოველთვის უშეველად დგმდამოსილება, გრძნობის სიფაქიზე უნდა ამკობდეს. ამას კი, სამწუხაროდ, მოკლებულია ლექსი „სევდა სანაპიროსი“.

გრ. ამაშიძეს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განვითარების საქმეში.

სეპტემბერი 1953

გრ. ამაშიძის პოემები მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ჩვენი პოეტი მოის ღვას რომანტიკული პოემისაგან. იგი ვერდნობა იმ კანონებს, რომლებიც ქართულმა კლასიკურმა რეალისტურმა ლიტერატურამ გამოიმუშავა უმათერესად ილ. ჰუკუაქაძისა და ავ. წერეთლის სახით. გრ. ამაშიძის პოემებში მკითხველი ხელავს აღმანიანებს თავიანთი ენებათაღლეულით, თავიანთი გარკვეული ხასიათებით, ხელავს ამ ხასიათების დამირისპირებას, შინაგან კონფლიქტს, რომელიც თვით სიტუაციაში გამოვლენილია ამ სიტუაციის განვითარებაში გადაწყვეტის როლს ასრულებს. ავტორი ქმნის დრამატისმით აღსავსე სიტუაციებს, რომლებიც ძაბავენ მკითხველის ყურადღებას. როგორც ვხედავთ, გრ. ამაშიძე ღვას ქართული კლასიკური პოემის, პოზიციასზე და მის მდიდარ ტრადიციას აგრძელებს. სამწერლო ასპარეზზე გამოსულიდან სულ რაღაც ოთხი-ხუთი წლის შემდეგ პოეტმა უკვე შექმნა პოემა „მთავი ქალაქი ვახუშტული“. ახალგაზრდა პოეტისათვის ეს იყო მეტად გახდელი ნაბიჯი. პოემის ავლია კომპოზიციური მთლიანობა, მაგრამ მასში უკვე ჩანს ავტორის მშატერული ალღო და მხვილი თვალა. პოემის ენა ზუსტია, უბრალო, გამოხსავილი, ზღაპრული და ზატოვანი იყენებს რა ისტორიულ-რეკონსტრუქციული მასალას, პოეტი თამამად უყვარდებს ყოველივე მკითხველის და იღებს მხოლოდ მოთავს, ეპოქის დამახასიათებელს ისტორიულ ფაქტებს და მასალაში მას გზადგზა შეაქვს ყოფითი დეტალები, რითაც პოემის სიტუაციას აძლიერებს, მას მშატერულ დამაჯერებლობას ანიჭებს. ავტორმა უკვე ამ პოემაში გავაცნოთ საკუთარი სტილი, პოეტური სურათების ზატის თავისებურების მანერა.

ავტორის აღებული აქვს ერთ-ერთი ისტორიული ფაქტი ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულიდან. ეს არის ახალგაზრდა სტალინის ბრძოლა მენშევიზმთან, ეჭრბოდ, ჰეათარაში მომხდარი პაეტრობის ეპიზოდი. სტალინის რევოლუციური პათოსი განსაკუთრებით გამოჩნდა ამ პაეტრობაში, რომელიც მენშევიკების სასტიკი დამარცხებით დამაბრუნდა. ავტორი სტალინის ჩასვლას ჰეათარაში ვახუშტის დადგომას უკავშირებს.

სტალინი ჰეათარაში მოძრაობის ცენტრშია მოქცეული. მასთან მოდის ბათუმელი მეშა, რომელმაც აბრწყინდის ყვავილით ყლიონი მოინათა“. მეშა აცნობებს სტალინს მეშათა საიდუმლო კრების მოწვევის შესახებ. ავტორი მოზღნდნილ პოეტურ სახეებში ზატებს იმ მძიმე მონურ შრომის, რომელსაც ეწევიან მეშები მარგანეის მღვდელთა ჯიბის ვასამიღრებლად. მეზსიტრებაში ღრმად იჭრება, მგალითად, ის სიყვანობა, რომელიც „გვიან ვარსკვლავს“ აღწევს. ეს არის ძველი ყოფის მშატერულ სახეებში გააცოცხლების მშვენიერი ნიმუში.

ავტორი განაგრძობს ბუნებრივ და პოეტურ თხრობას იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა სტალინი საიდუმლო კრებაზე, რა სიხარულით შეხვდნენ მას მეშუბი, საწუხაროდ, ავტორი არაფერს ამბობს, რა მოხდა ამ კრებაზე, რა თქვა სტალინი, მაგრამ მკითხველის ამ დღემყოფილემდე ინტერესს ანაზღაურებს შემდგომი ეპიზოდით, რომელშიც აღწერალია სტალინის შემოხება სტამბაში, სტალინი წერს პროკლამაციას და შემოქმედებითი შეშაობის ამ დამბულ პროცესს პოეტი ასეთ შთაბეჭდილვ მხატვრულ სახეებში გადმოგვცემს:

ეს ბატარა სტრიქონები
ხვალ ბრძოლებში წავა ლაღად,
ამ ჰაჟაჟა კალმის წყერმა
ქვეყნის ცეცხლი გააწალა,
დასღო კობამ კალმისტარი
და ხანძარი დარჩა ქაბალღს.

პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია საიდუმლო კრების აღწერა. ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს, თუ რა მოხერხებულად ფლობს ავტორი იუმორისა და ირონიის იარაღს, რა დროულად და თავის ადგილზე იცის მან ამ ბასრი იარაღის გამოყენება.

მთელი ეს ეპიზოდი ნათელი მხატვრული სახეების წყების წარმოადგენს. ვარჯიდა აღწერილი ადგილი, სადაც საიდუმლო კრება მიმდინარეობს.

საიდუმლო კრებაზე მენშევიკებს ბატონ-პატრონად მოაქვს თავი. ერთმა გამოქვეყნებამ დემოგრაფიკულად აღწერა "ავტორი პუშკის, მაგრამ აი, ამ კრებაზე მხოლოდნელად შემოიღის სტალინი. იმართება ისტორიული პაექობა პუბუ სტალინსა და მენშევიკებს შორის. ამ უნდა ვაღაჟყდეს, თუ ვისთან არის უკითურა. ავტორი მთელი რიგი პოეტური მონახაზებით შესატყუებს დამბულ მდგომარეობას ქმნის. იგი აქაც მიხერხებულად იყენებს დამინავ იუმორს.

მენშევიკები ზედავენ, რომ „არ გავიდა ხალხში მათი სახარება“ და დარჩათ მხოლოდ ერთი გზა: „სეტყუასავით გაიხშირეს გინება და გაცხარება“. დგმა ვეღლაზე უფრო მნიშვნელოვანი წუთი. სტალინი დინჯად აბის ტრიბუნაზე და მუშებს სიტყვით მიმართავს.

მეტად საყელისმზოა ამ სიტყვის პოეტური გააზრება. მასში ნატამალიც არ არის მიაღღარდოვანი მეტყველებისა. სტალინი ხალხს მიმართავს იგავით ენით. ამით პოემის ავტორი ხაზს უსვამს სტალინის ხალხურ სიმბძნეს, იმ გარემოებას, რომ სტალინის შთაგონების დევები ხალხის წიაღში უნდა ვეძიოთ. იგავის ბატონანმა ენამ ადვილად მიიტანა მუშებამდე პარტიის დიდი აზრი: იმისათვის, რომ განადგურებულ იქნეს დევი — ცარიზმის რეჟიმი, აუცილებელია ბორბოტი დედაბერის — მენშევიზმის განადგურება.

ასეთია მოკლე გრ. აბაშიძის პირველი პოემის შინაარსი, მისი იდეური პრობლემატიკა. მაგ-

„საბჭოთა ხელოვნების“ რეცენზენტი სპექტაკლს იხილავს არასწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან. სპექტაკლის გარეგან-შეფასების დროს იგი გამოდის არა თავისი საკუთარი თვალსაზრისიდან და აზროვნებიდან, არამედ პეისის ავტორის მიერ აღბათ პირად საუბარში ნათქვამი სიტყვებიდან. ჯერ-ერთი, არსად ამ დაბეჭდილია პეისის ავტორის მოსაზრებანი მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული სპექტაკლის შესახებ. მეორეც, თუნდაც მას ვიქვას ის, რასაც რეცენზენტი თავისი წერილის გამოსავალ წერტილად იყენებს, ვინა შეიძლება რეცენზიის მთელი კრიტიკული ნაწილის აგება პეისის ავტორის მიერ სპექტაკლის ერთხელ ნახვისაგან მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებებზე? პეისის ავტორმა რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის მუშაობა მოიწონაო, გვარწმუნებს რეცენზენტი: „ძარღვიანი წერილისი ყოფილიაო“; ვ. გომიშვილის მოხუცის შესახებ უთქვამს, ასეთს „ჯერ კიდევ არსად შევხედრივარო“; ტატიშვილის ვარსკვლავთმრიცხველი მოეწონაო! ამრიგად, რეცენზენტი „კომენტარიებს“ უყუთებს პეისის ავტორის მოწონება-აწმუნების სიტყვებს, ელ. გენმაროვიანდწერს ერთგან იგონებს, რომ, როდესაც ვ. გენოვმა თავისი პეისის „ივანავი“ მოატარა სამხატვრო თეატრში, ავტორი დარწმუნებული იყო, რომ თეატრი პეისის ყოფილის სახით ითამაშებდა. მაგრამ თეატრმა „ივანავის“ დადგმით



შესანიშნავი ლირიკული დრამა შექმნა. ი. ტურგენევი თავის პეისაში — „ერთი თვე სოფელში“ მთავარ მოქმედ პირად თვლიდა ნატალია პეტროვნას და უნდოდა, რომ ეს როლი მ. სავინას ეთამაშა. მაგრამ მ. სავინამ არნა ვეროივას როლი და იგი ვადაქცია ზეისის ცენტრალ. გაოცებული ავტორი ამბობდა: „*Нужели эту Верочку я написал! Я даже не обратил на нее внимания, когда писал.*“ ზოგჯერ შემთხვევაში ავტორის მიერ პეისის ჩანაფიქრის დორმულირება და თეატრის მიერ მისა გამორიცხვება ამსოღებურთ სისუსტით არ ემთხვევა ერთმანეთს. ამის დასადასტურებელი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებადა, მაგრამ, გვერთია, ა. ჩხეიძის და ივ. ტურგენევის მაგალითები სრულიად საქმარბიათა.

რეცენზენტი აღმოთებულია, რომ ე. ანჯაფარიძე არ იძლევა ავტორისეულ მექმენეზანენს სახეს და მთელ ერთ სვეტზე (გვ. 21) წერს, თუ როგორ უნდა ეთამაშა მსახიობს ეს როლი: „*შეჰქენე—ანჯაფარიძე მოთენთილი უნ და ეკითხვობდეს დაღმებლებს:*“ „*შომიღვეწო სიტყვებია... მან უნ და წარმოთქვას მონანიებიათ*“; „*მსახიობს ეს რებელია უნ და წარმოთქვა მეფერი სიღაღიათ*“; და კიდევ იმდენი მონახებრებელი უნდა „უნდა“ გვებდება წერბილში, რომ მკითხველი გაოცებული რჩება. ეს გოკლება უფრო იზრდება. როდესაც იგი ხედავს, რომ, ამავე დროს, რეცენზენტი არ უარყოფს „ანჯაფარიძის მადალ აქტიორულ ტექნიკას“, აღიარებს, რომ მსახიობი „დაუზრეტელ აქტიორულ ტექნიკამენტს აყვენს“ და ზოგჯერთ ვიზობლს ატარებს „ღიმი გვმოვებთია, აქტიორული სინატიფით, სმარბთლოთ, გულწრფელობით“ (sic).

რეცენზენტს მოჰყავს ზეისიდან შექმნენს სიტყვებია: „*შეგრდში შევა მყავს გველი, რგოლივით დახვეულს სინავს*“ და თვითონვე აღიარებს: მსახიობი ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამს, რომ მართლაც გჯერათ — „*შემქენეს „გულში გველსა სინავსო*“. მაგრამ ამას რეცენზენტი რამითღაც მსახიობს ნაღად უთვლის. აქვე სწერია: „*დარდი, მართლაც, ღრღინს ადამიანს, ასუნტებს, იმ გაცრტყილ პაეროვან ფითილს ახვანებებს, რომელსაც სიოს ოღენაჲ ქროლვაც კი არხვეს; მაგრამ ხდება ისეც, რომ სელოს მორღენელი დარდი ფიზიკური ტკივლებიხადმი უგრძნობელს ხდის ადამიანს*“. აქ უთუოდ ფსიქოლოგიორად სწორი დაკვირვება გამოიჩინა რეცენზენტმა, მაგრამ იგი რატომღაც ურჩევს მსახიობს, დაჰრდის გამოსახატავად მეორეჯნ გას დაღვეს და არა პირველს. რატომ? მსახიობმა ის ინტერპრეტაცია აირჩია, რომელიც მის სპირბუბოდა შექმნენს საბის ანჯაფარიძისეული გახსნისათვის და არა ის, რომელსაც ურჩევს რეცენზენტი. ფართო შემოქმედებითი დამახზობის მსახიობები (რეცენზენტი არ უარყოფს, რომ ე. ანჯაფარიძე სწორედ ასეთი მსახიობია, „*შევიათ ანჯაფარიძისებურ ოსტატობას*“ ხაზს უსვამს) ხშირად ამა თუ იმ

როლის თავისებურ, ორიგინალურ ინტერპრეტაციას იძლევიან. რამდენადაც დიდა მსახიობი, იმდენად როლის ანტი ინტერპრეტაციისთან გვაქვს საქმე. ვინც მითხროთ თეატრის ინტროიხს აცნობს, იმისათვის ეს ანბანური გეშმარტებათ. მოყოვიანთ მხოლოდ იმ მაგალითს დიდი რუსი მსახიობი-ქალის მართამ თრნილოვას ცხვარებობან. ცნობილია, რომ თავისი არტისტული ბუნებით ერმოლოვა უარყოფით სახებშიაც ემებდა კეთილშობილურ და ადამიანურ თვისებებს. ამიტომ ულდე მაქმეტის როლს მან საყუთობი, ორიგინალური ინტერპრეტაცია მისცა და წინა პლანზე წამოისწია ულდე მაქმეტის ის თვისებები, რომლებიც ტრადედიამი არსებობდა, ოღონდ შიქმსალული სახათ. მიუხედავად ამისა, გენიალური მსახიობის არც ერთ დანამედროვეს, და მით უფრო თეატრის ისტორიკოსებს, ამ როლის შეზრულება ერმოლოვას ჰარტხად არ ჩათვლიათ. ჩასონის „*ფედრას*“ ერმოლოვა თამაშობდა როგოც რეჰმანტეულ დრამას, რაც ცხადია, ენარის თავისებურების კავლახარისით არ იყო სწორი, მაგრამ ვანა ერმოლოვამ მარტხი ვანიდათ?

რეცენზენტი რამდენჯერმე ხაზს უსვამს იმ გარბობებს, რომ ავტორის ჩანაფიქრით, შექმნენთ იყო წლის ჭალიათ. რეცენზენტს რომ მიუყვებ, რა იქნებოდა სვენს თეატრებში, ახალგაზრდების როლები რომ მხოლოდ ახალგაზრდა მსახიობებს ეთამაშა და მოხეუებისა — მოხეუც მსახიობებს! დიდი იტალიელი მსახიობი — ჭალი ელნაორა დეზე, უყვე ხანში შეხული, შექმნიბრის ჯულიეტას თამაშობდა, მაგრამ არიხის უსავეედურია მისთვის, რომ ჯულიეტა 14 წლის ბავშვია. ერნესტო როსი 46 წლის იყო, როდესაც რომეო ითამაშა, მაგრამ ე. სტანისლავსკი, რომელიც ამ თამაშს უყრებდა, ასე წერს: „*В сцене у монаха Ромео—Росси от отчаяния и муки катался по полу. И это осмеливался делать старик с круглым брюшком, — и это не было смешно, потому что было нужно для внутреннего рисунка роли, для правильно и интересно намеченной психологической линии*“. ჩვენი რეცენზენტი აღბათ სასაცილოდ აიღებდა ასეთ „*მოხეუც*“ რომეოს.

ერთი შენიშვნაც ელენეზტორული ამაბავია, რომ რეცენზენტი მსახიობის შრომასა და პრიფენსიას პატეხს უნდა სვემდეს, ისევე როგორც ყოველგვარ სხვა შრომას. შეიძლება არ მოვეწინდეს ამა თუ იმ მსახიობის თამაშს, მაგრამ ამის გამო-სახატავად არ არის საჭირო საშუოთა პრესისათვის ისეთი შეუფერებელი და მსახიობისათვის შეუ-რაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება, როგორცაა „*ზღუის*“, „*ყრუსუნებს*“ და სხვ.

ორიოდ სიტყვა მსახიობ გ. შვევლიძის თამაშის ერთი სცენის შეფასების შესახებ. „*შენ ისეთი ხარ, როგორც ყირმისის ფერი, ზურმუხტის ფერი, როგორც ზამბახი, წყალი, ნახატი, — აი როგორი გოგონა ხარ შენ*“, წარმოსთქვამს

ფერხადი — შავგულიძე, როდესაც სასახლის კო-
პეზე გამოხატვები შირინი. ამ სიტყვების წარმო-
შობის შესახებ ზომიერების გრძნობა უნდა
დაიცვაოს (ისევე უნდა“), — ასწავლის რეცენ-
ზენტი მსახიობს, — რათა თავისი შინაგანი სუ-
ლიერი მღვდლარების სათავედ შირინის გარე-
შობის მომზადებულა კი არ აქციოს, არამედ
შირინის სულიერი სიმდიდრე და ელვარება. მ-
რამაც ამ შემთხვევაში ფერხადი-შავგულიძე
სწორედ რომ შირინის გარეგნულ სილამაზეზე
(ცხრილის ფერი ხარ, ზურმუხტის ფერი ხარ და
სხვ.) და არა სულიერ სიმდიდრეზე ლაპარაკობს.
ამიტომ არ არის სწორი, თითქოს მსახიობმა ანდა-
ლაღვედა აზრადებს ფერხადის ლტოლვას შირი-
ნის გარეგნული სილამაზისადმი, და სხვ. მსა-
ხიობი გ. შავგულიძე ამ სცენის საგვებით სწორ
ინტერპრეტაციას იძლევა და აქ არაფერ შეაშინა
„ფსევდო-მომზაბურთი ელვარება“ და „ყარა-
ნაოღელი რომანტიკობა“, როგორც ამბობს რე-
ცენზენტი.

აქაი რეცენზიაში გვხვდება არაზუსტი, ზოგ-
ჯერ ერთი მეორის საწინააღმდეგო გამოთქმები:
„უბრინავე გარეგნობის ზღაპრულ გაწყობილებას,
კეთილშობილურ გრაცას, ფაქიზ გრძნობებს,
აღმოსავლური მინიატურების
მავალ მოხდენილ პლასტიკას, ფრესკულ
ფერხად და ეპიკურობას“, ცხადია, აქ არაფერი
ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებები. იქ სადაც
მინიატურაა, არ შეიძლება ფრესკაც იყოს. ასევე:
„სპექტაკლის ფინალი უნდა გადაიქცეს... ელფ-
რად სიმფონიად, მქუხარ ორატორ-
იად“, არ შეიძლება სპექტაკლის ფინალი
ერთხან და იმავე დროს სიმფონიაც იყოს და ორა-
ტორიაც. „ანჯაფრანის აქტიორული შესრუ-
ლების დინამიკი არ იყო აღმართ-დაღმარ-
თი“ (3), და ა. შ.

აქ გაწერელას „მოგონებები“ (№ 4) რამ-
დენიმე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომას
შეიკვეთ. 1928 წელს მოსკოვის მეორე თე-
ატრი ეწვია თბილისის საგასტროლოდ არა
„მედიკალის თეატრში“, არამედ იენისში;
1929 წელს სამხატვრო თეატრი არ ყოფილა თბი-
ლისში, ამ თეატრის გასტროლები ჩატარდა
1930 წლის 15 მაისიდან; გამოჩენილი ჩეხი ვიო-
ლინისტი იან კუბელიცი (1880-1940) თბილისში
იყო არა 1925 წელს, არამედ 1927 წელს და
კონცერტი მოეწყო არა ოპერის თეატრში,
არამედ სახელმწიფო კონსერვატორიის დი-
რასში.

შინაარსიანია ნ. შალვაშვილის წერილი
„კრიტიკული და ქართული თეატრი“ (№ 1-2).
ოღონდ უნდა ითქვას, რომ „ვინ კულისაგან“
თბილისის სცენაზე დადგინა თბილისე წერილში
ხან 1886 წელს მიხნეული, ხან 1887 წელი. ცხა-
დია, უნდა იყოს 1887 წელი. სტატიაში
არ არის, აგრეთვე, აღნიშნული, რომ პირველად
ქართულ ენაზე „ვინ-კულისაგან“ წარმოადგინეს

1830-იან წლებში ალექსანდრე ობოლიანის
ოჯახში.

მიღიარება წარმოდგენილი ქართული თეატრ-
ლებზე მუსიკის განყოფილება. აქ არის მოკლე
თეორიულ-ისტორიული ხასიათის წერილები
(თ. ჩიჯავაძე, „ქართული მუსიკალური ნიშნების
ამოხსნისათვის“ № 6; გრ. ჩხიკავაძე, „ქართული
ხალხური საგუნდო კულტურის ისტორიისა-
თვის“), ისე ქართული საბჭოთა მუსიკის კონ-
კრეტული ნაწარმოებების კვალიფიკაციური გარ-
ჩევა (პ. ხუციანი, „საბჭოთა საბჭოთა დრამატურ-
გის საკითხები“, № 1-2; ანტონ წულუკიძის ორი
წერილი: „ქართული მუსიკის ახალი ნაწარმოებ-
ები“ (№ 1-2) და „შალვა შავგულიძის შესახებ სიმ-
ფონია“ (№ 5), წერილები როგორც რუსული
კლასიკური მუსიკის, (გ. ორჯონიძე „გლენჯა“
№ 3; ა. ბეგიანიანი, ანტონ რუბინშტიკოვი № 6;
ა. ვირსალაძე, „ანა ვისოვა“ № 5), ისე ქართუ-
ლი მუსიკის გამოჩენილ მოღვაწეებზე (ლ. დო-
ნაძე, ნიკო სულხანიშვილი № 6; მ. ხაბტაძე, ივანე
ფალიაშვილი № 5; ა. თულაშვილის-ალიოზი მი-
ზანდაროვი № 5; ანა თულაშვილი და ანასტასია
ვირსალაძეზე (ორივე № 6). უნდა ითქვას, რომ
თითქმის ყველა ეს სტატია დაწერილია საკითხის
კონკრეტული, ქართული საბჭოთა მუსიკის შემდგომი
განვითარების დრამა დინამიკურებით და ეტყე-
ბა მუსიკალური კულტურის თანამედროვე აქტიუ-
ლურ პრიბლემებს.

ავიღოთ მაგალითად, ანტონ წულუკიძის კარგი
და პრინციპული წერილი „ქართული მუსიკის
ახალი ნაწარმოებები“, აქ კვალიფიკაცია არის
განხილული ა. მიკაელის კანტატა „ქართლის
გელი“, ო. თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია და
ა. ბალანჩივაძის შესახებ საფორტეპიანო კონცერ-
ტი. ავტორი გვიპრდება მეორე წერილი, მაგრამ,
სამწებაროდ ვერჯერობით იგი არა ჩანს.

მუსიკის გამოჩენილ მოღვაწეებზე დაწერილი
წერილების ერთადერთი ნაკლი, ჩვენი აზრით,
ისაა, რომ ამ მოღვაწეების ცხოვრება და მუშაობა
არ არის დაკავშირებული საქართველოს კულტუ-
რულ ცხოვრებასთან. მაგალითად, ანასტასია ვირ-
სალაძის წერილში არაა აღნიშნული, რომ გამო-
ჩენილი რუსი პიანისტ-კლავი ანა ვისოვა 1887
წლის თებერვალ-მარტში დიდი წარმატებით გა-
მოდიოდა თბილისში, გ. ორჯონიძის წერილში
გლენჯას შესახებ გამოტყვებულია, თუ როდის
დაიღვა თბილისში პირველად „ვინ სუსანი“
და „რუსლან და ლედმილა“ (ეს მოხდა 1880-81
სექტემბერში). ასეთივე მდგომარეობა „ხელოვნების
კლენდარში“. მაგალითად, არ არის აღნიშნული
მ. სკოინის გასტროლები საქართველოში 1887,
1890 და 1894 წლებში, მხატვარ ვ. ვერეშჩაგინის
ჩამოსვლა 1863 და 1865 წლებში, და სხვ.

საუკუნოებო ანა თულაშვილის წერილი ქარ-
თული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლის,
შესანიშნავი პიანისტის ალიოზ მიზანდარის
(1838 — 1912) შესახებ. მკითხველის წინაშე შე-
ფიოდ და რელიეფურად წარმოდგება მეცხრა-

მეტ სავაჭრო ქართული მუსიკალური კვლევების ეს გამოჩენილი მოღვაწე ანტონ რუბინშტიუნის, ფრანკ ლისტის, იოჰანეს ბრაშმის და ჰაინრიხ ვენდესენის მეგობარი, კარგადაა დახასიათებული შიზანდარის პედაგოგიური მოღვაწეობაც. წერილი იფანე ფალიაშვილზე შეიძლება ავტორის უფრო გაემდიდრებინა ახალი, გამოქვეყნებული შასალით. გოკუბას იწვევს ამ წერილის შესაძენი ანაწილის დასაწყისი: „ე რ თ ვ ე ბ ი თ ქართული, ქეთაიის მკვიდრი ი. პ. ფალიაშვილი... დღემდე მათა მხატვრულ წერილში ასეთი ანტიკონსერვატიული სტილი. გარდა ამისა ნათესა წერილის ავტორის ან რედაქციის საეჭვოდ მაინც იფანე ფალიაშვილის ქართულობა, რომ ამ გაჩვენების ასე ხაზს უსვამს?!

საერთაშორისო ლაო დონაძისა და ახალგაზრდა მუსიკოსკოლდის გ. ტორაძის წერილები ნათესა სულხანიშვილზე და ჩებური მუსიკის კლასიკოსებზე (მ. სმეტანა და ა. დვარაკი).

ფართოდაა წარმოდგენილი თურქულში წერილები საზღვარგარეთელი ხელოვნების შესახებ (რუმინული მხატვრობა, იტალიური კინემატოგრაფია, დემოკრატიული გერმანიის ხელოვნება, პოლანდის მხატვრობა, ინდოეთის ხელოვნება, ამერიკის ხელოვნება, ჩინური თეატრი და სხვ.) სამწუხაროდ, ზოგი ეს წერილი ანოტაციური-ფორმალური ხასიათის ატარებს. მაგალითად, დემოკრატიული გერმანიის ხელოვნება მუტად სქემატურადაა წარმოდგენილი და ზერეკულ ვაშუქებული. წერილიდან არ ჩანს, თუ რა დიდ წარმატებებს მოაღწია გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ათი წლის მანძილზე ხელოვნების ყველა დარგში, თუმცა ავტორი წერილის ბოლოში აცხადებს, რომ მას დახასიათებული აქვს „დემოკრატიული გერმანიის ხელოვნების დღევანდელი ვითარება, გზები და პერსპექტივები“. ასეთივეა წერილი ჩინურ თეატრზე. როგორ შეიძლება თანამედროვე ჩინურ თეატრზე სწერა და სრულიად არ ახსენო მსოფლიოში ცნობილი მსახიობი მეი-ლან-ფანი, რომელიც საბჭოთა კავშირშიაც იყო რამდენჯერმე ჩამოსული (1935 და 1952 წლებში).

გაბრუნებულმა თანამედროვე საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე და თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამიტომ სასწებით ბუნებრივია, რომ მკითხველი დიდი ინტერესით მოეხდომება ამ შესანიშნავი ისტატიის შემოქმედების ღრმა და პროფესიულ გარჩევას. სამწუხაროდ, თ. ვეაძის წერილი (№ 3) გერმანიის შესახებ არაა. გერმანიის, წერილი თითქმის განმეორება 1948 წელს გაზეთ „ლიტერატურისა და ხელოვნების“ (№ 18) დაბეჭდილი სტატიაა, ცხადია, ზოგიერთი დამატებით და შესწორებით. მაგრამ მთავარი ისაა, რომ წერილი დამატებულა მრავალი ამონაწერით და ციკატით სხვადასხვა ევროპულ-გზითიდან („იზუესტატი“, „პრავდა“, „ლენინგრადსკაია პრავდა“, „ზა სოვეტსკოე ისკუსტეო“, „სმენა“), აგრეთვე, ამა თუ იმ კრიტი-

კოსის წერილებიდან (ი. სოლუტინსკი, ს. იუტკევიჩი, ვიქტორინა კოიკერო, ი. ტრინშეინი, კონსტ. ფინი) აქვე უნდა აღინიშნოს „მხატვრული რილის დასაწყისი ავტორის მოხავეს ამონაწერი „ნათესა ტაიშიდან“ და შედეგ წერილის მეორე ანაწილს ასე იწყებს: „ამართლ. გ. ჰაბუციანის ცეცხლს იხევე, როგორც ყოველი საბჭოთა შემოქმედის ხელოვნება, საყვარელი თვისებებისა და შვილობის სულისკეთებით“. რა საჭირო იყო აქ ამერიკული გაზეთის დამოწმება?

ავტორის მონდომება და ჯაფა არ დღევლის იმისათვის, რომ ქართული მკითხველისათვის გაეცნო გ. ჰაბუციანის შემოქმედებითი გზა: თბილისის საბალეტო სკოლასა და ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გატარებული წლები, რუსეთისა და საქართველოში მოღვაწეობა როგორც ბალეტმეისტრისა, რეჟისორისა და ქართული ბალეტის სკოლის შემქმნელისა. მაგრამ, იმის ნაცვალად, რომ ყველაფერი ეს მარტოვალ და გასაგებად წარმოვლინა, ავტორი „პრევილა“ და „ლამაზი“ სიტყვების ისეთ კორიანტელს აყენებს, რომ აქა-იქ გამოთქმული სწორი, საინტერესო და დამაჯერებელი მოსაზრებანიც კი იყარაგვიან. ამის საოლსტრატიოდ მოიყვანათ რამდენიმე მაგალითს. „მისი ბაზილიო ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, მაგრამ ცოტა უფრო მეტი“ (?); „მისი ცეცხლს იხევე სალი და ოპტიმისტურია, როგორც თეატრში მოსული მყვრბულის შრომა და გართობა“ (რას მატებს ეს შედარება ცეცხლს გასაგებად); „ჰაბუციანმა მანამდე ჩრდილში მოქცეული იყო ცეცხლს შინაარსობრივად გააღიანა“, „მყვრბულის ყოველთვის განიცდიდა და აფასებდა ოთორსა და ფაქტურტინიკებში გახვეული ბალეტინების ხელოვნებას“; „მალალი გამოვნიებით და გამოვნიებით არის ასხმული და დარბობის რთული ვარიაციები“; „შეამოცირა გროტესკული ბოზა ალსახესე სივრცე“; „ავთანდილის იერსახეს... ოდნავადი არ ვადარავს მაბლონისა და ნაძალადეგობის იერი“; „ქართული „ხორბუმი“ აქვს... ფერადოვანი ფორმაც“; „ჰაბუციანი რომანტიული ბასტიატი“; „სთუეტური განვითარების ქორეოგრაფიული მიანიში“; „ჰაბუციანმა უცხოეთს არ იცის, მაგრამ მისი ცეცხლს ენა უცხოელისათვის გასაგებია“ (რა შეუძია ან უცხო ენის ცოდნა?) და ა. შ.

წერილი ასე მთავრდება: „ცეცხლს ყველაში გერა პოულობს დასრულებულ პლასტიკურ ფორმებს, მაგრამ ყველაში ცეცხლს ენი და სურვილი. კაცი უეციობას ზალავს, მაგრამ ცეცხლს არ ცოდნას როდი ფარავს“. მართლაც, ამ უყანსკელ აზრში სასებით ვეთანხმებით ავტორს.

კინო ქართული საბჭოთა ხელოვნების ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. ამის შესახებ ბევრი იწე-

რებოდა და ახლაც იწერება როგორც მოსკოვის, ისე თბილისის პრესის ფურცლებზე. თუ „საბჭოთა ხელოვნების“ ნომრებს გადავხედავთ, ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს საბჭოთა ქართულ კინემატოგრაფიაში ყველაფერი რიგზეა, კინოსტრატეგია ზედმეტად გამოდის და ყველა ფილმი კარგია და სრულყოფილი. მაგალითად, „ნიკო და ნიკოა“ — „საინტერესო ფილმი“, „ლაზრის ველი“ და „პამირის მწვერვალებზე“ კინოსტუდიის წინაშეაგებული წარმატებაა, და სხვ. მაგრამ, გარდა „კრიკინასი“. ევრნალში მოხსენებული ქართული ფილმები ან მულტიპლიკაციურია, ან დოკუმენტური. „საბჭოთა ხელოვნების“, ეტყობა, სულაც არ აწუხებს ნაციონალური კინემატოგრაფიის ის მდგომარეობა, რომელზედაც არაერთხელ მივითითა და, ახლანდელ დღეებში მოგვარება, გაზ. „პრავდაში“: „В последние годы национальные студии работали плохо. Было время, когда некоторые из них совершенно прекратили выпуск художественных фильмов... Республиканские студии должны работать с большой нагрузкой, выпускать полноценные картины“ (იხ. ამა წლის 27 ივნისის ნომერი). ერთადერთი წერილი, სადაც ასე თუ ისე ჩანს შემოქმედება ამ მდგომარეობით, კინოპერატორ დ. კანდელაკის წერილია, რომლის დასასრულს ავტორი სრულიად სამართლიანად მოუწოდებს ქართველ კინემატოგრაფისტებს: „ქართველ კინომწიქეთა პატრიოტული ვალა თაჟიანთ მშობლიურ ხელოვნებას კვლავ მოუპოვონ პოპულარობა“ (იხ. 1—2).


კ. გოგობის წერილში — „მსკოვანი საბჭოთა კინორეჟისორი“ გამოჩნილი კინორეჟისორის ივანე პერესტიანის შემოქმედებითი პორტრეტის დასაბუთის საფურცლებზეც ცდაა მოცემული. სიმაწვხაროდ, კინემატოგრაფიის განყოფილება ახალგაზრდული ზოგიერთი კერიოზისაგან, „სკანდარბეგზე“ დაწერილ რეცენზიაში (იხ. 1—2)

გვხვდება ასეთი ადგილი: „ხორაფა თაჟიანის ლაკონიური მონუმენტურობით“ კინოფილმ „ადრიაკის“ რეცენზიაში. აქვე გრადფულად აღმოჩენასთან“ ვუკნეს საკმარისად აღნიშნავს, რომ ადრიაკაში ეპიტორიას ტბიდან მღიწარე ნილოსი გამოდის, ახლა ამას მღიწარე ზამზეზე მოვამტა. რეცენზიაში პირდაპირ წერია: „ეპიტორიას ტბა და იქიდან გამომდინარე ზამზეზე“ (?!).

ევრნალში არაიმკითხავდ გვხვდება ბუნდოვანი და გაუგებარი გამოთქმები. ამის დასაბუთებულად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი სხვადასხვა წერილიდან: „რუსული ნაციონალური ზანიათი ყველაზე სრულად გამოვლენდა იპერის განაპირა ატებში“ (იხ. 3); „არავითარი ტრეტლები მასზე არ სწრიდა“ (იხ. 5); „თბილისის საოპერო თეატრში ივ. ფალიაშვილთან წამოშვებით მომღერლები“ (ლაბარაკია ს. ინაშვილზე და დ. ანდლელაძეზე), და სხვა.

ასეთი ევრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1954 წელს გამოსულ ნომრებში მოთავსებული მასალების ზოგიერთი დადებითი მხარე და ნაკლებობები. ამ ნაკლებობათაგან მოთავსია ის, რომ ქართულ საბჭოთა ხელოვნების ცალკე მოვლენათა და მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის ევრნალს ყოველთვის არ ვაანია სწორი და ვარკვეული პოზიცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებებში იდეოლოგიის საკითხებზე ზუსტად აღნიშნულია, რომ დიდი პასუხისმგებლობა აქვს რათ ჩვენს ევრნალსებს როგორც შემოქმედებითი ძალების შემკრებსა და შემოქმედებითი პროცესის ორგანიზატორებს, რომ ხელოვნების განვითარების პროცესის უნარით და მხანდასახელ ხელმძღვანელობას შეუძლია მხოლოდ უზრუნველყოს ჩვენი ხელოვნების სხვადასხვა დარგის კუმარობა აყვავება.



იოსებ ნონეშვილის ერთტომეული



ამ უცანსეული ორი წლის მანძილზე სახელგამმა გამოცემა რამდენიმე ცნობილი პირთა და საბჭოთა პოეტის ერთტომეულები. ეს ერთტომეულები ნათელ სურათს გვაძლევენ ამ პოეტების შემოქმედებითი განვითარების გზებზე.

ჩვენი საუკეთესო პოეტები ცხოვრების დრამა ცოდნისა და შესწავლის საფუძველზე ცდილობენ მაღალმატერტილად ასახონ მდიდარი და მრავალფეროვანი საბჭოთა სინამდვილე.

სხვა გამოჩენილ პოეტებთან ერთად აქტიურ და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა იოსებ ნონეშვილი. იგი ამ უცანსეულ წლებში დაწინაურდა და ფართო მკითხველთა საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა. პოეტის უდავო წინსვლის დამადასტურებელია მის ნაწარმოებთა ერთტომეული.

ი. ნონეშვილის ლექსებს პოპულარობას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ხალხტრობა. როდესაც ხალხტრობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ არა მარტო პოეტური გამოთქმის ფორმებს, არამედ ხალხის ამ ფიქრებს, მისწრაფებებს და სულიერ განწყობილებებსაც, რომელთა გამოხატვას ცდილობს პოეტი თავის ნაწარმოებებში. ეს შესანიშნავი თვისება, რასაკვირველია, მარტო ნონეშვილის ღირსებას არ შეადგენს. იგი მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია სხვა ქართველი საბჭოთა პოეტებისთვისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ნონეშვილის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი პოეტური შემოქმედება თავისთავად სადა, ბუნებრივი და მიზნოვანია. თუ ერთი ბუნების პოეტის სისადავს დაუფლებსათვის ხანგრძლივი და დამახალული შრომა სჭირდება, ნონეშვილი შედარებით უფრო იოლად აღწევს სასურველ მიზანს. ი. ნონეშვილის ლექსებს საერთოდ ახასიათებს წრფელი პათოსი და გამჭვირვალობა.

ხალხტრობის თვალსაზრისით ნონეშვილის ერთტომეულში ყველაზე საინტერესოა ლექსი „მეგობრობა“, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირ-ჩინეთ-ვიეტნამის მეგობრული ურთიერთობისადმი:

წინაპრებს, ისრის ნალექი
ფეხქვეშ ველად რომ ვყარა,

რა შორს ეგონათ ჩინეთი,
უჩინაზრის ქვეყანა...
ქვეყნის კიდულე ეგონათ
კედლებით შემორტყნილი,
გაუგებარზეც იტყოდნენ:
— არ მესმის შენი ჩინური...

როგორც ვხედავთ, მაღალმეტანებლად და ბუნებრივად მივლინება ლექსი და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორი ხალხს უშუალოდ ესაუბრება. განაგრძობთ ლექსის კითხვას და თანამედროვე ჩინეთის გეოგრაფიული საზღვრე აღარაფრად მიგანჩნით, თითქოს ჩინურიც განსაგები ხდება მკითხველისათვის, რადგან, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, ხალხთა საერთო მიზანი მშობის საფუძველია, რადგან ლენინის დროსები იქაც ჰყავიან და მთა მუდუნის თვალებში სტალინის ნაპერწკალია... ლექსის ყველა სტრიქონი ნათელია, შინაარსობრივად დატვირთული და მიმზიდველი, რა უბრალოდ, მაგრამ ძლიერად არის ნათქვამი: „მთა მუდუნის თვალებში სტალინის ნაპერწკალია“, ანდა: „ნამდვილ მშობას და სიყვარულს სიზოზე არ უწერია“. უფრო უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ლექსი, რომ მისი მეორე ნახევარი შემტახებლობის ინტონაციაზე არ იყოს გადასული.

ერთტომეულის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის სტალინის გარდაცვალების გამო დაწერილი ლექსი — „მამა, ძვირფასო“. აქ მარტო ავტორის პირადი გლოვა რაღაც მოცემული. ამ ლექსში დიდი ემოციურობით არის გამოხატული მთელი ჩვენი ხალხის გულის ტკივილი, სიყვარული ბელადის გარდაცვალების გამო. მაგრამ ეს ნაწარმოები არ არის მინიმალური ავტორი მზეს მიმართავს:

შენც რომ მიწაზე დაკეცილი გვენახე, მზეო,
ნუ გეუწინება, აგრე ძლიერ არ ვინაღულებდით,
კვლავ აგაფრენდით შენს ადგილზე,
ღრუბლების ზემოთ,
როგორც ფერად ბურთის ააფრენენ ზოლმე
ბალებში!

ფიქრობთ, მოყვანილ სტრიქონებში პოეტის გადაპარბეული ფანტაზიის გაქანება მხატვრულ დამაჯერებლობას და კონკრეტულობას მოკლე-



ბულია. ვლადიმერ მაიაკოვსკის ძლიერ უყვარდა პიეტრობოლური თქმები, მაგრამ პოეტრი არასოდეს არ სწუდებოდა რეალურ სინამდვილეს და მის პიეტრობოლუბში ყოველთვის დატყლია მხატვრული ზომიერება. ჩაიხე შხის მიმატიერება ძალზე აღამაინურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რევოლუციის დიდი მესიტყვე უფრო მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს თავის ცნობილ ნაწარმოებს („არანვეულებრივი ამაგი, რომელიც შეეძობვა ავარაკზე ვლადიმერ მაიაკოვსკის“), როდესაც ამბობს „ნათება ყოველ მიზნეს გარეშე — აი, ლოხუნგი ჩემი და შხისა!“ პიეტრობოლური თქმების ძალა მათ იღვურ მიმართებაში და მხატვრულ დამაჯერებლობაში მდგომარეობს. სწორედ ეს ზემოქმედებითი ძალა აკლია ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს. პოეტს ლექსი რომ უფრო დაეხვეწა და ზედმეტი აღვილები ამოეწავლა, ნაწარმოები დიდად მოიგებდა და სრულყოფილი გამოვიდოდა.

ერთობეულში ავტორს შეტანილი აქვს მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც სამტოთა ეპოქის უნიკურესი პოეტის თავისებურება შესანიშნავად არის გადმოცემული როცა შენ ლექსად ამბობდი სიტყვას, გვეგონა გულსაც ქვეშებად სცლადიო, — წერს ავტორი და გჯერათ ამ სტრიქონების მხატვრული ძალა. მაიაკოვსკის პოეტური ბუნება უფრო რელიეფურად გვევლინება სტრიქონებში:

ქარიშხლის გვეფის ღელვით უსმენდი,
ქარიშხალივით სიერცე გწუწუროდა,
თითქოს უდღიდა მთელი რუსეთი
შეგ შენი სულის უსასრულობას.

გვ დაღუწილი სტრიქონი მიყვარს,
გულზე რომ შექალ გადავიქროლებს.
განა კალამი? შეუხარე სიტყვა
ვერ გბეოდა, ლეწდა სტრიქონებს...

ეს ლექსი ავტორის ღრმა დაკვირვებისა და ბეჯითი შემოქმედებითი შრომის შედეგია.

მოწონების ღირსია ლექსი „სურათები ნინოვილის ცხოვრებიდან“. როგორც შინაარსობრივად, ისე სახეობრივად ეს ლექსი მეტად კარგვრტულია. ლექსის პირველ ნაწილში პოეტრი ცოცხალი ფერებით აგვიწერს ნინოვილის სოფელს, მწერლის ღარიბულ კარ-მიღამოს, ძველისძველ ჯარგავალს, რომელშიც „პალასტომის ტბის“ ავტორს სიღუბეირით სავსე ცხოვრების გატარება უხდებოდა. სარკმელში ნამგალივით მოხრილი მთვარე, ცეცხლისპირას ხალხის ზედობლზე ნადიკრებელი, ფერმობდილი მწერალი, რომელსაც შინაგანი ცუცხელი და ენერგია მარტო თვალდებოდა შერჩეობა, ფერწერული წარმოსახულობით იშლება მკითხველის წინაშე. დრამატუზმით აღსავსეა ნაწარმოების შუა ნაწილი:

სახეზე მწუხრის ჩრდილი გმეც
და ავადყოფი მიღისარ მარცხენული
ცხოვრების კლდოვან ბაზანტე
მაგრამ შერს ვისზე იძიებ
მშორი, ღონემობლი,
გახედე, ქობის კარხობან
ავტრუხება სიყვლილი.
ის კლექის საბით მოსულა,
შენ გიშვრს ჩონხხად ქცეული,
შენსავით რატომ ახეულებს,
რას გემართლება წყველი.
კლექი არის თუ შიმშილის
გულშეშხარავი ჩრდილი.
ეჰ, გრწნობ — ორივე უყელმართ
ცხოვრების მოგხაენილია.

გვანტე ნინოვილის პორტრეტთან ერთად ლექსში იშლება მეცხრამეტე საუკუნის მამე და სუსხიანი ცხოვრების სურათები. ვესნით უიშვილების დაღლი, მიმართული სიყვლილის პირზე მისული მწერლისადმი. ხალხისათვის თვადღებელი მწერალი უაშვილების ხმაში თვით უყვადების ძაბილსაც არჩევს და შემოქმედებითი ცუცხელი აგზნებული კლამს არ უშვებს ხელიდან...

ლექსის იღვურა მხარე უფრო რელიეფური ხდება, როცა პოეტრი წარსულის მიმე დღევებს წვეს გმირულ დღევანდელობას უჯანმრებს და გვანტე ნინოვილს შოამთავლობის მიმართ ათქმეიონებს დასწერეთ, რაც მე დამაყლდა; დასწერეთ, სამშობლოს რა სიხარულიც ეღირსაო...

ცალკე აღსანიშნავია „სომხელი კოსმოდეგონასკიაზე“, რომელშიც მხატვრული დამაჯერებლობით არის განუხები გერმანული ფანოსტების მეორ ნაწახები რუსი გოგონას გმირული საზე. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე ლექსი „ოჯახი, ღრომა, ქვეშაირტება“. სიტყვაბი: „ოჯახი“, „ღრომა“ და „ქვეშაირტება“ გრაი და იმავე მნიშვნელობით იხმარება და ერთნორად გამოითქმება ქართულსა და სომხურ ენებში. ამ სამ სიტყვაში ზედვას პოეტრი ქართველებისა და სომხების ისტორიული ურთიერთობისა და შეგობრობის მტკიცე საწერებს. ავტორი პოეტური ჩანაფერის შესანიშნავ მხატვრულ განზოგადებას აღწევს:

და მათი ეღერა ვით არ მიყვარდეს,
ქართული არის, სომხური არის,
როგორც ჯადემანზე, ამ სამ სიტყვაზე
გადატეხილა მომხდურის ხმლი.

ერთობეული რვა დიდი განყოფილებისაგან შედგება. ბევრი ლექსი შალაი პოეტური ნიჭით აღბეჭდილია და არ ჩამოუვარდება აქ განხილულ ლექსებს. ასეთებია: „ღამპირი“, „გველიც არს ჰტენსო გუმონხლედის“, „ეხატანე მეღვესე მოსკოვი“, „მოღ-ნახე“, „უღლიან მამინა“, „ოღის გახსენება კახეთში“, „ოთხი მამა ღესელიძე“ და

სხვა ეს ლექსები ქართული პოეზიის უდავო წინამძღოლია.

ეპიკურ ეპარში მუშაობის საინტერესო ცდას წარმოადგენს პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილია...“, რომელშიც ასახულია სახალხო ომის დროს გესტაპოს გურამულეში გამორღვლად დაღუპული პარტიზანი ქალის — ზოია რუხაძის ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი და მღვლეარე ცხოვრება. ჩვენი ახალგაზრდობის გმირული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ამ ნაწარმოებს საპატიო როლის შესრულება შეუძლია. პრესის ფურცლებზე ხსენებულ პოემის შესახებ ბევრჯერ გამოითქვა დადებითი აზრი, აღინიშნა ზოგიერთი ნაკლიც.

ჩვენი აზრით, ზოია რუხაძის გმირული სულისა და ფიზიკური ამტანობის კიდევ უფრო რელიეფურად დახატვისათვის არ იყო საჭირო ასეთი სტრუქტურით: „ასე აწვალეს, ასე აწივს, მინც არ მთა წყვდაც რა მღიწა მწამებს“. ამ აღმართს ფეხის გულეპი შანთით დაუწვევს, მკლავები დაუგრიხეს, ფრხილუბი მარწყუებით დააგლიჯეს და რატომ უნდა იყოს წარმოუდგენელი, რომ მას თვალზე ცრემლი მოსდგომოდეს?

შხატრული ოსტატობის სრულყოფისათვის ბრძოლა საერთოდ, პოეტების ერთ-ერთი უმოაგრესი ამოცანაა. საწუხაროდ, ნინეშვილის საუკეთესო ლექსების გვერდით ზვეჯერ გვხვდება გუნბარლების ნიმუშებიც. მაგალითად:

ვინც ჯანდონე დაიშროს,
გაუვარდეს მარეშე ჯანი! —
საუბრობდნენ მეგობრები —
კირინე და დარეჯანი...
(„დამდეგ იყო ოქტომბრისა“).

მოვიყვანოთ ერთი ადგილიც, რომელიც გროტესკული სახის უნიზონი გამოყენებაზე მეტყველებს:

მარცხნივ ზინაეს ფორთიხალი,
მარჯვნივ ეაშლის მთებია
და ტიკები ლოთებივით
ბოძებს მიხეულებიან...
(„თბილისის შემოდგომა“).

ბოძებზე მიუდებელი ტიკები შეიძლება მართლაც ჰეავდეს ლოთებს, მაგრამ შხატრული სახის დანიშნულება მარტო მსგავსებაში ხომ არ მდგომარეობს. შხატრული სახე უყოლად წარმოუდგენელია შინაგანი აზრის და პოეტური ხედვის გარეშე, ლოთებთან ტიკების შედარება ამ უფრო ესტრადულ ეფექტს უქმნის; არ არის სასურველი აგრეთვე, როდესაც პოეტი მთასეულ გოგონას ამავე სახელწოდების ლექსში მიმართავს: „ქალი ხარ, ალი ხარ, მოთხარი, ენა ხარ?!“ ამ ცალკეულ სტრუქტურებზე შეიძლება არც კი შევჩერებულიყოთ, რომ მხეავის ადგილება სხვა ლექსებშიაც არ გვხვდებოდეს. მაგალითისათვის დავასახელოთ რაკლიდან —

„ჯარისკაცის სიმღერები“ ერთი ლექსი, რომელშიც აეტრის ავადმყოფობაზეა, ლაპარაკობს. ფორტზე გაციებულ პოეტს პოსტიკულში ყოფილი ნის დროს ძალიან სურს გულთბილი საუბარი ერთ სანიტარ ქალთან, მაგრამ მორცხობს, რადგან ჯარისკაცურად ბრძოლებში არ დატრიალა:

მე კა თითქოს მქირდებოდეს
ისევე ღედის კალთა,
გავცივდი და მომიყვანეს
ლაზარეთის კართან,
ე... ამთხება რაღა ახლა
ჯარში დამეშართა.

სანიტარი ქალი, თითქოს გულში ჩასწვლია პოეტის ნაღერქალს, ღიმილით ეუბნება:

რატომ სწუხარ, ამ ბიჭებზე
შენც ნაღუბია არ ხარ...
შენ თბილისში სვირნიშობთ
როდი ვახდი ავად.
მგოსნის მხრებზეაც ომის კვამლი
ჩამოაწეა შევად...

ეს ლექსი არა მარტო შინაარსობრივად, არამედ შხატრულადაც სუსტია. ერთობელში ზოგჯერ ეხედებით ნაკლებად ორიგინალურ ლექსებსაც. მაგალითად, ლექსში „ბესიკის ღანდო, დამიფარე ხელი მიჯნერი“ პოეტი ამბობს:

ბესიკის ღანდო დამიფარე ხელი მიჯნერი,
შენ უწყ სახშილი სიყვარულის რა რიგ ძნელია,
გულზე ფრთა გამკრა, მაგრძნობინა, ტრფობის
სიმძიმე
სიზმარულიდან მოდრეცნილმა უცხო ფერია.
მის წამწამთ ტვერში უყვადეების წყარო
ციმკივებს, —
კისერზე ხალნი, ნატერის თე-ლნი, ამბობს
ვლანა...

ნამდვილი სიყვარული უყოლეთის იყო და იქნება პოეზიის შინაგონებელი ძალი. პოეტი არ უნდა გიურბოდეს ამ დიდებულ თემას, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილ ლექსში ოდნავადაც არა ჩანს თანამედროვე აღმართის დამოკიდებულება სინამდვილესთან. დაეშვათ, სიყვარულის გრძნობა ერთნაირად დამახასიათებელია ყველა დროისათვის, მაგრამ მისი შხატრული ამტყვევლებისათვის დღეს ხომ სულ სხვა პოეტური ხერხები და საშუალებანი საჭირო?!

ორიგინალობას მოკლებულია აგრეთვე მეორე ლექსიც — „ბარათი ფრონტიდან“:

და როდესაც შევა ნისლმა
ზეცა შევად დანისლა,
მე ვინატრე გულში იმ წაწს
ღონე ამრანისა.

კითხვობით ლექსის ამ ადგილს და ძალაუნებურად გაგონდებათ ვალაქტიონ ტაბიძის სულ სხვა თქმაზე დაწერილი ლექსი:

შემა ნისლმა დანისლა
მზარე დაღესტანისა,
აიპარონენ კოშკები
ცისა და ნესტანისა...

ასეთი მიმსგავსებანი ი. ნონეშვილის უცანასკნელი დროის პოეზიაში ზოგჯერ გვხვდება უფრო ადრე პოეტი დინჯაღ, ხანგრძლივად და დაკვირვებულად შემოაბდა თვითველი ლექსის თვითველი სტრიქონზე. ამაჟამად კი ი. ნონეშვილი, გატაცებული ბევრი ლექსის წერით, ჩქარაობს. ამის გამო, ბუნებრივად, პოეტის ლექსი ზოგჯერ დაღბვევია, ზოგჯერ კი მის ლექსებში სხვისი ინტონაცია ისმის.

არის ძველი ხალხური თქმა: გუთნის სახნისი შეიღ წელიწადში ერთხელ წვერს ოქროს წამოკრავსო, თავისთავად ეს ამბავი ცუდი რაოდია, მაგრამ მაინც შემაბრუნებთბასთან არას დაკავშირებული. მსგავსი რამ პოეზიაშიც ხდება, რაც ყოველთვის სახარბიელო მოვლენად არ ჩიითვლება. ეს თვისება ნონეშვილის შემოაბობსათვის არ არის დამახასიათებელი. მის პოეტურ პრაქტიკაში გამარჯვება და ნამდვილი წარმატება ხშირია, მაგრამ ბევრი ნაწარმოებები შექმნის სურვილით ვატაცებული ზოგჯერ იმიერტებს თავის თავს და კარგ ლექსებში უფერულ ლექსებსაც გამოურტევს ზოლზე. ნამდვილი შემოქმედებითი წარმატება დაუცხრომელი ძიებისა და უდიდესი შრომის შედეგია, ამაზე ბრწინივალედ მეტყველებს როგორც კლასიკოსების, ისე საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი პრაქტიკა.

ერთობელში ბევრია იდეურად გამართული ლექსი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ერთფეროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, ნაყლებად ოგრაძინობა ცოცხალი ლირიკულ აზროვნება, სწორად ცხოვრებაში მომხდარი მოვლენებს პოეტი თავის ბოგრავიასთან დაუკავშირებლად ასახავს. ჭარბობს რიტორიკა, ზოგჯერ მეორდება ერთი და იგივე სახეება, შავალითისათვის შეიძლება და-

ვასახელოთ საახალწლო ლექსები. გადქარბებულ ი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ისინი ერთმეორის ვარიაციებს წარმოადგენენ. ამის დადასტურებლად საქმარისა თვითველი მათგანადან თითო ამონაწერის მოტანავ: „მოვილოცავთ ახალწელს, ქორწილებს და ძეობებს“; „მომაქვს ძეობა მრავალი, შეყვარებულთა ქორწილი“, „თქვენს ქორწილშიც იღუღნენებს მზიარული ქიანური“ და ასე შემდეგ. ასეთი სახეიშო განწყობილებანი პოეტს მხატვრული ზომიერები, გრძობას აყარგვენებენ. ზოგიერთ კარგ ლექსშიც („აი პროგრამა ბედნიერების“, „ახალგაზრდობა“ და სხვ.) ვხვდებით თითქოს მიმზიდველს, მაგრამ არსებითად არაფრის მოქმედ სტიქონებს: „ცისარტყელების საქანელებით უსასრულობს გზებზე გავრენა“, „ცის ცისარტყელს მისდებს მკლავები, ნამოიტანებს გმირებსა დაბლა“ და სხვ. ეს „ცისარტყელები“ შედარებით აზრიანად, მაგრამ მაინც ტრადიციულად მეორდება სხვა ლექსებშიც. მგავლითად: „ცამ ცისარტყელა მოზიდა მშვილდად“, „მოქრის მოქნეულ ხმლის ცისარტყელი“, „ვისაც ტრეობა ცისარტყელისა ქონდა წარბედალ“ და „ნისლიან ღამეს ანთებს მოქნეულ ხმლის ცისარტყელით“.

პოეტს უფლება აქვს ერთი და იგივე სიტყვა ბევრჯერ გამოიყენოს, მაგრამ ერთი და იგივე მხატვრული სახის ხშირი განმეორება დაუშვებელია.

ლექსში „ახე სტიროდა ერთი დიდილო — გომიშვი ქვეყნად, მეც მზე ვიხილო“ ნონეშვილი „ტრეილტრულა“ სიტყვებისა და ლექსების შესახებ ასე ამბობს:

...და ვით დიდილოს, ვეტყვი მე წყნარად — სინთილე მზისა რად უნდა გერგოთ? დე ირიალისა ქვეყნად, ვით ყანამ ლექსში ღამაზმა და სასახეებლომ.

თისებ ნონეშვილმა ქართულ საბჭოთა პოეზიის ბევრი ელვარე ლექსი შესძინა, აგი ნიჭიერი შემოქმედია და ამიტომ. ექვს გაერენა, თავის თანისაღში კრიტიკულ დამოკიდებულებისა და მკაცრი მომთხოვნელობის საფუძველზე, გამართლებს ზემოთმოყვანილ სტრიქონებში გამოხატულ თავის პოეტურ მრწამსს.

შალვა აფისულაშვილი

სათავგადასავლო მოთხრობა

სათავგადასავლო თანრის ცნობილი ოსტატები ვიულ-ვერნი, მინ რიდი, ფენიმორ კუპერი თანრის ნაწარმოებებში უტეხი ნების, მაღალი მორალისა და დაკვირვებული აზრის, შრომისა და სი-

სიმონ მთარაძე. უცანური ცხოველი. სახელგამი. 1954.

მართლის მოყვარული იდამიანების სახეება გვიხატვენ. ეთლ-ვერნის მამაკი მებღვაურება, ნეცნურები, ცამდე ასული და ქვესწენუს ჩახული გმირები ყველგან და ყოველთვის სიმართლისთვის იბრძვიან.

ყენე კახეთობიდან მოვადგვს კაპიტანი ნემოს და დოქტორ ფერაგისონის გმირული და კე-

თიღობის სახეები. კაბიტანი ნემოს შეიღობილია ღრუბლებით და ღრუბლები ებრძვიან ინგლისის ზღვისსილიან იმპერიალს. საბჭოთა ადამიანებს ღრუბლები გვიბლავენ შინ რადის რომანის „უთავო მზღრის“ გმირები — შორის ჯერადი და ზებ სტუმბი, რომელიც ამერიკელ აგრესორებს ებრძვიან, ღამიჯრულ მერიკე ერებს ეკომპანები. ღრუბლები დიდი სივარულით ვიგონებთ ფენიშორ კუბერის თეთრსა და წითელკანიან გმირებს, რომლებიც იბრძვიან სიმართლისათვის, ბედნიერებისათვის. ქედს და იხიან დაბრკოლებათა წინაშე და სიკვდილი ურჩენიათ, ვიდრე დაკარგონ თავისუფლება ან შეირცხვიან პატრიოტის სახელი. უფროსის დავალება, ქალის პატივისცემა, რაინდული მგვობობა, უანგარო თავდადება დანაჯრულითა თვის, ვაჟიკობა, ამტანობა, სამშობლოს სიყვარული — აი რა შესანიშნავი თვისებებითა შექმული კუბერის დადებითი გმირები. რასაკვირველია, ბევრი რამ გულბერყულია კუბერის ნაწარმოებებში. მაგრამ კეთილშობილი სახე გმირისა, რომელიც არავითარი სიმწიფის წინაშე უდის არ იხიის, იწვევს მკითხველის სიყვარულს...

საშუბაროდ, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ცოტა მოეპოვება ისეთი სათავგადასავლო მოთხრობა, რომელიც ღრმად ჩასწვდებოდეს ჩვენი ნორმი მკითხველის სულსა და გულს და ნაწილობრივ მაინც შეავსებდეს ამ ეიწრის მოთხრობების უქონლობას ჩვენს ლიტერატურაში. სიმონ მთვარამის მოთხრობა „უცნაური ცხოველი“ ამ ხარვეზის შევსების ერთ-ერთი ცდაა.

ახალგაზრდა მეცნიერი ვახტანგი თბილისის ზოოპარკში მუშაობს და დაკვირვებას აწარმოებს ცხოველებზე. ზოოპარკში ცნობა მოდის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის მთებში, სადაც მწყემსებს იალღებზე ძროხა ჰკეთ ვარკვლი, რაღაც უცნაური ცხოველი ვახტანგი. ეს ცხოველი აფრთხობს მწყემსებს, მათში საავარჯოდ ამოსულ მოქალაქეებს და საფრთხეს უქმნის მშვიდობიან ცხოვრებასა და მუშაობას. სწორედ იმ იალღებზე, სამეცნიერო ექსპედიცია ფლორას, ფაუნას და ჰავას არკვევს, რადგან აქ მთის კალთებზე ახალი კურორტი უნდა გაშენდეს. ზოოპარკის ხელმძღვანელი ავადებს ვახტანგს, შეიპყროს ეს უცნაური ცხოველი ცოცხალად. ვახტანგი აღის მთაში და იწვევა დაიბნეულ საბაფთო ნადირობა უცნაურ ცხოველზე. ნადირობაში ვახტანგს ესმარებიან მწყემსები. დიდი დავისა და ბრძოლის შემდეგ ვახტანგი შეიპყრობს უცნაურ ცხოველს, რომელიც ვახტანგს გადაიწვევს და ღრმად გვინანამდვილად კი ცხოველი გაქსუვებულ ბუღა აღმოჩნდება, რომელიც დაკარგვია ერთ-ერთ მწყემსს.

რასაკვირველია ს. მთვარამის მოთხრობაში არ არის ჰეროიკება და სავანებო, ანდები და კორდოლირები. არ არის აფრთხობა და ამერიკის ვულტრგმთან მტაკებანი. გმირები არ დაფრთხვენ

სამაგრო ბურთით, არ დადიან ზღვის ტყვერზე და არ მიდიან მთვარეზე. არ არის რაიმე მტაკებანი და რომანტიკა, რომელიც ხიბლავს მტაკებანი და კუბ ფანტაზიის ვიულ ვერნისა, მინ რადისა და ფენიშორ კუბერის უკვლავ მოთხრობებში. და ეს ახსენება იმით, რომ გოგრაფიული არე ს. მთვარამის მოთხრობისა შეზღუდულია. მთელი მოქმედება, თუ თბილისის ზოოპარკს არ ჩავთვლით, ერთ იალღზე, ერთ რაიონში მიმდინარეობს. და მაინც მოთხრობა ინტერესით იკითხება.

სათავგადასავლო მოთხრობაში ძირითადია მოვლენათა საიდუმლოების გახსნა. კლასიკურ სათავგადასავლო ლიტერატურაში ეს არის მიწის წიაღისა თუ ზღვის ფსკერის საიდუმლოებათა გახსნა, მეცნიერული წინასწარხედვით ბუნების საიდუმლოებათა აღმოჩენა და დამარჩილება. დედოს რომინზონი ბუნების საიდუმლოების წინაშე დგას და ეს იწვევს ინტერესს, ამოჩრავებს ფანტაზიას, ჰაიდებს ჩვენში სიამათას ამ გმირისადმი. ს. მთვარამის ვახტანგი საიდუმლოების გახსნისათვის იბრძვის. რა ცხოველია ის უცნაური ცხოველი, რომელიც იალღზე აღმოჩნდა, საქონელსა და მწყემსებს აფრთხობს, საავარჯოდ ამოსულ დამსვენებლების მუდრობასა და სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობას ემუქრება, ვაჟაც მწყემსებს კი ვერ დაუბირობ და ვერც მოუკვლია. სჯობს, ეახტანგს პირველმხედრისთანავე არ დაეცემა, რომ ეს უცნაური ცხოველი გაქსუვებული ბუღა! საშუბაროდ, ამან შეაწულა ინტერესი. მკითხველმა უკვე იცის, ვის ებრძვის ვახტანგი, ამერიკან მთელი ინტერესის გადახარული გაქსუვებული ბუღის შეპყრობის ხერხებზე. რომ არ სცილდნოა მკითხველს, რა ცხოველია ის „უცნაური ცხოველი“, მოთხრობა უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევდა. იქნებ ერთი რი ფერობს, რომ მეცნიერმა-ზოოლოგმა ერთი შეხედვით უნდა გამოეცნოს, ხორკის მქონე მტაკებელთან აქვს მას საქმე თუ ბალახისმჭეველ ნადირობა? ეს შემცდარი იხი იქნებოდა. კი უცნაურის მოთხრობები იმითაა საინტერესო, რომ ისინი მხატვრობის ნაწარმოებებია და ახა ტექნიკოლოგიური რიგები. „საიდუმლო კუნძულის“ ფლორა და ფაუნა ზოოლოგისა და მოტრაიკოსის კრატკის ვერ უძლებს. დიდი იცენიანს სანზრეთის ნაწილში ვულკანური წარმოშობის კუნძულზე არ შეიძლება ცხოვრობდეს ირანგი და კენგურუ, არ შეიძლება ხარობდეს ბამბუტი, ვვალბიტ, პალმა. კიულ ვერსი კი მეცნიერულად განსწავლული მურალი იყო. მაგრამ მან ეს ჩაიდინა მწვენებლად, თავისი მხატვრობის მიზნებისათვის. ასევე შეძლო სიმონ მთვარამის შეგნებულად ახეხია გვერდი მეცნიერული სინტეზისათვის. ის ხომ ზოოლოგიურ გამოკვლევას არ წერდა? ვახტანგს არ უნდა ვცნო უცნაური ცხოველი, თავიდანვე არ უნდა აეხედა საიდუმლოების ფარდა.

სათავგადასავლო მოთხრობისათვის დამახასია-

თებელია სიუჟეტის მძაფრი განვითარება. ავტორის კარგად აქვს დახატული მთელი რიგი ეპიზოდები: უცნაური ცხოველისა და ფერმის ბულის შეტაკება, მგლებისა და უცნაური ცხოველის ბრძოლა, მზადება პირუტყვის დასაქვრად, პირუტყვის კვლის ძებნა, მასთან შეხვედრა, მისი გამოკრეფა და დაჭრა. მოთხრობა გვაცნობს, აგრეთვე (თუმცა ეპიზოდურად), მწყემსების ყოფა-ცხოვრებას, ზენე-ჩეულებს, ძროხის მოვლას და გარეგნის წესებს, და სხვ.

ს. მთავარძის მოთხრობის ღირსება ისიც არის, რომ მისი მოთხრობა იწვევს მშობლიური ბუნების შესწავლის ხალისს. უნდა იცოდეთ შენი სამშობლოს სიმდიდრენი, უნდა იცნობდე მის ფაუნას, მის ფლორას. უნდა შევეძლოს გამოცნობა ხეებისა, ყვავილებისა, ამინდისაც კი. ავტორის უამრავი შეშველებით მასალა მთაქვს თავისი მკითხველისათვის ბიოლოგიიდან, ზოოლოგიიდან, ისტორიიდან, წურბელა რაი, იმისი თვისებაც კი აქვს ავტორის აწერილი (გვ. 206 — 207). ამ სამეცნიერო მასალას ავტორი იძლევა არა მშრალად, არამედ მსატერულად, მიზიხველად, პოეტურად.

სათავგადასავლო მოთხრობაში მოქმედ პირთა გრძნობათა სამყარო იშვიათადაა წინა პლანზე წამოყვანილი. სიმონ მთავარძეს თავისი მოთხრობის სიუჟეტი ისე აუგია, რომ ძირითადად, მთავარ თემას პარილელურად მისდევს სასიყვარულო ამბავი. ავტორი სიყვარულის თემას იყენებს სათავგადასავლო სიუჟეტის გაშლისათვის და ს. მთავარძეს ავი ფსიქოლოგიური დამკვირვებლობით აქვს მოკეპული. იმავე დროს, ნათელსა და ვახტანგის ურთიერთობაში მოჩანს საბჭოთა ახალგაზრდების მაღალი შეხედულება სიყვარულზე. მოთხრობის გმირის ბედი ბეწვზე ჰქიდი უცნაურ

ცხოველთან ბრძოლაში. ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდება გმირის უჩვეულო დანახევითააწი თავგადასავალი, უცნაური ცხოველის რჩევითააწი მოვება ვახტანგი თუ ვადაცხება უფსკრულში, მარტო ის იქნება მსხვერპლი უცნაური ცხოველისა თუ სხვებშიც. უჩვეულო პირობებში ადამიანის უსიქიკოს ჩვენება დამასაიათებელია სათავგადასავლო მოთხრობისათვის. საყვარლის რომანტიკა და სათავგადასავლო პეროიკა მშვენიერადაა შერწყენილი ამ მოთხრობაში. და რაცე ვახტანგის მოქმედება გამარჯვებით მთავრდება, შეყვარებულთა ბედნიერი ბოლო კანონიერ კმაყოფილებას იწვევს მკითხველში.

მოთხრობა კარგი ქართული ენითაა დაწერილი, ოღონდ უნდა ითქვას, რომ ავტორი ალღვალაგ სრულად ზედმეტ პათეტურობას მიმართავს. არც ვახტანგის, არც ნათელს და, მით უფრო, არც მწყემსი თედოს ხასიათი არ მოითხოვს მაღალფარდოვანი ენით საუბარს და განწყობილებათა ვახარებას.

სიუჟეტურად მოთხრობა თავდება უცნაური ცხოველის დაჭერით, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და იწყება ამავე ახალი კურორტის შენებისა გერანას სანაერლოზე. (გერანა — გაქსოებული ბულის სახელია). ავტორიც ასეთი ღირველი დაბოლოებით ამთავრებს მოთხრობას:

„ვინ იცის, მკითხველო, რამდენიმე წლის შემდეგ, თქვენც მოხვდეთ გერანას სანაერლოზე იქ, სადაც სოციალისტური საქართველოს ბედნიერების ახალი კერა — კურორტი — შენდება. შეიძლება თქვენც იცემოთ მისი სიყვით და მისი გათხოვთ ამ ამბის მონაწილეთაც წუ დაიწვიყვებით...“

როდონო მორაძი

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს არე დაქციოთ კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე,

პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

ჩელმოწერილია დასაბეჭდად 1/VIII-55 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უგ 03883.

შევევთა № 444. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ახალი წიგნები

სახელმწიფო გამომცემლობა

კოლმედიკური ლიტერატურა

- ი. ბ. ზტალინი — თავბრუდახვევა წარმატებებისაგან. ფასი 10 კაპ.
ფ. ა. ლენინი — მოკლე ბიოგრაფია. ფასი 5 მან. 75 კაპ.
კ. ბაქრაძე — თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფია იმპერიალიზმის
სამსახურში. ფასი 6 მან. 70 კაპ.
ნ. ა. ბულგანინი — განცხადება ევროპის მშვიდობისა და უმშიშროების უზრუნველყოფის საკითხ-
თა ევროპის სახელმწიფოების ვარშავის თაბიჩრზე. ფასი 30 კაპ.

მხატვრული ლიტერატურა

- სანდრო შანშიაშვილი — დრამები. ფასი 15 მან.
ალიო ადამია — ლექსები. ბალადები. ფასი 3 მან. 20 კაპ.
რახულ რზა — ლენინი. პოემა. ფასი 7 მან. 65 კაპ.
იანკა კუბალა — რჩეული. ფასი 4 მან.
ნოე კაკუშაძე — წიგნის სასახლე. ფასი 4 მან. 30 კაპ.
თამარ დაფქვიასვილი — მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი. ფასი 22 მან.
რევაზ ასავეი — ლექსები. პოემა. ფასი 4 მან.

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა

- მელიორება — პროფ. პ. ნ. კუდრიავცევის რედაქციით. ფასი 4 მან. 75 კაპ.
ა. პოტაშნიკი, გ. შოროზოვი — ფრენბურთი. ფასი 30 კაპ.

საგლიტბამი

- ოთარ ჩხეიძე — ტინის ხიდი. ფასი 4 მან. 60 კაპ.
იან დრდა — წითელი თორტიზა. თარგმანი ზებურიდან შ. გენჩიძისა. ფასი 6 მან. 20 კაპ.
ალექს შენგელაია — საბავშვო ლექსები და პოემები. ფასი 3 მან. 10 კაპ.
ბორის კანდელაკი — მთაწმინდა. ფასი 2 მან. 40 კაპ.
კორეული ზღაპრები — თარგმანი ვალენტინ ქიჩიგურისა. ფასი 6 მან.

ფასი 8 ზ.

კი პოეზია

საქართველოს
საბჭოთაო კავშირის
საგარეო ურთიერთობების
საგარეო განყოფილება

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„მნატობი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ